

მართლმსაჯულება **3**^{'11}
კანონი

Justice and Law Legal Journal
#3(30)'11

N3(30)'11

მართლმსაჯულება

სს

კანონი

რედაქტორი

ნინო ძიციგური

რედაქტორის თანაშემწე

ირმა ბეჟაური

ნომერზე მუშაობდნენ:

ინგა ალავიძე

ლეილა კოშკაძე

მარინე ვასაძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია

ფოტოურუნველყოფა:

დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:

დინა ბერეკაშვილი

თამარ ჯამბახიძე

ინგა კვაჩანტირაძე

კონსტანტინე კუბლაშვილი

ზაზა მემიშვილი

ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:

DIANA BEREKASHVILI

TAMAR ZAMBAKHIDZE

INGA KVACHANTIRADZE

KONSTANTINE KUBLASHVILI

ZAZA MEISHVILI

VALERI TSERTSVADZE

Editor:

NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:

IRMA BEKAURI

The issue was prepared by:

INGA ALAVIDZE

LEILA KOSHKADZE

MARINE VASADZE

Designed by

BESIK DANELIA

Photo support by

DAVIT KHIZANISHVILI

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*



საპარტვილოს მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს წერილობითი
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

უპკ (UDC) 340.11+340.130.5

მ-306

ISSN 1512-259X

5

ქართული მართლმსაჯულება საქმისწარმოების ელექტრონულ
ძსელში

ADMINISTRATION OF JUSTICE IN GEORGIA IN ELECTRONIC CASE
MANAGEMENT SYSTEM

15

სულხან გამყრელიძე

სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია საერთაშორისო კერძო
სამართლის პროცესში

INTERNATIONAL COMPETENCE IN INTERNATIONAL PRIVATE LAW
SULKHAN GAMKRELIDZE

28

ნანა ბერიძე

ბირთვული გაუფრცხვანოების საერთაშორისო სამართლებრივი
რეგულირება

INTERNATIONAL LEGAL REGULATION OF NUCLEAR NONPROLIFERATION
NANA BERIDZE

44

თინათინ ერკვანია

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები
ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა

EUROPEAN STANDARDS FOR THE PROTECTION OF
CONSUMERS RIGHTS IN THE ELECTRONIC TRADE AND
RELEVANT GEORGIAN LEGISLATION
TINATIN ERKVANIA

62

დავით სუხიტაშვილი, თეა სუხიტაშვილი

სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების
კონკურენცია

COMPARISON/COMPETITIVENESS OF CONTRACTUAL AND DELICTUAL
LIABILITY CLAIMS
DAVID SUKHITASHVILI, THEA SUKHITASHVILI

75

ქეთევან კოჩაშვილი

ფილოზოფიისა და საკუთრების ურთიერთმიმართება საკუთრების
დაცვის ჭრილში

RELATIONSHIP BETWEEN OWNERSHIP AND PROPRIETY FROM PROPERTY
PROTECTION PERSPECTIVE
KETEVA KOCHASHVILI

102 **ბაჩანა ჯიშკარიანი**
სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის კომპეტენცია
ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე
მუხლის მიხედვით

COMPETENCE OF CRIMINAL LAW HARMONIZATION IN ACCORDANCE WITH
THE ARTICLE 83 OF AGREEMENT ON THE LIST OF EU DIRECTIVES
BACHANA JISHKARIANI

115 **გიორგი ბარაბაძე**
თანამონაწილეთა სახეების კლასიფიკაციის შესახებ

CLASSIFICATION OF THE TYPES OF COMPLICITY
GIORGI BARABADZE

124 **ანი შენგელია**
ევთანაზია – დანაშაული თუ ადამიანის უფლება საკუთარი
სიცოცხლის ნებასთან დაკავშირებით

EUTHANASIA – CRIME OR RIGHT OF A PERSON IN REGARD WITH HIS / HER
WILL TO LIVE
ANI SHENGELIA

134 **ია ჩხეიძე**
სასამართლოს მეგობარი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში
(AMICUS CURIAE)

AMICUS CURIAE IN GEORGIAN CRIMINAL PROCEEDINGS
IA CHKHEIDZE

141 ახალი წიგნები

ქართული მართლმსაჯულება საქმისწარმოების ელექტრონულ ქსელში

ქართული მართლმსაჯულება ახალ, თანამედროვე მეთოდზე გადავიდა – საქმის ელექტრონულ წარმოებაზე. ახალი სისტემა სამართალწარმოების ყველა დარგს მოიცავს – სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას. როგორც ამ პროგრამის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი ამბობს, ელექტრონული პროგრამა საქართველოს 15 დიდ სასამართლოში უკვე მოქმედებს და წლის ბოლოსათვის სრული დატვირთვით ამუშავდება. 2012 წლიდან კი, ქართული მართლმსაჯულება საქმისწარმოების ელექტრონულ ქსელში მთლიანად იქნება ჩართული.

■ ბატონო მამუკა, როგორ გაჩნდა ელექტრონული მართლმსაჯულების შემოღების იდეა და როდის დაიწყეთ მის განხორციელებაზე მუშაობა?

– სასამართლოში საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისათვის სიახლე ნამდვილად არ გახლავთ. ეს პროგრამა ევროპის ბევრ სახელმწიფოში ჯერ კიდევ, 1990-იანი წლებიდან დაინერგა და თითქმის ყველა ქვეყნის მართლმსაჯულება ცდილობს ამ სისტემაზე გადასვლას. როგორც ექსპერტები ამბობენ, ყოველწლიურად, ამ პროგრამების შექმნისათვის 5 მილიარდ დოლარზე მეტი იხარჯება. თუმცა იმის გამო, რომ იგი საკმაოდ რთული შესაქმნელი და ასამოქმედებელია, ხშირად მისი დანერგვის მცდელობა უშედეგოდ სრულდება. თითოეული ასეთი პროგრამის შესაქმნელად და ასამუშავებლად დაახლოებით ათი წელიწადია საჭირო.

მიუხედავად დიდი მონდომებისა, სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მხოლოდ 30 პროცენტშია დანერგილი.

საქართველოში მართლმსაჯულების საქმიანობის ელექტრონულ მართვაზე გადაყვანის იდეა თავის დროზე სწორედ ამერიკელებმა მოგვანოდეს. თუმცა, პროგრამის სირთულის გამო, დონორმა ორგანიზაციებმა ისიც გვირჩიეს, სისტემის პრაქტიკულ დანერგვაზე არ იოცნებოთ, ჯერჯერობით, მის თეორიულ დამუშავებაზე იფიქრეთო.

მოკლედ, ამ პროგრამაზე ფიქრი დაახლოებით, ოთხი წლის წინათ დავიწყეთ. სასამართლოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. ჯგუფის მიზანი იყო სასამართლოში შეგვექმნა საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა.

თავდაპირველად, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვექონდა, რა ტიპის პროგრამა უნდა გაგვეკეთებინა. ორი წლის განმავლობაში მხოლოდ სამუშაო გეგმა იქმნებოდა და იხვეწებოდა, რაც ურთულესი პროცესი იყო. დიდი დახმარება გაგვინია მსოფლიოში ამ მიმართულებით არსებულმა გამოცდილებამ. გავეცანით არა მხოლოდ იმ ქვეყნების პრაქტიკას, სადაც მსგავსი ტიპის პროგრამები მუშაობს, იმ ქვეყნების გამოცდილებასაც, სადაც ჩავარდა ეს პროექტები. უცხოური პრაქტიკის გათვალისწინებით გამოვრიცხეთ ყველა უზუსტობა, ავიღეთ ყველა დადებითი მხარე, ჩვენი გამოცდილება და იდეები დავემატეთ და დღეს სასამართლოში საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა

უკვე დანერგილია თბილისის, რუსთავის, მცხეთის, გორის, ზუგდიდის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის და ა.შ. სულ 15-მდე სასამართლოში.

როგორც აღვნიშნე, იმისათვის, რომ სასამართლოში საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა შეგვექმნა, განვითარებული ქვეყნების მაგალითს გავეცანით, მაგრამ აშკარა იყო, რომ ამ სისტემის კოპირებას ვერ მოვახდენდით, რადგან ჯერ ერთი, მათი პროექტები წლების წინათ შეიქმნა და ვინაიდან, კომპიუტერული ტექნოლოგიები ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება, ეს სისტემები უკვე მოძველებულია. და მეორეც, ყველა ქვეყანას, მათ შორის, საქართველოსაც განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა აქვს, ამიტომ ელექტრონული სისტემის შექმნა, ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ. ასეთ მცირე დროში, ასეთი სირთულის პროგრამის შექმნა წარმოუდგენელი იყო, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ ჩვენმა ჯგუფმა, რომელიც პროფესიონალი სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული, მართლაც შეუძლებელი შესძლო.

უფრო კონკრეტულად, რას გულისხმობს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა?

– ეს პროგრამა გულისხმობს, რომ სასამართლო სისტემაში ქალაქით წარმოება აღარ იარსებებს და საქმის წარმოება თანამედროვე მეთოდით – ელექტრონულად მოხდება.

სასამართლოში შესული ნებისმიერი განცხადება იმთავითვე პირველადი რეგისტრაციის

ჟურნალში ხვდებოდა, შემდეგ იგივე ინფორმაცია გადადიოდა საქმის კატეგორიის განმსაზღვრელ ჟურნალში, შემდეგ ალფაბეტურ ჟურნალში, ივსებოდა სააღრიცხვო სტატისტიკური ბარათი, რის შემდეგაც ინფორმაცია ხვდებოდა მოსამართლეთათვის გადასაცემ ჟურნალში. იგივე ინფორმაცია ინიშნებოდა თანაშემწის ცნობარში და კიდევ რამდენიმე დამატებითი პროცედურის გავლის შემდეგ, ეს განცხადება აღწევდა მოსამართლემდე, რომელსაც ასევე, უამრავი საკანცელარიო, ტექნიკური პროცედურის ჩატარება უწევდა. მოსამართლეები ტექნიკური საკითხების მოგვარებაზე უდიდეს დროს და ენერჯიას ხარჯავდნენ. გარდა ამისა, ამ პროცედურებს, უმეტეს შემთხვევაში თან ახლდა გარკვეული გაუგებრობები, რის გამოც, მოქალაქე ხშირად საკუთარი განცხადების ბედს სასამართლოს სხვადასხვა უწყების თანამშრომელთან არკვევდა და უამრავ დროს და ენერჯიას ხარჯავდა.

მართლმსაჯულების საქმისწარმოების კომპიუტერულ სისტემაზე გადაყვანა ერთნაირად სასარგებლოა, როგორც მოსამართლეებისათვის, ასევე პროცესში მონაწილე სხვა პირებისათვის და ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის.

ელექტრონულ სისტემაში უამრავი ტექნიკური ნიუანსია გათვლილი, თითოეულ დეტალზე საუბარი ახლა ძნელია, იმდენად მრავლისმომცველია იგი. თუმცა, სისტემის მოკლე დახასიათებით ადვილად მიხვდებით, რომ საქმე ნამდვილად უნიკალურ პროექტთან გვაქვს, რომელიც პროცესში მონაწილე ყველა წევრს, დაწყებული მოსამართლიდან, რომ არაფერი ვთქვათ განმცხადებელზე და



მამუკა ახვლედიანი – რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მუშაობდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოქალაქეთა მისაღების კონსულტანტად.

2000-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე: საერთო განყოფილების ს/ს საქმეთა სასამართლო კოლეგიის კანცელარიის წამყვან სპეციალისტად, ს/ს საქმეთა სასამართლო კოლეგიის სამდივნოს მთავარ სპეციალისტად, ს/ს საქმეთა სასამართლო კოლეგიის სამდივნოს უფროსად და თავმჯდომარის ბიუროს უფროსად.

2007 წლის მაისში ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 2 აგვისტოს №1/133-2007 გადაწყვეტილებით, დაინიშნა გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 2 აგვისტოს №1/145-2007 გადაწყვეტილებით, მივლინებულ იქნა რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 14 სექტემბრის №1/181-2007 გადაწყვეტილებით, დაეკისრა რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

მის ადვოკატზე, ჩვეულებრივი სასამართლოს თანამშრომლით დამთავრებული, საქმეს ყველას მინიმუმამდე შეუმსუბუქებს.

ამ პროგრამით განსაკუთრებით შეუმსუბუქდება შრომა მოსამართლეს, ის აღარ იქნება დაკავებული ტექნიკური საკითხების მოგვარებით. სასამართლოში შესული განცხადებები „შემოსული ფოსტის ჟურნალში“ მოხვედრისთანავე დავის კატეგორიების მიხედვით დახარისხდება, რის შემდეგაც თანაბარი დატვირთვით, ავტომატურად გადანაწილდება მოსამართლეებზე, რაც მოსამართლის გრაფაში მაშინვე აღინიშნება. ამის შემდეგ მოსამართლე კომპიუტერშივე იწყებს საქმეზე მუშაობას. სისტემის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება, რომ საქმისწარმოების ტექნიკური ნაწილი, რომელსაც მოსამართლის შრომის 70-80 პროცენტი ეთმობოდა, პროგრამაში შაბლონური ფორმით არის მოცემული და მოსამართლეს მხოლოდ ინტელექტუალურ ნაწილზე, გადანყვეტილების დასაბუთებაზე უხდება მუშაობა. ანუ, მოსამართლის საქმიანობიდან ტექნიკური ნაწილი ამოვარდა და მოსამართლეს ინტელექტუალური მუშაობისთვის უფრო მეტი დრო რჩება, რაც წარმატებით აისახება მის მიერ გამოტანილი გადანყვეტილებების ხარისხზე.

გარდა ამისა, სისტემა თავად აწესებს საქმის განხილვის ვადებს, რაც ვადების დარღვევას, ფაქტობრივად, გამოორიცხავს. მოსამართლეს შეუძლია გაცემული დავალებების კონტროლიც და იმის ნახვაც, თუ როდის აქვს ჩანიშნული სხვა სასამართლო სხდომები.

სპეციალური პროგრამა მოსამართლეს იმასაც ატყობინებს, საქმეში დასახელებული პიროვ-

ნება ხომ არ არის არასრულწლოვანი და რა სანქციების გამოყენების უფლება აქვს მოზარდი ბრალდებულის შემთხვევაში. მას შემდეგ, რაც მოსამართლე საქმეს დასრულებულად გამოაცხადებს, რაც სპეციალური მონიშვნით დასტურდება, ამ საქმეში შენიშვნის შეტანა შეუძლებელი ხდება, თვით მოსამართლის მხრიდანაც კი. საქმე ავტომატურად გადადის info.court.ge-ზე და მას მხარე ეცნობა.

მოსამართლეს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია პროგრამაში შესვლა და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება.

გარდა ამისა, შეიქმნა საძიებო სისტემა, რაც ერთგვაროვანი პრაქტიკისთვისაა მნიშვნელოვანი. მოსამართლეს შესაძლებლობა ექნება ნებისმიერ, მისთვის საჭირო საქმეზე მოიძიოს არსებული პრაქტიკა და გაეცნოს მას. ნებისმიერი მუხლის ან საკვანძო სიტყვის სისტემაში აკრეფით, მოსამართლეს ან სხვა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს ამა თუ იმ საქმეზე არსებული სასამართლო პრაქტიკა. საქმეზე გამოტანილი გადანყვეტილება გამოქვეყნდება დაპტრიხული ფორმით. ადვოკატს, სტუდენტს, მეცნიერს და სხვა დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება მოიძიოს მისთვის საინტერესო საქმეზე გამოტანილი გადანყვეტილებები. ეს ერთგვაროვანი პრაქტიკის უფრო მეტ განვითარებასაც გამოიწვევს და დამწყები მოსამართლეების კვალიფიკაციის ზრდასაც შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლის საქმიანობის ხელშეუხებლობის მიზნით, მისი გვერდი მკაცრად არის დაცული, სხვა მოსამართლეს, მათ შორის სასამართლოს თავმჯდომარესაც, ამა თუ იმ საქმის ნახვა მხოლოდ ბარათის

სახით შეუძლია. სასამართლოში საქმისნარ-
მოების ელექტრონულ სისტემაში არა მარტო
მოსამართლეების და საქმეში მონაწილე
მხარეების ინტერესებია გათვალისწინებული,
არამედ იმ ხალხისაც, ვინც სასამართლოს
საქმიანობით არის დაინტერესებული. ახალ
სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია
ანალიტიკურ ნაწილს. კერძოდ, პროგრამა
ავტომატურად აკეთებს სასამართლოს
საქმიანობის სტატისტიკას, როგორც
ციფრების სახით, ასევე, საქმეების
კატეგორიების და თვით ბრალდებულთა
ასაკის და სქესის მიხედვით.

აი, ეს და კიდევ სხვა უამრავი სამოსამართ-
ლო საქმიანობა ინარმოება ელექტრონულ
სისტემაში, რაც მოსამართლის დროსა და
ენერგიას დაზოგავს. მოსამართლეებს აღარ
მოუწევთ ტექნიკური საკითხების მოგვარება-
ზე ზრუნვა, ისინი მხოლოდ საქმეზე გამო-
სატან გადანყვეტილებაზე იქნებიან სრულად
ორიენტირებულნი, რაც მართლმსაჯულების
ხარისხს კიდევ უფრო გაზრდის.

**მართალია, ხარისხიანი
გადაწყვეტილება და სწრაფი
მართლმსაჯულება სასამართლოს
მომხმარებლებისათვის
უმნიშვნელოვანესი ფაქტორია,
მაგრამ საინტერესოა, კიდევ რა
სიახლეს სთავაზობს ეს პროგრამა
მოქალაქეებს?**

– როგორც გითხარით, ზემოთ აღნიშნული
საწყურნალო სისტემა საერთოდ უქმდება.
სასამართლოში შესული განცხადება
პირდაპირ რეგისტრირდება პროგრამის

სპეციალურ გრაფაში – „შემოსული ფოსტის
ჟურნალში,“ სადაც ავტომატურად ინიშნება
შეტანის თარიღი, ეძლევა სპეციალური კოდი
და ა.შ. პარალელურად, საქმე ხვდება
ვებგვერდზე – info.court.ge, რაც ნიშნავს,
რომ იმავე დღიდან მოქალაქეს შეუძლია
ნებისმიერ დროს აკრიფოს პაროლი და
გააკონტროლოს საკუთარი საქმის მსვლე-
ლობა. ყველა მოქმედება, რომელიც საქმეზე
განხორციელდება, ვთქვათ, რომელ მოსამარ-
თლეს დაენერა იგი, რა შენიშვნა შეიტანა
მოსამართლემ, როგორი განაჩენი ან განჩინება
გამოიტანა, ავტომატურად აისახება ვებ-
გვერდზე. აქედან გამომდინარე, მოქალაქეს
აღარ სჭირდება ინფორმაციის მისაღებად
სისტემატურად ტელეფონზე რეკვა ან
სასამართლოში სიარული. აქამდე თუ ერთ
კონკრეტულ საქმეზე ინფორმაციის გაცემა
მხოლოდ მოსამართლის თანაშემწეს შეეძლო,
ამ სისტემის დანერგვის შემდეგ, მოქალაქეს
თუ კომპიუტერი არა აქვს, სასამართლოს
ნებისმიერი თანამშრომელი მოემსახურება
ოპერატიულად, რადგან ელექტრონულ
სისტემაში განთავსებული ინფორმაციის
მოძიება ყველა მათგანს შეეძლება. ყველა
მოქმედება იქნება საჯარო და ნებისმიერ
მოქალაქეს შეეძლება მის საქმეზე დაუყოფ-
ნებლივ მიიღოს დეტალური ინფორმაცია.

ერთი სიტყვით, ახალი, გამჭვირვალე
სისტემის დანერგვით მოსამართლეებს
მაქსიმალურად შეუმსუბუქდებათ შრომა,
სასამართლოში შემცირდება დოკუმენტების
გაუთავებელი მოძრაობა და რაც მთავარია,
მოქალაქეებს საგრძნობლად გაუადვილებათ
სასამართლო სისტემასთან ურთიერთობა,
რაც მართლმსაჯულების სისტემისადმი
ნდობას კიდევ უფრო გაზრდის.

როგორც თქვით, ეს პროგრამა 15 სასამართლოში უკვე მუშაობს, საინტერესოა, როგორ ამოქმედდა ის მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლოში?


– პროგრამამ ტესტირება რუსთავის სასამართლოში წარმატებით გაიარა. ამ ეტაპზე პროგრამა სრული დატვირთვით არ მუშაობს, რადგან ზოგიერთი დეტალი ჯერჯერობით ტესტირების რეჟიმშია, მიმდინარეობს გარკვეული სერვისების სრულყოფა. უახლოეს მომავალში სააპელაციო სასამართლოები და სავარაუდოდ, სხვა უწყებებიც ჩაერთვებიან მასში და წლის ბოლოსათვის ის სრულყოფილად ამოქმედდება. გაისად კი, საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში საქართველოს სასამართლო სისტემა მთლიანად ჩაერთვება.

თუმცა, ეს ყველაფერი არ არის, ახალი სისტემა სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ სიახლეს ითვალისწინებს. გარდა იმისა, რომ ამ სისტემაში ქართული მართლმსაჯულება სრულად გაერთიანდება, 2012 წლიდან მას სხვა უწყებებიც შეუერთდება. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იმისათვის, რომ მოსამართლემ დროულად მიიღოს ინფორმაცია პირის ნასამართლობაზე, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო – ბრალდებულის ან პატიმრის მდგომარეობის გადასამოწმებლად, სამოქალაქო და საჯარო რეესტრები და ა.შ.

მომავალი წლიდან სასამართლო თავის მომხმარებელს ძალიან ბევრ სიახლეს შესთავაზებს. პროგრამა ისეთ დონეზეა


დახვეწილი, რომ მასში ნებისმიერი სერვისის ჩართვა შეიძლება და ეს პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება. პროგრამისტები მუშაობენ, რომ საქმის დასრულების შესახებ ინფორმაცია მხარეს SMS-ით ან ელექტრონული ფოსტით შეატყობინონ. შესაძლებელი გახდება სასამართლოში სარჩელის დისტანციურად შემოტანა.

პროგრამა მუდმივად იხვეწება და მომავალში იგი კიდევ ბევრ ნოვაციას დანერგავს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მთავარი მოთხოვნა შესრულებულია – კიდევ უფრო სწრაფი, ხარისხიანი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემის ასამოქმედებლად ახალი პროგრამა შექმნილია და წარმატებით მუშაობს.



ADMINISTRATION OF JUSTICE IN GEORGIA IN ELECTRONIC CASE MANAGEMENT SYSTEM

Georgian administration of justice operates with new modern methods – electronic case management. New system includes all branches of administration of justice – criminal, civil and administrative. As the head of working group on this program, Chairman of Rustavi City Court Mamuka Akhvlediani says, electronic program is already functioning in 15 big cities and by the end of the year will be fully functional. Starting 2012, Georgian Justice System will be fully operational in electronic case management network.

 **Dear Mamuka, please tell us about the background of introducing electronic case management system and when did you start to work on it?**

– Electronic case management system in court is definitely not a novelty for the developed countries of the world. Similar programs were implemented in many European countries already in 1990ies and judiciaries of almost all countries try to move to this system. According to the experts, annually more than 5 milliard dollars are spent to create such programs. However, due to the fact that it is quite difficult to design and then implement the program, often these efforts are failing. It takes about 10 years to create and make this program operational.

Despite huge efforts, electronic case management system is only implemented in 30 percent of US courts.

Idea of introducing electronic case management system in Georgia also comes from the US. However, due to the complicity of the program,

donor organizations also advised to forget about practical implantation of the program, but only concentrate on theoretical part.

In other words, we started to work on this program about four years ago. American organization DPK has provided financial support of the program. Working Group was established and I was chairing it. The aim of the group was to create electronic case management program in Georgia.

Initially, we only had a general idea what type of program we wanted to design. During two years we were busy drafting the action plan that was the most difficult part. We have benefited a lot from the experience of other countries where the program is successfully being implemented and where it has failed. Using the international practice, we have eliminated all ambiguities, applied all positive experiences, added our experience and ideas and nowadays electronic case management system is being implemented in Tbilisi, Rustavi, Mtskheta, Gori, Zugdidi, Kutaisi, Batumi, Poti and other cities. (15 courts all together).

As I have mentioned, we have studied experience of developed countries in order to create the electronic case management system, but it was clear that we would not be able to copy the system., as those programs were created years ago and information technologies develop very quickly, these systems are already outdated. And also, all countries, including Georgia, has different, specific court practice, thus we started to create the system from zero. In such a short time, it was almost impossible to create such a difficult program, but I could say that our group, that as composed of high professionals, could achieve almost impossible.

Could you please tell us more precisely what does the electronic case management system mean?


– This program means that there will be no papers used in administration of justice that will happen following the modern method – electronically.

Any statement registered in the courts, would undertake registration in number of places and for different reasons before it would reach the judge, who also had to do more technical procedures. Judge was using enormous time and energy for solving technical problems. Besides, procedures were often followed with certain misunderstandings, and citizens would have to clarify the status of their statement at different places with different employees – that required a lot of time and energy.

Electronic case management system is equally useful for judges as well as the parties of the case and ordinary citizens.

Electronic case management system has a lot of technical details; it is now difficult to discuss all of them now. However, if we do a short characteristic of the program it will be easy to understand that this is indeed unique program. This program will make life easier for all parties and all individuals presented in the parties, starting with judges, including applicant, his / her lawyer, court staff.

This program will especially simplify the work of a judge. He / she will no longer be busy doing technical work. Applications registered in the courts “upon registration in incoming correspondence” will be sorted according to the subject of litigation and after that will be equally distributed to the judges



and will be immediately marked in the special window for judges. After that, judge starts to work on the case in the computer. One of the main achievements of the system is technical part of the program that used to take 70-80 percent of judges' time. Program provides samples and judge needs to work on intellectual part and reasoning of the decision only. In other words the technical work has been removed from the judges' workload. This will definitely have a positive effect on the quality of decisions.

Besides that, system itself assigns the deadline for case processing that practically solves the problem of deadlines. Judge can control the given assignments and can check when are the court hearings scheduled.

Special program notifies a judge if there is a juvenile involved in the case and what type of sanctions is the judge authorized to apply in juvenile cases. Judge indicates in the system what the shortcomings in the case are and parties will read it on the web and can quickly correct those. After the judge finishes the case that is also confirmed with the special mark, it is impossible to make any notes or changes in this case, even from the judge. Case is automatically copied on info.court.ge and parties are also notified on this.


Judge can access the program from any place and any time and can receive information on the specific case.

In addition, special search program was designed, that is important for the uniform practice. Judge will have possibility to find the practice on similar cases and read it. Typing an Article or any key word, a

judge or any other interested person can find the case law of the court. Decisions are published without the names of the individuals. Attorney, student, scholar and other interested person have possibility to find decisions made on the interesting subjects for them. This will support the process of uniform practice and will definitely help new judges to raise their qualification.

It has to be noted that in order to provide full protection of judges' work, their page is highly protected, other judges, including the chairman of the court, can only see the case in the form of a card. Electronic case management system is interesting and beneficial not only for the judges and the parties but also for the ordinary citizens who are interested in the activities of the courts. Analytical module is also very important in the new system. In particular, program automatically produces statistics of court activities, in the form of figures as well categories of cases, age and sex of the defendants.

This and many other judicial activities are processed in electronic system that saves time and energy of a judge. They will concentrate on the substance of the decision and this will obviously raise quality of justice system.

 **It is true that high quality and speedy administration of justice is extremely important factor for court users, but it is interesting what are the other novelties that the program offers to the citizens?**

– As I mentioned, journal system will be completely abolished. Application submitted to the court is automatically registered in the special icon of the

program, is assigned the date, is given special code, etc. and at the same time case appears on the web page – info.court.ge. This means that citizen can at any time enter the password and control the stages of the case processing. All actions, made on the case, to which judge the case was assigned, the comments made by a judge, what was the ruling or decision, is automatically displayed on the web. Accordingly, citizen does not need to call or go to the court to get information regarding the case. Up to now, it was only judges' assistants who could provide information to the parties regarding the case, now if the citizen does not have computer, court staff can assist them. All actions will be public and any citizen will be able to get detailed information on their case.

In other words, introducing this transparent system reduces the workload of the judges, will eliminate paper work in the court and what is most important – it will be much easier for the citizens to communicate with the courts and this will obviously increase the trust towards courts.

As you said, this program is already operating in 15 courts; it is interesting how is it working in Rustavi City Court?

– Program testing was successfully finished in Rustavi Court. At this stage, program is not operating in full scale, because some of the details are still in testing mode. Some of the services are being finalized. Appellate Court and other institutions will be also included in the program in the near future and by the end of the year it will be fully functional. Next year, entire court system will switch to the electronic case management system.

However, this is not all; new system offers much more novelties in the future. Starting 2012, other institutions will be also switched to the system. Specifically, Ministry of Interior, in order to ensure that judge receives information timely regarding the criminal records, Ministry of Corrections and Legal Assistance – to check conditions of the defendant or prisoner, Civil and Public Registries, etc.

Starting next year, Court will offer many novelties to its users. Program is so advanced that any kind of service may be added to it – this will be continues process. Programists are working to make it possible that parties receive SMS or Email notification when the case is finished. It will be possible to file a complaint in the court on distance. Attorney will be registered and will be able to register claim electronically, participate in the trial from distance, etc.

Program is in the process of permanent development and in the future it will offer even more novelties. However, we need to say that main requirement is fulfilled – in order to ensure even speedier, high quality and transparent judiciary – the new program is already operational.

სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში

სულხან გამყრალიძე

*საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
დირექტორი*

XX საუკუნის მიწურულს, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა და სამართლებრივმა ცვლილებებმა აღმოსავლეთ ევროპაში წარმოშობილ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში ეკონომიკური გარდაქმნები მოითხოვა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაწყებული სამართლებრივი რეფორმა კერძო სამართლის განახლებით დაიწყო. საზღვრების გახსნამ და უცხოური კაპიტალის მოძრაობამ აუცილებელი გახადა რეფორმა საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროშიც. რამდენადაც სამართლებრივი ნორმების კოლიზიისას მატერიალური სამართლის გამოყენება არ მოხდება თუ არ გაირკვა, რომელი ქვეყნის სასამართლოა კომპეტენტური საქმის წარმოებაზე, იმდენად უფრო საინტერესო და აქტუალურია ამ საკითხის უფრო დანვრლებით განხილვა.

მოცემული საკითხის კვლევა პირობითად ორ ნაწილად დაეყავით, კერძოდ: სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის ზოგადი მიმოხილვა და საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის ცალკეული საკითხები.

1. სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის ცნება და სახეები

საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის უკეთ გაგებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგადად განვსაზღვროთ საერთაშორისო კომპეტენციის ცნება და მისი სახეები.

საერთაშორისო კომპეტენციაში იგულისხმება თუ რომელი ქვეყნის სასამართლოა კომპეტენტური ჰქონდეს საქმე წარმოებაში და შემდგომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია უნდა განვსაზღვროთ სასამართლოს განსჯადობისაგან. რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში ამ ორ ცნებას განასხვავებენ. განსჯადობა ზოგადად, ანესრიგებს არის თუ არა ესა თუ ის საკითხი სასამართლოს განსჯადი და რომელი სასამართლოა ინსტანციურად თუ ტერიტორიულად განსჯადი, ხოლო სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია არკვევს თუ რომელი ქვეყნის სასამართლოა კომპეტენტური ანარმოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება. რაც შეეხება ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებს, მათთან ასეთი გამოიჯენა (განსჯადობა/კომპეტენცია) არ არსებობს. ამ ქვეყნებში გამოიყენება ტერმინი „იურისდიქცია“ (jurisdiction), რომელიც მოიცავს, როგორც განსჯადობას, ისე საერთაშორისო კომპეტენციას.

საერთაშორისო კომპეტენციის უკეთ გაგებისათვის იურიდიულ ლიტერატურაში არსებული საერთაშორისო კომპეტენციის ძირითადი სახეები ცალ-ცალკე განვიხილოთ.

ა. განსაკუთრებული და გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენცია

განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია საერთაშორისო კომპეტენციის ერთ-ერთი სახეა. იგი განსხვავდება ჩვეულებრივი საერთაშორისო კომპეტენციისაგან იმით, რომ საკითხები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედის, ამ ქვეყნის განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს.

აღნიშნული კომპეტენციის თავისებურებაა, რომ იგი არ იზღუდება საერთაშორისო კომპეტენციის ზოგადი პრინციპით, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია დამოკიდებულია მოპასუხის საცხოვრებელ ადგილზე, ჩვეულებრივ ადგილსამყოფელზე ან მის რეზიდენციაზე. მაშასადამე, განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია იძლევა შესაძლებლობას კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, კონკრეტული სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია არ იყოს დამოკიდებული მოპასუხის საცხოვრებელ ადგილზე, მის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელზე ან რეზიდენციაზე.

რაც შეეხება გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციას, მისი არსებობის შემთხვევაში, „ირიცხება“ იმ ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია, სადაც მოპასუხეს აქვს საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან რეზიდენცია; ასევე, „ირიცხება“ განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის მაღლა დგას თვით ისეთი ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, რომელიც მხარეების მიერ არის არჩეული.

გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენცია ადგილობრივი და განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის იმპერატიული ფორმაა. მის მიერ მოწესრიგებული საკითხები განიხილება იმპერატიულად. ის გამოდევნის:

■ სასამართლოს ადგილობრივ საერთაშორისო კომპეტენციას;

■ სასამართლოს განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას;

■ სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის არჩევას მხარეების მიერ, ვალდებულების შესრულების ადგილის არჩევას ან საერთაშორისო კომპეტენციის უპროტესტო დაშვებას.

გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენცია არ ითვალისწინებს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ან მოქალაქეობის მიხედვით სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციას.¹

განსაკუთრებული და გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევები კარგად არის ცნობილი საზღვარგარეთის ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესებისათვის, მაგალითად, შვეიცარიის, გერმანიის, რუმინეთისა და უნგრეთის კანონმდებლობებისათვის. ამასთან, აღნიშნული კომპეტენციები კარგად არის გამიჯნული ევროპის კავშირის – ბრიუსელის 1968 და ევროპის თავისუფალი სავაჭრო ასოციაციის მონაწილე ქვეყნების ლუგანოს 1988 წლის ანალოგიურ კონვენციაში.

ბ. პირდაპირი და ირიბი საერთაშორისო კომპეტენცია

პირდაპირია საერთაშორისო კომპეტენცია, როცა სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული საქმის მიმართ თავისი კომპეტენციის თაობაზე. აქედან გამომდინარე, ამას მეორენაირად გადაწყვეტილების კომპეტენციას უწოდებენ. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო არკვევს კომპეტენციის საკითხს, შემდგომში კი, ხდება სამართლის გამოყენებით (საკუთარი ან უცხო ქვეყნის) კონკრეტული შემთხვევის განხილვა.

ირიბია სასამართლოს კომპეტენცია, როდესაც ის თავად, უშუალოდ კი არ იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, არამედ უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ცნობს და აღასრულებს.

გ. კონკურირებადი საერთაშორისო კომპეტენცია

კონკრეტული ქვეყნის სასამართლოს კომპეტენციის საკითხს წყვეტს ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართალი. ხშირია შემთხვევა, როცა საკითხი (განსაკუთრებით, საოჯახო სამართალში) ეხება რამდენიმე ქვეყანას და თითოეული ქვეყნის სამართლის მიხედვით, მათი სასამართლოები არიან კომპეტენტურები. ამრიგად, შეიძლება სახეზე გვქონდეს ორი ან მეტი ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია. კონკურირებადი საერთაშორისო კომპეტენციისას მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი სასამართლო, რომელიც თავის მხრივ, გულისხმობს ხელსაყრელი მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენებას. შემთხვევას, როდესაც არსებობს არა ერთი ქვეყნის სასამართლო, რომელსაც შეუძლია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით იყოს კომპეტენტური, უწოდებენ პოზიტიური კომპეტენციების კონფ-

ლიქტს. არსებობს ამის საპირისპირო შემთხვევაც, როდესაც არც ერთი ქვეყნის სასამართლო არ არის საერთაშორისოდ კომპეტენტური. ასეთ შემთხვევას ნეგატიურ კომპეტენციათა კონფლიქტს უწოდებენ. მაშასადამე, პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ კომპეტენციათა კონფლიქტს. განვიხილოთ ორივე კონფლიქტის გადანყვეტის გზები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოზიტიურ კომპეტენციათა კონფლიქტი დაკავშირებულია რამდენიმე ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის არსებობასთან. ასეთ დროს მოსარჩელე ირჩევს მისთვის ხელსაყრელი ქვეყნის სასამართლოს. აღნიშნულ მოვლენას ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში უწოდებენ Forum shopping (ფორუმის, სასამართლოს არჩევას). მოსარჩელე ირჩევს მისთვის ხელსაყრელ სასამართლოს, რომლის დროსაც შემდეგ პუნქტებს ეძლევა მნიშვნელობა:

- პროცესის მსვლელობა;
აქ მნიშვნელოვანია კერძოსამართლებრივი სარჩელის შეტანისათვის სასამართლო ბაჟის ოდენობა. ზოგი ქვეყნის სამოქალაქო პროცესი აწესებს ბაჟის დიდ ოდენობას, ზოგი კი, მცირეს.
- საპროცესო ვადები;
ამ შემთხვევაშიც მოსარჩელე ყურადღებას აქცევს ვადებს, რომელიც დადგენილია კონკრეტულ ქვეყნებში და სადაც უფრო მოკლე ვადაში და მობილურად შეიძლება გადანყვეტეს საკითხი, იმ ქვეყნის სასამართლოს ირჩევს.
- პროცესის ხარჯები;
აქ ყურადღება ექცევა ადვოკატის ანაზღაურების საკითხს, რომელიც ასევე ქვეყნიდან ქვეყანამდე განსხვავებულია.
- მოსამართლეთა კვალიფიკაცია, ხარისხი;
მოსარჩელემ შეიძლება იმასაც მიაქციოს ყურადღება, თუ რა კვალიფიკაციის იურისტთა კორპუსი არსებობს კონკრეტულ ქვეყანაში და აქედან გამომდინარე, მოსამართლის ხარისხის მიხედვით, მიიღოს გადანყვეტილება, თუ სად შეიტანოს სარჩელი.
- მტკიცებულების დასაშვებობა;
შესაძლოა რაც ერთ ქვეყანაში მიღებულია მტკიცებულებად, მეორე ქვეყნის სასამართლო პროცესისათვის მტკიცებულებას არ წარმოადგენდეს. გამომდინარე აქედან, მოსარჩელემ უნდა გააკეთოს არჩევანი ისეთ ქვეყანაზე, სადაც მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მხედველობაში იქნება მიღებული.
- გამოსაყენებელი სამართალი;
გამოსაყენებელი სამართალი მოსარჩელისათვის ყოველთვის არ შეიძლება მომგებიანი იყოს. თუ, მაგალითად, მოსარჩელე ჩათვლის, რომ კონკრეტული ქვეყნის კოლიზიური სამართალი მისცემს შესაძლებლობას გამოიყენოს მატერიალური სამართლის ნორმა, რომლის მიხედვითაც ზიანის ანაზღაურების თანხა მცირეა, ვიდრე ეს სხვა ქვეყანაში შეიძლება ყოფილიყო, მაშინ ის გადაიტანს ისეთ ქვეყანაზე თავის ყურადღებას, რომლის სამართალიც მისთვის ამ მხრივ უფრო მომგებიანი იქნება.
- გადანყვეტილების აღსრულება;

ამ შემთხვევაში მხარე უპირატესობას ანიჭებს ქვეყანას, სადაც სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ყველაზე ეფექტიანად მოხდება.

გარდა Forum shoppig-ის პრინციპისა, ანგლო-ამერიკული სამართალი იცნობს კიდევ Forum non conveniens-ის მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც, ერთი ქვეყნის სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ ის კომპეტენტურია განიხილოს კონკრეტული საქმე, თუ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ სხვა ქვეყანაში გაიმართოს სასამართლო პროცესი, უბრალოდ არ იხილავს მას, აცხადებს თავის თავს არაკომპეტენტურად, თუმცა, ამას ასაბუთებს (მაგალითად, მონმეები, მტკიცებულებები და ა.შ. შეიძლება უფრო სხვა ქვეყანასთან იყვნენ დაკავშირებულნი) და მიიჩნევს სხვა ქვეყნის სასამართლოს უფრო შესაფერისად (მორე აპპროპრიატე), უფრო კომპეტენტურად (მორე ცონვენინენტ).²

ნეგატიურ კომპეტენტურობათა კონფლიქტისას კი, არც ერთი ქვეყნის სასამართლო კომპეტენტური არ არის. ასეთ დროს აუცილებელია ცნობილი პრინციპის, სასამართლოსათვის მიმართვის უფლების დაცვა (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი). სწორედ ამიტომ ევროპულ სამართალში დაინერგა ე.წ. იძულებითი კომპეტენტურობის ცნება, რომელიც საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის მე-17 მუხლშიც აისახა.

2. მხარეთა შეთანხმება სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე

მხარეთა შეთანხმებით ისეთი ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენტურობის დაფუძნებას, რომელიც შეიძლება კანონით არაკომპეტენტური ყოფილიყო, გარკვეული ფორმით ჯერ კიდევ, რომის კერძო სამართალი იცნობდა.³

შეთანხმება კონკრეტული სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე იდება შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში და ის ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეიძლება გაკეთდეს შეთანხმება, რომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის შემთხვევაში, საქმე წარმოებაში გადაეცეს ბაქოს საქალაქო სასამართლოს. ხელშეკრულებაში ამავდროულად შეიძლება დაფიქსირდეს გამოსაყენებელი მატერიალური სამართალიც, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაზე შეთანხმებასთან. შესაძლებელია სასამართლო, რომლის თაობაზეც შეთანხმება მოხდა მხარეთა შორის, იხილავდეს კონკრეტულ დავას (ე.ი. ჰქონდეს საერთაშორისო კომპეტენცია), მაგრამ ასევე, ხელშეკრულების თანახმად იყენებდეს სხვა ქვეყნის მატერიალურ სამართალს.

სასამართლო საერთაშორისო კომპეტენციაზე შეთანხმების გამოხატულების საშუალებას წარმოადგენს პროროგაცია და დეროგაცია. პროროგაცია არის ისეთი სასამართლოს კომპეტენციაზე შეთანხმება, რომელიც კანონით კომპეტენტური არ არის. დეროგაცია არის ისეთი სასამართლოს არაკომპეტენტურად გამოცხადება შეთანხმებით, რომელიც კანონით კომპეტენტურია. დეროგაცია პროროგაციის შემადგენელი ნაწილია. მას ხშირად ნეგატიურ პროროგაციასაც უწოდებენ.⁴

აქ საყურადღებოა კიდევ ორი მომენტი. პირველი – საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით, რომელიც შეეხება, საერთოდ, თუ რამდენად დასაშვებია შეთანხმება საერთაშორისო კომპეტენციაზე და მატერიალურსამართლებრივი. მატერიალურსამართლებრივი მომენტი გათვალისწინებულია ზოგადად, ძირითადი ხელშეკრულების მიმართ, რომლის შემადგენელი ნაწილიც, რა თქმა უნდა, არის შეთანხმება სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე.

პროცესუალური ფაქტორი, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის საერთაშორისო კომპეტენციაზე შეთანხმების დასაშვებობა. ის განისაზღვრება სასამართლოს ადგილის სამართლის, lex fori-ის მიხედვით, ხოლო მატერიალურსამართლებრივი ფაქტორი – ძირითადი ხელშეკრულების ნამდვილობა, როგორც მისი ძალაში ყოფნის ნანამძღვარი (მხარეთა თანხმობა, ნების ნაკლის არარსებობა, მხარეთა ქმედუნარიანობა, ხელშეკრულების განმარტება და ა.შ.) შეიძლება განხილულ იქნას უცხო ქვეყნის სამართლის – lex causae-ის მიხედვით.

3. სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის პრინციპი

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის მე-8 მუხლის თანახმად, „საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“. აქ საყურადღებოა, რომ საერთაშორისო კომპეტენციის პრინციპი არ ემყარება პირის მოქალაქეობას. ჯერ კიდევ, მე-19 საუკუნეში წინა პლანზე წამოიწია დომიციალიობის (საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი) პრინციპმა. „დღევანდელი სამართლის მიხედვით, საცხოვრებელი ადგილი უნდა გახდეს ძირითადი განსაზღვრის საფუძველი განსაკუთრებული ტერიტორიული სამართლისათვის, რომელსაც ისე დაექვემდებარება თითოეული, როგორც პიროვნულ სამართალს.“⁵

ევროპაში მოქალაქეობის პრინციპიდან უკანდახევა გამოიწვია იმ ინტეგრაციულმა პროცესებმა, რომელთან მიმართებაშიც ცალსახად მოქალაქეობის პრინციპის საფუძველზე აგებული სამართლებრივი ურთიერთობები მხოლოდ დაამუხრუჭებდა მისი კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის იდეას.

ამ სულისკვეთებითაა შექმნილი საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონიც. მასში, როგორც ჩვენ ამას ქვემოთ ვნახავთ, ისევე როგორც ევროპული ქვეყნების შესაბამის კანონებში, გადამწყვეტია ადამიანის საცხოვრებელი ადგილი თუმცა, მოქალაქეობის პრინციპზე სრულად მაინც არ არის უარი ნათქვამი.

საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი განსაზღვრება სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია. მას აქვს კოლიზიურსამართლებრივი და მატერიალურსამართლებრივი დატვირთვა.

საცხოვრებელი ადგილის ცნება ჯერ კიდევ, რომის სამართალში იყო ცნობილი. რომაელები ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ ადამიანის წარმოშობის, წარმომავლობის ადგილს (სადაც პიროვნება დაიბადა) – ორიგო და ადამიანის საცხოვრებელ ადგილს – domicilium.⁶

რომაული სამართალი ერთმანეთისაგან ანსხვავებდა საცხოვრებელი ადგილის ორ სახეს: ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილსა (domicilium voluntarium) და ლეგალურ, აუცილებელ საცხოვრებელ ადგილს (domicilium necessarium). ეს იყო ორი სახე საცხოვრებელი ადგილისა, მაგრამ ისინი არ გამოირცხვადნენ საცხოვრებელი ადგილის ერთიან გაგებას.⁷

ამის შემდეგ გერმანიის ერთიანმა სამართალმა ისევე, როგორც იმპერიის სასამართლომ, საცხოვრებელ ადგილად აღიარა პიროვნების ცხოვრებისეული ურთიერთობების ცენტრალური ადგილი (Mittelpunkt der Lebenverhaeltnisse). მოქმედი გერმანული სამართალი საცხოვრებელი ადგილის ამგვარ გაგებას არ იზიარებს. თანამედროვე გაგებით საცხოვრებელი ადგილი არის ისეთი ადგილი, სადაც „ადამიანის ცხოვრებისეული ურთიერთობების ძირითადი საყრდენი მდებარეობს“.⁸ საინტერესოა, რატომ დაივიწყა გერმანულმა სამართალმა ცნება „ცენტრალური“ (Mittelpunkt) და რატომ მიეცა უპირატესობა ძირითად საყრდენს Schwerpunkt-ს? ცენტრალური საყრდენის მაგივრად „ძირითადის“ უპირატესობა გერმანულ სამართალში გამოიწვია იმან, რომ საცხოვრებელი ადგილი არის ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული, ერთიანობა. ის არ უნდა გავაიგივებთ ბინასთან და ადგილსამყოფელთან. საცხოვრებელი ადგილი არის მცირე პოლიტიკური ერთიანობა, სადაც ადამიანს აქვს ბინა.⁹ „ცენტრალური დასაყრდენის“ ცნება შლის ზღვარს საცხოვრებელ ადგილსა და ადგილსამყოფელს შორის. გარდა ამისა, ცნება „ცენტრალური“ ნიშნავს, რომ ის ერთადერთი უნდა იყოს, როცა თანამედროვე სამოქალაქო სამართალი აღიარებს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება ხდება ფაქტობრივი მდგომარეობის არსებობისა და პიროვნების ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე. ამავდროულად, სამოქალაქო სამართალი იცნობს კანონისმიერ საცხოვრებელ ადგილსაც (მაგალითად, მცირეწლოვანის საცხოვრებელი ადგილი, რომელიც განისაზღვრება მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).¹⁰

აღსანიშნავია, რომ კოლიზიურ სამართალში საცხოვრებელი ადგილის მნიშვნელობა, რომელმაც თავის დროზე ადამიანის მოქალაქეობა შეცვალა, აღარ არის ასეთი დიდი. მისი ადგილი უმეტესწილად, ადგილსამყოფელმა დაიკავა. მიუხედავად ამისა, საცხოვრებელი ადგილის ცნება დღესაც ხვდება არა მარტო მრავალი ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართალში, არამედ მთელ რიგ საერთაშორისო შეთანხმებებში, რომლებიც შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს: საცხოვრებელ ადგილად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ადგილი, სადაც ადამიანს გამიზნულად გრძელვადიანი ცხოვრება აქვს განზრახული. საცხოვრებელმა ადგილმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქალაქეობის ადგილი დაიკავა. მისი არსებობა იმით არის დასაბუთებული, რომ საცხოვრებელი ადგილით ფიზიკური პირები სრულად არ წყდებიან სამშობლოს, რადგან ხშირ შემთხვევაში, საცხოვრებელ ადგილად მშობლიური სახელმწიფოს ტერიტორია აღიქმება (თუნდაც, პიროვნება ამ სახელმწიფოს მოქალაქე არ იყოს). აღნიშნული ცნება არ ზღუდავს ადამიანს უკვე დრომოჭმული მოქალაქეობის პრინციპით, მაგრამ მთლიანადაც არ წყვეტს მას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფესვებიდან.

რაც შეეხება საპროცესო სამართალს (როგორც შიდასახელმწიფოებრივ სამოქალაქო პროცესს, ისე საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესს), იგი საცხოვრებელ ადგილს არ განმარტავს განსაკუთრებულად. საცხოვრებელი ადგილი მნიშვნელოვანია პირის სასამართლო ქვემდებარეობისა (შიდასახელმწიფოებრივ სამოქალაქო პროცესში) და სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის დაფუძნების (საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში) თვალსაზრისით. პროცესის პრინციპი – სარჩელის აღძვრა მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სასამართლოში არა მარტო სასამართლო პროცესის წარმოებისათვის არის მოსახერხებელი და მისაღები, არამედ შემდგომ ამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისათვისაც.

ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი კი, არის ისეთი ადგილი, სადაც ადამიანს აქვს ცხოვრების ცენტრალური დასაყრდენი.¹¹ ჩვეულებრივ ადგილსამყოფელის დაფუძნება, ზოგიერთი შეხედულების თანახმად, გარკვეულ ადგილზე, ტერიტორიაზე, ნ-თვისანი ყოფნიდან აითვლება.¹² მიუხედავად ამისა, ამ საკითხზე ერთიანი მიდგომა არ არსებობს. გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს განმარტებით ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი განისაზღვრება ადამიანის სოციალური ინტეგრაციით გარკვეულ ადგილზე, რომელიც ოჯახური, სწავლის, მუშაობის ან სხვა მიზეზით შეიძლება არსებობდეს.

ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი შედგება ორი კომპონენტისაგან: ფაქტობრივად ყოფნის ვადისაგან და ყოფნის ნებისაგან (*animus manendi*). ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის პირველი კრიტერიუმი ფაქტობრივად ყოფნის ვადა, აუცილებელია მისი სამართლებრივი ბუნების შესაცნობად. სხვაგვარად, ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს „ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილსაც“ უწოდებენ. მეორე კრიტერიუმი, ადამიანის ნება, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, გამოიხატება მისი სუბიექტური ნებით, რაც შეიძლება არაერთხელ შეიცვალოს (ადგილსამყოფელის არაერთგზის გამოცვლა), მაგრამ ეს ცვლილება იწვევს სამართლებრივ შედეგს – *ex nunc* მოქმედება (ლათ. ამ ნუთიდან, რაც სამართლებრივად ნიშნავს რისამე მოქმედების სამართლებრივი ურთიერთობის დასაწყისიდან ათვლას). ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის ეს ნუნც მოქმედება გულისხმობს ადამიანის მიერ ადგილსამყოფელის მრავალჯერ დაფუძნების შესაძლებლობას, რომლის სამართლებრივი სტატუსიც ყოველი ახალი ადგილსამყოფელის დაფუძნებიდან აითვლება.

ადამიანის მიერ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის არჩევა ნებელობითი აქტია და სამხედრო სამსახური, მძევლად აყვანა ან პატიმრობა ასეთად არ შეიძლება ჩაითვალოს. ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები არც სოციალური ინტეგრაციის ფორმას წარმოადგენს. პარალელურად რამდენიმე ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის არსებობა კი, დაუშვებელია.

ამავდროულად, საერთაშორისო კერძო სამართალი იცნობს დროებით ადგილსამყოფელსაც, რისთვისაც საკმარისია განსაზღვრულ ადგილზე ფიზიკური ყოფნა. თუ იურიდიულ ლიტერატურაში მოხსენიებულია მხოლოდ „ადგილსამყოფელი“, ეს ნიშნავს, რომ აქ საუბარია დროებით ადგილსამყოფელზე. დროებით ადგილსამყოფელს არ სჭირდება განსაკუთრებული ვადა ან რაიმე განსაკუთრებული დროის მიმდინარეობა.

იურიდიულ პირს არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი და არც ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ეს ცნებები ფიზიკურ პირთან არის დაკავშირებული. იურიდიულ პირს აქვს რეზიდენცია.

4. საქართველოს სასამართლოს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია

ზემოთ განვიხილეთ სასამართლოს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის არსი. ახლა განვიხილოთ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ამ კომპეტენციის გამოყენება საქართველოში.

განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევები განსაზღვრულია საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის მე-9 მუხლში. აღნიშნული მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, თუ არსებობს პოზიტიურ კომპეტენციათა კონფლიქტი, არსებობს რამდენიმე მოპასუხე და გამომდინარე აქედან რამდენიმე ქვეყნის სასამართლოს კონკურირებადი საერთა-

შორისო კომპეტენცია. მოპასუხეებიდან თუ ერთ-ერთს „საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს,“ მაშინ საქართველოს სასამართლოს გააჩნია განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტი სასამართლოს ანიჭებს განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას თუ „ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა.“ ამ წინადადებაში მნიშვნელოვანია „ვალდებულების შესრულების ადგილის“ ცნება.

ვალდებულების შესრულების ადგილის ცნება არსებობს როგორც მატერიალურ სამართალში, ისე საპროცესო სამართალში. ვალდებულების შესრულების ადგილს ჯერ კიდევ, რომის სამართალი იცნობდა. რომის სამართლის მიხედვით, ვალდებულების შესრულების ადგილი იყო ის ადგილი, სადაც მოვალეს შესაბამისი ქმედება უნდა განეხორციელებინა, ხოლო კრედიტორს კი, ის უნდა მიეღო.¹³ თუ ვალდებულების შესრულების ადგილი განსაზღვრული არ იყო, ის ადგილი იყო გადამწყვეტი, სადაც კრედიტორისათვის სასამართლოში გასაჩივრება და შემდგომ ამისა, აღსრულება ხელსაყრელი იქნებოდა. ხშირად ასეთ ადგილად მოვალის საცხოვრებელი ადგილი გვევლინებოდა.

კანონის მე-9 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, სასამართლოების კომპეტენცია (განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია) ვრცელდება სარჩელებზე, რომლებიც „ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა.“

კანონის მე-9 მუხლის „დ“ პუნქტი გვთავაზობს სასამართლოს განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას, თუ „დავა ეხება იმ საწარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენცია საქართველოშია.“ ცნება „საწარმოს ფილიალი“ უნდა გავიგოთ საქართველოს „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად.

კანონის მე-9 მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებული კომპეტენცია ვრცელდება მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეზე, თუ „ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია.“ აქ ორ მომენტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. პირველი ის, რომ მამობის დადგენისა და ალიმენტის მიღების საკითხები ერთ პუნქტშია გაერთიანებული. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ალიმენტის მიღებაზე პრეტენზია შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მამობა სამართლებრივად დადგენილია. მეორე მხრივ, საინტერესოა, რომ მამობის დადგენისა და ალიმენტის მიღებასთან დაკავშირებული სარჩელები შეიძლება აღიძრას მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოში. ბუნებრივია ალიმენტის მიმღებისათვის უფრო ადვილია სარჩელი აღძრას თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასამართლოში, ვიდრე უცხო ქვეყანაში. მას შემდეგ, რაც საქართველოს სასამართლო, აღნიშნულ საკითხზე გამოიტანს გადამწყვეტილებას, დღის წესრიგში აუცილებლად დადგება მისი ცნობისა და აღსრულების საკითხი. გადამწყვეტილებას ცნობს და აღსრულებს იმ ქვეყნის შესაბამისი ორგანო, რომელსაც მოპასუხე მიეკუთვნება.

კანონის მე-9 მუხლის ბოლო, „ვ“ პუნქტის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს აქვთ განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია თუ „სარჩელის საგანია სამემკვიდრეო უფლე-

ბის დადგენა, სამკვიდრო ქონების გაყოფა და მამკვიდრებლის გარდაცვალებისას საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამკვიდრო ქონება საქართველოში ჰქონდა.“

მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სარჩელთან მიმართებაში ორი გარემოება არის საინტერესო. პირველი, ეს არის მამკვიდრებლის სამართლებრივი სტატუსი (საცხოვრებელი ადგილი/ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი) და მეორე, სამკვიდრო ქონების სტატუსი (მისი მდებარეობის ადგილი). XIX-XX საუკუნეებში ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში, აღნიშნულ საკითხზე არ იყო ცალსახა მიდგომა.¹⁴ ამჟამად, საპროცესო სამართალში უკვე არსებობს ორი ალტერნატივა: სარჩელი შეიძლება აღიძრას როგორც მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის/ჩვეულებრივ ადგილსამყოფელის მიხედვით, ისე სამკვიდრო ქონების მიხედვით.

5. საქართველოს სასამართლოს გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენცია

ზოგადად, სასამართლოს გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციაზე უკვე გვქონდა საუბარი. ამას შეიძლება დაუმატოთ ის, რომ საქართველოს სასამართლოს გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენციის საფუძველი არის კონკრეტული საქმის არსებითი სიახლოვე ადგილობრივ სასამართლოსთან. საკითხთა ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევებს საბოლოოდ დადგენილია და მისი როგორც შემცირება, ისე გაზრდა მიზანშეუწონლად მიიჩნევა.¹⁵ გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციას ჩვენ ვხვდებით ლუგანოსა და ბრიუსელის ევროპულ კონვენციებში, რომლის ინკორპორაციასაც წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის მე-10 მუხლი. რაც შეეხება იმ საკითხთა ჩამონათვალს, რომელიც შედის გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციაში აღსანიშნავია, რომ ისინი განეკუთვნებიან კერძო სამართლის საჯაროსამართლებრივი მონესრიგების საკითხებს და ამიტომ მათი „გამორიცხვა“ სხვა ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციისაგან მართებულია.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონში ზემოაღნიშნული კომპეტენციის ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით ადგილი აქვს ხარვეზს. კერძოდ, კანონის მე-10 მუხლს ეწოდება განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია, მაშინ, როდესაც თავისი შინაარსით მუხლი მოიცავს გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევებს.

6. საქართველოს სასამართლოს იძულებითი საერთაშორისო კომპეტენცია

სასამართლოს იძულებითი საერთაშორისო კომპეტენცია ყალიბდება ნეგატიურ კომპეტენციათა კონფლიქტისას, როდესაც არც ერთი ქვეყნის სასამართლოს კომპეტენცია არ არსებობს, ადამიანის უფლება კი, აუცილებელ დაცვას მოითხოვს. ნეგატიურ კომპეტენციათა კონფლიქტისას ირღვევა სამართლის პრინციპი, რომელიც გულისხმობს ადამიანის უფლებას მიმართოს და მოსმენილ იქნას სასამართლოს მიერ. პირი შეიძლება აღმოჩნდეს იმ პრობლემის წინაშე, რომ კონკრეტული საქმე ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის სამართალს უკავშირდება და არც ერთი

ქვეყნის სასამართლო არ თვლის თავს კომპეტენტურად მიიღოს აღნიშნული საქმე წარმოებაში. ასეთი შემთხვევების მოწესრიგებას გულისხმობს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის მე-17 მუხლი: „თუ საქართველოს კანონმდებლობა საქმის წარმოების შიდა კომპეტენციას არ ითვალისწინებს და ამავე დროს შეუძლებელია საქმის აღძვრა უცხო ქვეყანაში ან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, პროცესის იქ წარმოებას აზრი არა აქვს, კომპეტენტურია საქართველოს იმ ტერიტორიაზე არსებული სასამართლო, სადაც უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს ჰქონდა საბოლოო საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილ-სამყოფელი.“

ამ მუხლის გათვალისწინებით საქართველოს სასამართლოს იძულებითი კომპეტენციის დაფუძნება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- პროცესის ჩატარება საზღვარგარეთ შეუძლებელი უნდა იყოს;
- პროცესის ჩატარებას საზღვარგარეთ აზრი არ უნდა ჰქონდეს;
- განსახილველ საქმეს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს საქართველოსთან (მაგალითად, საქართველოს მოქალაქე მუდმივად ცხოვრობს საქართველოში).

მოცემული მუხლი სუბსიდიარულად მოქმედებს კანონის იმ მუხლებთან მიმართებაში, რომლებიც სხვაგვარად განსაზღვრავენ სასამართლო კომპეტენციის საკითხებს.¹⁶

აღსანიშნავია, რომ იძულებითი საერთაშორისო კომპეტენციის დაფუძნებისას ყურადღება ექცევა მის მატერიალურ-სამართლებრივ პირობებს. იძულებითი საერთაშორისო კომპეტენციის ამოქმედება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა უფლების საპროცესოსამართლებრივი უგულვებლყოფა მატერიალური სამართლის უარყოფას უთანაბრდება.

7. მხარეთა შეთანხმება სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე

საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაზე შეთანხმებას აწესრიგებს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის მე-18 მუხლი, რომელსაც დასავლეთევროპული სამართლის ზეგავლენის კვალი ემჩნევა. განსაკუთრებით აშკარაა იტალიისა და შვეიცარიის შესაბამისი კანონებისა და ლუგანოსა და ბრიუსელის კონვენციების გავლენა.

იმისათვის, რომ შეთანხმებით დაფუძნდეს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია, აუცილებლად დაცული უნდა იყოს სამი ძირითადი პირობა:

1. შეთანხმება ნებადართულია ისეთ არსებულ ან სავარაუდო მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ქონებრივსამართლებრივი ურთიერთობებიდან. ქონებრივსამართლებრივ ურთიერთობაში იგულისხმება სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ფულთან ან ისეთ საკითხებთან არის დაკავშირებული, რაც საბოლოოდ, ფულადი ღირებულებით იზომება.¹⁷ შეთანხმება უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე ბათილია, თუ საკითხი ეხება საქართველოს გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციას (კანონის მე-10 მუხლი) და უდავო საქმეთა წარმოებას (კანონის 11-16 მუხლები).

2. სამართალურთიერთობა, ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული.

3. ზუსტად უნდა განისაზღვროს სასამართლო, რომელსაც დაექვემდებარება სამართალ-ურთიერთობა.

შეთანხმება საერთაშორისო კომპეტენციაზე საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით, იდება წერილობითი ფორმით ან როგორც ეს მიღებულია საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა გვთავაზობს საერთაშორისო კომპეტენციაზე შეთანხმების განსაკუთრებულ ფორმას (კანონის მე 18 მუხლის მე-2 პუნქტი). მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე პროტესტის გარეშე, დუმილით თანხმდება საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი კომპეტენტური არ არის. ანალოგიურ ფაქტს უშვებს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადება, როდესაც უპროტესტო დაშვებით, უცხო ქვეყნის სასამართლოს ენიჭება საერთაშორისო კომპეტენცია. ეს ნიშნავს, რომ მხარე, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან რეზიდენცია საქართველოში აქვს, პროტესტის გარეშე თანხმდება სასამართლოზე, რომელიც კომპეტენტური არ არის.

შენიშვნები:

- ¹ G. Walter, Internationales zivilprozessrecht der Schweiz, Verlag Paul Haupt, bern, Stuttgart, Wien, 1995, S. 184.
- ² G. Walter, S. 88.
- ³ ამ კომპეტენციის ისტორიულ ჩამოყალიბებაზე დანვრილებით იხ.: ს. გამყრელიძე, საერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი, პირველი წიგნი, თბილისი, 2000, გვ. 124-125.
- ⁴ Zoller, Zivilprozesordnung, Verlag Dr. Otto Schmidt KG, 1990, S. 30, 137-145; G. Walter, S. 103.
- ⁵ F.K. von Savigny, System des heutigen romischen Rechts, B. VIII, Berlin, 1849, S. 95.
- ⁶ Savigny, System B. VIII, S. 45-46.
- ⁷ Ю. Гамбаров, Курсъ гражданского права, томъ I, часть общая, С-Петербургъ, 1911, стр. 5.
- ⁸ Palandt/Heldrich, Burgerliches Gesetzbuch, Verlag C.H. Beck, Muenchen, 1993, S. 10.
- ⁹ H. Kohler, BGB. Allgemeiner Teil, Verlag C. H. Beck, Muenchen, 1989, S. 66.
- ¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, „სამართალი“, 1999, გვ. 82-90.
- ¹¹ Firsching/von Hoffmann, Internationales Privatrecht, Auflage 4, C.H. Beck'sche verlagsbuchhandlung, Muenchen, 1995, S. 184.
- ¹² Palandt/Heldrich, EGBGB 5, rZ. 11, S. 2189.
- ¹³ P. Jors, Geschichte und System des Romischen Privatrechts, Verlag von Julius Springer, Berlin, 1927, S. 125, 126.
- ¹⁴ G. Walker, Internationales privatrecht, Verlag der Oesterreichische Staatsdrucekerie, Wien, 1924, S. 788-800.
- ¹⁵ G. Walter, S. 183.
- ¹⁶ H. Honsell, N. Vogt, A. Schnyder (Hrsg.), Kommentar Zum Schweizerischen Privatrecht, Internationales privatrecht, verlag Helbing & Lichtenhan, Basel und Frankfurt am main, 1995, S. 3.
- ¹⁷ G. Walter, S. 113.



INTERNATIONAL COMPETENCE IN INTERNATIONAL PRIVATE LAW

SULKHAN GAMKRELIDZE

Law School Director of the Georgian University

Article reviews one of the most important institute in the international private law – competence of international court. Specific details of the above-mentioned institute are compared with the Laws and European Conventions of the Anglo Saxon and European countries. Specifically, international private laws of Germany, Switzerland and Italy and Conventions of Lugarno 1988 and Brussels 1968.

Article also reviews difference between jurisdiction and international competence. Special, exclusive, direct and indirect, general cases of international competence; Reflection of the mentioned notions in laws of Georgia governing international private law, gaps in the legislation.

It also reviews concepts of residence, location and ordinary place in relation with the private international institutions, their historical developments and place in current law.

პირთვული გაუვრცელეულობის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

ნანა ბერიძე

იურისტი

შესავალი

დღესდღეობით, მასობრივი განადგურების იარაღი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საფრთხეა. ცნება „მასობრივი განადგურება,“ რასაკვირველია, ახალი არაა, თუმცა, სპეციფიკური იარაღები, რომელთაც შეუძლიათ ზიანის მიყენება ფართო მასშტაბით – ახალი, თანამედროვე ფენომენია. 100 წელზე მეტია კაცობრიობა ცდილობს უკანონოდ ცნოს განურჩეველი ან განსაკუთრებით სასტიკი, მწამებლური ეფექტის მქონე იარაღი და ომის მეთოდები. ჰააგის მშვიდობის პირველ კონფერენციაზე, რომელიც 1899 წელს გაიმართა, აღნიშნულ საკითხებზე მრავალი წესი და ნორმა იქნა მიღებული. I მსოფლიო ომში მომწამლავი გაზის ფართოდ გამოყენების შემდეგ, 1925 წლის ჟენევის ოქმით სახელმწიფოებმა აკრძალეს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღების გამოყენება.¹ II მსოფლიო ომის დასასრულს, ხიროსიმასა და ნაგასაკის მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით აფეთქების შემდეგ, მსოფლიო არ იშურებს ძალისხმევას ამგვარი იარაღის რაოდენობის კონტროლის, მისი გაუვრცელეულობის, გამოყენების აკრძალვისა და აღმოფხვრის მიზნით.

გაეროს წესდება, რომელიც იაპონიის ამ ორი ქალაქის დაბომბვამდე ექვსი კვირით ადრე იქნა ხელმოწერილი, არ მოიცავს მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებულ მუხლებს.

თუმცა, წესდების მე-11 მუხლით გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია განიხილოს „განიარაღებასა და შეიარაღების რეგულირებასთან დაკავშირებული პრინციპები“² და წევრ სახელმწიფოებს ან უშიშროების საბჭოს, ან ორივეს, მისცეს რეკომენდაციები ამ პრინციპებთან დაკავშირებით. გაეროს წესდების 26-ე მუხლის თანახმად, უშიშროების საბჭო უფლებამოსილია „შეიმუშაოს... გეგმები გაეროს წევრი სახელმწიფოსათვის შეიარაღების რეგულირების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით.“³ მიუხედავად იმისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს შეიარაღების რეგულირებაზე ჯერ არ დაუწყია მუშაობა, მასობრივი განადგურების იარაღის საკითხებზე უკვე გარკვეული ღონისძიებები განახორციელა. წლების განმავლობაში გაეროს გენერალური ასამბლეა აქტიურად მუშაობდა „განიარაღებისა და შეიარაღების რეგულირების,“ მათ შორის, მასობრივი განადგურების იარაღის საკითხებზე. 1946 წლის 24 იანვარს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო პირველი რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდა ყველა წევრ სახელმწიფოს „ეროვნული შეიარაღებიდან აღმოფხვრან ატომური და ყველა სხვა იარაღი, რომელიც მასობრივი განადგურების მიზნით შეიძლება იქნას გამოყენებული.“⁴ მართალია, მსოფლიომ ამ მიზანს სრულად ვერ მიაღწია, მაგრამ ამ მიმართულებით გარკვეული პროგრესია.

მასობრივი განადგურების იარაღით გამოწვეული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია მათი სათანადო შესწავლა და იმის გაგება, თუ რა მოტივი ამოძრავებთ სახელმწიფოებს, ან არასახელმწიფო სუბიექტებს მათი შექმნისას. სწორი დიაგნოზის გარეშე, სწორი მკურნალობა შეუძლებელია. თუმცა, საფრთხის შეფასება შეიძლება გართულდეს. ამის ერთ-ერთი მიზეზია მასობრივი განადგურების იარაღის საიდუმლო პროგრამები. განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის, ნაკლებ შესაძლებელი, მაგრამ, საზარელი შედეგის მქონე ისეთი საფრთხის შეფასება, როგორცაა ტერორისტების მიერ ბირთვული იარაღის შექმნა.

არსებობს მოსაზრება, რომ უსაფრთხოების ინტერესები მასობრივი განადგურების იარაღის მოპოვების მთავარი მოტივია სახელმწიფოთათვის. ზოგიერთი სახელმწიფო მასობრივი განადგურების იარაღს, განსაკუთრებით კი, ბირთვულ იარაღს, განიხილავს, როგორც უზარმაზარ კონვენციურ ძალთა უპირატესობების დაბალანსების საშუალებას. სახელმწიფოები ასევე, მასობრივი განადგურების იარაღს მიიჩნევენ უშიშროების წინააღმდეგ მიმართული არსებული ან მომავალი საფრთხეებისაგან თავდაცვის საშუალებად. თუმცა, უსაფრთხოება არაა ერთადერთი მოტივი სახელმწიფოთათვის მასობრივი განადგურების იარაღის მოსაპოვებლად. სახელმწიფომ შესაძლოა ასეთი იარაღი შეიძინოს იმის რწმენით, რომ ეს გაზრდის მის პრესტიჟსა და მდგომარეობას. თუმცა, მოტივების ჩამონათვალი გრძელია, საბედნიეროდ, იმ სახელმწიფოთა სია, რომლებმაც შეიძინეს ასეთი იარაღი, ადრინდელთან შედარებით მცირეა. მაშინ რატომ წარმოადგენს მასობრივი განადგურების იარაღი კვლავ ამგვარ საფრთხეს? არსებობს ორი რისკი, კერძოდ: 1. მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება ან შექმნა; 2. მათი მოპოვება იმ სახელმწიფოთა მიერ, რომლებიც არ ფლობენ ამგვარ იარაღს, ან არასახელმწიფო ჯგუფების მიერ.

ბირთვული იარაღი გამოგონილ იქნა 60-ზე მეტი წლის წინათ. მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული იარაღის შექმნისათვის აუცილებელი ტექნოლოგია ძალიან რთულია, ბირთვული იარაღის კონცეფცია ფართოდაა გავრცელებული. ცხრა სახელმწიფომ (ჩინეთი, საფრანგეთი, ინდონეზია, ისრაელი, პაკისტანი, რუსეთი, სამხრეთ აფრიკა, დიდი ბრიტანეთი და აშშ) და ჩრდილოეთ კორეამ შექმნეს ბირთვული იარაღები. დანარჩენ 40-ზე მეტ სახელმწიფოს აგრეთვე, აქვს შესაძ-

ლებლობა შექმნას ბირთვული იარაღი, თუ მათი მთავრობები ისურვებენ და მიიღებენ გადაწყვეტილებას, დახარჯონ დრო, დააბანდონ ფული და არ დაიშურონ პოლიტიკური ძალისხმევა ამ მიზნის მისაღწევად. სათანადო დროისა და რესურსების მქონე კარგად ორგანიზებულ ეროვნულ ორგანიზაციებსა და ტერორისტულ ჯგუფებსაც ასევე, შეუძლიათ შექმნან ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობა, იმ შემთხვევაში თუ ისინი მოიპოვებენ საჭირო ბირთვულ მასალებს.

ბირთვული იარაღი არის მოწყობილობა ასაფეთქებელი ენერგიით, რომლის უმრავლესობა, ან ყველა წარმოიშობა ატომთა გახლეჩის, ან მათი კომბინაციისა და თერმობირთვული პროცესის შედეგად. ხიროსიმასა და ნაგასაკში გამოყენებული ატომური ბომბების შექმნა მარტივია, თუმცა, ისინი კომპლექსურ თერმობირთვულ აფეთქებებს იწვევენ. უფრო თანამედროვე ბირთვულ იარაღებში გამოიყენება ორი პროცესის კომბინაცია, რომელსაც ეწოდება განმეორებითი იმუნიზაცია, რათა შეინარჩუნოს მაღალი შედეგი მცირე ბომბებში.⁵ ორი მთავარი ელემენტი, რომლებიც აუცილებელია ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის შესაქმნელად არის გამდიდრებული ურანი (შეიცავს მაღალი პროცენტულობის ურანს – ურანი 235, ან U-235, ასევე, ცნობილია როგორც მეტად გამდიდრებული ურანი (HEU)) და პლუტონიუმი. პლუტონიუმის წარმოება მოითხოვს დიდ და აშკარად თვალშისაცემ მოწყობილობებს, შესაბამისად, პლუტონიუმის შემცველობით ბირთვული იარაღის ფარულად მოპოვება ძალიან რთულია, თუმცა, შეუძლებელი არ არის. ურანის გამდიდრებისათვის აუცილებელი ზოგიერთი ტექნოლოგიები შესაძლოა ფარულად იქნეს გამოყენებული, მაგრამ მათი აღმოჩენა ასევე მარტივია, ბევრ შემთხვევაში, ისეთი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, როგორცაა სათვალთვალო სატელიტები.

ბირთვული იარაღის შესაქმნელად აუცილებელი მასალების რაოდენობა განისაზღვრება ბირთვული იარაღის დიზაინის, ასევე, ამ მასალების ოდენობის მიხედვით. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტომ (IAEA) გამოაქვეყნა ბირთვული იარაღის შესაქმნელად საჭირო მასალების აუცილებელი ოდენობის შესახებ ციფრები, რაც ცნობილია „აუცილებელი ოდენობის“ სახელწოდებით. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ციფრების თანახმად, აუცილებელი ოდენობა ესაა 25 კგ გამდიდრებული ურანი და 8 კგ პლუტონიუმი. აშშ-ის კლასიფიცირების წესები უშვებენ, რომ ბირთვული იარაღი შეიძლება შეიქმნას ისეთი მცირე ოდენობით, როგორცაა 4 კგ პლუტონიუმი. დამოუკიდებელი ექსპერტები აცხადებენ, რომ 1 კილოგრამის ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობა, მარტივი დიზაინით, შეიძლება შეიქმნას 1 ან 2 კილოგრამი პლუტონიუმით ან დაახლოებით 8-დან 10 კილოგრამამდე გამდიდრებული ურანით.⁶

ბირთვული იარაღის გავრცელების პრევენცია საკმაოდ რთულია, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დასაშვებია ბირთვული იარაღის შესაქმნელად გამოყენებადი მასალების გამოყენება მშვიდობიანი მიზნებისათვის. სამოქალაქო სექტორში ბირთვული მასალების ფიზიკური დაცვა, ბირთვული იარაღის გავრცელების პრევენციის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

I. ბირთვული გაუზრცელებლობის რეჟიმი

ბირთვული გაუზრცელებლობის რეჟიმი ყველაზე ძველია და ჩამოყალიბდა „ბირთვული იარაღების გაუზრცელებლობის შესახებ შეთანხმების“ საფუძველზე. ის ასევე, მოიცავს დამატებით

შეთანხმებებს: ინსპექტირებისა და შემონახვის მექანიზმებს, სხვადასხვა ექსპორტ კონტროლისა და მიმწოდებლების რეგულირების ღონისძიებებს, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია **ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (IAEA)**.

1. **„ბირთვული იარაღების გაუფრცვლებლობის შეთანხმება“⁷** მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც კრძალავს ბირთვული იარაღების გავრცელებას და აყალიბებს გაუფრცვლებლობის საერთაშორისო ნორმებს. იგი ხელმოსაწერად გაიხსნა 1968 წელს და ძალაში შევიდა 1970 წლის 5 მარტს. ამჟამად, შეთანხმების წევრი 189 სახელმწიფოა. შეთანხმება წევრ სახელმწიფოებს ჰყოფს ბირთვულ და არაბირთვულ სახელმწიფოებად. შეთანხმების საფუძველზე, ბირთვულ სახელმწიფოებად ითვლებიან წევრი ქვეყნები, რომელთაც მოახდინეს ბირთვული მონყობილობების დეტონირება (აფეთქება) 1967 წლის 1 იანვრამდე. ხუთი წევრი ქვეყანა აღიარებულია ბირთვულ სახელმწიფოდ, ესენია: ამერიკის შეერთებული შტატები (პირველი დეტონაცია მოახდინა 1945 წელს), საბჭოთა კავშირი (1949 წელი), დიდი ბრიტანეთი (1952 წელი), საფრანგეთი (1960 წელი) და ჩინეთი (1964 წელი). 1992 წელს, რუსეთი გახდა საბჭოთა კავშირის ბირთვული სახელმწიფოს სტატუსის უფლებამონაცვლე. ყველა დანარჩენ წევრ სახელმწიფოს შეთანხმების თანახმად, ეწოდება არაბირთვული წევრი სახელმწიფო. არაბირთვული სახელმწიფოს სტატუსის მოპოვების მიზნით, უკრაინამ, ყაზახეთმა და ბელარუსმა შეწყვიტეს თავიანთი ბირთვული იარაღების წარმოების პროგრამები. გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი აგრეთვე გაუფრცვლებლობის შეთანხმების წევრი სახელმწიფოებია. აშშ-ი, რუსეთი და დიდი ბრიტანეთი შეთანხმების დეპოზიტარი ქვეყნებია. ჩინეთი და საფრანგეთი შეთანხმებას 1992 წლამდე არ მიუერთდნენ. ბოლო მიერთება შეთანხმებასთან მოხდა 2006 წლის 3 ივნისს, როდესაც მონტენეგრო ოფიციალურად მიუერთდა გაუფრცვლებლობის შეთანხმებას. საქართველო აღნიშნულ დოკუმენტს მიუერთდა 1994 წლის 7 მარტს. მხოლოდ ინდოეთი, ისრაელი და პაკისტანი არ არიან წევრები და მათ მიერ ამ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ეს დოკუმენტი შეიარაღების კონტროლის შეთანხმებების ისტორიაში გახდებოდა ყველაზე საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულება.⁸ ჩრდილოეთ კორეა მიუერთდა შეთანხმებას, დაარღვია და შეთანხმებიდან გამოსვლის შესახებ განცხადება 2003 წლის 10 იანვარს გააკეთა, შემდგომ კი, 2006 და 2009 წლებში, მინისქვეშა ბირთვული აფეთქებები განახორციელა. თუმცა, გაერომ არ აღიარა ჩრდილოეთ კორეის შეთანხმებიდან გასვლა, ვინაიდან ფხენიანმა არ შეასრულა შეთანხმების მე-10 მუხლის თანახმად, გამოსვლამდე სამი თვით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების პირობა. არსებობს მოსაზრება, რომ ბირთვულ იარაღს შეთანხმების ოთხი არაწევრი ქვეყანა ფლობს – ინდოეთმა, პაკისტანმა და ჩრდილოეთ კორეამ ღიად გამოსცადეს და განაცხადეს, რომ ისინი ფლობენ ბირთვულ იარაღს, ხოლო რაც შეეხება ისრაელს, იგი ბუნდოვან პოლიტიკას ატარებს თავისი ბირთვული იარაღის პროგრამებთან დაკავშირებით.

გაუფრცვლებლობის შეთანხმება შედგება პრეამბულისა და თერთმეტი მუხლისაგან. შეთანხმებას ზოგჯერ მოიხსენებენ, როგორც „სამი სვეტის“ სისტემას, სადაც მოიაზრება შემდეგ სამი მიმართულებას შორის ბალანსი: 1. გაუფრცვლებლობა; 2. განიარაღება; 3. ბირთვული ტექნოლოგიების მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენება.

გაუფრცვლებლობა. ბირთვული იარაღის ხუთი წევრი სახელმწიფო შეთანხმდა, რომ არ გადასცემენ „ბირთვულ იარაღებს ან სხვა ბირთვულ ასაფეთქებელ მონყობილობებს“ და „არცერთ

შემთხვევაში არ დაეხმარებიან, ნაახალისებენ ან აიძულებენ“ არაბირთვულ ნევრ სახელმწიფოებს მოიპოვონ ან შეიძინონ ბირთვული იარაღები (მუხლი I).⁹ შეთანხმების ნევრი არაბირთვული სახელმწიფოები არ „მიიღებენ,“ „ანარმოებენ“ ან „შეიძენენ“ ბირთვულ იარაღს, ასევე, არ „მოიძიებენ ან მიიღებენ დახმარებას ბირთვული იარაღის წარმოების მიზნით“ (მუხლი II).¹⁰ შეთანხმების ნევრი არაბირთვული სახელმწიფოები ასევე, თანხმდებიან მიიღონ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს უსაფრთხოების ზომები, რაც გულისხმობს შემომწმებას, რომ ისინი მშვიდობიანი მიზნისათვის გამოყენებულ ბირთვულ ენერჯიას არ გამოიყენებენ ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობების შესაქმნელად (მუხლი III).¹¹ ნებისმიერ სახელმწიფოთა ჯგუფს აქვს უფლება თავიანთ ტერიტორიაზე შექმნან ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონები.

განიარაღება. შეთანხმების VI მუხლი¹² ყველა ნევრ სახელმწიფოს აკისრებს ბირთვული და საყოველთაო განიარაღების საკითხებზე გარკვეულ ბუნდოვან ვალდებულებებს: ‘შეთანხმების ნევრი ყველა სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ანარმოონ კეთილი ნებით მოლაპარაკებები ბირთვული იარაღის შექმნის დროულად შეწყვეტასა და ბირთვულ განიარაღებასთან დაკავშირებულ ეფექტიან ღონისძიებებზე და ასევე, ზოგადად, შეთანხმების და განიარაღების დასრულების თაობაზე.“ VI მუხლის ინტერპრეტაციით ყველა ხელმომწერ სახელმწიფოს, ფაქტობრივად, მტკიცედ არ მოეთხოვება დადოს განიარაღების შეთანხმება, მათ მოეთხოვებათ მხოლოდ ანარმოონ „მოლაპარაკება კეთილი ნებით.“ საერთაშორისო სასამართლომ შეთანხმების და ბირთვული იარაღის გამოყენების ლეგალურობის შესახებ თავის სარეკომენდაციო მოსაზრებებში, რომელიც გამოიცა 1996 წლის 8 ივლისს, VI მუხლთან დაკავშირებით, ერთხმად დაასკვნა, რომ „არსებობს ვალდებულება დაიწყონ კეთილი ნებით და დაასრულონ მოლაპარაკებები, ბირთვული განიარაღების თაობაზე მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით, მკაცრი და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის საფუძველზე.“¹³

მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენება. შეთანხმების ნევრი ყველა სახელმწიფო თანხმდება, ბირთვული ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენებასთან დაკავშირებით სრულად გაცვალონ აღჭურვილობის, მასალების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაცია. შეთანხმების ნევრმა არაბირთვულმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ და შეასრულონ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს უსაფრთხოების ღონისძიებები, როგორც მშვიდობიანი მიზნებისათვის ბირთვული თანამშრომლობის პირობა. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო უსაფრთხოების ღონისძიებებს ახორციელებს, რათა შეამოწმოს ნევრი სახელმწიფოები, რომ ისინი ნამდვილად იცავენ აღებულ ვალდებულებებს და არ გამოიყენებენ თავიანთ ბირთვულ პროგრამებს ბირთვული იარაღის შესაქმნელად.

როგორც აღინიშნა, შეთანხმება აღიარებს სუვერენულ სახელმწიფოთა უფლებას გამოიყენონ ბირთვული ენერჯია მშვიდობიანი მიზნებისათვის, მაგრამ ზღუდავს მათ, რომ ეს უფლება შეიძლება განხორციელდეს „I და II მუხლების შესაბამისად.“ რამდენადაც ატომური ენერჯის სადგურის წყლის რეაქტორისათვის აუცილებელია გამდიდრებული ურანი, ეს გულისხმობს, რომ სახელმწიფოებმა ან თვითონ უნდა გაამდიდრონ ურანი, ან შეიძინონ ის საერთაშორისო ბაზარზე. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა მოჰამედ ელბარადემი ურანის გამდიდრებისა და გადამუშავების შესაძლებლობას ბირთვული გაუვრცელებლობის რეჟიმის „აქილევსის ქუსლი“ უწოდა.¹⁴

შეთანხმების ძალაში შესვლიდან, მისი მოქმედების ვადა იყო 25 წელი, პერიოდულად გადახედვის პირობით. შეთანხმების გადახედვა ხორციელდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, რაც ცნობილია შეთანხმების წევრ სახელმწიფოთა გადახედვის კონფერენციის სახელით. გადახედვის კონფერენციების მიზანია, შეთანხმების შესრულების შედეგების გაანალიზება და მისი განხორციელებისათვის სათანადო ღონისძიებების განსაზღვრა. გაუვრცელებლობის შეთანხმების გაგრძელებისა და გადახედვის კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ნიუ-იორკში 1995 წლის აპრილში, მხარეები შეთანხმდნენ შეთანხმების მოქმედების უპირობოდ განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებაზე. ამ კონფერენციის შედეგები ბირთვული გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ძალისხმევის მნიშვნელოვან წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

2000 წლის მაისში, შეთანხმების გადახედვის კონფერენციაზე, მონაწილეებმა მიიღეს განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამა, რომელიც ცნობილია „13 ნაბიჯის“ სახელწოდებით. განიარაღების ვალდებულებათა სათანადოდ შესრულების მიზნით, შეთანხმების წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ 13 პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმაზე. მათ შორის, აღსანიშნავია: საყოველთაო ბირთვული ცდების აკრძალვის შეთანხმების ძალაში შესვლა; ბირთვული ცდების მორატორიუმი; მოლაპარაკების გამართვა ატომური მასალების განადგურების შესახებ შეთანხმების თაობაზე; ბირთვული არსენალის განადგურება: START II-ის, START III-ისა და ანტიბალისტიკური რაკეტების შეთანხმების იმპლემენტაცია; სამხრეთი ინიციატივის იმპლემენტაცია (აშშ, რუსეთის ფედერაცია და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო შეთანხმდნენ, რომ განაცხადებდნენ დამატებით სამხედრო ატომური მასალების შესახებ); ატომური მასალების შესახებ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ინფორმირება, მათი გამოყენება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის და ა.შ.

მორიგი, 2005 წლის გადახედვის კონფერენცია წარუმატებელი იყო, მისმა შედეგებმა კარგად ასახეს განიარაღებისა და გაუვრცელებლობის სფეროში ის დაბრკოლებები და სირთულეები, რის წინაშეც დგას საერთაშორისო თანამეგობრობა.

უახლესი გადახედვის კონფერენცია გაიმართა 2010 წლის მაისში. ამ კონფერენციის დასკვნით აქტი, რომელიც ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ იქნა მიღებული, სხვადასხვა საკითხებთან ერთად ორ მნიშვნელოვან რეგიონულ საკითხზე მიუთითებს. პირველი, მოიცავს 2012 წელს კონფერენციის მოწვევას თემაზე: შუა აღმოსავლეთში მასობრივი განადგურების იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნა. მეორე – ის მოუწოდებს ჩრდილოეთ კორეას დაუბრუნდეს შეთანხმებას და შეწყვიტოს თავისი ბირთვული იარაღების პროგრამა. დამატებით, 2010 წლის გადახედვის კონფერენციაზე, წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ განამტკიცებდნენ გაუვრცელებლობის შეთანხმების გადახედვის პროცესებს.¹⁵

2. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო. სააგენტოს შტაბბინა ვენაშია და გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 151 წევრ სახელმწიფოს.¹⁶ იგი დაარსდა 1957 წელს, ჯერ კიდევ, იმ პერიოდში, როცა ბირთვული გაუვრცელებლობის შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებებიც კი, არ იყო დაწყებული. მას ორმაგი მთავარი მისია აკისრია: ხელი შეუწყოს ბირთვული ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენებას, შემონებისა და ადგილზე ინსპექტირების სისტემის (ერთიანობაში ცნობილია უსაფრთხოების ზომების სახელწოდებით) იმპლემენტაციას, რათა დაადგინოს, რომ ბირთვული მოწყობილობები და მასალები არ გამოიყენება

ბირთვული იარაღის შესაქმნელად. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო არ არის პოლიციური ორგანიზაცია და არ უზრუნველყოფს ფიზიკურ დაცვას. მას შეუძლია ინსპექტირების სისტემის გამოყენებით თავიდან აიცილოს სააგენტოს კონტროლს დაქვემდებარებული ბირთვული მასალების სახელმწიფოების მიერ ბირთვული იარაღების შექმნისათვის გამოყენება. შესაბამისად, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მმართველთა საბჭო (და შესაძლოა, გაეროს უშიშროების საბჭოც, რომელსაც ბარდება ანგარიში უსაფრთხოების ზომების ძირითადი დარღვევების შესახებ) ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს.¹⁷ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს და ბირთვული მასალები გაათავისუფლოს ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტირებისაგან ვიწრო სამხედრო მიზნებისათვის, როგორცაა, საზღვაო ბირთვული რეაქტორების სანვაკით მომარაგება, რაც ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შემონმების სისტემის სისუსტეზე მიუთითებს. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო ასევე, ამონმებს ბირთვული სახელმწიფოების გარკვეულ ბირთვულ მოწყობილობებსა და მათთან დაკავშირებულ ბირთვულ მასალებს. უფრო მეტიც, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო მონიტორინგს უწევს გაუფრცელებლობის შეთანხმების არანევერ სახელმწიფოთა ზოგიერთ ბირთვულ მოწყობილობებსა და მათთან დაკავშირებულ ბირთვულ მასალებს მხოლოდ ამ სახელმწიფოთა ან მათ მიმწოდებელთა მოთხოვნის შემთხვევაში.

3. დამატებითი ოქმი.¹⁸ 1991 წლამდე, გაუფრცელებლობის შეთანხმების ნევერ არაბირთვულ სახელმწიფოებში ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო მონიტორინგს უწევდა მხოლოდ იმ ბირთვულ მოწყობილობებს, რომლებზეც აცხადებდა ის სახელმწიფო, სადაც მიმდინარეობდა ინსპექტირება და არ ეძებდა არადეკლარირებულ შესაძლო ბირთვულ დანადგარებს, ვინაიდან წმინდა პოლიტიკური მანდატი ნევერი სახელმწიფოებისაგან არ გააჩნდა. 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის შემდეგ, არსებობდა ინფორმაცია, რომ ერაყი საიდუმლოდ ქმნიდა არადეკლარირებული ბირთვული დანესებულებების ქსელს, როგორც ფართოდ გავრცელებული ბირთვული იარაღების პროგრამის ნაწილს. ამის გამო ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მმართველთა საბჭომ 1991 წელს დაუშვა მანამდე გამოუყენებელი „სპეციალური ინსპექტირების“ უფლებამოსილება, რაც გულისხმობს, რომ ეჭვის შემთხვევაში, სააგენტოს შეუძლია მოითხოვოს იმ არადეკლარირებულ დანესებულებებთან დაშვება, რომლებიც სააგენტოს აზრით, შეიძლება აწარმოებდნენ ბირთვულ იარაღს. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს უსაფრთხოების ზომების შესახებ შეთანხმების დამატებითი ოქმი, რომლის მიზანი იყო სააგენტოს უსაფრთხოების ზომების განმტკიცება და გაფართოება, რათა ხელი შეეშალა ფარული ბირთვული პროგრამების განვითარებისათვის.

4. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს სამოქმედო გეგმა. 2001 წლის სექტემბერში, აშშ-ში ტერორისტული აქტის შემდეგ, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მმართველთა საბჭო, 2002 წლის მარტში, შეთანხმდა სამოქმედო გეგმაზე, რომლის მიზანია ბირთვული და რადიაციული მასალების გამოყენებით ტერორისტული აქტების ჩადენის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში უსაფრთხოებისა და დაცვის ზომების საყოველთაოდ განმტკიცება. ბირთვული ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ეს სამოქმედო გეგმა მოიცავს რვა მიმართულებას, ესენია: ბირთვული მასალებისა და მოწყობილობების ფიზიკური დაცვა; ბირთვული და რადიაციული მასალების გამოყენებით უკანონო საქმიანობის აღმოჩენა; სახელმწიფოთა ბირთ-

ვული მასალების ანგარიშგებისა და კონტროლის სისტემების განმტკიცება; რადიაციული წყაროების უსაფრთხოება; ბირთვულ დაწესებულებებში დაცვისა და უსაფრთხოების შეფასება; უკანონო საქმიანობაზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მზადყოფნა; ბირთვული უსაფრთხოების საკითხებზე ინფორმაციის მართვა.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს უსაფრთხოების ზომები არ არეგულირებენ ბირთვული რეჟიმის ფუნდამენტურ პრობლემას: იგივე ტექნოლოგიას, რომელსაც შეუძლია ურანის ნაკლებად გამდიდრება რეაქტორის კვების წყაროსათვის, ასევე, შეუძლია ურანის მეტად გამდიდრება, ბირთვულ იარაღებში გამოსაყენებლად. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ თუ ქვეყანა აშენებს ამ მოწყობილობებს – როგორც ეს დაშვებულია გაუვრცელებლობის შეთანხმების მე-4 მუხლით — მას შეუძლია გამოიყენოს ბირთვული იარაღების შექმნისათვის. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, ქვეყანა გამოვა გაუვრცელებლობის შეთანხმებიდან, მას შემდეგ რაც გამოიყენებს შეთანხმებით მისთვის მინიჭებულ უფლებას ბირთვული მასალების შექენაზე.

5. „ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ ბირთვული იარაღის ცდების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულება“¹⁹ და საყოველთაო ცდების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულება.²⁰

ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ ბირთვული იარაღის ცდების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ასევე, ცნობილია ნაწილობრივი ცდების აკრძალვის ხელშეკრულების (PTBT) სახელწოდებით, კრძალავს ბირთვული იარაღის ან ნებისმიერი სხვა ბირთვული ასაფეთქებლების გამოყენებით ყოველგვარ საცდელ აფეთქებებს, გარდა მინისქვეშა ბირთვული აფეთქებების ცდებისა. ხელშეკრულების ინიცირება მოხდა მას შემდეგ, რაც 1950 წელს, აშშ-მა და შემდგომ 1961 წელს, საბჭოთა კავშირმა ბირთვული იარაღის გამოცდის მიზნით განახორციელეს ბირთვული აფეთქებები, რამაც გამოიწვია გარემოში რადიაციის გავრცელება.

1955 წლის მაისში, გაეროს განიარაღების კომისიამ მოიწვია აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები ბირთვული იარაღების ცდების აკრძალვისა და მოლაპარაკებების დაწყების მიზნით. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, 1963 წლის 5 აგვისტოს, მოსკოვში, საბჭოთა კავშირმა, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა ხელი მოაწერეს ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ ბირთვული იარაღის ცდების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 1963 წლის 10 ოქტომბერს,²¹ მას შემდეგ, რაც ამ სამმა სახელმწიფომ მოახდინა მისი რატიფიკაცია. 2008 წლის ივლისის მონაცემებით, 123-მა სახელმწიფომ მოახდინა მისი რატიფიკაცია ან მიუერთდა ხელშეკრულებას, ხოლო 10-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა, მაგრამ ჯერ არ მოუხდენია რატიფიკაცია.²²

გაუვრცელებლობის რეჟიმის უახლესი პოტენციური ელემენტი არის საყოველთაო ცდების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა ნიუ-იორკში, 1996 წლის 24 სექტემბერს. იგი „ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ ბირთვული იარაღის ცდების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულებისაგან“ განსხვავებით, კრძალავს ნებისმიერი სახის ბირთვული აფეთქებების ცდებს და აყალიბებს საკმაოდ მკაცრი შემონემების ნორმებს, მათ შორის, სეისმოლოგიურ მონიტორინგს და დარღვევების აღმოსაჩენად ადგილზე ინსპექტირებას. საყოველთაო ცდების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებები გაიმართა განიარაღების შესახებ ჟენევის კონფერენციაზე, სადაც გადაწყვეტილებები ჩვეულებრივ, კონსესუსის გზით მიიღება. 1996 წლის აგვისტოში, ინდოეთმა დროებით დაბლოკა ხელშეკრუ-

ლების დამტკიცება. ინდოეთის ვეტოს გადასალახად, ავსტრალიამ ხელშეკრულება წარმოადგინა გაეროს გენერალურ ასამბლეაში, სადაც გადაწყვეტილება მიიღება არა კონსენსუსით, არამედ უმრავლესობით. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 1996 წელს, საყოველთაო ცდების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულება 158 ხმით სამის წინააღმდეგ მიიღო (უარყოფითი ხმები მისცეს ბუტანმა, ინდოეთმა და ლიბიამ).

1999 წლის ოქტომბერში, აშშ-ის სენატმა უარი განაცხადა ამ შეთანხმების რატიფიკაციაზე, თუმცა, აშშ და ყველა სხვა მონაწილე სახელმწიფო განაგრძობენ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ცდების აკრძალვის ნორმების ნებაყოფლობით დაცვას. საყოველთაო ცდების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დებულებების თანახმად, შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელია 44 „ბირთვული შესაძლებლობების მქონე,“ ანუ რომელიც ფლობს ბირთვულ ენერჯიას ან ბირთვულ კვლევით რეაქტორს, სახელმწიფოს მხრიდან რატიფიკაცია. ამ სახელმწიფოთაგან სამმა – ინდოეთმა, ჩრდილოეთ კორეამ და პაკისტანმა არ მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას, ხოლო 8 სახელმწიფოს, მათ შორის, ჩინეთს, ისრაელსა და აშშ-ს ჯერ არ მოუხდენიათ მისი რატიფიკაცია. მთლიანობაში, 182-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას და 153-მა მოახდინა რატიფიკაცია.²³

6. მიმწოდებელთა კონტროლის მექანიზმები. ზანგერის კომიტეტი და ბირთვულ მიმწოდებელთა ჯგუფი არის სახელმწიფოთა ორი არაფორმალური გაერთიანება, რომლებიც გაუვრცელებლობის რეჟიმის მესამე მნიშვნელოვანი ელემენტია. ეს ორი გაერთიანება შედგება სახელმწიფოებისაგან, რომლებიც ნებაყოფლობით ზღუდავენ იმ მასალებისა და აღჭურვილობის ექსპორტს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ბირთვული იარაღის შესაქმნელად.

გაუვრცელებლობის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, უმრავლესობა დასავლეთისა და პოსტსაბჭოთა ბლოკის ბირთვული მასალების მიმწოდებელმა სახელმწიფოებმა დაიწყეს კონსულტაცია არაბირთვულ სახელმწიფოებში ბირთვული მასალების ექსპორტთან დაკავშირებული დებულებებისა და სტანდარტების შემუშავების თაობაზე. 1974 წლის აგვისტოში, სახელმწიფოთა ჯგუფმა, რომელიც ცნობილია გაუვრცელებლობის შეთანხმების ექსპორტის კომიტეტის სახელით (ან ზანგერ-კომიტეტი, ასე დაერქვა შვეიცარიის თავმჯდომარეობის შემდეგ), მიიღო მთელი რიგი ნორმები. ეს ნორმები მოიცავს იმ საექსპორტო მასალების სიას, რომელთა ექსპორტმაც შეიძლება გამოიწვიოს ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა მიმღებ სახელმწიფოში.

1974 წელს, ინდოეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის შემდეგ, ბირთვული მასალების მიმწოდებელ სახელმწიფოთა ჯგუფი, მათ შორის, იყო საფრანგეთიც, რომელიც იმ პერიოდში არ იყო გაუვრცელებლობის შეთანხმების წევრი – შეიკრიბნენ ლონდონში, რათა შემდგომში შეემუშავებინათ ექსპორტის ნორმები. 1976 წლის იანვარში, ლონდონის ამ ჯგუფმა, რომელიც ცნობილი გახდა ბირთვულ მიმწოდებელთა ჯგუფის სახელით, მიიღო ნორმები, რომლებიც თითქმის ისეთივე იყო, როგორც გაუვრცელებლობის შეთანხმების ექსპორტიორთა კომიტეტის, მაგრამ ასევე, გააფართოვა ტექნოლოგიების გადაზიდვის საკითხები და მოიცავდა შეთანხმებას, რომ წევრები „განახორციელებენ თვითკონტროლს“ ურანისა და პლუტონიუმის გამდიდრებისათვის საჭირო აღჭურვილობასა და დანადგარებზე. 2004 წლის მაისში, ბირთვულ მიმწოდებელთა ჯგუფმა მიიღო „ყველას დაკავების“ მექანიზმი, რომლის თანახმად, წევრ სახელმწიფოებს

ჰქონდათ უფლება, თავიდან აეცილებინათ ნებისმიერი ექსპორტი, რომელზეც ისინი ეჭვობდნენ, რომ შეიძლება გამოყენებულიყო ბირთვული იარაღის პროგრამებისათვის, მაშინაც კი, თუ ეს დაბლოკილი მასალები არ ემთხვეოდა ბირთვულ მიმწოდებელთა ჯგუფის კონტროლის სიას.²⁴

7. ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონები. ფაქტობრივად, ეს ზონები გაუვრცელებლობის რეჟიმის დამატებაა, ვინაიდან ის ეხება სპეციფიკურ რეგიონულ სიტუაციებს. ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონების მზარდი მნიშვნელობის შესახებ აღინიშნა 1995 წლის გაუვრცელებლობის შეთანხმების გაგრძელებისა და გადახედვის კონფერენციის დასკვნით დოკუმენტში. ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონები ჩამოყალიბდა ლათინურ ამერიკაში (ტლატელოკოს შეთანხმება, 1997 წ.), წყნარი ოკეანის სამხრეთ ქვეყნებსა (1996 წ.) და აფრიკაში (1996 წ.). 1997 წელს ძალაში შევიდა, ბანკოკის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონა, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოხერხდა 5 ბირთვული სახელმწიფოს რატიფიკაციის ოქმის მიღწევა. 2002 წელს ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა, თურქმენეთმა და უზბეკეთმა დაასრულეს მოლაპარაკება ცენტრალური აზიის ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონის დაარსების შესახებ ხელშეკრულების თაობაზე,²⁵ რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 21 მარტს.²⁶

8. გაუვრცელებლობის რეჟიმის სპეციალური დამატებითი ღონისძიებები. 2001 წლის ტერორისტული აქტების შემდეგ, ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი განახორციელონ კოლექტიური ღონისძიებები გავრცელების წინააღმდეგ. ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მრავალმხრივი მიღწევა არის გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივის ჩამოყალიბება და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1540-ის მიღება.

9. გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივა. აღნიშნული ინიციატივა ნებაყოფლობით გაერთიანებაა და ხელმძღვანელობს აშშ. გაერთიანების მიზანია იარაღისა და ტექნოლოგიების გადატანის ხელის შეშლა ინფორმაციის გაცვლის მექანიზმების გაუმჯობესებისა და ურთიერთქმედების გზით. გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივის საქმიანობა მოიცავს მონაწილე სახელმწიფოებში ეროვნული კანონმდებლობის დახვეწას, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო დანებს უზღუდებს ეძლევათ შესაძლებლობა ზღვით გადატანილი კონტროლირებადი ნივთები გაჩხრიკონ და დააკავონ; ასევე, ინფორმაციის გაცვლა და სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობა უკანონო გადატანის თავიდან აცილების მიზნით.

გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივის განხორციელება დაიწყო 2003 წლის მაისში, აშშ-ის თაოსნობით და მას მიუერთდა 98 სახელმწიფო, მათ შორის: ავსტრალია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, სინგაპური, ახალი ზელანდია და ნორვეგია. დამატებით 73 ქვეყანა, მათ შორის, რუსეთი აღნიშნულ ინიციატივას²⁷ მიუერთდა. გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივა არის აღსრულების მნიშვნელოვანი დამატებითი საშუალება, თუმცა, არ აქვს სისტემა, რომლითაც შეძლებს განხორციელოს რაიმე ღონისძიებები კანონიერად დროშის ქვეშ მყოფ გემზე ან საფრენ აპარატზე, რომლებსაც საერთაშორისო ტერიტორიების გადაკვეთით გადააქვთ სხვა ქვეყანაში ბირთვული, ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერებები ან ტექნოლოგიები.

10. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1540.²⁸ 2004 წლის 28 აპრილს, გაეროს უშიშროების საბჭომ, გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, ერთხმად მიიღო რეზოლუცია

1540 და სამართლებრივად სავალდებულო გახადა გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის. რეზოლუცია 1540 მოითხოვს ყველა სახელმწიფოსაგან „ჩამოაყალიბონ, განავითარონ, განიხილონ და უზრუნველონ შესაბამისი ეფექტიანი ეროვნული და საერთაშორისო გადაზიდვების კონტროლი“ და „სასაზღვრო კონტროლი“,“²⁹ რათა თავიდან იქნას აცილებული ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღისა და მათი გადატანის საშუალებების გავრცელება. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ბირთვული გავრცელებისათვის გამოყენებული მასალების „ექსპორტის კონტროლის, ტრანზიტის, ტრანსგადაზიდვებისა და რეექსპორტის შესახებ შესაბამისი კანონები და ნორმები.“³⁰

გარდა ამისა, ჩამოყალიბდა უშიშროების საბჭოს კომიტეტი, რომლის ფუნქციაა რეზოლუციის შესრულების პროგრესის მონიტორინგი და წევრი სახელმწიფოებისაგან ორ წელიწადში ერთხელ, იმპლემენტაციის შესახებ მოხსენებების მიღება. რეზოლუციის მთავარი უპირატესობა სხვა მსგავსი საკითხების მარეგულირებელი ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, რეზოლუცია სავალდებულოა გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის, მათ შორის, მათთვის, რომლებიც გაუვრცელებლობის შეთანხმების წევრები არ არიან. რეზოლუცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს განახორციელონ ღონისძიებები, რათა თავიდან აიცილონ ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღების გავრცელება და მათი გავრცელების საშუალებები. „ხანის“³¹ ბირთვული შავი ბაზრის ქსელის აღმოჩენის შედეგად, ეს რეზოლუცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, რათა მათ შეზღუდონ არასახელმწიფო სუბიექტები.

II. ბირთვული გაუვრცელებლობის მომავალი გამონაკვეთი

როგორც აღინიშნა, გაუვრცელებლობის შეთანხმება დაფუძნებულია შეთანხმების სამი მთავარი მიმართულების დაბალანსებაზე: გაუვრცელებლობა, განიარაღება და ბირთვული ტექნოლოგიების სამოქალაქო მიზნებისათვის გამოყენება. შეთანხმების ამ სამი მთავარი მიმართულების ბალანსის მიღწევა რთულია მათი წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო. თუ შეთანხმების ერთ-ერთი მიმართულება განმტკიცებულია, მას ნეგატიური ზემოქმედება აქვს დანარჩენ ორ მიმართულებაზე. სამოქალაქო მიზნებისათვის გამოყენების მიმართულება საფრთხეს უქმნის განიარაღებისა და გაუვრცელებლობის მიმართულებებს. ამიტომაც, გაუვრცელებლობის ეს „ბირთვული სამკუთხედი“ მუდმივად საჭიროებს დაბალანსებას და მისი წარმატება დამოკიდებულია ბირთვულ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმების ყველა წევრი სახელმწიფოს ინდივიდუალური ინტერესების თანხვედრაზე.

მომავალი მთავარი გამონაკვეთი ორგვარია. ერთი გამონაკვეთი შეთანხმების სამი მიმართულების არსებული დისბალანსით, ხოლო მეორე – გამომდინარეობს სამი სპეციფიკური მოვლენიდან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დამატებით ბირთვული თავსატეხი, ესენია: 1. შემდგომში ბირთვული სახელმწიფოების ზრდა; 2. გლობალური განიარაღების ინიციატივების განხორციელების პრობლემა; 3. ბირთვული ტექნოლოგიების გავრცელების ზრდა ენერგეტიკულ პროდუქციაში.

მთელი რიგი მოვლენები ნათლად მიუთითებენ გაუვრცელებლობის შეთანხმების სისუსტეზე – მიმდინარე დავა ირანის მიერ ბირთვული ტექნოლოგიების შექმნის მცდელობაზე; გარდა ამისა, პაკისტანი, ინდოეთი და ისრაელი, როგორც დე ფაქტო ბირთვული სახელმწიფოები, ნათლად მეტყველებენ შეთანხმების უძლურებაზე. ბირთვული ტექნოლოგიების კონტრახანდაში „ხანის“

ქსელის საქმიანობის გამომჟღავნება ნათლად მეტყველებს არასახელმწიფო სუბიექტების მიერ ბირთვული გავრცელების მზარდ საფრთხეზე. აგრეთვე, ჩრდილოეთ კორეის პროვოკაციული ქმედების შედეგად, შეთანხმებიდან გამოსვლის საკითხს და მოპოვებული ტექნოლოგიების გამოყენების უფლების სათანადო შედეგებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გაუვრცელებლობის შეთანხმების დღის წესრიგში.

ცოტაოდენი სიმშვიდის საბაბს იძლევა უსაფრთხოების მზარდი განვითარებადი გარემო. თუმცა, შეიძლება უმართავი გახდეს ტენდენციები ან მოულოდნელი ინციდენტები, რომელთაც წინასწარ ვერ განჭვრეტ. ტერორისტების, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მასობრივ ყლუტას ან ბირთვულ კატასტროფას სამოქალაქო დანიშნულების ატომურ სადგურებში შეიძლება საზარელი შედეგები მოჰყვეს. ამ უკანასკნელის ნათელი მაგალითებია ჩერნობილსა და იაპონიაში განვითარებული მოვლენები.

ყოველივე ზემოთქმულის გავლენა გაუვრცელებლობის შეთანხმების მიმართულებებზე განსხვავებულია. ერთი მხრივ, უსაფრთხოების მიზნებისათვის გაუვრცელებლობამ შეიძლება დიდი მნიშვნელობა შეიძინოს, შედეგად სამოქალაქო მიზნებისათვის ტექნოლოგიების გადატანა შეიზღუდება, რაც ნიშნავს, რომ არაბირთვული სახელმწიფოების ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ინტერესებს ნაკლები პრიორიტეტი მიენიჭება გაუვრცელებლობის შეთანხმებაში. მეორე მხრივ, განიარაღების საკითხი ეჭვქვეშ დგება, რამდენადაც ახალი ბირთვული სახელმწიფოები გამოდიან ასპარეზზე. თუმცა, აღსანიშნავია 2009 წელს განხორციელებული ბირთვული განიარაღების ახალი ინიციატივები. 2010 წლის 2-4 თებერვალს, პარიზში ვიზიტის დროს აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტებმა და გაეროს გენერალურმა მდივანმა მტკიცე მხარდაჭერა გამოუცხადეს ინიციატივას, სახელწოდებით – „გლობალური ნული“ ("Global Zero").³² უფრო მეტიც, რუსეთმა და აშშ-მა ხელი მოაწერეს ახალ (START)³³ შეთანხმებას პრალაში. რამდენადაც ეს არის განვითარების ახალი ეტაპი და ივარაუდება, რომ გაგრძელდება მომავალში. იგი მნიშვნელოვანი სიგნალია ბირთვული გაუვრცელებლობისა და განიარაღების სფეროში.

დასკვნა

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია ყველა სახელმწიფო გაერთიანდეს და არ დაიშუროს ძალისხმევა ბირთვული გაუვრცელებლობის რეჟიმის მექანიზმების დახვეწისა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ვინაიდან ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ძალისხმევა არ იქნება საკმარისი ამ გლობალური საფრთხის თავიდან აცილების საკითხში. თუმცა, სახელმწიფოები არ უნდა შეიზღუდონ მხოლოდ ბირთვული შეიარაღების კონტროლის საერთაშორისო ნორმების ჩარჩოებით, არამედ ბირთვული უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, მათ ასევე, უნდა განავითარონ და გააღრმავონ საერთაშორისო თანამშრომლობა. ვინაიდან, არსებობს მოსაზრება, რომ ბირთვული ინდუსტრია შესაძლოა გაფართოვდეს, უმჯობესია, ეს მოხდეს უფრო მეტი ტრანსპარანტულობისა და თანამშრომლობის ფარგლებში. გარდა ამისა, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო უნდა გაძლიერდეს არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე, რესურსებითაც, რათა ბირთვული გაუვრცელებლობის შეთანხმება განმტკიცდეს და კვლავ ეფექტიანი გახდეს.

შენიშვნება:

- 1 http://www.un.org/disarmament/WMD/Bio/pdf/Status_Protocol.pdf
- 2 <http://www.un.org/en/documents/charter/chapter4.shtml>
- 3 <http://www.un.org/en/documents/charter/chapter5.shtml>
- 4 <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/032/52/IMG/NR003252.pdf?OpenElement>
- 5 Deadly Arsenal, Nuclear Biological and Chemical Threats; Second addition revised and expanded; Joseph Cirincione, Jon B. Wolfsthal, Miriam Rajkumar; p.6.
- 6 Deadly Arsenal, Nuclear Biological and Chemical Threats; Second addition revised and expanded; Joseph Cirincione, Jon B. Wolfsthal, Miriam Rajkumar; p.47.
- 7 შემდეგ ტექსტში გამოყენებული იქნება ტერმინით „გაუფრცელებლობის შეთანხმება“ ან „შეთანხმება“.
- 8 United Nations Department for Disarmament Affairs, “Status of Multilateral Arms Regulation and Disarmament Agreements: View by Country and Treaty”, available at <http://disarmament2.un.org/TreatyStatus.nsf> Site.
- 9 იხ.: <http://www.un.org/en/conf/npt/2010/npttext.shtml>
- 10 იხ.: იქვე.
- 11 იხ.: იქვე.
- 12 იხ.: იქვე.
- 13 “U.S. Compliance With Article VI of the NPT”. Acronym.org.uk. <http://www.acronym.org.uk/docs/0502/doc13.htm>. Retrieved 2010-11-25.
- 14 Daniel Dombey (19 February 2007). “Director General’s Interview on Iran and DPRK”. Financial Times. <http://www.iaea.org/NewsCenter/Transcripts/2007/ft190207.html>. Retrieved 2006-05-04.
- 15 Available at <http://www.international.gc.ca/arms-armes/nuclear-nucleaire/npt-tnp.aspx> Site.
- 16 IAEA, “IAEA by the Numbers” available at www.iaea.org/About/by_the_numbers.html
- 17 IAEA, IAEA Statute ,article XII, paragraph C, available at www.iaea.org/About/statute_text.html#A1.12.
- 18 <http://www.iaea.org/Publications/Documents/Infcircs/1997/infcirc540c.pdf>
- 19 ხელშეკრულების ტექსტი იხ. <http://www.state.gov/t/isn/4797.htm>
- 20 http://en.wikipedia.org/wiki/List_of_parties_to_the_Comprehensive_Nuclear-Test-Ban_Treaty
- 21 http://en.wikipedia.org/wiki/Partial_Nuclear_Test_Ban_Treaty
- 22 http://en.wikipedia.org/wiki/List_of_parties_to_the_Partial_Test_Ban_Treaty.
- 23 http://www.ctbto.org/fileadmin/content/treaty/treaty_text.pdf
- 24 Arms Control Association, “the Nuclear Suppliers Group at a Glance”, June 2004, available at www.armscontrol.org/factsheets/NSG.asp
- 25 Arms Control Association, “the Nuclear-weapon-free zones (NWFZ) at a Glance”, July 2003, available at www.armscontrol.org/factsheets/nwzf.asp
- 26 <http://disarmament.un.org/treatystatus.nsf/44e6eeabc9436b78852568770078d9c0/c851f154c73c8837852572f8005597f1?OpenDocument>
- 27 იხ.: Arms Control Association, “The Proliferation Security Initiative at a Glance”, available at <http://www.armscontrol.org/factsheets/PSI>; ასევე ix. http://en.wikipedia.org/wiki/Proliferation_Security_Initiative.
- 28 იხ.: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/328/43/PDF/N0432843.pdf?OpenElement>.

²⁹ იხ.: იქვე.

³⁰ იხ.: იქვე.

³¹ Dr. Abdul Qadeer Khan – ცნობილია პაკისტანის ბირთვული კვლევის პროგრამისათვის ცენტრიფუგირების მეშვეობით მეტად გამდიდრებული ურანის (HEU) შემქმნელად. 1976 წლის 31 ივლისს, დააარსა „საინჟინრო კვლევითი ლაბორატორია“, რომლის მთავარი ამოცანა იყო ურანის გამდიდრების დანადგარების განვითარება. 1981 წლის 1 მაისს, აღნიშნულ ლაბორატორიას გადაერქვა სახელი და ეწოდა „ა.ქ. ხანის კვლევითი ლაბორატორია“. 90-იან წლებში დაზვერვამ დაადგინა, რომ „ხანი“ ბირთვულ ტექნოლოგიებს ჰყიდდა სახელმწიფოებზე და ამის არაერთი მაგალითი მოიპოვებოდა, შესაბამისად, ნათელი გახდა, რომ „ხანი“ იყო ბირთვული გავრცელების საერთაშორისო ქსელის ცენტრში, 25 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პაკისტანის ბირთვულ პროგრამას. დასავლეთის, ამერიკისა და პაკისტანის მედია საშუალებებში მას მოიხსენიებენ “ბირთვული იარაღის კვლევითი პროგრამის მამად“. პაკისტანში იგი აღიარებულია გმირად. იხ.: http://en.wikipedia.org/wiki/Abdul_Qadeer_Khan ასევე, იხ.: <http://www.globalsecurity.org/wmd/world/pakistan/khan.htm>

³² Global Zero – ეს არის მოძრაობა, რომელიც ჩამოყალიბდა 2008 წლის დეკემბერში და აერთიანებს 300-ზე მეტ პოლიტიკურ, სამხედრო, ბიზნეს და სამოქალაქო სექტორების ლიდერებს და ასე ათასობით მოქალაქეს, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით ბირთვული იარაღის აღმოფხვრის საკითხებზე მუშაობენ. მისი მთავარი დევიზია მსოფლიო ბირთვული იარაღის გარეშე. 2010 წლის 2-4 თებერვალს, პარიზში, სამიტზე აღნიშნულმა მოძრაობამ წარმოადგინა პრაქტიკული სამოქმედო გეგმა, რომელიც მოუწოდებს აშშ-სა და რუსეთს თავიანთი საბრძოლო არსენალი შეამცირონ 1000-ით, ხოლო სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც ფლობენ ბირთვულ იარაღს, გაყინონ თავიანთი არსენალი და საერთაშორისო თანამეგობრობას, განახორციელოს ყველა ღონისძიება ბირთვული იარაღების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. იხ.: <http://www.globalzero.org/en/about-campaign>

³³ START (სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება) იყო ორმხრივი შეთანხმება აშშ-სა და რუსეთს შორის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ, START I-ის სახელწოდებით, რომელსაც ხელი მოეწერა 1991 წლის 31 ივლისს და ძალაში შევიდა 1994 წელს. 2001 წლისათვის ამ შეთანხმების საფუძველზე, ყველა სტრატეგიული ბირთვული იარაღის 80% იქნა აღმოფხვრილი. START I-ის მოქმედების ვადა ამოიწურა 2009 წლის 5 დეკემბერს და 2010 წლის 8 აპრილს, პრალაში, ხელი მოეწერა ახალ ხელშეკრულებას აშშ-სა და რუსეთს შორის, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 26 იანვარს. იხ.: http://en.wikipedia.org/wiki/START_I


INTERNATIONAL LEGAL REGULATION OF NUCLEAR NONPROLIFERATION

NANA BERIDZE

Lawyer

Weapons of mass destruction is one of the most serious threats for the humanity nowadays. To avoid the threat incurred by nuclear weapons a thorough study of these weapons, as well as the motives of the states or non-state subjects purchasing these weapons need to be undertaken. Proper treatment can be provided only in case of proper diagnosis, though threat assessment can be far more complicated. One of the reasons for this, is the secret programs of the mass distraction weapons. Less probable, but most threatening results may be incurred when the terrorists are purchasing nuclear weapons and this issue is especially difficult to study.

The article reviews the available tools of the nuclear nonproliferation regime, including the *Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons*; *International Atomic Energy Agency (IAEA)*, its additional protocol; as well as the special additional measures of nonproliferation regime, such as *Proliferation Security Initiative (PSI)* and *UN Security Council Resolution 1540* and etc. The article provides detailed review of the *Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons*, its gaps and future challenges. The *Treaty on Non-Proliferation* is based on 3 basic directions: non-proliferation, disarmament and using nuclear technologies for civil purposes. It is difficult to achieve the balance between these three directions of the treaty because of their contradictory nature. If one



of the directions of the treaty is strengthened, it has negative influence on the two other directions.

Considerably relieving is the fact, that increasingly safety development environment is being created. But tendencies or unexpected incidents that can not be foreseen in advance, may turn unmanageable. Mass extermination, or nuclear disaster in the atomic stations of civil purpose organized by terrorists, may lead to terrible outcomes. Chernobili accident and the recent Japan events are the clear examples of these.

Considering all the abovementioned, it is necessary for all the states to stand together and make their best efforts to further develop the nuclear non-proliferation tools and eradicate existing gaps, since the efforts of only one or two states will not be enough to fight this global threat. Meanwhile, the states should not be restricted only with the frames of the international norms of nuclear armament control, but they should strengthen the nuclear safety and therefore develop and strengthen international cooperation. Considering the opinions, that nuclear industry may increase, it is better if it happens more transparently and through more cooperation.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა

თინათინ ერქვანია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი,
გერმანული სამართლის მაგისტრი (LL.M, HHumboldt-University
of Berlin), ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

1997 წელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებით შეიქმნა უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საფუძველი, ქართული კერძოსამართლებრივი სივრცის განვითარების თვალსაზრისით. გარდამავალი ეკონომიკური პროცესების პარალელურად, ქვეყანაში ჩამოყალიბდა ფუნდამენტური საკანონმდებლო სისტემა, რომლის სრულყოფის ფუნქცია სამართლებრივი მეცნიერების ინტენსიური განვითარების პირობებში, კერძო სამართლის ცალკეული სფეროების რეგლამენტაციის სახით, კვლავ ეროვნულ კანონმდებლობას უნდა შეესრულებინა.

ევროპული კავშირის ფარგლებში მიმდინარე უნიფიკაციის პროცესების ფონზე, სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლის, როგორც კერძო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილის სრული რეგლამენტაციის აუცილებლობის გათვალისწინებით,

სტატია მოიცავს უშუალოდ ელექტრონულ გარიგებებთან დაკავშირებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტებისა და ანალოგიური ქართული სამართლებრივი დებულებების ნორმატიული ფუნქციის ანალიზს (სტატიის მასშტაბების გათვალისწინებით, ანალიზი წარმოდგენილია შეკუმშულად, კვლევის დასკვნითი ნაწილის ერთგვარი თეზისების სახით), სისტემური, ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდების საფუძველზე.

სტატიის მიზანი არ არის სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლის სფეროში მოქმედი უნიფიცირებული ევროპული სამართლებრივი სტანდარტებისა და ქართული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების შედარება ან მსგავსებებისა და განსხვავებების კვლევა. სტატიის მიზანია ერთი და იმავე პრობლემის განსხვავებული სამართლებრივი რეგულაციების ნორმატიული ფუნქციის კვლევის საფუძველზე, უშუალოდ ელექტრონულ გარიგებებთან დაკავშირებული სამომხმარებლო სახელშეკრულებო ურთიერთობის რეგულირების მექანიზმების ქართული ვერსიის დახვეწა, შესაბამისი ნაკლოვანებების აღმოჩენა და მოქმედი ქართული კანონმდებლობის სრულყოფისათვის ნოვატორული წინადადებების შეთავაზება. სტატიის მიზნების შესაბამისად, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტში“ მოიაზრება იმპერატიული ან დისპოზიციური ხასიათის სამართლებრივი დებულება, რომელიც აღიქმება როგორც სავალდებულო სამართლებრივი მინიმუმი და სწორედ, ამ ფაქტორის გათვალისწინებით, უნდა შეიცავდეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტრონულ გარიგებებთან დაკავშირებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის თითოეული ევროპული სტანდარტი, იმთავითვე, არ აღიქმება როგორც *ultima ratio* და *a priori* უნივერსალური ფორმულა შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის რეგულაციის თვალსაზრისით.

რამდენადაც უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, ევროპული ქვეყნების ნაციონალური კანონმდებლობების ჰარმონიზაციის მიზნით, კერძო სამართლის უნიფიკაციის პროცესმა ევროპული კავშირის ფარგლებში ინტენსიური ხასიათი მიიღო. საინტერესოა, არის თუ არა ქართული კანონმდებლობა სათანადოდ სრული ელექტრონული ვაჭრობისა და სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართალში მოქმედი ანალოგიურ ევროპულ სამართლებრივ აქტებთან შედარებით. განსაკუთრებით, ქვეყნის სამართლებრივი ცხოვრების იმ ეტაპზე, როდესაც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია №828-ის დადგენილება (1997 წლის 2 სექტემბერი), რომლის მიხედვით, „1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.“¹

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროკავშირის შორის რამდენიმე წელია არსებობს ე.წ. „სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა“,² რომლის ახალი “GSP+” სქემა განსაკუთრებულ საბაჟო შეღავათებს აწესებს ქართველი მენარმეებისათვის ევროპულ ბაზარზე. თუნდაც ამ მცირე მაგალითის გათვალისწინებით, ეკონომიკური პროცესების სტაბილური განვითარებისათვის, სასურველია სათანადო ყურადღება დაეთმოს კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის გადასინჯვის საკითხს, განსაკუთრებით, სამომხმარებლო სახელშეკრულებო ურთიერთობების სფეროში.

I. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ინსტრუმენტები უნიფიცირებულ კერძო სამართალში

1970-იანი წლებიდან მომხმარებელთა უფლებების დაცვა ევროპული გაერთიანების მნიშვნელოვან პრიორიტეტად გარდაიქმნა. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ევროპული საბჭოს 1975 წლის პირველი პროგრამა³ შეიცავდა პოლიტიკურ საფუძვლებს, მომხმარებელთა სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად, რაც საბოლოოდ ერთიანი ევროპული ბაზრის ფარგლებში ნევრ სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობების ჰარმონიზაციით უნდა განხორციელებულიყო. პროგრამაში სამომხმარებლო პოლიტიკის საგნად ხუთი ძირითადი პუნქტი დასახელდა: ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის უფლება, ეკონომიკური ინტერესების დაცვის უფლება, ზიანის ანაზღაურების უფლება, განათლების უფლება და წარმომადგენლობის უფლება (მოსმენის უფლება).⁴ შემდგომი პოლიტიკური ინიციატივა, საერთო ევროპული ბაზრის ფარგლებში სამომხმარებლო პოლიტიკის განვითარებასთან დაკავშირებით, რეალიზდება ევროპული კომისიის 1985 წლის შეტყობინებით, მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკისათვის ახალი იმპულსების შესახებ.⁵ ამ ეტაპზე, ევროპული საბჭოს 1975 წლის პროგრამის ფარგლებში, ძალაში შედის დირექტივა 84/450 „რეკლამის შესახებ“ და დირექტივა 85/577 „მომხმარებლის დაცვის შესახებ“ არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულების დროს. 1987 წელს, ჯერ კიდევ, ერთიანი ევროპული აქტების (Einheitliche Europäische Akte) ძალაში შესვლამდე⁶, მიღებულ იქნა დირექტივა 87/102 „სამომხმარებლო კრედიტის შესახებ“. შემდგომ წლებში, ჩნდება დირექტივა 90/314 „სამგზავრო პაკეტის შესახებ“ და დირექტივა 93/13 „სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიანი ტერმინების შესახებ“.

1993 წელს, მასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლით,⁷ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის აუცილებლობის შესახებ უშუალო მითითებით,⁸ მომხმარებელთა დაცვა გაერთიანების მნიშვნელოვან ვალდებულებად იქცა.⁹ შემდგომ წლებში შემუშავდა დირექტივა 94/47 „გადიანი თანასაკუთრების შესახებ“ და დირექტივა 97/5 „გადარიცხვების შესახებ“. მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელოვან ატრიბუტად იქნა მიჩნეული მომხმარებელთათვის უფლებადამცავი ინსტიტუციების შექმნისა და შესაბამისი სამართლებრივი პროცესის რეგულირების საკითხი, რაც მოწესრიგდა 98/27 დირექტივით „მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის სარჩელების შესახებ“. 1997 წელს ძალაში შედის დირექტივა 97/7 „შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულებების შესახებ“, ხოლო 2000 წელს, საგანგებოდ ელექტრონული სივრცის რეგულაციისათვის – დირექტივა 2000/31 „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“. ფინანსური მომსახურებები მოექცა შორ მანძილზე დადებული ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებების შესახებ 2002/65 დირექტივის რეგულირების სფეროში.

ამ ეტაპზე, ევროპული კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 169-ე მუხლი შეიცავს განსაკუთრებულ დებულებებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით (კავშირის წვლილი, მინიმალური სტანდარტები).¹⁰ მომხმარებელთა დაცვის შესახებ ევროპული კავშირის ვალდებულებები აგრეთვე, ასახულია ძირითადი უფლებების შესახებ ევროპული

კავშირის ქარტიის 38-ე მუხლში,¹¹ რომლის ფარგლებში „ევროპული კავშირის პოლიტიკა განამტკიცებს მომხმარებელთა დაცვის მაღალ დონეს.“

ევროპული კომისია სისტემატურად აქვეყნებს სამომხმარებლო პოლიტიკის სტრატეგიას, რომელიც კავშირის სამომხმარებლო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რამდენიმეწლიან გეგმას მოიცავს. 2007 წლის 13 მარტს, კომისიამ წარმოადგინა სამომხმარებლო პოლიტიკის ახალი სტრატეგია, რომელიც შეიცავს სამომხმარებლო პოლიტიკის ძირითად კონცეფციას 2007-2013 წლები-სათვის.¹² ახალი სტრატეგიის მიზანია მომხმარებელთა ინფორმირებულობისა და კომპეტენციის გაძლიერება, ევროპულ ბაზარზე მათი უსაფრთხო და აქტიური მოძრაობის უზრუნველსაყოფად.

გარდა ევროპული კავშირის შესაბამისი ინსტიტუციების სამართლებრივი აქტებისა, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების განვითარების პარალელურად, საერთაშორისო დონეზე შემუშავდა არაერთი ინიციატივა ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციისათვის. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი პირველი იყო საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაეროს კომისია (UNCITRAL), რომლის ხანგრძლივი მუშაობის შედეგია მოდალური კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ (Model Law on Electronic Commerce 1996-1998),¹³ მოდალური კანონი „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ (Model Law on Electronic Signatures, 2001),¹⁴ გაეროს კონვენცია „ხელშეკრულების დადებისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების შესახებ“ (United Nations Convention on the Use of Electronic Communications in International Contracts, 2005)¹⁵ და ა.შ. როგორც აღინიშნა, ნაშრომი ორიენტირებულია ევროპული კავშირის ფარგლებში უშუალოდ მოქმედ უნიფიცირებულ სამართლებრივ სტანდარტებზე, შესაბამისად, არ შეიცავს UNCITRAL-ის მოდალური კანონების ანალიზს და შემოიფარგლება მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის სფეროში მოქმედი ევროპული კავშირის სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლისა და შესაბამისი ქართული კანონმდებლობის მიმოხილვით.

აღსანიშნავია, რომ ფრანგული სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლის კოდექსის – Code de la consommation¹⁶ და იტალიური სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლის კოდექსის – Codice del consumo¹⁷ მაგალითზე ევროპის ფარგლებში გრძელდება დებატები ერთიანი სამომხმარებლო სამართლის კონცეფციასთან დაკავშირებით. სახელდობრ, კერძო სამართლის იმ უნიფიკატორული პროცესების პარალელურად, რომელსაც მიზნად ისახავს „საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების პრინციპები“ (ე.წ. „უნიდროას“ პრინციპები),¹⁸ „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“,¹⁹ ერთიანი ევროპული სამოქალაქო კოდექსის შემუშავების მიზნით შექმნილი სამეცნიერო ჯგუფი – Study Group of a European Civil Code,²⁰ ასევე, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის კოდექსის 2002 წლის ფრანგული პროექტი – Code européen des contrats²¹ და ა.შ.

მიუხედავად ამისა, აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ევროპული კავშირის ფარგლებში, უნიფიცირებული სამომხმარებლო სამართალი, კლასიკური გაგებით, ამ ეტაპზე, არ არსებობს და მხოლოდ ჩამოყალიბების ფაზაშია. სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლის სფეროს მარეგულირებელი დირექტივებით ნაციონალური კანონმდებლობების ჰარმონიზაციის მცდელობის მიუხედავად, ევროპული კავშირის წევრი ქვეყნების შიდაკანონმდებლობა ამ სფეროში რამდენადმე კვლავ განსხვავდება ერთმანეთისაგან.²²

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში ევროპული დირექტივების ძირითადი ნაწილია:²³ დირექტივა 84/450 „რეკლამის შესახებ“, დირექტივა 85/577 „მომხმარებლის დაცვის შესახებ“ არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულების დროს, დირექტივა 85/374 „დეფექტურ პროდუქტებზე პასუხისმგებლობის შესახებ“, დირექტივა 87/102 „სამომხმარებლო კრედიტის შესახებ“, დირექტივა 87/357 „პროდუქტების უსაფრთხოების შესახებ“, დირექტივა 90/314 „სამგზავრო პაკეტის შესახებ“, დირექტივა 92/96 „სიცოცხლის დაზღვევის შესახებ“, დირექტივა 92/49 „ზიანის დაზღვევის შესახებ“, დირექტივა 2000/26 „ავტოტრანსპორტით მიყენებული ზიანის პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ“, დირექტივა 93/13 „სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიანი ტერმინების შესახებ“, დირექტივა 93/22 „ფასიანი ქალაქების შესახებ“, დირექტივა 94/47 „ვადიანი თანასაკუთრების შესახებ“, დირექტივა 94/19 „შენატანის დაზღვევის შესახებ“, დირექტივა 95/46 „პირადი მონაცემების დაცვის შესახებ“, დირექტივა 97/7 „შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულებების შესახებ“, დირექტივა 97/5 „გადარიცხვების შესახებ“, დირექტივა 98/6 „ფასების მითითების შესახებ“, დირექტივა 98/27 „სარჩელების შესახებ“ მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის, დირექტივა 99/44 „სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ“, დირექტივა 99/93 „ელექტრონული ხელმოწერების გამოყენების საერთო პირობების შესახებ“, დირექტივა 2000/31 „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“, დირექტივა 2002/21 „ელექტრონული კომუნიკაციის სისტემისა და მომსახურების საერთო სამართლებრივი პირობების შესახებ“, დირექტივა 2002/65 „შორ მანძილზე დადებული ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებების შესახებ“, დირექტივა 2002/58 „ელექტრონული კომუნიკაციისას პირადი მონაცემების დაცვის შესახებ“, დირექტივა 2005/29 „არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის შესახებ“.

ელექტრონული ვაჭრობის სფეროში მოქმედ დირექტივებს შორის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ძირითადად, ორი ევროპული დირექტივა: დირექტივა 97/7 „შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულებების შესახებ“ და დირექტივა 2000/31 „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“.²⁴ ელექტრონული ფორმით დადებულ სამომხმარებლო ხელშეკრულებებზე ვრცელდება, ასევე, დირექტივა 99/93 „ელექტრონული ხელმოწერების გამოყენების საერთო პირობების შესახებ“, დირექტივა 95/46 „პირადი მონაცემების დაცვის შესახებ“, დირექტივა 2002/58 „ელექტრონული კომუნიკაციისას პირადი მონაცემების დაცვის შესახებ“,²⁵ დირექტივა 93/13 „სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიანი ტერმინების შესახებ“, დირექტივა 2002/65 „შორ მანძილზე დადებული ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებების შესახებ“ და დირექტივა 2005/29“ არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის შესახებ“.²⁶

II. ელექტრონული გარიგებები, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები

ტექნიკური, სამართლებრივი, თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, ინტერნეტი²⁷ მრავალი ინოვაციის წინაპირობად იქცა. ზოგადად, ინტერნეტი დეფინირდება, როგორც კომპიუტერული ქსელებისა და მრიცხველების გლობალური, ურთიერთდაკავშირებული სისტემა,²⁸ რომლის ფარგლებშიც კომუნიკაციისათვის გამოიყენება ე.წ. Transmission Control Protocol/Internet Protocol (TCP/IP).²⁹

ინტერნეტი აღიქმება როგორც ღია ელექტრონული სისტემა, რომელიც გამოყენებადია ყველასათვის, შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში.³⁰ არ არსებობს კონკრეტული პერსონა, დანესებულება ან ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს ინტერნეტს, როგორც ღია ელექტრონული სისტემების ერთობლიობას. ინტერნეტზე კონტროლის შესაძლებლობა და ცალკეული პიროვნებებისა და ინსტიტუციების საკუთრება ვრცელდება მხოლოდ იზოლირებულ ელექტრონულ პროგრამებზე, რომლებიც თავის მხრივ, ქმნიან ინტერნეტის შემადგენლობას.³¹

ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებებია: 1. ინტრანეტი;³² 2. World Wide Web (WWW)³³ ელექტრონული სისტემა, რომელიც გამოიყენება ვებ-გვერდსა და მის მომხმარებლებს შორის კომუნიკაციისათვის. WWW-ის მეშვეობით შესაძლებელია ფილმების, ტექსტების, გრაფიკული გამოსახულებებისა და მუსიკალური ბგერების მოძრაობა ვირტუალურ სივრცეში; 3. ელექტრონული ფოსტა (E-Mail); 4. Chatroom; 5. ინტერნეტ-ტელეფონები და ე.წ. ვიდეო-კონფერენციები, Chatroom-ების განვითარებული ფორმა; 6. ინტერნეტ-აუქციონები; 7. ინტერნეტ-ბანკინგი (Internet-Banking).³⁴

მიუხედავად იმისა, რომ ცნება „ელექტრონული გარიგება“ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება,³⁵ მისი ლეგალური, ერთმნიშვნელოვანი კანონისმიერი დეფინიცია არ არსებობს.³⁶ სტატიით განხილულ „ელექტრონულ გარიგებებში“ მოიაზრება ხელშეკრულებები, რომლებიც იდება ელექტრონული ფორმით, კერძოდ, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით.

UNCITRAL-ის განმარტებების შესაბამისად, ელექტრონული ფორმით (ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით) შეიძლება დაიდოს შემდეგი გარიგებები:³⁷ მიწოდება, ფაქტორინგი, ლიზინგი, სავაჭრო წარმომადგენლობა, კონსალტინგი, ნასყიდობა, კონცესიური შეთანხმება, დაზღვევა, საინვესტიციო კონტაქტები, საბანკო ხელშეკრულებები (ჩამონათვალი არ არის ამომწურავი) და ა.შ.

B2C-სფეროში³⁸ ელექტრონული გარიგებები, არსობრივად, ვალდებულების შესრულების ხასიათის გათვალისწინებით, ორ ჯგუფად იყოფა:

– **Offline-გარიგებები.** გარიგებები, რომლებიც იდება ინტერნეტით, მაგრამ ვალდებულების შესრულება ხდება ჩვეული ხერხით, კომუნიკაციის არაელექტრონული საშუალებების გამოყენებით (მაგ., ფოსტა);

– **Online-გარიგებები.** გარიგებები, რომლებიც იდება ელექტრონული ფორმით, ინტერნეტით და რომელთა შესრულება ასევე, ელექტრონული ფორმით ხდება (მაგ., ელექტრონული პროგრამის შეკვეთა ინტერნეტის მეშვეობით, როდესაც მისი მიწოდება ხდება ვებ-გვერდიდან ელექტრონული პროგრამის ჩამოტვირთვით ან ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ფორმით და ა.შ.).

III. მოსაზრებები მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ქართული კანონმდებლობის სრულყოფისათვის (ელექტრონული ვაჭრობის სფეროში)

1997 წელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღება იყო უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ეკონომიკურად სტაბილური და განვითარებული სამართლებრივი სახელმწიფოს

ჩამოყალიბებისათვის. სამომხმარებლო სამართლის სფეროში მოქმედი ქართული საკანონმდებლო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი შემუშავებულია სწორედ ამ პერიოდში (საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, 1996 წ., საქართველოს კანონი „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“, 1997 წ., საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, 1998 წ.). ელექტრონული ვაჭრობისა და სამომხმარებლო სფეროს რეგლამენტაციის მომდევნო მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება 2005 წელს – ძალაში შედის საქართველოს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ და საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“. სხვებთან შედარებით, ყველაზე სრულყოფილად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს 2008 წლის კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“.

სამომხმარებლო სამართლის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა³⁹ ქმნის მხოლოდ ზოგად სამართლებრივ საფუძვლებს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით. ტექნოლოგიური პროცესების განვითარების ფონზე, აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების მომზადება კომერციული ურთიერთობების სრულყოფილი რეგლამენტაციისათვის.

ზოგადად, ელექტრონული ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში, მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სამი საკითხი:

1. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგულაცია;
2. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროს სრულყოფილი რეგლამენტაცია;
3. უშუალოდ ელექტრონული ვაჭრობის სფეროში, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით დადებულ სამომხმარებლო ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმების გათვალისწინება და მათი სრული საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

ქართული სამომხმარებლო კანონმდებლობა, ელექტრონული ვაჭრობის სფეროში უნდა შეფასდეს ზემოაღნიშნული სამი კრიტერიუმის ფარგლებში.

ელექტრონული ვაჭრობის სფერო, მოქმედი კანონმდებლობით არ არის სრულყოფილად რეგულირებული. ამ სფეროში მოქმედებს მხოლოდ ორი კანონი: 2005 წლის საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და 2008 წლის საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“. ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონი ეხება უშუალოდ ელექტრონული კომუნიკაციების სარგებლობის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმებს, რასაც სამართლებრივი თვალსაზრისით, უშუალოდ ელექტრონული ვაჭრობისა და ამავე სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში, განსაკუთრებული მარეგულირებელი ფუნქცია არ გააჩნია. 2008 წლის საქართველოს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ განსაზღვრავს ელექტრონული ხელმოწერებისა და ხელშეკრულებების ელექტრონული ფორმის აღიარების სამართლებრივ საფუძვლებს, რაც მნიშვნელოვან პოზიტიურ მოვლენად უნდა შეფასდეს ელექტრონული სივრცის სამართლებრივი რეგულაციის თვალსაზრისით. უმთავრესი, რაც ქართული კანონმდებლობით რეგლამენტირებული არ არის, უკავშირდება უშუალოდ ელექტრონული ფორმით დადებული როგორც სამომხმარებლო, ასევე, არასამომხმარებლო ხელშეკრულებების რეგულირების მექანიზმებს.

ამასთან, მხოლოდ მოქმედი ქართული სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები და პრინციპები ხელშეკრულების დადებისა და წინასახელშეკრულებო ეტაპზე, ცალკეული, ელექტრონული ურთიერთობის სპეციფიკური საკითხების რეგულირებისათვის ვერ ქმნის ადეკვატურ სამართლებრივ საფუძვლებს. აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, აუცილებელია, უპირველესად, ელექტრონული ვაჭრობის შესახებ კანონის სახით (რომელიც მთელ რიგ ქვეყნებში დიდი ხანია მიღებულია და აღიქმება, როგორც აუცილებელი ატრიბუტი ელექტრონული სივრცის რეგლამენტაციისათვის)⁴⁰ ელექტრონული ვაჭრობის სფეროს ზუსტი რეგლამენტაცია მისი სპეციფიკის გათვალისწინებით.

რაც შეეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროს მარეგულირებელ ზოგად კანონმდებლობას, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, ამ თვალსაზრისით არ ითვალისწინებს არა თუ უშუალოდ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით დადებული სამომხმარებლო ხელშეკრულებების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმებს, არამედ შეიცავს ხარვეზებს ზოგადად, ჩვეულებრივი სამომხმარებლო ხელშეკრულებების რეგულირების თვალსაზრისითაც (მაგ., არ შეიცავს თუნდაც ნების გამოვლენის გამოხმობის ვადების ზუსტ რეგულაციას, ამ შემთხვევაში წარმოშობილი დამატებითი ხარჯების განაწილებისათვის დაკავშირებული პრობლემების მოწესრიგების ფორმებს და ა.შ.). შესაბამისად, აუცილებელია მოქმედი ქართული კანონმდებლობის ამ კუთხით გადასინჯვა და დახვეწა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სპეციფიკური სტანდარტები უშუალოდ ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენებით დადებულ სამომხმარებლო ხელშეკრულებებში, ქართული კანონმდებლობით რეგულირებული საერთოდ არ არის. აუცილებელია ამ სფეროს დაწვრილებით შესწავლა და ლეგიტიმაცია ცალკე კანონის ან/და შესაბამისი დებულებების მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ზოგად კანონში ინტეგრაციის სახით. ამ თვალსაზრისით, არსებობს რამდენიმე ალტერნატივა, თუმცა ეს საკანონმდებლო თვალსაზრისით, წმინდა ტექნიკური საკითხია და ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ მით უფრო განვითარებულია სამართალი, რაც უფრო სრულყოფილია იდეურად (რაც უფრო სწორად არის შემჩნეული პრობლემა და ადეკვატურია საკანონმდებლო რეგულირება, გამომდინარე სამართლიანობის პრინციპიდან) დახვეწილი და მოქნილია საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით. ორივე კრიტერიუმი აბსტრაქტულია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულად ვლინდება. მოქმედი ქართული სამომხმარებლო კანონმდებლობის მითითებული კრიტერიუმებით შეფასებისას, შეიმჩნევა ხარვეზები, სამწუხაროდ, ორივე მიმართულებით.

სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართალში მოქმედი ქართული კანონმდებლობის სიზუსტისა და მოქმედ სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის, მომავალში აუცილებელია შემდეგი საკითხების დაწვრილებით რეგულირება:

– მნიშვნელოვანია ელექტრონული ფორმით სამომხმარებლო ხელშეკრულებების ცალკეული ეტაპების დაწვრილებითი სამართლებრივი რეგლამენტაცია. შესაძლოა განისაზღვროს განსხვავებული წესები კომუნიკაციის ცალკეული საშუალებებით ხელშეკრულების დადებისას;

– ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენის გადაცემის, მიღების, ელექტრონული ფოსტით მიღებულ რეკლამასთან დაკავშირებული საკითხები;

- ელექტრონული ფორმით დადებულ და შორ მანძილზე დადებული ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებების ცალკეული ეტაპების სამართლებრივი რეგლამენტაცია;
 - დებულებები ნების გამოვლენის გამოთხოვის უფლების ვადების, ამ შემთხვევაში დამატებითი ხარჯების მენარმისადმი ან მომხმარებლისადმი მიკუთვნების შესახებ;
 - ყიდვა-გაყიდვის აგრესიული მეთოდებისაგან მომხმარებლის დამცავი მექანიზმების სამართლებრივი რეგლამენტაცია;
 - მომხმარებლის წინასწარი ნებართვის დაწესება კომერციული მიზნით ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით კონტაქტისათვის;
 - მნიშვნელოვანია ცალკეულ შემთხვევებში გათვალისწინებულ იქნეს მომხმარებელთა უფლებების დაცვითი მექანიზმების იმპერატიული ხასიათი, რომელიც აგრეთვე, გავრცელდება მომხმარებლებზე;
 - შუამავლის პასუხისმგებლობის სკითხები უშუალოდ ელექტრონული ფორმით დადებულ გარიგებებში;
 - მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები ელექტრონულ კომუნიკაციებში;
 - მომავალში სასურველია არსებობდეს ელექტრონული ფორმით შედგენილი მომხმარებელთა მონაცემთა ბაზის მაკონტროლებელი ორგანო, რომელსაც ექნება უშუალო ზემოქმედების ფუნქცია შესაბამისი სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში;
 - არაკეთესინდისიერი და აგრესიული კომერციული პრაქტიკისაგან მომხმარებლის დაცვის საშუალებები, მსგავს შემთხვევებზე, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წარმოების მექანიზმების გავრცელების ფორმით.
- ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადების წინასახელშეკრულებო ეტაპის რეგულირებისათვის, უნდა განისაზღვროს მენარმის საკანონმდებლო ვალდებულებები ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით:
- მენარმის ვალდებულება, მიაწოდოს მომხმარებელს საქონლის/მომსახურების ერთმნიშვნელოვანი ფასი და ინფორმაცია, კერძოდ, შეიცავს თუ არა მითითებული ფასი დამატებით გადასახადებსა და მომსახურების/საქონლის მიწოდების სხვა ხარჯებს;
 - ინფორმაცია შესაძლო დაბეგვრის შესახებ;
 - ინფორმაცია ნების გამოვლენის გამოსმობის, ხელშეკრულების მოშლის ვადების შესახებ;
 - ინფორმაცია რეგისტრაციის მონაცემების შესახებ, თუ მომსახურების შემთავაზებელი რეგისტრირებულია სავაჭრო ან რაიმე ფორმის საჯარო რეესტრში;
 - ინფორმაცია ზედამხედველი დაწესებულების ვინაობის შესახებ;
 - ინფორმაცია მიწოდების ხარჯების შესახებ;
 - ინფორმაცია მინიმალური ვადის შესახებ, ვადიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში;
 - ინფორმაცია ოფერტის ან ფასის ძალაში ყოფნის ვადების შესახებ;
 - დებულებები შეუკვეთავი საქონლისა და არასასურველი შეტყობინებების შესახებ;
 - ელექტრონული ფოსტით მიღებულ რეკლამებთან დაკავშირებით სასურველია ქართულ სამართლებრივ სივრცეში დაინერგოს “Opt-in”-მოდელი ანუ შემთხვევა, როდესაც კომერციული

ინფორმაციის (რეკლამა) ელექტრონული ფორმით მისაწოდებლად მომხმარებლის წინასწარი ნებართვა მენარმისათვის სავალდებულოა.

– ვებ-გვერდზე ხელშეკრულების სტანდარტული დებულებების განთავსების ვალდებულება, მისი ჩამოტვირთვისა და ხანგრძლივად შენახვის შესაძლებლობის გათვალისწინებით;

– მენარმის ვალდებულება, უზრუნველყოს შესაბამისი ელექტრონული მექანიზმების არსებობა დაშვებული შეცდომების კორექტირებისათვის, მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდზე ხელშეკრულების დადების მიზნით შესაბამისი ფორმულარის შევსებისას;

– სასურველია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებით, სსკ-ის შესაბამის ნაწილში ან მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ შესაბამის კანონში განისაზღვროს დებულება, რომლის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ზოგადი წესები გავრცელდება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი გამიზნულია ერთჯერადი გამოყენებისათვის.

ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადების ეტაპის რეგულირებისას, მნიშვნელოვანია ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრა, ელექტრონული ფორმით გაცემული შეკვეთის მიღების ელექტრონული ფორმითვე დადასტურების ვალდებულების გათვალისწინებით.

ელექტრონული ფორმით დადებულ ხელშეკრულებებში ხელშეკრულების შესრულების ეტაპის რეგულირებისათვის, აუცილებელია კანონმდებლობის დონეზე განისაზღვროს:

– თუ რა ვადაში უნდა მიენოდოს მომხმარებელს შესაბამისი საქონელი ან რა ვადაში უნდა შესრულდეს მომსახურება, მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში;

– მომხმარებლის მიერ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი თანხის დაბრუნების უზრუნველყოფის საკითხი, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

– საკითხი მომსახურებისა თუ საქონლის საფასურის ხელშეკრულების შესრულების დაწყებამდე ან შესრულების შემდგომ გადახდასთან დაკავშირებით, მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმების არარსებობისას;

– შეუკვეთავი საქონლის მიწოდების/მომსახურების განევის აკრძალვა და შესაბამისი შედეგები (დამატებითი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება), მსგავსი საქონლის მიწოდების/მომსახურების განევის შემთხვევაში და ა.შ.

– ზოგადი საგარანტიო ვადები უშუალოდ ელექტრონული ფორმით დადებულ სამომხმარებლო ხელშეკრულებებში, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს დისპოზიციური ხასიათი;

– ნაკლის აღმოჩენის ვადების შესაბამისად, მტკიცების ტვირთის განაწილების პრობლემა მომხმარებელსა და მენარმეს შორის;

აღსანიშნავია ისიც, რომ დასახვეწია საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის შემადგენლობა, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი ნაწილი ტექნიკურად არის დასახვეწი. ამასთან, სასურველია, გაფართოვდეს შემთხვევების წრე, რომლის ფარგლებშიც კანონი გაითვალისწინებს მომხმარებლის ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალზე მითითებას, სამომხმარებლო ხელშეკრულებების დადებისას, მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში.

რამდენადაც უკვე აღინიშნა, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, სრულიად შესაძლებელია სამომხმარებლო სახელშეკრულებო-სამართლებრივი დებულებების როგორც მოქმედ ცივილურ კოდიფიკაციებში ინტეგრაცია, აგრეთვე, ცალკეული კანონების ან თუნდაც სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლის კოდექსის სახით დაწვრილებით რეგლამენტაცია.⁴¹

საინტერესოა, რომელი ალტერნატივაა მიზანშეწონილი ქართული რეალობის გათვალისწინებით. რამდენადაც აღინიშნა, უშუალოდ ელექტრონული ვაჭრობის სფეროს რეგულირებისათვის, არათუ სასურველი, არამედ არსებული ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, აუცილებელია ცალკე კანონის შემუშავება. ასევე, აღინიშნა, რომ მომხმარებელთა დაცვის შესახებ 1996 წლის საქართველოს კანონი გადასინჯვას საჭიროებს არა მხოლოდ უშუალოდ ელექტრონულ გარიგებებთან დაკავშირებული მომხმარებელთა უფლებების დაცვითი სტანდარტების, არამედ მომხმარებელთა დაცვის ზოგადი სტანდარტების სიმწირის გამოც (ამ თვალსაზრისით, სასურველია, სამომხმარებლო ხელშეკრულებების ტიპების მიხედვით, ცალკეული სპეციფიკური დებულებების შემუშავება, ხელშეკრულებების ცალკეული ეტაპების მიხედვით, მომხმარებლის უფლებებისა და მწარმის ვალდებულებების სისტემატიზებული და დეტალური რეგლამენტაცია და ა.შ.). შესაბამისად, პრობლემა კომპლექსური ხასიათისაა, კერძოდ, ერთდროულად მოსამზადებელია რამდენიმე საკანონმდებლო აქტი, კერძოდ: „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ კანონპროექტის, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონში და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტების სახით ან კანონპროექტი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების და/ან დამატების შეტანის შესახებ და ორი საკანონმდებლო აქტი: „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს კანონი და სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლის კოდექსი (ან სამომხმარებლო სამართლის კოდექსი), რომელშიც (სამომხმარებლო სამართლის კოდექსში) განთავსდება ელექტრონულ გარიგებებთან დაკავშირებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების გადამუშავებული ვერსია.

საკანონმდებლო ტექნიკის სტანდარტების გათვალისწინებით, სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლის კოდექსი სამართლებრივი რეგულაციის უფრო დახვეწილი ფორმაა და ამ თვალსაზრისით, მისი მიღება განსაკუთრებით სასურველია. ამ შემთხვევაში, მოქმედი სამართლის ნორმები მოექცევა ერთიანი სპეციალური კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტის შემადგენლობაში და არ იქნება მიმობნეული ცალკეულ კანონებში. სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლის კოდექსის შემუშავების შემთხვევაში, უნდა მოხდეს სამომხმარებლო სამართლის საფუძვლიანი გადამუშავება – სამომხმარებლო ხელშეკრულებებისათვის საერთო ზოგადი დებულებების ცალკე ნაწილად გამოყოფა, ხელშეკრულებების დადების ცალკეული ეტაპების დაწვრილებით რეგულირება და ელექტრონული ფორმით დადებულ სამომხმარებლო ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმების ზუსტი რეგლამენტაცია. მნიშვნელოვან საკანონმდებლო ნიმუშად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს 1993 წლის ფრანგული Code de la consommation ან 2005 წელს მიღებული იტალიური Codice del consumo.

დასკვნა

კლასიკური გაგებით, მოქმედი სამომხმარებლო სამართალი, ევროპული კავშირის მასშტაბით, ამ ეტაპზე, სრულად უნიფიცირებული არ არის. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალურ კანონმდებლობათა განსხვავებული დებულებები მოქმედი ევროპული სტანდარტების ძირითად ნაწილთან შესაბამისობაშია, რაც ნაკლებად ითქმის ქართულ სამომხმარებლო კანონმდებლობაზე. სრული სამართლებრივი ვაკუუმი ელექტრონული ფორმით დადებული როგორც სამომხმარებლო, აგრეთვე არასამომხმარებლო გარიგებების რეგულირების თვალსაზრისით. სამართლებრივ ვაკუუმს ქმნის ელექტრონული სპეციფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების დადებისა და შესრულების ცალკეული ეტაპების სამართლებრივი რეგლამენტაციის არარსებობა. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, განსაკუთრებით პრიორიტეტული უნდა გახდეს ელექტრონული ვაჭრობის სფეროსა და ამავე ფარგლებში, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი სტანდარტების შესწავლა და ლეგიტიმაცია. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების ზემოთ განხილულმა სქემამ, რომლის რეგლამენტაცია მიზანშეწონილია მათი ძირეული გადაამუშავების შედეგად, ქართულ რეალობასთან სწორი ადაპტირების მიზნით.

ქართულ სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლის კოდექსში (ან სამომხმარებლო სამართლის კოდექსში) უნდა განთავსდეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისი დებულებების გადაამუშავებული, სისტემატიზებული ვერსია. ამასთან, კოდექსი უნდა განცალკევდეს ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილებად. ზოგადი ნაწილი უნდა შეიცავდეს სამომხმარებლო ხელშეკრულებებისათვის საერთო ზოგად დებულებებს (მაგ., მომხმარებლის, მენარმის, სამომხმარებლო ხელშეკრულების, სამომხმარებლო ურთიერთობის ცნებები), განსაკუთრებული ნაწილი – თითოეული ტიპის სამომხმარებლო ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების სამართლებრივ რეგულაციებს, ხელშეკრულების დადების ცალკეულ ეტაპებზე მომხმარებლისა და მენარმის უფლება-მოვალეობების ზუსტი რეგლამენტაციის სახით. განსაკუთრებულ ნაწილში უნდა განთავსდეს ელექტრონულ გარიგებებში მომხმარებლის უფლებების დაცვის სტანდარტების ზემოთ განხილული სქემა, ხელშეკრულების დადების ცალკეული ეტაპების მიხედვით მათი დეტალური გადაამუშავების შემდგომ.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ კერძო სამართლებრივი ურთიერთობისათვის მხარეთა თანასწორობისა და კერძო ავტონომიის ფუძემდებლურ პრინციპებზე დაყრდნობით, ხელშეკრულების სუსტი მხარის (მომხმარებელი, დასაქმებული) უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებების სიზუსტე და მრავალფეროვნება ხშირად, მიიჩნევა შესაბამისი ქვეყნის კერძო-სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარების ხარისხის შეფასების კრიტერიუმად. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით, ქართულ კანონმდებლობაში არც კატასტროფული, მაგრამ არც მეტისმეტად სახარბიელო მდგომარეობაა. ელექტრონული ფორმით დადებული სამომხმარებლო ხელშეკრულებებისა და ზოგადად, სამომხმარებლო სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირების მექანიზმების ქართული ვერსიის შექმნა და განვითარება, თუნდაც მხოლოდ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესი და აუცილებელია.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის №828-ს დადგენილება...„საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ“; იხ.: დავით კერესელიძე, საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 5, №1, 2002, გვ. 8 18.
- ² 1968 წელს, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციამ (UNCTAD) რეკომენდაცია გაუწია „სატარიფო პრეფერენციების განზოგადებული სისტემის“ (GSP) ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვითაც, განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს სავაჭრო შეღავათები უნდა მიენიჭებინათ განვითარებადი ქვეყნებისათვის. დღეისათვის, GSP-ის შეღავათებს თავის სავაჭრო პარტნიორებს ანიჭებენ: ევროკავშირი, აშშ, ავსტრალია, კანადა, იაპონია, ახალი ზელანდია, შვეიცარია, ნორვეგია, ბულგარეთი, რუსეთის ფედერაცია, ბელორუსია და თურქეთი. ამ ეტაპზე საქართველო GSP-ის ბენეფიციარის სტატუსით სარგებლობს აშშ-თან, კანადასთან, შვეიცარიასთან, იაპონიასთან, თურქეთთან და ევროკავშირთან. ევროკავშირის GSP-ის სისტემის ბენეფიციარის სტატუსით საქართველო სარგებლობს 1995 წლიდან. ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, 2005 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა ევროკავშირის GSP სქემის მხოლოდ დამატებითი პრეფერენციების ე.წ. „GSP+“ სისტემა და იგი სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოზეც გავრცელდა. ახალი „GSP+“ სქემა ქართველ მენარმეებს აძლევს საშუალებას ქართული წარმოშობის 7200-მდე დასახელების პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე 2005 წლის 1 ივლისიდან შეიტანონ ნულოვანი საბაჟო განაკვეთით. იხ.: „საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა“(GSP), http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=491&info_id=11341
- ³ ევროპული საბჭოს 1975 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის შესახებ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების პირველ პროგრამასთან დაკავშირებით, №C 92/1, 25.4.1975.
- ⁴ Aye, Lutz, Verbraucherschutz im Internet nach französischem und deutschem Recht, 2004, გვ. 75.
- ⁵ ევროპული კომისიის 1985 წლის 23 ივლისის შეტყობინება, მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკისათვის ახალი იმპულსების შესახებ (Mitteilung der Kommission, Neuer Impuls für die Politik zum Schutz der Verbraucher vom 23.7.1985, KOM (85) 314 endg.)
- ⁶ 1986 წლის 28 თებერვლის ერთიანი ევროპული აქტებით (Einheitliche Europäische Akte) მოდიფიცირდა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულება. ხელშეკრულებას დაემატა მე-100^ე მუხლი (მოქმედი ევროპული ეკონომიკური გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების 95-ე მუხლი), რომლითაც საერთო ევროპული ბაზრის ჰარმონიზაციისათვის მომხმარებელთა დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.
- ⁷ 1993 წლის 1 ნოემბრის მასტრიხტის ხელშეკრულება (ხელი მოეწერა 1992 წლის 7 თებერვალს, ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს).
- ⁸ Treaty establishing the European Community (TEC), Article 153 (Vertrag zur Gründung der Europäischen Gemeinschaft (EGV), Art. 153 Abs. 1: „Zur Förderung der Interessen

der Verbraucher und zur Gewährleistung eines hohen Verbraucherschutzniveaus leistet die Gemeinschaft einen Beitrag zum Schutz der Gesundheit, der Sicherheit und der wirtschaftlichen Interessen der Verbraucher sowie zur Förderung ihres Rechtes auf Information, Erziehung und Bildung von Vereinigungen zur Wahrung ihrer Interessen“).

⁹ Reich, Norbert, Europäisches Verbraucherrecht, 3. Auflage, Baden-Baden 1996, გვ. 40.

¹⁰ The Treaty on the Functioning of the European Union, Article 169 (Ex-Article 153

TEC): „1. მომხმარებელთა ინტერესების დაცვისა და მომხმარებელთა დაცვის განსაკუთრებით მაღალი დონის უზრუნველსაყოფად კავშირი ახორციელებს აქტივობებს მომხმარებლის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით. აგრეთვე, ხელს უწყობს მომხმარებლებს კუთვნილი უფლებების რეალიზაციის პროცესში, რაც თავის მხრივ, უკავშირდება მომხმარებელთა მიერ ინფორმაციის მიღებას, საკუთარი ინტერესების დასაცავად გაერთიანებების შექმნა-განვითარებას.

2. კავშირი პირველ აბზაცში მითითებული მიზნების მისაღწევად ახორციელებს: ა) ღონისძიებებს, რომელთაც ის საერთო ევროპული ბაზრის განხორციელების ფარგლებში 114-ე მუხლის შესაბამისად გამოსცემს;

ბ) ღონისძიებებს, რომლებიც უკავშირდება წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკის ხელშეწყობას, შეესებასა და კონტროლს.

3. ევროპული პარლამენტი და საბჭო ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსმენის შემდეგ, დადგენილი საკანონმდებლო პროცესის შესაბამისად, ახორციელებენ მეორე აბზაცის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

4. მესამე აბზაცის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები არ ბოჭავენ ცალკეულ წევრ სახელმწიფოთა ნებას, უმკაცრესი დაცვითი ღონისძიებები შეინარჩუნონ ან შეზღუდონ. ამ სახის ღონისძიებები შესაბამისობაში უნდა იყოს (ევროპული კავშირის სადამფუძნებლო) ხელშეკრულებებთან. ამ ღონისძიებათა შესახებ ეგზავნება შეტყობინებები ევროპულ კომისიას.”

¹¹ Charter of Fundamental Rights of the European Union, ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს, ევროპული კავშირის ე. წ. ლისაბონის ხელშეკრულებასთან (Treaty of Lisbon amending The Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, signed at Lisbon, 13 December 2007) ერთად.

¹² Verbraucherpolitische Strategie der EU (2007-2013), Mitteilung der Kommission an den Rat, des europäischen Parlament und den europäischen Wirtschafts- und Sozialausschuss, Brüssel, den 13.3.2007, KOM(2007) 99 endg.

¹³ UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment (1996), with additional article 5 bis as adopted in 1998.

¹⁴ UNCITRAL Model Law on Electronic Signatures with Guide to Enactment, United Nations, New York, 2002.

¹⁵ United Nations Convention on the Use of Electronic Communications in International Contracts, 2005; იხ.: ვებ-გვერდი: http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/electronic_commerce.html.

¹⁶ საფრანგეთის სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლის კოდექსთან დაკავშირებით, იხ.: Calais-Auloy, Jean/Steunmetz, Frank, Droit de la consommation, Edition Dalloz – Textes, iurisprudence, annotations, Paris 2000.

¹⁷ იტალიის სამომხმარებლო სახელშეკრულებო სამართლის კოდექსთან დაკავშირებით, იხ.: Pasquale Stanzione/Giovanni Sciancalepore, Commentario al codice del consume: inquadramento sistematico a prassi applicative, Milano, 2006.

- ¹⁸ UNIDROIT Principles of International Commercial Contracts with Official Commentary, 1994. www.jus.uio.no/lm/unidroit.international.commercial.contract.principles.1994.commented (25.05.06). იხ.: ეკატერინე ბალიშვილი, ნების გამოვლენის (ოფერტის) გამოთხოვა უნიფიცირებულ კერძო სამართალში, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007. გვ. 74.
- ¹⁹ Principles of European Contract Law (PECL), 1998, www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.1998/doc.html (25.05.06). იხ.: ეკატერინე ბალიშვილი, ნების გამოვლენის (ოფერტის) გამოთხოვა უნიფიცირებულ კერძო სამართალში, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007. გვ. 74.
- ²⁰ გერმანული და დანიური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ავსტრიული მთავრობისა და ერთ-ერთი ბერძნული ფონდის დაფინანსებით მოქმედი სამეცნიერო ჯგუფი (Study Group of a European Civil Code), მიზნად ისახავს ერთიანი ევროპული ცივილური კოდექსის („European Civil Code“) შემუშავებას. 1999 წლიდან დაახლოებით 50 მეცნიერი მუშაობს ერთიანი ცივილური კოდექსის პროექტზე, რომლის შემუშავების პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“; იხ.: Klewitz, Lilian, Verbraucherschutz bei Rechtsgeschäften per Internet, Verlag Dr. Kovač, Hamburg, 2006. გვ. 321.
- ²¹ Gandolfi, Code européen des contrats, Livre premier, ix. Klewitz, Lilian, Verbraucherschutz bei Rechtsgeschäften per Internet, Verlag Dr. Kovač, Hamburg, 2006. გვ. 321.
- ²² იქვე. გვ. 331.
- ²³ საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა (სახელმძღვანელო პრინციპები სამოქმედო გეგმისათვის), თბილისი, 2003. გვ. 58-65; Schirnbacher, Martin, Verbrauchervertriebsrecht, (die Vereinheitlichung der Vorschriften über Haustürgeschäfte, Fernabsatzverträge und Verträge im elektronischen Geschäftsverkehr), 2005, გვ. 18-29.
- ²⁴ Grumpp, Werner, Verbraucherschutz im elektronischen Rechtsverkehr nach der Umsetzung der E-Commerce Richtlinie, 2006. გვ. 18.
- ²⁵ Aye, Lutz, Verbraucherschutz im Internet nach französischem und deutschem Recht, 2004. გვ. 81.
- ²⁶ Rischkowsky, Franziska, Europäische Verbraucherpolitik, Metropolis-Verlag, Marburg, 2007. გვ. 177.
- ²⁷ მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დასჭირდა კომპიუტერული სისტემა, რომელიც ცენტრალური კომპიუტერისაგან ე.წ. სერვერისაგან დამოუკიდებელი იქნებოდა. ამ მიზეზით მეცნიერებმა განავითარეს დეცენტრალიზებული კომპიუტერული ქსელური სისტემა, რომელიც 1969 წლის 1 სექტემბერს, პენტაგონის სამეცნიერო განყოფილების დავალებით გამოყენებულ იქნა „Advanced Research Project Agency“-ის (ARPA) მიერ, როგორც ე.წ. „ARPAnet“. ეს უკანასკნელი ფუნქციონირებდა განსაკუთრებული პროგრამით – „Network Control Protocol“(NCP) და შესაძლებელს ხდიდა ქსელური სისტემის დეცენტრალიზებულ გამოყენებას. 80-იან წლებში, NCP შეიცვალა პროგრამით – TCP/IP (Transmission Control Protocol/Internet Protocol), რომელიც უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა, ვიდრე NCP. TCP/IP არის ელექტრონული სტანდარტების კრებითი ცნება, რომელსაც შეიცავს ორი პროტოკოლი: TCP და IP. 1986 წელს, აშშ-ში დაფუძნდა „National Science Foundation Network“(NSFN), რომელსაც აშშ-ის მთავრობა აფინანსებდა. სწორედ მის (NSFN) ფარგლებში, შემუშავდა ე.წ. „Backbones“ – განსაკუთრებული ელექტრონული მექანიზმები მონაცემების ტრანსფერის გამარტივებისათვის.

ევროპაში ინტერნეტი ამ პერიოდიდან ვრცელდება. 1995 წელს, NSFN შეეცადა ინტერნეტი გამოყენებადი ყოფილიყო მხოლოდ მეცნიერული და არა კომერციული მიზნებისათვის. 1995 წელს, აშშ-ის მთავრობამ შეცვალა მითითებული პოლიტიკა და გადაწყვიტა ინტერნეტის პრივატიზაცია. ამ დროიდან ინტერნეტი კომერციული საქმიანობის მნიშვნელოვანი ატრიბუტი ხდება.

²⁸ Klewitz, Lilian, Verbraucherschutz bei Rechtsgeschäften per Internet, Verlag Dr. Kovač, Hamburg, 2006. გვ. 27.

²⁹ კომპიუტერული პროგრამები იყენებენ ე.წ. პროტოკოლების უამრავ დასახელებას. „პროტოკოლი“ არის ელექტრონული პროგრამა, რომელიც ელექტრონული მედიის სისტემისა და კომპიუტერული პროგრამების შემადგენლობის არაერთგვაროვნების მიუხედავად, შესაძლებელს ხდის მონაცემების ტრანსფორმაციას ელექტრონულ სივრცეში. უშუალოდ Transmission Control Protocol/Internet Protocol (TCP/IP) არის ელექტრონული პროგრამა, მექანიზმი, რომელიც გადასაცემ ფაილებსა და სხვა სახის მონაცემებს ანაწილებს პაკეტებად პაკეტებში, რომლებიც, თავის მხრივ, ინდივიდუალური ინტერნეტ-მისამართების საშუალებით პოულობენ შესაბამის კომპიუტერს და კვლავ TCP-ის მეშვეობით იღებენ პირვანდელ ფორმას.

³⁰ Bierehoven, Christiane, Der Vertragsschluss via Internet im internationalen Wirtschaftsverkehr, Carl Heymanns Verlag KG; Köln, Berlin, Bonn, München 2001. გვ. 2-19;

³¹ Uhlman, André Marc, Elektronische Verträge aus deutscher, europäischer und US-amerikanischer Sicht, Europäischer Verlag der Wissenschaften – Peter Lang GmbH, Frankfurt am Main 2003. გვ. 11. ასევე, ix. Davis, Lars, Contract Formation on the Internet – Shattering a few Myths, in: Edwards, Lilian & Waedle, Charlotte, Law and the Internet – Regulating Cyberspace, Oxford 1997. გვ. 100.

³² ინტრანეტი იმიჯდება კერძო მწარმოებლებისა და ე.წ. სერვის-პროვაიდერების (Service-Provider) მიერ მართული და ფინანსირებული ქსელური კომპიუტერული სისტემებისაგან, რომლებიც შესაბამისი ფარული კოდის (Password) გარეშე მიუწვდომელია ნებისმიერი მესამე პირისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ქსელური კომპიუტერული სისტემის ფარგლებში, ხელმისაწვდომია ინტერნეტიც. „ინტრანეტში“ იგულისხმება კომპიუტერული ქსელური სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს ე.წ. ინტერნეტ-პროტოკოლის გამოყენებით – IP (Internet-Protocol), თუმცა ნაკლები მოცულობით ან საერთოდ არ არის დაკავშირებული ინტერნეტთან. ინტრანეტში არსებობს ინტერნეტის მხოლოდ კონკრეტულ, შერჩეულ წყაროებთან დაკავშირების შესაძლებლობა. მისი უპირატესობა, ინტერნეტთან შედარებით, არის ის, რომ „ინტრანეტი“ დაცულია გარე-ზემოქმედებისაგან: ხელმისაწვდომია მხოლოდ ამ სისტემასთან ქსელური კავშირის მქონე მომხმარებლისათვის.

³³ გარდა ინტერნეტ-მომსახურების ცნობილი და მნიშვნელოვანი ფორმებისა, როგორიცაა WWW, ელ-ფოსტა (E-Mail) და ა.შ. არსებობს ინტერნეტ-მომსახურების სხვა ფორმებიც, კერძოდ: „File Transfer Protocol“ (FTP), „Gopher“, „Telnet“, „Newgroups“ და სხვ. რომლებიც წინამდებარე ნაშრომისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ.: Bierehoven, Christiane, Der Vertragsschluss via Internet im internationalen Wirtschaftsverkehr, Carl Heymanns Verlag KG; Köln, Berlin, Bonn, München 2001, გვ. 6-15, აგრეთვე, Kuner, Christopher, Internet für Juristen, 2. Auflage, München 1999. გვ. 35-37.

³⁴ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით მომხმარებელსა და ბანკს შორის კომერციული ურთიერთობების აღსანიშნავად გამოიყენება

მრავალი ტერმინი: Home-Banking, Online-Banking, Tele-Banking, Direct-Banking, Electronic-Banking და ა.შ. Home-Banking – იგულისხმება მომხმარებელსა და ბანკს შორის კომუნიკაცია შინიდან გაუსვლელად, ბანკის სატელეფონო ან ინტერნეტ-მომსახურების სისტემის გამოყენებით; Online-Banking გულისხმობს მომხმარებელსა და ბანკს შორის ურთიერთობას ინტერნეტის საშუალებით; Tele-Banking – მომხმარებელსა და ბანკს შორის ურთიერთობა ბანკის სატელეფონო მომსახურების სისტემის ფარგლებში; Internet-Banking – მომხმარებელსა და ბანკს შორის ურთიერთობა ინტერნეტის საშუალებით. Internet-Banking-ის სინონიმია – Electronic-Banking. იხ. Recknagel, Einar, Vertrag und Haftung beim Internet-Banking, Verlag C.H. Beck, München, 2005. გვ. 3.

³⁵ იხ.: Nowak, Ulrich, Der elektronische Vertrag – Zustandekommen und Wirksamkeit unter Berücksichtigung des neuen „Formvorschriftenanpassungsgesetzes“, in: MDR 2001. გვ. 841.

³⁶ Uhlman, André Marc, Elektronische Verträge aus deutscher, europäischer und US-amerikanischer Sicht, Europäischer Verlag der Wissenschaften – Peter Lang GmbH, Frankfurt am Main 2003. გვ. 35.

³⁷ თამარ ზამბახიძე, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 8. 1-2, 2005. გვ. 110.

³⁸ ურთიერთობები მენარმესა და მომხმარებელს შორის (Business to Consume, B2C). მიუხედავად B2C-ტრანზაქციების სიხშირისა, ძვირადღირებული და ტექნიკურად რთული შემადგენლობის ნივთების შექენა, ძირითადად, კვლავ ჩვეული ფორმით გრძელდება. სურათი შეიძლება ახლო მომავალში შეიცვალოს მომხმარებელთათვის ელექტრონული ვაჭრობის სფეროში უსაფრთხოების მექანიზმების შემდგომი განვითარებით.

³⁹ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი ძირითადი ქართული საკანონმდებლო აქტებია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997 წ.), საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ (1996 წ.), საქართველოს კანონი სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ (1997 წ.), საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ (1998 წ.) და საქართველოს კანონი სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ (2005 წ.). ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედებს საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ (2005 წ.) და საქართველოს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ (2008 წ.).

⁴⁰ ავსტრალიის კანონი ელექტრონული გარიგებების შესახებ, მიღებულ იქნა 1999 წელს, მთლიანად ძალაში შევიდა 2001 წლის პირველ ივლისს; აშშ-ის 2000 წლის ფედერალური კანონი ელექტრონული ხელმოწერების შესახებ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სავაჭრო ურთიერთობებში; ირლანდიის 2000 წლის კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ; სამხრეთ კორეის 2001 წლის კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ; ტაილანდის 2002 წლის კანონი ელექტრონული გარიგებებისა და ელექტრონული ხელმოწერის შესახებ; 2002 წელს ელექტრონული გარიგებების შესახებ საკანონმდებლო აქტები მიღებული იქნა თურქეთსა და პაკისტანში; მექსიკაში 2000 წელს ელექტრონული ვაჭრობისა და ელექტრონული გარიგებების შესახებ ცვლილებები და დამატებები შევიდა ფედერალურ სამოქალაქო, ფედერალურ სავაჭრო და ფედერალურ სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში; ციტირებულია: ზამბახიძე თამარ, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 8. N № 1-2, 2005. გვ. 108-138.

⁴¹ Klewitz, Lilian, Verbraucherschutz bei Rechtsgeschäften per Internet, Verlag Dr. Kovač, Hamburg, 2006. გვ. 331-332.

EUROPEAN STANDARDS FOR THE PROTECTION OF CONSUMERS RIGHTS IN THE ELECTRONIC TRADE AND RELEVANT GEORGIAN LEGISLATION

TINATIN ERKVANIA

Master of Law, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Master of German law; Doctorant of law Department, LL.M, HHumboldt-University of Berlin

This article is the updated version of the final part of the Master Paper presented at the Law Department of the Iv. Javakhishvili State University in 2009 (title of the master paper: “European Standards for the Protection of Consumers Rights in Electronic Deals”¹). It presents a brief review of the European unified private law and relevant Georgian legislation concerning the electronic trade, as well as the brief descriptions of the substantial parts of the study results.

The Georgian Legislation concerning the consumer contractual law provides only the general legal bases from the point of view of protection of consumers rights. The Georgian legislation does not regulate specific standards of the protection of Consumers rights in the consumer contracts concluded immediately through electronic communication means. Considering the undergoing development of technological processes, relevant legal mechanisms definitely need to be elaborated in order to regulate commercial relationships. The article is dedicated to this problem.

¹ The full version of the Papers has not be published yet. This is the first article reflecting the results of the undertaken research.

სახელმწიფო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩილების კონკურენცია

დავით სუსიტაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

თეა სუსიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში პასუხისმგებლობის სახეობად დაყოფა სხვადასხვა კრიტერიუმებით ხდება. პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლების მიხედვით ანსხვავებენ სახელმწიფო და არასახელმწიფო (კანონისმიერ) პასუხისმგებლობას. სამართლის მეცნიერებაში მათი ურთიერთდამოკიდებულება ყოველთვის აქტუალური იყო და დღესაც ასეთად რჩება. საქმე ის არის, რომ პრაქტიკაში პასუხისმგებლობის ეს ორი სახე ხშირად კვეთს ერთმანეთს, რაც სარჩელის საფუძვლის კონკურენციას იწვევს. ერთი შეხედვით იქმნება წარმოდგენა, რომ სახელმწიფო და არასახელმწიფო პასუხისმგებლობის ურთიერთგამიჯვნა სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. ერთ შემთხვევაში, სახელმწიფო პასუხისმგებლობის დადგომას მხარეთა შორის არსებული სახელმწიფო ურთიერთობა და ამ ხელმწიფოების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება უდევს საფუძვლად; მეორე შემთხვევაში კი, მხარეები სახელმწიფო ურთიერთობით არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ამიტომ თითქოს ყველაფერი ნათელი

უნდა იყოს, მაგრამ ფაქტობრივად მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ასე მარტივად არ წყდება.

სახელმწიფო და არასახელმწიფო პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლები მრავალფეროვანია. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო პასუხისმგებლობა და შესაბამისად, სახელმწიფო ურთიერთობები წარმოიშობა და წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილით (319-476-ე მუხლები) და ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილით (477-952-ე მუხლები). არასახელმწიფო პასუხისმგებლობის სახეებს მიეკუთვნება: საზიარო უფლებები (953-968-ე მუხლები), დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება (969-975-ე მუხლები), უსაფუძვლო გამდიდრება (976-991-ე მუხლები), დელიქტური ვალდებულებები (მე-18, 992-1016-ე მუხლები). ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ზოგადი დებულებები (316-318-ე მუხლები) ეხება როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო ურთიერთობებს. კოდექსის 317-ე მუხლში ნათქვამია, რომ „...ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.“ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების, მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ სანივთო სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა უზუფრუქტი, გირავნობა, იპოთეკა და სხვა, როცა პასუხისმგებლობა კანონის საფუძველზე დადგება (უზუფრუქტუარის უფლება-მოვალეობები – 245-ე მუხლი, გირავნობის უფლებათა რიგითობა – 267-ე მუხლი და სხვა). ხშირია, როცა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნორმები, რომლებიც არასახელმწიფო ურთიერთობებს აწესრიგებენ, ხელმწიფო ურთიერთობებიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობაზეც ვრცელდება. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 527-ე მუხლმა დელიქტური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ წესებს დაუქვემდებარა ჩუქების ხელმწიფო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ურთიერთობა. მასში ნათქვამია, რომ „თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია, დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.“ ასეთი ნორმები ქართულ სამოქალაქო კოდექსში მრავლადაა, მაგალითად, 665-ე, 769-ე მუხლები და სხვა. ამიტომაც, პასუხისმგებლობის ამ ორი სახის სარჩელების საფუძვლის კონკურენცია (კუმულაცია) სპეციალისტების აქტიური განხილვის საგანია. გერმანელი იურისტი იან შაპპი ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნების (უფლების განცხადების, სარჩელის) საფუძვლად მიიჩნევს: 1. სახელმწიფო ვალდებულებებს 2. უსაფუძვლო გამდიდრებას 3. დელიქტს 4. ვალდებულების ბრალეულად შეუსრულებლობას. თუმცა, როგორც იგი აღნიშნავს, დასახელებული ვალდებულებითი ურთიერთობები სრულად ვერ მოიცავს ყველა შესაძლო ვალდებულებით სარჩელებს. ურთიერთობები, რომლებიც ამ ოთხ ჯგუფში ვერ პოულობენ გამოვლენას, საერთო ანალოგიის სისტემით თავიანთ ადგილს დასახელებული კლასიფიკაციის ერთ-ერთ ჯგუფში პოულობენ. მაგალითად, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნების სამართლებრივი საფუძველი სახელმწიფო ვალდებულებით იქნება უზრუნველყოფილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის კი, დელიქტური პასუხისმგებლობა დადგება.¹ ვალდებულებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი მოთხოვნების საფუძვლების კლასიფიკაციიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მეოთხე რიგის – „ვალდებულების

ბრალეულად შეუსრულებლობის“ ავტორისეული ინტერპრეტაცია. იგი წერს: განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია ვალდებულების ბრალეულად შეუსრულებლობისათვის წარმოშობილ მოთხოვნებს. ასეთი მოთხოვნები სახელშეკრულებო ან კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან წარმოიშობიან მაშინ, როცა ადგილი აქვს ამ ურთიერთობის ვალდებულების ბრალეულ დარღვევას. ამგვარად წარმოშობილი მოთხოვნები განხილული უნდა იყოს როგორც კანონიდან წამოშობილი.²

როგორც ვხედავთ, იან შაპი ფაქტობრივად გამოიციხავს ხელშეკრულების ბრალეულად დარღვევის საფუძვლით სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში და სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიანი მოსაზრება არ არსებობს.

სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ბრალის ირგვლივ მწვავე დისკუსიაა გამართული ფრანგულ სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაშიც. ცნობილია, რომ კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში დელიქტური პასუხისმგებლობის გაგების საკანონმდებლო წესით დამკვიდრება პირველად, ფრანგულმა სამოქალაქო კოდექსმა მოახდინა. კოდექსის 1382-ე მუხლი დელიქტზე ზოგად წარმოდგენას იძლევა, რაც ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსისათვის დღესაც მისაღებია. მასში ნათქვამია, რომ პირის ნებისმიერი მოქმედება, რომელიც სხვა პირს მიაყენებს ზიანს, ავალდებულებს ზიანის მიმყენებელს, აანაზღაუროს მისი ბრალით გამოწვეული ზიანი. XIX-XX საუკუნის ფრანგი ცივილისტი პლანოლი (შემდგომ მისი მიმდევრები) მიიჩნევდა, რომ ყოველგვარი ბრალეული მოქმედების შედეგად, სამართალდამრღვევი არღვევს მისთვის უკვე ადრე წარმოშობილ ვალდებულებას, რადგან ავტორის მტკიცებით, ბრალეული მოქმედების ბუნება ყოველთვის ერთგვაროვანია იმის მიუხედავად, ამ მოქმედებით ირღვევა ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება, კანონით მათზე დაკისრებული ვალდებულება თუ ყოველი ადამიანის მიერ მისი საქმიანობის პროცესში ზოგადი წინდახედულების გამოჩენის ვალდებულება.³

ზემოთ მოტანილ ტექსტში პლანოლის მთავარი დებულებაა, რომ როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტის დროს კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობა ბრალეული მოქმედების განხორციელებამდეა წარმოშობილი და შესაბამისად, სამართალდამრღვევი ბრალეული მოქმედებით არღვევს მისთვის უკვე მანამდე დადგენილ ვალდებულებას. რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგან ასეთი მიდგომა შლის ზღვარს სახელშეკრულებო და დელიქტურ პასუხისმგებლობას შორის. პირიქით, ამ ორი სახის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი პრინციპული თავისებურება ის არის, რომ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მხარეებს შორის ურთიერთობა ბრალეული მოქმედების ჩადენამდეა წარმოშობილი და სამართალდამრღვევი ამ ურთიერთობიდან წარმოშობილ ვალდებულებას არღვევს. რაც შეეხება დელიქტურ პასუხისმგებლობას, აქ მოვალესა და კრედიტორს შორის ურთიერთობა სამართალდამრღვევის ბრალეული მოქმედების შემდეგ წარმოიშობა.

პლანოლის თეორიამ ბრალეულობის ერთგვაროვნების შესახებ მკაცრი კრიტიკა განიცადა თვით ფრანგული სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში. ამასთან დაკავშირებით, ცნობილი ფრანგი იურისტი ჟ. მორანდიერი წერდა: სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დაეკისრება მხო-

ლოდ მოვალეს, მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ბრალეულად შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, თუ არ არსებობს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. ყველა სხვა ბრალეული მოქმედება, თუნდაც ხელშეკრულებასთან დაკავშირებული, წარმოადგენს დელიქტს.⁴ ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

1. ხელშეკრულების გარეშე მესამე პირის ბრალეული მოქმედება. დავუშვათ, რომ ორი პირი შეთანხმდა ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. გამყიდველმა დაარღვია შეთანხმება და იგივე ნივთი მიჰყიდა მესამე პირს, რომელმაც იცოდა, რომ ეს ნივთი უკვე გაყიდული იყო. ამ შემთხვევაში, გამყიდველის მიმართ დადგება სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა, ხოლო მესამე პირის მიმართ – დელიქტური პასუხისმგებლობა.

2. ხელშეკრულების მონაწილე პირის ბრალეული დელიქტური ქმედება მესამე პირის მიმართ. სატრანსპორტო კომპანიის ავტობუსის ავტოშემთხვევის შედეგად ერთ-ერთი მგზავრი გარდაიცვალა. გარდაცვლილის მემკვიდრეებს უფლება აქვთ სარჩელი აღძრან სატრანსპორტო კომპანიის წინააღმდეგ, რომელთა მიმართაც სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დადგება, რადგან მათ დაარღვიეს სახელშეკრულებო ვალდებულება და ვერ უზრუნველყვეს მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოება; მაგრამ ვინმე სხვას, გარდაცვლილის არა მემკვიდრეს, შეუძლია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლის საფუძველზე აღძრას სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც მან განიცადა უშუალოდ მგზავრის გარდაცვალების შედეგად. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო კომპანია პასუხს აგებს დელიქტის საფუძველზე.⁵

3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე მხარის საწინააღმდეგოდ განხორციელებული დელიქტი. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე მხარის საწინააღმდეგოდ განხორციელებული ყოველგვარი ბრალეული მოქმედება, თუკი ამ ქმედებაში არ ვლინდება ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, განიხილება დელიქტად. ასეთია მაგალითად, ბრალეული მოქმედება განხორციელებული ხელშეკრულების დადების პროცესში, როდესაც საჯაროდ გაკეთებულ ოფერტზე ოფერენტი, პიროვნული ნიშნის გამო, უარს ამბობს ხელშეკრულების დადებაზე მასთან, ვინც ოფერტის აქცეპტირება მოახდინა.⁶

ჟ. მორანდიერის ზემოაღნიშნული მაგალითებიდან გამომდინარე, მისი პოზიცია შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ, რომ ბრალის ხარისხის მიუხედავად ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შორის ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისათვის ყოველთვის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დადგება, ხოლო თუ ამ ხელშეკრულებასთან რაიმე ფორმით მესამე პირია დაკავშირებული, საქმე გვექნება დელიქტურ პასუხისმგებლობასთან. ასეთი ინტერპრეტაცია სრულიად შეესაბამება ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლის დელიქტზე ზოგად წარმოდგენას.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, დელიქტის ზოგადი ხასიათის დეფინიციას ემხრობოდნენ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შემქმნელები, „თუმცა ვერ გაბედეს გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ზოგად დათქმამდე. მათი აზრით, ამგვარი ზოგადი დათქმა მხოლოდ შენიღბავს არსებულ სირთულეებს და გადაჭრის სიმძიმეს მოსამართლეებს დააკისრებს. ეს კი, ეწინააღმდეგება გერმანელი ერის შეხედულებას მოსამართლეებზე. არსებობდა შიში, რომ

გერმანული სასამართლო პრაქტიკა კანონით დაწესებულ მკაცრ ჩარჩოებში არ იქნებოდა მოქცეული. მისთვის მუდმივად იქნება დამახასიათებელი ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორცაა ფრანგული სასამართლოების ბევრი გადაწყვეტილება.⁴⁷ ბოლოს, როგორც გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაშია მიჩნეული⁴⁸ კანონმდებელმა აირჩია დელიქტის სამწევრიანი კონსტრუქცია. პირველ ელემენტად მიჩნეულია კოდექსის 823-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის შინაარსი – ის ვინც განზრახ თუ გაუფრთხილებლად მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოუსპობს ადამიანს სიცოცხლეს, ვნებას მიაყენებს მის ჯანმრთელობას, აღუკვეთავს თავისუფლებას, ჩამოართმევს საკუთრებას თუ სხვა უფლებას, ვალდებულია აანაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი; მეორე ელემენტი გადმოცემულია ამავე ნორმის მეორე აბზაცში, რომლის მიხედვითაც, იგივე პასუხისმგებლობა დადგება მისთვის, ვინც დაარღვევს სხვა პირის კანონით დაცულ პირად უსაფრთხოებას. ამგვარ მდგომარეობას განეკუთვნება კერძო, საჯარო და პირველ ყოვლისა, სისხლის სამართლის ყველა ნორმა, რომლებიც თავისი შინაარსისა და მიზნის შესაბამისად, მოწოდებულია უზრუნველყოს ცალკეული პირის ან პირთა გარკვეული ჯგუფის და არა მთლიანად მოსახლეობის დაცვა.⁴⁹ დელიქტის სამწევრიანი კონსტრუქციის მეორე ელემენტის მნიშვნელოვანი საკითხია თუ რა ფასეულობის – ჯანმრთელობის, სიცოცხლის, ქონების თუ საერთო ეკონომიკური სიკეთის დაცვისკენაა მიმართული იგი. ეს საკითხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გადაწყდება იმის მიხედვით, თუ დარღვეული კონკრეტული დამცავი კანონი რა სიკეთის დაცვისკენაა მიმართული. მაგალითად, თუ დაირღვა კანონი, რომელიც პოლიციელის სიცოცხლის დაცვისკენაა მიმართული, დელიქტური პასუხისმგებლობის ობიექტიც სწორედ ეს იქნება. ხოლო დელიქტის სამწევრიანი კონსტრუქციის მესამე ელემენტი გადმოცემულია კოდექსის 826-ე პარაგრაფში, მესამე ელემენტი ეხება სხვა პირისათვის უზნეო, განზრახვი მოქმედებით მიყენებულ ზიანს.

გერმანული სამოქალაქო კოდექსის ავტორთა მცდელობა, რომ „სასამართლო პრაქტიკა კანონით დაწესებულ მკაცრ ჩარჩოებში“ მოექციათ, ამაოდ დასრულდა. ამასთან დაკავშირებით, კონრად ცვაიგერტი და ჰაინ კოტცი ორ ძირითად ხარვეზზე მიუთითებენ. უპირველესად ეს ეხებოდა პიროვნების უფლებათა დაცვას; დელიქტური პასუხისმგებლობის სამწევრიანი კონსტრუქციის მეორე ლაკუნა იყო გაუფრთხილებლობით წარმოქმნილი წმინდა ეკონომიკური ზარალისაგან არასაკმარისი დაცვა. მაგალითად, სამშენებლო ფირმის ექსკავატორმა დააზიანა მაღალი ძაბვის კაბელი და ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა სხვა სანარმოს. მსგავს შემთხვევებში დგება საკითხი: ვალდებულია თუ არა ფირმა აანაზღაუროს ზარალი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის თანახმად? ამ საკითხზე პასუხისათვის გადამწყვეტია მიყენებული ზიანის ბუნება. თუ ამას მოჰყვა სანარმოს გაჩერება, რამაც წარმოებული პროდუქციის მხოლოდ შემცირება გამოიწვია, დაზარალებული სანარმოო ზიანის ანაზღაურებას ვერ მოითხოვს, რადგან სამშენებლო ფირმის ბრალეულმა მოქმედებამ მხოლოდ ეკონომიკური ზარალი გამოიწვია; მაგრამ თუ ელექტროენერგიის შეწყვეტამ წინილების ინკუბაციაში გამოყვანის პროცესი დაარღვია, სახეზეა „საკუთრების დაზიანება“, ამიტომ სამშენებლო ფირმა ვალდებულია, აანაზღაუროს არა მხოლოდ გამოუჩეკავი წინილების ღირებულება, არამედ სხვა ეკონომიკური ზარალიც.¹⁰ ამრიგად, გერმანული სასამართლოები მესამე პირთა სარჩელებს ზიანის ანაზღაურების შესახებ მხოლოდ მაშინ აკმაყოფილებენ, თუ მოსარჩელის ქონების განადგურების ან დაზიანების გამო მან შემდგომი მატერიალური ზიანიც განიცადა.

სრულიად განსხვავებულ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე ინგლისურ სამართალში. არსებობს საერთო წესი იმის შესახებ, რომ როცა მოპასუხის ესა თუ ის უფლება ხელშეკრულებითაა დაცული, დაუშვებელია ხელშეკრულების იგნორირება და დელიქტით უფრო ფართო პასუხისმგებლობის დაკისრება. ამასთან, რა თქმა უნდა, საჭიროა გაირკვეს, მოპასუხე ნამდვილად არის თუ არა ხელშეკრულებით გათავისუფლებული დელიქტური პასუხისმგებლობისაგან. ამის დასადაგენად მოსამართლეები განმარტების სხვადასხვა წესს მიმართავენ.

ინგლისურ პრეცედენტულ სამართალში ასეთი მაგალითები მრავლადაა. მოვიტანთ ცნობილი ინგლისელი იურისტის ვ. ანსონისეულ რამდენიმე მაგალითს, თუ როგორ ზემოქმედებს ხელშეკრულების პირობები დელიქტურ პასუხისმგებლობაზე.

1.

თუ არსებობს პირდაპირი დათქმა დელიქტური პასუხისმგებლობისაგან მოპასუხის გათავისუფლების შესახებ, როგორც წესი, დაუდევრობით მიყენებული ზიანისათვის, ასეთი დათქმა უნდა შესრულდეს. მაგალითად, საქმეში *Rutter v. Palmer* (1922) მოსარჩელემ თავისი ავტომანქანა საკომისიო წესით რეალიზაციისათვის დატოვა მოპასუხის ავტოფარეხში. მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს, რომ ავტომანქანის სამართავად დაიშვებოდნენ მხოლოდ მოპასუხის თანამშრომლები, **კლიენტის სრული პასუხისმგებლობით**. მოპასუხემ მისი თანამშრომელი მძღოლის მეშვეობით ავტომანქანა გაიყვანა **საცდელ რეისზე**, რა დროსაც ავტომშემთხვევის შედეგად კლიენტის ავტომანქანა დაზიანდა. იმის გათვალისწინებით, რომ დაუდევრობით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით კლიენტს დაეკისრა, მისი სარჩელი დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ არ იქნა გაზიარებული.

2.

სხვა შემთხვევაში შეიძლება, მოპასუხის დელიქტური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ ხელშეკრულებაში პირდაპირ არც იყოს მითითებული, მაგრამ არსებობდეს ზოგადი ხასიათის ისეთი პირობა, რომლის განმარტების საფუძველზე დაუდევრობით მიყენებული ზიანისათვის მოპასუხე გათავისუფლდეს დელიქტური პასუხისმგებლობისაგან. ამ შემთხვევებისათვის ინგლისური სასამართლოები იყენებენ ლორდ გრინის მიერ ფორმულირებულ წესს (საქმე *Alders Lade v. Hendon Laundry, Ltd* (1945)). მოსარჩელემ ცხვირსახოცები სამრეცხაოში მიიტანა გასარეცხად, მაგრამ ცხვირსახოცები მას აღარ დაუბრუნეს. სასამართლოში სარჩელის აღძვრის შემდეგ მოპასუხემ სარჩელის უარსაყოფად მოიშველია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, საიდანაც ირკვევა, რომ „ნივთის დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეული ასანაზღაურებელი მაქსიმალური თანხა განისაზღვრება რეცხვის ღირებულების ოცმაგი ოდენობით“. სასამართლო პროცესზე მოსამართლემ გაიზიარა მოპასუხის ადვოკატის მოსაზრება და არ დააკმაყოფილა სარჩელი. ადვოკატის მოსაზრება მდგომარეობს შემდეგში: ა) სიტყვები ნივთის „დაკარგვა ან დაზიანება“ მიეკუთვნება იმგვარ დაკარგვასა და დაზიანებას, რაც

გამონვეულია დაუდევრობით; ბ) ის არ არის დაკავშირებული თეთრეულის რეცხვასთან, ანუ პირველად ვალდებულებასთან, რამდენადაც თეთრეულის გარეცხვა ხელშეკრულების არსებითი პირობაა, რის შესრულებასთან დაკავშირებითაც საკითხი **სათანადო მზრუნველობის შესახებ** არ დასმულა; გ) მოცემულ შემთხვევაში თეთრეულის დაკარგვა-დაზიანებას შეიძლება შემხებლობა ჰქონდეს მხოლოდ დამხმარე ვალდებულებებთან; დ) შესაბამისად, როცა აღიძრა საკითხი თეთრეულის დაკარგვის შესახებ, პასუხისმგებლობის ერთადერთი შესაძლო საფუძველია დაუდევრობა და ამიტომ ამ საფუძვლით პირობა პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების შესახებ უნდა გავრცელდეს მოპასუხეზე. სასამართლოს გადანყვეტილება ლორდმა გრინმა შემდეგნაირად დაასაბუთა „თუ პასუხისმგებლობის ფარგლებს მხოლოდ დაუდევრობა წარმოადგენს, მაშინ პირობა, (ჩვენ შემთხვევაში თეთრეულის დაკარგვა-დაზიანებით გამონვეული ასანაზღაურებელი მაქსიმალური თანხა განისაზღვრება რეცხვის ღირებულების ოცმაგი ოდენობით. ავტ. შენიშვნა) ისე უნდა იყოს განმარტებული, რომ იგი არის პასუხისმგებლობის ფარგლებში მოპასუხის გათავისუფლების პირობა.“

3.

მოსარჩელემ გამქირავებელ პუნქტში დაიქირავა ველოსიპედი. ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ გაქირავებული ველოსიპედით სარგებლობისას გამონვეული სხეულის დაზიანებისათვის გამქირავებელი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან. მოსარჩელეს ნახევარი მილიც არ ჰქონდა გავლილი, რომ ველოსიპედს სავარძელი მოსძვრა, მოსარჩელე დავარდა და მიიღო სხეულის დაზიანება. მოსარჩელემ ალტერნატიული სარჩელი აღძრა – ხელშეკრულების დარღვევისა და დაუდევრობით ზიანის მიყენების თაობაზე. ამჯერად გათვალისწინებული იყო, რომ გარდა დაუდევრობისა საქმე გვაქვს პასუხისმგებლობის სხვა ფარგლებთან — ხელშეკრულების დარღვევით გამონვეულ აბსოლუტურ პასუხისმგებლობასთან. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებისას მიუთითა, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის ფარგლებს წარმოადგენს სხვა, დაუდევრობისაგან განსხვავებული საფუძველი, ანუ ხელშეკრულების დარღვევით წარმოშობილი აბსოლუტური პასუხისმგებლობა.¹¹

ზემოაღნიშნული მაგალითების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძნელია გავაკეთოთ ზოგადი დასკვნა, გამოვიმუშავოთ ერთიანი კრიტერიუმი ინგლისურ სამართალში ხელშეკრულების არსებობის პირობებში დელიქტური პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების თაობაზე. ეს ჩვეულებრივი მახასიათებელია პრეცედენტული სამართლისათვის. ამ ლაბირინთებში გარკვევისათვის სწორი გადანყვეტილებების მიღებისათვის საჭიროა ათეული და ზოგჯერ უფრო მეტი სასამართლო მაგალითების ცოდნა, რაც ჩვენ არ ხელგვეწიფება და არც ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსებმა (რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსმა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა) გაითვალისწინეს საფრანგეთისა და გერმანიის დადებითი გამოცდილებები და ერთგვარად ამ ქვეყნების სამოქალაქო კოდექსების შუალედური პოზიცია დაიკავეს. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო

კოდექსის 1064-ე მუხლში დელიქტური პასუხისმგებლობის ზოგადი დებულებებია გადმოცემული. მასში ნათქვამია, რომ პიროვნებისათვის, მოქალაქისა და იურიდიული პირის ქონებისათვის მიყენებული ზარალი ექვემდებარება სრული მოცულობით ანაზღაურებას ზარალის მიმყენებლის მიერ; მაგრამ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი, ფრანგული სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, მხოლოდ ზოგადი დებულებებით არ შემოიფარგლება. კოდექსი დელიქტური პასუხისმგებლობის წესებს ავრცელებს ცალკეული სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზეც, მაგრამ ამჯერად, გერმანული სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, ამგვარი შემთხვევების ამომწურავ ჩამონათვალს არ აკეთებს, რითაც კოდექსის ავტორებმა თავიდან აიცილეს ის წინააღმდეგობები, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი გერმანულ სამოქალაქო კოდექსთან მიმართებაში. სამოქალაქო კოდექსი დელიქტური პასუხისმგებლობის წესებს ავრცელებს იმ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ ზიანის ანაზღაურებებზეც, რომლებიც თავისი ინტენსივობისა და ხასიათიდან გამომდინარე, სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი უნდა იყოს. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი უპირველესად, ასეთად მიიჩნევს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მიყენებულ ზიანს. დასახელებულ უფლებათა დასაცავად დელიქტური პასუხისმგებლობის წესების გასაავრცელებლად კოდექსი ორ გზას მიმართავს: ერთი მხრივ, სანიმუშოდ ჩამოთვლის, მაგრამ არა ამომწურავად, იმ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლის დარღვევისათვისაც დელიქტური პასუხისმგებლობა დადგება. კერძოდ, საუბარია რომ გაჩუქებული ნივთის ნაკლით დასაჩუქრებულის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის მიყენებული ზიანი გამჩუქებელმა უნდა აანაზღაუროს კოდექსის 59-ე თავით გათვალისწინებული წესებით, ანუ დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესებით, თუკი გაჩუქებული ნივთის ნაკლის შესახებ წინასწარ არ გააფრთხილა დასაჩუქრებული (580-ე მუხ.); ამგვარი პასუხისმგებლობა დაეკისრება გადამზიდველს (გადამყვანს) მგზავრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის (მუხლი 800). მეორე მხრივ, კოდექსი 1084-ე მუხლის სახით ადგენს ქცევის ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში მოქალაქის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს კოდექსის 59-ე თავით დადგენილი წესებით, თუ ხელშეკრულებით პასუხისმგებლობის უფრო მაღალი ზომა (მოცულობა) არ არის გათვალისწინებული. ეს ნორმა ვრცელდება კერძო სამართლის ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე – შრომით ხელშეკრულებებზე, მინდობილობებზე, სატრანსპორტო გადაყვანის ხელშეკრულებებზე, სამედიცინო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებზე და სხვა, რომელთა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად ზიანი მიადგება ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.¹² ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სხვაგვარი ზიანის ანაზღაურებისათვის კი, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დადგება. ვფიქრობთ, დელიქტის დეფინიციის ამგვარი კონსტრუქცია სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენციის ნაკლებ შესაძლებლობებს იძლევა, რაც ჩვენი აზრით, დადებითად უნდა შეფასდეს.

ქართული სამოქალაქო კოდექსის მიერ სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის ურთიერთდამოკიდებულება ფრანგული, გერმანული და რუსული სამოქალაქო კოდექ-

სისაგან განსხვავებულია, მაგრამ არა მათ საპირისპირო. სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის ზოგადი დახასიათებისას მეცნიერ-იურისტთა შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს. საერთო წესის მიხედვით, დაზარალებულისათვის დელიქტით ზიანის მიყენება გამოწვეულია პირის მიერ, რომელიც მანამდე დაზარალებულთან რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდა და როგორც წესი, აქტიური, კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით არღვევს, აქტიური მოქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას, რითაც ზიანს აყენებს დაზარალებულის აბსოლუტურ უფლებებს – ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებას. დელიქტური ურთიერთობა ზიანის მიყენების მომენტიდან წარმოიშობა და წესრიგდება კანონით მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში.

რაც შეეხება სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას, ის ყოველთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად წარმოიშობა. ამჯერად, არამართლზომიერი მოქმედება როგორც წესი, პასიურ მოქმედებაში ვლინდება და ირღვევა კონკრეტული ვალდებულებები (სესხის დაბრუნება, სამუშაოს შესრულება და სხვა). სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფორმები (საშუალებები) – ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა და სხვა, ასევე, მათი მოცულობა ხელშეკრულებით ან ხელშეკრულებით და კანონით არის განსაზღვრული. ასეთია სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის მეცნიერ-იურისტთა ზოგადი დახასიათება.¹³ და მაინც, ხანგრძლივი პერიოდის დისკუსიის მიუხედავად, სამოქალაქო სამართალში დღემდე არ არის შემუშავებული სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის გამიჯვნის ერთიანი კრიტერიუმი. ამრიგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრანგული სამოქალაქო კოდექსი ერთგულია იმ პრინციპის, რომ როგორც სამართლიანად აღნიშნავს ჟ. მორანდიერი, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ მოვალეს კონტრაქტის სასარგებლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ბრალეულად შეუსრულებლობისათვის, ყველა სხვა ბრალეული მოქმედება, თუნდაც ხელშეკრულებასთან დაკავშირებული, წარმოადგენს დელიქტს. გერმანული სამოქალაქო კოდექსის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში დიდი მცდელობაა, ამომწურავად განისაზღვროს დელიქტური ურთიერთობების წრე. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი ძირითადად, სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობისათვის დადგენილ საერთო პრინციპებს აღიარებს. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისათვის მოითხოვს, გამოყენებული იყოს დელიქტისათვის დადგენილი წესები. ამასთან, ამგვარი გამონაკლისები არ არის ამომწურავი (რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 1084-ე მუხლი).

სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლების საერთო წესისაგან გამონაკლისის ადგენს ქართული სამოქალაქო კოდექსიც. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს, როცა კოდექსი დელიქტური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ნორმებს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობაზეც ავრცელებს. ერთ შემთხვევაში, კოდექსი პირდაპირ მიუთითებს იმ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, რომლის მიმართაც დელიქტური პასუხისმგებლობის წესები უნდა იყოს გამოყენებული. ამ დროს სარჩელთა კონკურენციას ფაქტობრივად ადგილი არა აქვს, რადგან კოდექსის დელიქტური ვალდებულებების ნაწილში

იმპერატიულად არის დადგენილი ამ ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების დელიქტური პასუხისმგებლობის შესახებ.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების პროცესში წარმოშობილ ზიანს კოდექსი დელიქტურ პასუხისმგებლობად მიიჩნევს:

1. 999-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის პროცესში სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი.

2. დელიქტური პასუხისმგებლობა დადგება ასევე, თუ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ზიანი მიადგება. მართალია, 1007-ე მუხლში პირდაპირ არ არის მითითება, რომ სამედიცინო დაწესებულება ამ დროს სახელშეკრულებო ვალდებულებას ასრულებს, ამგვარ გარიგებას არც ვალდებულების კერძო ნაწილი იცნობს, მაგრამ კოდექსის 1007-ე მუხლი უდავოდ ის შემთხვევაა, როცა სამედიცინო დაწესებულება სახელშეკრულებო ვალდებულებას ასრულებს. თუმცა, ეს საკითხი შეიძლება დავასაც ინვევდეს, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ, რომ სამედიცინო მომსახურების შედეგად მოქალაქის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ზიანის მიყენებით პასუხისმგებლობის სახის სწორი კვალიფიკაციის დადგენის მიზნით აუცილებელია გავარკვიოთ, სამედიცინო მომსახურება სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებასთან არის დაკავშირებული თუ არა. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ქუჩაში მოსიარულე გახდეს შეუძლოდ, რომელსაც ასევე, შემთხვევით გამვლელი ექიმი გაუწევს სამედიცინო დახმარებას, ჰიპოკრატეს ფიცის საფუძველზე. ასეთი სამედიცინო დახმარება სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებად არ ჩაითვლება და საჭირო შემთხვევაში, ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდება სამოქალაქო კოდექსის არა 1007-ე, არამედ 992-ე მუხლით. მაგრამ როდესაც ავადმყოფი სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში მიდის სამედიცინო მომსახურების მისაღებად, სამედიცინო დაწესებულებასთან ასეთი ურთიერთობა, როგორც გარიგების კონკლუდენტური ფორმა, სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოშობს იმის მიუხედავად, შემდგომში წერილობით დაიდება თუ არა რაიმე ხელშეკრულება.

3. სამოქალაქო კოდექსის 1009-ე და 1014-ე მუხლები უხარისხო პროდუქტის მწარმოებლისათვის იწვევს დელიქტურ პასუხისმგებლობას თუ ამ პროდუქტის მოხმარების შედეგად ზიანი მიადგა მოქალაქის სიცოცხლეს, სხეულს ანდა ჯანმრთელობას. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი დაზარალებულთან იმყოფებოდა თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემოთ დასახელებული სამივე შემთხვევა დელიქტურ პასუხისმგებლობას იწვევს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობასთან არის დაკავშირებული, სახელშეკრულებო და დელიქტური სარჩელების შეჯიბრებითობას (კონკურენციას) ადგილი არ რჩება. კანონის მოთხოვნით ის ცალსახად დელიქტური უნდა იყოს. ამის მიუხედავად, სასამართლო ხშირად არასწორ პრაქტიკას ადგას. კერძოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2005 წლის 13 აპრილის განჩინებით (საქმე №ას 33-406-05) სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის სამოქალაქო დავა

ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შესახებ, სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლით დააკვალიფიცირა იმ საფუძვლით, რომ მათ შორის დადებული იყო სამოქალაქო ხელშეკრულება, რასაც ვერ დავეთანხმებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში გამოცხადება სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, როგორც სამოქალაქო გარიგების კონკლუდენტური ფორმა, ორივე მხარისათვის სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოშობს. სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი სწორედ იმას ემსახურება, რომ სამედიცინო დაწესებულება და პაციენტს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე დელიქტური პასუხისმგებლობა გავრცელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კოდექსის 1007-ე მუხლის საჭიროება არ იარსებებდა, რადგან ზოგადად, დელიქტური პასუხისმგებლობის მოსაწესრიგებლად კოდექსის 992-ე მუხლი უნდა იყოს გამოყენებული. ამიტომაც, რომ 1007-ე მუხლი გამონაკლისია დელიქტურ ვალდებულებებში.

სხვა შემთხვევაში სახელშეკრულებო და დელიქტური სარჩელების კონკურენციას აქვს ადგილი. როდესაც ამა თუ იმ ურთიერთობაში იკვეთება როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტური პასუხისმგებლობის ნიშნები და ამის მიუხედავად კოდექსი პირდაპირ არ ამბობს, პასუხისმგებლობის რომელი სახე იყოს გამოყენებული – სახეზე გვექნება სარჩელთა კონკურენცია. ამგვარ შემთხვევას წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცემულობა იმის შესახებ, რომ **თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს**, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 527-ე მუხლის ჰიპოთეზა). ასეთივე შინაარსის მოცემულობას აქვს ადგილი მიბარების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით 769-ე მუხლის ჰიპოთეზაში და სხვა. სამოქალაქო კოდექსი 999-ე და 1007-ე მუხლების მსგავსად, სპეციალურად არსად მიუთითებს, რომ მაგალითად, 527-ე მუხლის ჰიპოთეზის დადგომის შემთხვევაში, გამოყენებული იყოს დელიქტისათვის გათვალისწინებული წესები და მაინც ამის მიუხედავად, ამ ნორმის კომენტატორები¹⁴ ცალსახად მიიჩნევენ, რომ 527-ე მუხლის ჰიპოთეზის დადგომა იწვევს დელიქტურ პასუხისმგებლობას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისათვის მოპასუხეს უდავოდ დელიქტური პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, როცა ეს პირდაპირაა კანონში მითითებული (999-ე, 1007-ე და 1009-ე მუხლები), სხვა შემთხვევაში საქმე გვაქვს სარჩელის კონკურენციასთან. სარჩელის კონკურენცია მოსარჩელეს აძლევს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ ალძრას სარჩელი და მოითხოვოს მოპასუხისათვის სახელშეკრულებო ან დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრება. ასეთი შემთხვევებისათვის რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 1084-ე მუხლი პირდაპირ მიანიშნებს დაზარალებულს, რომ თუკი ხელშეკრულებით პასუხისმგებლობის უფრო მაღალი ზომაა გათვალისწინებული, მოითხოვოს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა. ვფიქრობთ, ასეთი პრინციპი სრულიად მისაღებია ქართული სამოქალაქო კოდექსისთვისაც.

შენიშვნები:

- ¹ Ян Шапп, Основы гражданского права Германии, Москва – 1996 г., стр. 62-63.
- ² იხ.: იქვე.
- ³ იხ.: ნიგში – Л.Жюллио де ла Морандьер, Гражданское право Франции -2, перевод с французского доктора юридических наук Е.А. Флейшиц, Москва – 1960г., стр.464-465.
- ⁴ იხ.: იქვე, გვ. 466-467.
- ⁵ ვფიქრობთ, ჟ. მორანდიერის მიერ მოტანილი ეს მაგალითი საჭიროებს დამატებით განმარტებას. კერძოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მაგალითად, გარდაცვლილ მგზავრს მესამე პირისათვის მიჰქონდა წამალი, რაც ავტომშემთხვევის შედეგად განადგურდა და ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა, რამაც დამატებითი ხარჯების განევა გამოიწვია.
- ⁶ იხ.: იქვე, გვ. 467-468.
- ⁷ ოქმი II. ს. 571. იხ.: კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 289.
- ⁸ იხ.: იქვე, გვ. 289-294.
- ⁹ იხ.: იქვე, გვ. 293.10 იხ.: იქვე, გვ. 291-295, 317.
- ¹¹ В. Ансон, Договорное право, перевод с английского, под общей редакцией О.Н.Садикова, Москва, 1984, стр. 120-121.
- ¹² Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации части второй, издание третье, ответственный редактор О.Н.Садиков, Москва, 1999, стр. 692-693; Гражданское право, часть первая, авторский коллектив, под редакцией А.Г.Калпина и А.И.Масляева, Москва, 1997, стр. 460.
- ¹³ Н. Д. Егоров, в книге – Гражданское право, часть 1, под редакцией А. П. Сергеева и Ю. К. Толстого, Москва, 1998, стр. 556; М. Н. Малеина, в книге – Гражданское право, часть первая, под редакцией А. Г. Калпина и А. И. Масляева, Москва, 1997, стр. 460; В. Т. Смирнов, А. А. Собчак, Общее учение о деликтных обязательствах, Ленинград, 1983, стр. 100 и др.
- ¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ნიგნი მეოთხე, ტომი I, თბილისი, 2001, გვ. 73; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ნიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 379.

COMPARISON/ COMPETITIVENESS OF CONTRACTUAL AND DELICTUAL LIABILITY CLAIMS

DAVID SUKHITASHVILI

Doctor of Law, Professor

THEA SUKHITASHVILI

Doctorant of the Law Department, Iv. Javakhishvili Tbilisi

State University

Comparison of forms of contractual and noncontractual (delictual) liabilities involve multiple meanings. This type of study initially aims to clarify the scope of these types of liabilities, their contents and particularities ensuring the avoidance of the competition of claims; On the other hand, comparing contractual and delictual liabilities has a practical goal. In other words, for the responsibilities originated from the contract, a defendant shall be imposed a contractual liability instead of a delictual liability.

Special literature properly outlines the difference between contractual and delictual liabilities. Their tight similarity can be explained by the fact, that both aim to reimburse the property and nonproperty damage incurred to the victim by the offender. Therefore, competitiveness of the contractual and delictual liabilities is the result of the mentioned similarities. The presented paper aims to outline and demonstrate the criteria that would definitely facilitate the differentiation between contractual and delictual claims. According to the conclusions reflected in this paper, two types of competitions of contractual and delictual liability claims are revealed: 1. Imperativeness of the delictual liability – when the reimbursement of the damage caused as a result of the nonexecution, or insufficient execution of the agreement concluded between the claimant and the defendant shall be carried out in accordance with the delictual liability rules based on the Articles 999, 1007, 1009, 1014 of the Civil Code of Georgia. 2. Claimant has the right of choice and its up to him/her to file either contractual or delictual claim. Similar alternatives are offered by the Articles 527, 769 of the Civil Code of Georgia and other similar norms.

მფლოპელოპისა და საკუთრების ურთიერთმიმართება საკუთრების დაცვის ჭრილში

ქეთევან ქოჩაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-
პროფესორი

1. საკუთრების დაცვა – საერთო ევროპული სტანდარტი

ჯერ კიდევ, საფრანგეთის 1789 წლის 26 აგვისტოს ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციით, საკუთრება არის წმინდა და ხელშეუხებელი უფლება, არავის არ შეიძლება ის წაერთვას, გარდა კანონით დადგენილი აუცილებელი საზოგადოებრივი აუცილებლობისა და მხოლოდ სამართლიანი და წინასწარი გადახდის პირობით.¹ თანამედროვეობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ აქტად აღიარებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან (4 ნოემბერი, 1950 წ.) ერთად მიღებული დამატებითი ოქმის I მუხლის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონით და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.² დღესდღეობით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით საკუთრების დაცვა გახდა საერთო ევროპული სტანდარტი, რომლითაც

ევროპელებს შეუძლიათ იამაყონ, რადგან ის ადამიანთა დიდ რაოდენობას ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ საიმედო და გამოცდილ ორიენტაციას აძლევს, დაფუძნებულს ევროპულ კონსენსუსზე.³

საკუთრების უფლების არსი გულისხმობს, ხელისუფლებას სურდეს და დაავალდებულოს სხვები პატივს სცემდნენ მესაკუთრის ნებას, ისარგებლოს თავისი სურვილისამებრ კუთვნილი ნივთით.⁴ ამ უფლების ძალით მესაკუთრე ექსკლუზიურ უფლებას აცხადებს ქონებაზე და ეს უფლება არა ფიზიკური ძალის ან საზოგადოებრივი ადათის, არამედ კანონის მიერ დაცვას საჭიროებს. ამდენად, თითქმის შეუძლებელია ისეთი საზოგადოების წარმოდგენა, სადაც სცნობენ და დაუშვებენ კერძო საკუთრებას, მაგრამ არ უზრუნველყოფენ კანონით მის დაცვას (იერემია ბენტამი).⁵

2. საკუთრების სანივთოსამართლებრივი დაცვის საშუალებების ზომბადი დახასიათება

საკუთრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ქვეშ მოიაზრება სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება საკუთრების უფლების დარღვევისას და მიმართულია მესაკუთრის ქონებრივი ინტერესების აღდგენისა და დაცვისაკენ. ხოლო სანივთოსამართლებრივი საშუალებები ხასიათდება იმით, რომ მიმართულია საკუთრების, როგორც აბსოლუტური უფლების დაცვისაკენ ნებისმიერი მესამე პირის წინააღმდეგ, რაც არ არის დაკავშირებული რაიმე კონკრეტულ ვალდებულებასთან და მიზნად ისახავს აღდგეს მესაკუთრის კუთვნილი უფლებამოსილებები ან აღიკვეთოს მათი განხორციელების წინააღმდეგობები.⁶ როცა საკუთრების დაცვაზეა საუბარი, აქაც, ისევე როგორც ყველა ძირითადი უფლების შემთხვევაში, მისი ნეგატიური მხარე მოიაზრება – ყველას ვალდებულება, არ ხელყონ ჩემი საკუთრება, მისი პოზიტიური მდგომარეობის მშვიდად განხორციელების გარანტიია.⁷ სანივთოსამართლებრივი დაცვის საშუალებებს მიეკუთვნება სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელები.

დიგესტის თანახმად, სარჩელი სხვა არაფერია, თუ არა პირის უფლება სასამართლოს წესით განახორციელოს კუთვნილი მოთხოვნა. მსგავსი შინაარსი ჰქონდა სარჩელს რეველუციამდელ რუსულ დოქტრინაშიც. კერძოდ, სარჩელი განიმარტებოდა როგორც ერთი პირის მოთხოვნა მეორის მიმართ, დაფუძნებული უფლებაზე და სასამართლოს მიერ სისრულეში მოყვანილი.⁸ თანამედროვე საპროცესო სამართლებრივი დოქტრინა სარჩელს განსაზღვრავს, როგორც დაინტერესებული პირის მიმართვას სასამართლოში დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის მოთხოვნით, უფლების შესახებ დავის გადაწყვეტის გზით.⁹

სანივთოსამართლებრივი სარჩელები იცავს მართლზომიერ მფლობელს. ასეთია მფლობელობა, რომელიც სამართლებრივ საფუძველს ეყრდნობა. მართლზომიერია არა მხოლოდ მესაკუთრის, არამედ სხვა სანივთო და ვალდებულებითი უფლების მქონე სუბიექტების მიერ განხორციელებული ფაქტობრივი ბატონობა ნორმატიული სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესაბამისად და მესაკუთრის ნებაზე დაყრდნობით.¹⁰

3. სავინდიკაციო სარჩელის განხორციელების წინაპირობები

3.1 მატერიალურსამართლებრივი გარემოებები

სავინდიკაციო სარჩელი (*Vindicatio* – ლათ. *Vimdicere* – გამოცხადება ძალის გამოყენების შესახებ) არის არამფლობელი მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის (ვინც ფლობს ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე) სარჩელი უკანონო მფლობელის წინააღმდეგ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული და ნატურით არსებული ნივთის დაბრუნების თაობაზე.¹¹ მაგალითად, გერმანიის სკ-ის 985-ე პარაგრაფის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელისაგან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა.¹² საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით მიუთითა, რომ სავინდიკაციო სარჩელის დაკმაყოფილება ხდება სამი წინაპირობით: 1. არსებობდეს ნივთის მესაკუთრე 2. არსებობდეს მფლობელი 3. მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფლება.¹³ ნივთის განადგურების, გადამუშავების, მოხმარების, ფაქტობრივი მფლობელის მსგავსი ნივთებიდან მისი გამოყოფის შეუძლებლობის ან მესაკუთრისთვის სხვა საფუძველით დაბრუნების შეუძლებლობისას, ვინდიკაციის ნაცვლად ხდება ვალდებულებითსამართლებრივი სარჩელის (დელიქტური ან კონდიქციური) წარდგენა,¹⁴ რადგან ნივთის სუბსტანციის მოსპობისას წყდება საკუთრება და შესაბამისად, მისი სანივთოსამართლებრივი დაცვის სარჩელზე უფლება. მართალია, სამოქალაქო უფლება და კანონით დაცული ინტერესი ხშირად თანხვედრი სამართლებრივი კატეგორიებია, ყოველ უფლებას საფუძველად გარკვეული ინტერესი უდევს, რომლის დასაკმაყოფილებლად ეს უფლება ენიჭება უფლებამოსილს. ამდენად, დაცული ინტერესი ხშირად გაშუალებულია უფლებით და უფლების დაცვა იმავდროულად, კანონით დაცული ინტერესის დაცვაა. ზემოხსენებულ შემთხვევაში, ხორციელდება მხოლოდ ნივთის ყოფილი მესაკუთრის კანონით უზრუნველყოფილი ინტერესის – აღიდგინოს თავისი ქონებრივი მდგომარეობა – დაცვა, რამდენადაც საკუთრების უფლება აღარ არსებობს.¹⁵

სავინდიკაციო სარჩელის შინაარსს შეადგენს უკანონო მფლობელისაგან ნივთის დაბრუნება მესაკუთრისათვის, ანუ მოქმედება, რომლის განხორციელებასაც ითხოვს მოსარჩელე. სარჩელის საგანია მოსარჩელის მიერ მითითებული უფლება, რომელიც ექვემდებარება სასამართლო დაცვას, რომლის ძალითაც პირი ფლობდა ნივთს¹⁶, ხოლო სარჩელის საფუძველია ის იურიდიული ფაქტები, რომელსაც მოსარჩელე უკავშირებს თავის მოთხოვნებს. კერძოდ, ნივთის კანონიერი მფლობელობიდან გამოსვლის გარემოებები, მისი მოპასუხესთან მოხვედრის პირობები, სადავო ნივთის არსებობა ნატურით, მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის ვალდებულებითი ურთიერთობის არარსებობა სადავო ნივთის თაობაზე. ამ სარჩელის წარდგენისას მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს თავისი უფლება გამოთხოვილ ნივთზე ე.ი. მიუთითოს ფლობის სამართლებრივ ტიტულზე. ასევე, მან უნდა ამტკიცოს, რომ მოპასუხის მფლობელობა უკანონოა და არა მხოლოდ მიუთითოს მფლობელობის დაკარგვაზე.¹⁷ სავინდიკაციო სარჩელით სარგებლობენ სხვა ტიტულოვანი მფლობელებიც როგორც მესამე პირთა, ისე მესაკუთრის მიმართ მათთვის ქონების უკანონოდ ჩამორთმევისას.¹⁸

3.2 სავინდიკაციო მოთხოვნა სასარჩელო ხანდაზმულობასთან კავშირში

სარჩელის წარდგენა ხდება სასარჩელო ხანდაზმულობის პერიოდში, ანუ სამოქალაქო უფლების დაცვის ვადაში, როცა უფლებადარღვეულს შეუძლია მოითხოვოს უფლების იძულებით განხორციელება ან უფლების დაცვა.¹⁹ ხანდაზმულობა არის დროის პერიოდი, რომლის გასვლის შემდეგ დგება გარკვეული იურიდიული შედეგები – წარმოშობა ან წყდება სამართლებრივი ურთიერთობა.²⁰ ხანდაზმულობის ვადა უფლების სუბიექტს ატყობინებს, თუ რა ხნის განმავლობაში მისი დარღვეული უფლება კომპეტენტური ორგანოს მხრიდან დაცვაუნარიანი.²¹ პირი, რომელმაც არ წარადგინა დადგენილ დროში სარჩელი თავისი უფლების დასაცავად, კარგავს უფლების დაცვის შესაძლებლობას.²² სასამართლოს უარი სარჩელზე ნიშნავს სარჩელზე უფლების დაკარგვას, ანუ სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვის შესაძლებლობის დაკარგვას. თუმცა, სასამართლო ვალდებულია მიიღოს საქმე განხილვისათვის.²³ ვინდიკაციის დროს ეს ნიშნავს სასამართლოს უარს პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, გადაეცეს მას სადავო ნივთი.²⁴

ამდენად, ხანდაზმულობის გასვლით წყდება სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოს ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება, რაც დროით შეზღუდული არ არის.²⁵ ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით.²⁶ ამასთან, ერთი მოსაზრებით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა წყვეტს მხოლოდ უფლებას სარჩელზე, ანუ მისი იძულებით განხორციელების შესაძლებლობას და არა მატერიალურ უფლებას.²⁷ სხვა მოსაზრებით ვადის გასვლა წყვეტს არა მხოლოდ სარჩელზე უფლებას, არამედ მატერიალურ უფლებასაც.²⁸

4. ნეგატორული სარჩელის არსი

ნეგატორული სარჩელი (*actio negatoria*) მიმართულია უფლების ისეთი დარღვევის წინააღმდეგ, რაც არ არის დაკავშირებული ნივთის მფლობელობის დაკარგვასთან, მაგრამ ხელშემშლელია ნივთით სარგებლობისა და განკარგვისათვის. ე.ი. პირი მოკლებულია ამ უფლებამოსილებათა განხორციელების შესაძლებლობას, რადგან სხვა პირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ხელს უშლის მათ რეალიზებას.²⁹ უკანონო ხელშემშლის აღკვეთის მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია არა მხოლოდ არსებული, არამედ მოსალოდნელი დარღვევის აღსაკვეთად, თუ მოსარჩელე შეძლებს დაამტკიცოს, რომ არსებობს მისი უფლების ხელყოფის რეალური საფრთხე.³⁰ მისი საფუძველია ის გარემოებები, რომლებიც აფუძნებენ მოსარჩელის უფლებას ქონებით სარგებლობისა და განკარგვისას, ასევე ამტკიცებენ, რომ მესამე პირთა მოქმედება აბრკოლებს ამ უფლების განხორციელებას. მოსარჩელეს არ ევალება ამტკიცოს მოპასუხის მოქმედების ან უმოქმედობის არამართლობიერება, ის ივარაუდება, ვიდრე მოპასუხე არ დაამტკიცებს მის მართლობიერებას. ნეგატორული სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს, ვიდრე გრძელდება სამართალდარღვევა და არ არის აღკვეთილი მისი შედეგები. შესაბამისად, ნეგატორული სარჩელი არ

ექვემდებარება ხანდაზმულობას, შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა, თუ როდის დაიწყო საკუთრების უფლების დარღვევა, მთავარია, უფლების ხელშემშლელი გარემოება შენარჩუნებულ იქნეს სარჩელის წარდგენისა და განხილვის მომენტში. ამ სარჩელით ხდება განგრძობადი სამართალდარღვევის აღკვეთა, რომელიც სარჩელის წარდგენის მომენტშიც გრძელდება.³¹

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით სწორად მიუთითა, რომ საკუთრების სარგებლობის ხელშემშლის აღკვეთის მოთხოვნა პირს შეუძლია, ვიდრე არ შეწყდება ამ უფლების ხელყოფა.³² ნეგატორული სარჩელით სარგებლობს როგორც მესაკუთრე, ისე ნებისმიერი მართლზომიერი მფლობელი, ხოლო სერვიტუტის მფლობელს სანივთო სარჩელებიდან მხოლოდ ნეგატორულ სარჩელზე აქვს უფლება, მას შეუძლია მოითხოვოს როგორც სერვიტუტის მიზნების განხორციელებაში ხელშემშლელი გარემოების აღკვეთა, ისე იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მფლობელობის ხელყოფის გამო.³³

5. მოპასუხის უტიტულო მფლობელობა, როგორც ვინდიკაციის უცილო პირობა

5.1. მფლობელობის არამართლზომიერება, როგორც ნორმატიული შეფასება

სავინდიკაციო სარჩელის განხორციელების შედეგები დამოკიდებულია თუ რა სახის არამართლზომიერი მფლობელია მოპასუხე. უკანონო მფლობელობა, რომელიც არა თუ არ ეფუძნება ტიტულს, სამართლებრივ საფუძველს, ან ეს საფუძველი ნაკლის მქონეა, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონს.³⁴

მფლობელობა უკანონოდ ჩაითვლება, თუ მის წარმოშობას საფუძველად იურიდიული ფაქტი არ უდევს. მაგალითად, თუ პირი თვითნებურად, ძალის გამოყენებით ან ნივთის მოპარვის გზით დაეუფლება მას, მფლობელობა იქნება უკანონო, რადგან ის საკუთრებას ან მფლობელობის წარმოშობის კანონიერ საფუძველს არ ემყარება. ამგვარად, უკანონო ხარვეზიანი გარიგებით წარმოშობილი მფლობელობაც. უკანონო მფლობელია არა მხოლოდ ის, ვინც თვითნებურად მიითვისა სხვისი ქონება, არამედ ისიც, ვინც ნივთი მოიპოვა იმ პირისაგან, რომელიც არ იყო უფლებამოსილი მის განკარგვაზე. ამიტომ არაა აუცილებელი მფლობელის მოქმედება იყოს ბრალეული, საკმარისია მფლობელობა იყოს ობიექტურად უკანონო.³⁵

კანონიერი და უკანონო მფლობელობა ობიექტური შეფასების საფუძველზე დგინდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება მფლობელობა კანონის ნებას, მის მოთხოვნას. მართლზომიერი მფლობელობა, რომელიც კანონიერ საფუძველზეა წარმოშობილი, კანონიერია მფლობელი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას.³⁶ ასეთია მესაკუთრის და ყველა სხვა ტიტულოვანი მფლობელის მფლობელობა.³⁷

5.2 კეთილსინდისიერებისა და მართლზომიერების ცნებათა ურთიერთმიმართება

არამართლზომიერი მფლობელობა თავის მხრივ იყოფა კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მფლობელობად. თუმცა, არსებობს კეთილსინდისიერების ფართო გაგება, რომელიც

მოიცავს მართლზომიერ მფლობელობასაც. ამ გაგებით, მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის მფლობელობაც კეთილსინდისიერია.³⁸

საქართველოს სკ-ის 159-ე მუხლში, სადაც მოცემულია კეთილსინდისიერი მფლობელის განმარტება, არეულია კეთილსინდისიერებისა და მართლზომიერების ცნებები. არასწორია დებულება, რომ კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს, რადგან დაუშვებელია მართლზომიერი და კეთილსინდისიერი მფლობელის ერთმანეთთან გაიგივება.³⁹ ცივილისტიკაში ერთხმად არის აღიარებული, რომ კეთილსინდისიერებისა და არაკეთილსინდისიერების საკითხი დგება უკანონო მფლობელობის შემთხვევაში, ისინი სუბიექტური ცნებებია, ხოლო მართლზომიერება – ობიექტური, პირს აქვს ან არ აქვს ფლობის საფუძველი.⁴⁰ ამასთან, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ამ მიდგომით კოდექსი აყალიბებს კეთილსინდისიერების ფართო გაგებას. მაშასადამე, მართლზომიერი მფლობელიც კეთილსინდისიერია, თუმცა ის არაფერს მატებს სამართლებრივი შედეგების კუთხით კანონიერ მფლობელს. უფლებამოსილი პირი არ ითვლება კეთილსინდისიერი მფლობელის ნაირსახეობად, ის მისი საპირისპიროა. ერთმანეთისგან განსხვავდება მფლობელი, რომელსაც ფაქტობრივად აქვს მფლობელობის უფლება (უფლებამოსილი) და მფლობელი, რომელსაც არა აქვს მფლობელობის უფლება, მაგრამ საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემონმებისას შეიძლება უფლებამოსილ პირად იქნეს მიჩნეული, სწორედ მას შეესაბამება კეთილსინდისიერების ცნება.⁴¹ ამ დროს საქმე ეხება შემთხვევებს, როცა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მფლობელსა და სხვა უფლებამოსილ შორის, მაგრამ ის არ არის ნამდვილი, თუმცა, მისი ბათილობა შეუძლებელია ამოცნობილ იქნეს გულმოდგინე შემონმების შედეგად.⁴² არსებობს მოსაზრებაც, რომ საქართველოს სკ-ის 159-ე მუხლში მითითებული „მართლზომიერება“ უნდა გაიგებოდეს არა როგორც რეალურად, ობიექტურად მოცემული ფაქტი, არამედ მფლობელის წარმოდგენაში არსებული მართლზომიერების ფაქტი. შესაბამისად, ნორმის შინაარსში კეთილსინდისიერ მფლობელად უნდა განიმარტოს პირი, რომელიც მისი წარმოდგენით ნივთს ფლობს მართლზომიერად (ბ. ზოიძის მოსაზრება). 159-ე მუხლის ხარვეზი სწორდება 187-ე მუხლის დანაწესით (I ნაწილის მე-2 წინადადება), რომელიც იძლევა კეთილსინდისიერების მართებულ განმარტებას კლასიკური გაგებით. ცნება მოცემულია ნეგატიური ფორმულირებით: კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვილებელი არ იყო მესაკუთრე.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს არაერთგვაროვანი მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით. ზოგჯერ მართლზომიერებისა და კეთილსინდისიერების ცნებები გაიგივებულია, ზოგან კი, განმარტებით არის ხარვეზი აღმოფხვრილი. მაგალითად, ერთგან უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ პირს არ გააჩნდა ქონების ფლობის რაიმე საფუძველი, ამდენად, ის ვერ იქნებოდა ნივთის კეთილსინდისიერი მფლობელი.⁴³ ასევე, სხვაგან სასამართლო კეთილსინდისიერების ცნების ანალიზისას დაეყრდნო 159-ე მუხლს და მიუთითა, რომ კეთილსინდისიერად ითვლება მფლობელობის მართლზომიერი შემძენი.⁴⁴ ცალკეულ შემთხვევაში კი, სასამართლომ გამიჯნა ეს ცნებები და აღნიშნა, რომ პირი არის არა კეთილსინდისიერი, არამედ მართლზომიერი მფლობელი.⁴⁵

5.3. კეთილსინდისიერება სინამდვილის სუბიექტური შეფასების სივრცეში

არამართლზომიერი მფლობელობის კეთილსინდისიერად და არაკეთილსინდისიერად დაყოფის კრიტერიუმია მფლობელის სუბიექტური დამოკიდებულება მფლობელობის შეძენის სამართლებრივი საფუძვლისადმი. სანივთო სამართალში მოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპი სუბიექტური გაგებით, კეთილსინდისიერება ძვეს სუბიექტური შეფასების სივრცეში, მასში ვლინდება მფლობელის დამოკიდებულება სინამდვილისადმი,⁴⁶ რაც პიროვნების მიერ მისგან დამოუკიდებელი ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა-არცოდნასთან, აღქმასთან არის დაკავშირებული, განსხვავებით ვალდებულებით სამართალში მოქმედი კეთილსინდისიერების პრინციპის ობიექტური გაგებისა, რაც პირის ქცევის შეფასებას გულისხმობს ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე.⁴⁷ ეყრდნობა რა კონტრაჰენტის ქცევის სტანდარტს,⁴⁸ კეთილსინდისიერების პრინციპი იცავს მხარეთა სამართლიან მოლოდინს და მათ შორის ურთიერთნდობაზე დამყარებულ თანამშრომლობას.⁴⁹

კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა თავისი ფაქტობრივი ბატონობის უკანონობის შესახებ,⁵⁰ ვინც მის მიერ ნივთის შეძენას მიიჩნევს მართლზომიერად. შეძენის სამართლებრივი საფუძველი არის კეთილი რწმენის მტკიცებულება, ის ემსახურება ბონა ფიდეს-ის გამართლებას,⁵¹ ამიტომ მფლობელის შეცდომა საპატივებელია. არაზედაპირული წარმოდგენა ანიჭებს მფლობელს კეთილსინდისიერების ხარისხს, არამედ საჭიროა მისი მფლობელობა მოპოვებული იყოს წინდახედულად, ხოლო ის, ვინც არასაპატიო შეცდომის შედეგად დარწმუნდება თავის სიმართლეში, ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერად. მხოლოდ გონივრული მოლოდინის განზილება გამოიწვევს სამართლებრივ შედეგებს.⁵² კეთილსინდისიერი მფლობელი არ უნდა იქნეს განხილული სხვისი უფლების ხელმყოფად, რადგან მის მოქმედებაში არ არის ბრალი.⁵³

გერმანიის სკ-ში კეთილსინდისიერების ცნება მოცემულია ნეგატიური ფორმულირებით: შემძენი არ არის კეთილსინდისიერი, თუ მან იცის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად არ იცის, რომ ნივთი გამსხვისებელს არ ეკუთვნის (932-ე პარაგრაფის II ნაწილი).⁵⁴ უძრავ ნივთთან მიმართებით შემძენის კეთილსინდისიერება არ არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ შემძენმა პოზიტიურად იცის, რომ ნივთი ეკუთვნის მესამე პირს და არა გამსხვისებელს. ის ვინც იძენს მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას, მისთვის საადგილმამულო წიგნში ჩანანერი განიხილება სწორად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს შესაგებელი ამ ჩანანერის ნამდვილობის შესახებ ან შემძენისათვის ცნობილია ჩანანერის უზუსტობა.⁵⁵

რფსკ-ის 302-ე მუხლის მიხედვით, მფლობელი ითვლება კეთილსინდისიერად, თუ ნივთის შეძენისას მან არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო უფლებამოსილი მის გასხვისებაზე.⁵⁶ არაკეთილსინდისიერია მფლობელი, ვინც იცის ან გარემოების ძალით უნდა იცოდეს, რომ არა აქვს ნივთის ფლობის უფლება, რადგან განახორციელა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან იცის, რომ ნივთი შეიძინა გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირისაგან.⁵⁷ ჰოლანდიის სკ-ის მიხედვით, პირი არ მიიჩნევა კეთილსინდისიერად, თუ ის ფლობდა

ინფორმაციას ფაქტის ან უფლების შესახებ, რომელთა მიმართაც დადგა მისი კეთილსინდისიერების საკითხი.⁵⁸ არაკეთილსინდისიერად მიიჩნევა ის, ვისთვისაც ცნობილია გარემოებები, რომლებიც სალად მოაზროვნე პირს გარიგების მიმართ ეჭვს აღუძრავდა.⁵⁹ პირის არაკეთილსინდისიერ მფლობელად შეფასებისას ეჭვი უნდა იყოს გონივრული ე.ი. უნდა არსებობდეს იმგვარი ფაქტები და ინფორმაცია, რაც ობიექტურად აკავშირებს არამართლზომიერ მფლობელს სამართალდარღვევასთან.⁶⁰ მფლობელის არაკეთილსინდისიერად ცნობისთვის არ არის საკმარისი მარტივი გაუფრთხილებლობა, ის არ ვნებს კეთილსინდისიერებას, საჭიროა განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა.⁶¹ რუს ცივილისტთა ერთი ნაწილი მარტივ გაუფრთხილებლობას არაკეთილსინდისიერების ნიშნად მოიაზრებს (Петражицкий, Амфитеатров, Белов) ხოლო მეორე ნაწილი ასეთ ნიშნად მხოლოდ განზრახვასა და უხეშ გაუფრთხილებლობას მიიჩნევს (Толстой, Ровний, Черепакин).⁶²

6. მესაკუთრისა და არამართლზომიერ მფლობელთა ურთიერთმომთხოვნები ვინდიკაციისას

6.1. ნივთისა და ნაყოფის დაბრუნების ვალდებულება

სავინდიკაციო სარჩელით ნივთის დაბრუნება ყოველთვის ხორციელდება არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან, მიუხედავად ნივთის კანონიერი მფლობელობიდან გამოსვლის გზისა (ნებით თუ ნების წინააღმდეგ) და შეძენის ხასიათისა (სასყიდლით თუ უსასყიდლოდ), ხოლო კეთილსინდისიერი მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვა სწორედ აღნიშნულ გარემოებაზეა დამოკიდებული. მესაკუთრეს შეუძლია კეთილსინდისიერი მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვა, თუ ნივთი გავიდა მისი მფლობელობიდან ნების წინააღმდეგ (დაკარგა, მოპარეს ან სხვა გზით) მიუხედავად შეძენის ხასიათისა, ხოლო მისი ნებით გასვლისას, მხოლოდ მაშინ, თუ შეძენა მოხდა უსასყიდლოდ (ჩუქება, მემკვიდრეობა).⁶³

ფრანგული სამართლის მიხედვით, თუ ნივთი დაკარგული ან მოპარული იქნება, მესაკუთრეს შეუძლია ნივთის გამოთხოვა ნებისმიერი სახის უკანონო მფლობელისგან 3 წლის განმავლობაში ნივთის დაკარგვის ან მოპარვის დღიდან. თუ ნივთი შემძენმა შეიძინა ბაზარზე ან აუქციონზე, ან იმ პირისაგან, ვინც ყიდის ანალოგიურ ნივთებს, მესაკუთრეს შეუძლია ნივთის დაბრუნება მხოლოდ შემძენისათვის იმ საფასურის გადახდის შემდეგ, რაც მან შეძენისას გადაიხადა (2280-ე მუხლი).⁶⁴

ნებისმიერი უკანონო მფლობელი ვალდებულია ვინდიკაციისას დააბრუნოს როგორც ნივთი, ისე მიღებული ან ბრალეულად მიუღებელი ნაყოფის ღირებულება. ამასთან, არაკეთილსინდისიერი მფლობელი ვალდებულია დააბრუნოს მთელი მფლობელობის მანძილზე მიღებული, ასევე მოხმარებული ან ბრალეულად მიუღებელი ნაყოფის ღირებულება. ხოლო კეთილსინდისიერი მფლობელი ვალდებულია ნაყოფის დაბრუნებაზე იმ მომენტიდან, როცა შეიტყო ან უნდა შეეტყო მფლობელობის უკანონობის შესახებ ან მიიღო უწყება მესაკუთრის მიერ წარდგენილ სარჩელზე. ის უფლებამოსილია ისარგებლოს ნაყოფით, ვიდრე უფლებამოსილი პირი არ გამოიყენებს თავის

უფლებას ვინდიკაციაზე. კეთილსინდისიერ მფლობელს ეკუთვნის ის ნაყოფი, რაც მან მიიღო, ვიდრე გაიგებდა თავისი მფლობელობის უკანონობის შესახებ, რადგან დარწმუნებულია მის მხარეზე საკუთრების უფლების არსებობაში. საკითხის ასეთი გადანყვეტა განპირობებულია იმით, რომ ნაყოფი, სამეურნეო სიკეთე ნორმალური მეურნეობის თვალსაზრისით გათვლილია თავისუფალი მოხმარებისათვის. მისი კეთილსინდისიერი მფლობელისათვის ჩამორთმევა გამოიწვევს მისი მეურნეობის დარღვევას. ეს ნაყოფი მცდარი სამეურნეო გეგმის გზით უკვე შევიდა მფლობელის მეურნეობის შემადგენლობაში და მყისიერად მისი ამოღება საზოგადოებრივი თვალსაზრისითაც საზიანო იქნება.⁶⁵

არაკეთილსინდისიერი მფლობელი პასუხს აგებს მესაკუთრის წინაშე ნივთის დაკარგვის ან დაზიანებისათვის არა მხოლოდ ბრალის არსებობის, ასევე ნივთის შემთხვევით დაღუპვისა და დაზიანების დროსაც. კეთილსინდისიერი მფლობელი მისთვის სარჩელის წარდგენამდე არ აგებს პასუხს ნივთის დაკარგვის ან დაზიანებისათვის.⁶⁶

6.2. განუული ხარჯების სამართლებრივი შეფასება

არამართლზომიერ მფლობელს თავის მხრივ, შეუძლია მოსთხოვოს მესაკუთრეს ან სხვა უფლებამოსილ პირს ნივთის შენახვისა და გაუმჯობესებაზე განუული ხარჯების ანაზღაურება იმ დროდან, როცა მესაკუთრეს მიეთვლება ნივთიდან შემოსავალი, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება მესაკუთრის უსაფუძვლო გამდიდრებას. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებაა, თუ ხარჯები არ არის კომპენსირებული ნივთით სარგებლობით და მიღებული ნაყოფით. რაც შეეხება გაუმჯობესებას, ანუ ისეთ ხარჯებს, რაც არ არის დაკავშირებული ნივთის შენახვის აუცილებლობასთან, მაგრამ აქვს საფუძვლიანი, სასარგებლო ხასიათი, რადგან ნივთის მოხმარებად თვისებას ამაღლებს, მის ღირებულებას ზრდის, ანაზღაურდება ის, რომლის შედეგადაც გაიზარდა ნივთის ღირებულება და აღნიშნული მესაკუთრისათვის დაბრუნებისას ისევე სახეზეა. ამასთან, ანაზღაურდება მხოლოდ ის გაუმჯობესება, რომლის გამოცალკეებაც ნივთისაგან შეუძლებელია ან შესაძლოა, მაგრამ მას დამოუკიდებლად, მფლობელისათვის, არა აქვს მნიშვნელობა. გამოყოფადი გაუმჯობესება შეიძლება დაიტოვოს უკანონო მფლობელმა.⁶⁷

გერმანული სანივთო სამართალი განასხვავებს ერთმანეთისაგან სავალდებულო ხარჯებს (ჩვეულებრივი და განსაკუთრებული ხარჯები) და სხვა ხარჯებს, რომლებმაც გამოიწვიეს ნივთის ღირებულების გაზრდა მესაკუთრის სასარგებლოდ. არაკეთილსინდისიერი მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს მესაკუთრისაგან მხოლოდ სავალდებულო ხარჯების ანაზღაურება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების მიხედვით, თუ ეს ხარჯები შეესაბამება მესაკუთრის ნამდვილ ან სავარაუდო ნებას, მის ინტერესებს ან მესაკუთრე გამდიდრდა მათ ხარჯზე. აუცილებელია ხარჯი, რომელიც განუულია ქონების ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით (მაგალითად, მიმდინარე რემონტი). კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო ხარჯების ანაზღაურება, რადგან ნივთით სარგებლობიდან მიღებული შემოსავალი ეკუთვნის მფლობელს.⁶⁸

ზემოხსენებულის გარდა, არსებობს ე.წ. ფუფუნებაზე განეული ხარჯებიც, რაც გულისხმობს მფლობელის მიერ თვითნებურად განეულ ხარჯებს, რომლებიც უკანონო მფლობელს არ აუნაზღაურდება თუ ამ გზით მიღებული ნივთი გამოუცალკევებადია. წინააღმდეგ შემთხვევაში მფლობელს აქვს ნივთის დატოვების უფლება.⁶⁹

სავინდიკაციო სარჩელის საფუძველზე კეთილსინდისიერი შემძენისათვის, რომელმაც ნივთი სასყიდლით შეიძინა, ნივთის მფლობელობის ჩამორთმევა, ანუ ევიკცია არის შედეგი გამყიდველის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისა – გადასცეს შემძენს მესამე პირთა უფლებებისაგან თავისუფალი, ანუ უფლებრივად უნაკლო ნივთი და ამით უზრუნველყოს შემძენის მხრიდან ნივთის მშვიდი მფლობელობა.⁷⁰

გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს ნაყიდ ნივთზე საკუთრების უფლება სრული მოცულობით იმისათვის, რომ მყიდველმა ნაყიდი ნივთის მიმართ განახორციელოს მესაკუთრის ყველა უფლებამოსილება რაიმე შეზღუდვის გარეშე. უფლებრივ, ანუ იურიდიულ ნაკლად ითვლება, თუ მესამე პირს შეუძლია მყიდველს განუცხადოს პრეტენზია ნაყიდ ნივთზე თავისი უფლების გამო, ანუ გაყიდული ნივთი ეკუთვნის არა გამყიდველს, არამედ მესამე პირს. ამიტომ მას შეუძლია გამოითხოვოს ნივთი შემძენისაგან, ე.ი. მოახდინოს მისი ევიკცია გამყიდველსა და მყიდველს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველზე. სხვისი ნივთის გამყიდველმა უნდა აუნაზღაუროს მყიდველს ნივთის გამოთხოვის შედეგად მიყენებული ზიანი.⁷¹

შემძენს ევალება ქონებაზე მესამე პირთა პრეტენზიების შესახებ აცნობოს გამყიდველს და მოითხოვოს მისი ჩართვა პროცესში, წინააღმდეგ შემთხვევაში გამყიდველი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ მისი მონაწილეობა პროცესში და მის მიერ მტკიცებულებების წარდგენა ხელს შეუშლიდა ნივთის მფლობელობის ჩამორთმევას შემძენისათვის.⁷² სხვა შემთხვევაში მფლობელს, რომელიც აბრუნებს ვინდიცირებულ ნივთს, შეუძლია გამყიდველისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.⁷³

7. ვინდიკაციის შეზღუდვის წესი – გერმანული ჩვეულებითი სამართლის მიღწევა

7.1. რომაული აქსიომის უარყოფა

სავინდიკაციო სარჩელის განხორციელება, ის რომ უკანონო მფლობელს ჩამოერთმევა ნივთი, განპირობებულია ჯერ კიდევ, რომის სამართლიდან მომდინარე პრინციპით: არავის არ შეუძლია სხვას გადასცეს იმაზე მეტი უფლება, ვიდრე თავად აქვს,⁷⁴ ანუ გამსხვისებელს უნდა ჰქონდეს საკუთრების უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მას ვერ გადასცემს შემძენს. შესაბამისად, შემძენი ხდება მესაკუთრე, თუ გამსხვისებელი იყო მესაკუთრე ან მის მიერ ნივთის გასხვისების უფლებით აღჭურვილი პირი.⁷⁵ აღნიშნული ე.წ. მკაცრი ვინდიკაციის პრინციპისაგან განსხვავებით, ძველ გერმანულ სამართალში დამკვიდრდა პრინციპი, რომელიც დღემდე მოქმედებს კონტინენტური ევროპის სამოქალაქო სამართალში და ვინდიკაციის შეზღუდვის წესი ეწოდება. ამ გერმანული ჩვეულებითი სამართლის მიღწევის⁷⁶ თანახმად, მესაკუთრის ვინდიკაციის უფლე-

ბა იზღუდება და შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე, თუ ნივთი ტიტულოვანი მფლობელის ხელიდან გადის ნებით (თხოვების, მიბარების, ქირავნობის, იჯარის, პირობადებული საკუთრების უფლებით და სხვა საფუძვლით) და შემდეგ არაუფლებამოსილი პირის მიერ სასყიდლით ხდება გასხვისება კეთილსინდისიერ შემძენზე.⁷⁷ ნივთის კანონიერი მფლობელობიდან მისი ნების წინააღმდეგ გამოსვლის დროს ან უსასყიდლოდ შეძენისას კანონი მესაკუთრის მხარეზეა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთან მიმართებით მის ინტერესს ანიჭებს პრიორიტეტს, რადგან მესაკუთრის ნება არ მონაწილეობს მისი მფლობელობის დაკარგვაში, ხოლო უსასყიდლო შეძენისას შემძენისთვის ნივთის ჩამორთმევით ის არ განიცდის ქონებრივ ზიანს. მესაკუთრეს, რომელიც კარგავს ნივთს, ადგება დადებითი ზიანი, ხოლო კეთილსინდისიერი შემძენი, რომელმაც ნივთი უსასყიდლოდ მიიღო, მხოლოდ სარგებელს კარგავს.⁷⁸ აღნიშნულისაგან განსხვავებით, ვინდიკაციის შეზღუდვის წესის დროს, კანონი უპირატესობას კეთილსინდისიერ შემძენს ანიჭებს.

7.2. ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედების ფარგლები

ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედება დაკავშირებულია მთელ რიგ გარემოებებთან: 1. შემძენი კეთილსინდისიერია – გულისხმობს გამსხვისებლის კეთილსინდისიერებას, როგორც მესაკუთრის სტატუსთან მიმართებით.⁷⁹ აღნიშნული მოძრავ ნივთთან დაკავშირებით საჭიროებს ნივთის ფლობას გამსხვისებლის მხრიდან, ხოლო უძრავთან მისი, როგორც მესაკუთრის დაფიქსირებას საჯარო რეესტრში; 2. ნივთის გამსხვისებელსა და შემძენს შორის დადებულია გარიგება, რომელიც მიმართულია საკუთრების უფლების გადაცემისკენ; 3. გარიგება სასყიდლიანია; 4. შემძენს ფაქტობრივად გადაცემული აქვს ნივთი, რომელიც არ არის ბრუნვიდან ამოღებული ან ბრუნვაში შეზღუდული; 5. ნივთი გამოსულია მართლზომიერი მფლობელის ხელიდან მისი ნებით.⁸⁰

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის დოქტრინისაგან განსხვავებით, რომელიც აღიარებს ვინდიკაციის შეზღუდვის წესს, მკაფიოდ და ნათლად ვერ ასახავს მას. კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ეხება საკუთრების უფლების მოპოვებას ან შეწყვეტას, არ მიუთითებენ კეთილსინდისიერი შემძენის მიერ საკუთრების უფლების მოპოვებაზე და მესაკუთრის უფლების შეწყვეტაზე, მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნებით გასული ნივთის სასყიდლით შეძენისას კეთილსინდისიერი შემძენის მიერ არაუფლებამოსილი პირისაგან.⁸¹ რაც შეეხება დოქტრინას, მეცნიერთა ერთი ნაწილი უთითებს იმ ნივთის განუსაზღვრელ სამართლებრივ რეჟიმზე, რომელიც არ შეიძლება შემძენისაგან იყოს გამოთხოვილი, რამეთუ შემძენის მესაკუთრედ აღიარების გარეშე მისი მფლობელობა მოკლებულია მატერიალურსამართლებრივ საფუძველს. მის მიერ დადებული გარიგებები ასეთივე მფლობელობას გადაიტანს მომდევნო შემძენზე და გაგრძელდება მათი განუსაზღვრელი სამართლებრივი მდგომარეობა.⁸² მეორე ნაწილი კი, კეთილსინდისიერ შემძენს ადარებს რომაულ ბონიტარულ მესაკუთრეს, რადგან მას აქვს მფლობელობაზე ძლიერი, მაგრამ საკუთრებაზე სუსტი უფლება.⁸³

ვინდიკაციის შეზღუდვის წესს აღიარებს რუსეთის საარბიტრაჟო სასამართლოც. მის პრაქტიკაში დამკვიდრდა წესი, რომლის თანახმად, მესაკუთრეს უარი უნდა ეთქვას სავინდიკაციო

სარჩელის დაკმაყოფილებაზე, თუ კეთილსინდისიერმა შემძენმა გასხვისებაზე არაუფლებამოსილისაგან შეიძინა მესაკუთრის მფლობელობიდან ნებით გასული ნივთი.⁸⁴

სადავოა საკითხი, მოქმედებს თუ არა ვინდიკაციის შეზღუდვისას შეძენითი ხანდაზმულობა ე.წ. მყისიერი ხანდაზმულობის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ დამკვიდრებული შეხედულებით შეძენითი ხანდაზმულობა ვადის გასვლის გარეშე არ მოიაზრება.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესი ვინდიკაციის შეზღუდვის წესის შესახებ (სინამდვილე და რეკომენდაციები)

საქართველოს სკ-ის 187-ე მუხლის არა სიტყვასიტყვითი, არამედ გონივრული განმარტების შედეგად იკვეთება გარემოება, რომ ის მოიცავს ვინდიკაციის შეზღუდვის წესს. თუმცა, ნორმა ხარვეზულია და შესწორებას საჭიროებს. თუ დამოუკიდებლად იქნება გააზრებული ამ მუხლის I ნაწილის პირველი წინადადება: შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია, მაშინ ნებისმიერი ბათილი განკარგვა გამსხვისებლის არაუფლებამოსილების გამო, ნამდვილი იქნება და კეთილსინდისიერი შემძენი ყოველთვის შეიძენს საკუთრებას, ანუ ვინდიკაციაზე უფლება არ იარსებებს. თუმცა, არსებობს მეორე ნაწილი, რომლის ფუნქციაა დააკონკრეტოს, თუ რა გარემოებების არსებობისას ხდება ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი მესაკუთრე და როდის არ დადგება ეს შედეგი. ამასთან, 187-ე მუხლის II ნაწილის ფორმულირება არასწორია, მასში უარყოფილია კეთილსინდისიერების სანივთოსამართლებრივი არსი, რაც გულისხმობს პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას ნივთის შეძენის სამართლებრივი საფუძვლისადმი, რაც იმავე მუხლის I ნაწილის მეორე წინადადებით სწორად არის გადმოცემული. კერძოდ, მცდარ ფორმულირებაში კეთილსინდისიერების არსებობა დამოკიდებულია მესაკუთრის მფლობელობიდან ნივთის გამოსვლის წესზე. კონტინენტური ევროპის სამოქალაქოსამართლებრივი დოქტრინისა და პოზიტიური სამართლის თანახმად, სავინდიკაციო სარჩელის მოქმედების ფარგლების გათვალისწინებით, წინამდებარე მუხლის II ნაწილი შემდეგი სახით უნდა ჩამოყალიბდეს: მოძრავი ნივთების კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება მესაკუთრე, თუ მესაკუთრემ ეს ნივთები დაკარგა, მოპარეს ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან ან შემძენმა ისინი უსასყიდლოდ მიიღო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ წინამდებარე ნორმა სწორად განმარტა და მიუთითა, რომ თუ ნივთი მესაკუთრის ხელიდან მისი ნების გარეშე გამოვიდა, ახალი მფლობელი ვალდებულია ნივთი დაუბრუნოს მესაკუთრეს.⁸⁵

ზემოხსენებული მუხლი არსად არ მიუთითებს ვინდიკაციის შეზღუდვის წესის არსებობის პირობებზე, თუმცა, აღნიშნული განსაზღვრულია ქართულ ცივილისტურ დოქტრინაში, კერძოდ, მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნებით ნივთის გამოსვლა, ნივთის შეძენა კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ, სასყიდლით შეძენა, მაგრამ აღნიშნული მუხლის II ნაწილის ფორმულირების მიღმა ლოგიკურად, სწორედ ეს გარემოებები მოიაზრება. შესაბამისად, 187-ე მუხლის I ნაწილის პირველი წინადადება შესაძლოა ასე ჩამოყალიბდეს: მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნებით

გასული ნივთის გასხვისებისას, როცა გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, ნივთის სასყიდლით შეძენისას შემძენი ხდება მესაკუთრე, თუ ამ ფაქტის მიმართ ის კეთილსინდისიერია.

საქართველოს სკ-ის ამა თუ იმ სადავო ნორმის ხელახალ ჩამოყალიბებამდე, სასურველია, სამართალშემფარდებელმა გამოიყენოს განმარტების ის მეთოდი, რომელიც ყველაზე ნათლად და ობიექტურად ხსნის როგორც ნორმის არსს, ისე მისი მოქმედების ფარგლებს. მან უნდა შეძლოს გარკვევა როგორც კანონში ჩადებული კანონმდებლის, ისე თავად კანონის ნებისა, რომელიც მისი გამოყენების პროცესში ვლინდება. კანონი არ არის უცვლელი ფასეულობა, ის ცოცხალი ორგანიზმია, რომლის ნებაც სხვადასხვა ცხოვრებისეული შემთხვევების მონესრიგების პროცესში ვლინდება და იხვეწება. ამდენად, უნდა დადგინდეს არა მარტო კანონმდებლის აზრი, არამედ ის აზრიც, რისი პრეტენზიაც შეიძლება ჰქონდეს სადავო ნორმას.⁸⁶

8. თეორიები ვინდიკაციის შეზღუდვის წესის შესახებ

ვინდიკაციის შეზღუდვის წესი თავდაპირველად სავაჭრო სამართალში ჩამოყალიბდა, სადაც ბრუნვის ინტერესებმა ადრევე მოითხოვა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვა. ცივილისტურ დოქტრინაში არსებობს რამდენიმე თეორია, რომელიც ხსნის ამ წესის მოქმედებას.

8.1. „მესაკუთრის ბრალის“ თეორია

წინამდებარე თეორიის მიხედვით, ნივთის არამართლზომიერ გასხვისებაში თავად მესაკუთრეა ბრალეული, რადგან მას ეკისრებოდა ვალდებულება გულისხმიერად შეერჩია თავისი კონტრაქტენტი, მან ხომ თავისი ნებით მიანდო არასაიმედო პარტნიორს ნივთი, შესაბამისად, უარყოფით შედეგებზეც ის უნდა იყოს პასუხისმგებელი.⁸⁷ საპირისპირო მოსაზრებით, მესაკუთრეს ყოველთვის ვერ დაედება ბრალი უყურადღებობაში, მესაკუთრე ნივთის დროებით მფლობელობაში გადაცემის ხელშეკრულების დადებისას შეიძლება უფრო წინდახედულად მოქმედებდეს, ვიდრე საკუთრივ ნივთის შეძენისას. ხოლო ვარაუდი მესაკუთრის ბრალის შესახებ, თავისი არსით ნიშნავს მესაკუთრის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას თავისი თავის მიმართ, რაც დაუშვებელია.⁸⁸

8.2. „მოჩვენებითი უფლების“ თეორია

ეს თეორია ემყარება უფლების გარეგნულ ხედვას, ანუ თუ ნივთი იმყოფება არამესაკუთრის ფაქტობრივ მფლობელობაში, ეს ქმნის მფლობელის მესაკუთრედ ყოფნის მოჩვენებითობას. მესამე პირებისათვის ის მიიჩნევა მესაკუთრედ, რამეთუ მათთვის უფლების ხარვეზი ამოუცნობია. საქონელბრუნვის უსაფრთხოება მოითხოვს, რომ არსებობდეს ნდობა გარეგნული ფაქტობრივი მდგომარეობისადმი. გარეგნულ სიცხადეში გამსხვისებელის მფლობელობა იგულისხმება, ამდენად, საკუთრება შეიძლება შეძენილ იქნეს ასევე, იმ პირისაგან, რომელიც ქმნის უფლების

არსებობის მოჩვენებითობას. ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომელიც აფართოებს ვინდიკაციის შეზღუდვის წესის გამოყენების შემთხვევებს და მიუთითებს, რომ საკუთრების კეთილსინდისიერი შექმნა დასაშვებია უნდა იყოს ნებისმიერი სახის მფლობელისაგან, რადგან უფლების მოჩვენებითობა შეიძლება არსებობდეს ნაქურდალი ნივთის გამყიდველის მხარეზეც (Кобан А.)⁸⁹

8.3. „უმცირესი ბოროტების“ თეორია

აღნიშნული თეორიით კეთილსინდისიერი შემძენისა და მესაკუთრის ინტერესთა კოლიზიის დროს, საკითხი წყდება იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც აქვს ნაკლები შესაძლებლობა დაიცვას საკუთარი ინტერესები, თუ საკითხი ნივთის ჩამორთმევის თაობაზე გადაწყდება მის წინააღმდეგ. კანონმდებელი უარს ეუბნება რა მესაკუთრეს ვინდიკაციაზე, ითვალისწინებს, რომ მესაკუთრემ, როგორც წესი იცის ის პირი, რომელსაც გადასცა ქონება და აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს მისგან ზიანის ანაზღაურება (სახელშეკრულებო, დელიქტური თუ კონდიქციური სარჩელით). ამ ვითარებაში, კეთილსინდისიერი შემძენისათვის ნივთის ჩამორთმევისას, ის გაცილებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან ნაკლებად იცის თუ ვისგან იყიდა ნივთი და ნაკლები შესაძლებლობა აქვს მოითხოვოს მისგან ზიანის ანაზღაურება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. სხვა მდგომარეობაა მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების წინააღმდეგ ნივთის გამოსვლისას. ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის თვალსაზრისით, უკეთეს მდგომარეობაში კეთილსინდისიერი შემძენია. მესაკუთრისაგან განსხვავებით, რომელსაც ამ სიტუაციაში საერთოდ არ ჰყავს კონტრაჰენტი, მას აქვს წარმოდგენა გამყიდველზე. ამიტომ, მესაკუთრეს უბრუნდება ნივთი, ხოლო კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია მოსთხოვოს გამსხვიებულს ზიანის ანაზღაურება ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული, უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ევიკციისათვის.

9. სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოება, როგორც სოციალური სიკეთე საკუთრების უფლების პირისპირ

9.1. ვინდიკაციის შეზღუდვის წესი – „სავაჭრო სულის“ გამარჯვება სანივთო სამართალზე

ვინდიკაციას შეზღუდვის წესმა ასახვა ჰპოვა გერმანიის სკ-ში სოციალ-დემოკრატი ანტონ მენგერის კრიტიკის მიუხედავად, რომელიც მასში ხედავდა საკუთრების მუდმივ, ფართო მასშტაბის ექსპროპრიაციას სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, აფასებდა მას, როგორც სავაჭრო სულის გამარჯვებას სანივთო სამართალზე.⁹⁰ ვინდიკაციის შეზღუდვის წესი მოიცავს საშიშროებას ქონების ჩამორთმევისა არაბრალეული მესაკუთრისათვის და საპირისპიროდ, იქმნება საფუძველი სხვა პირის შემთხვევით გამდიდრებისათვის. ერთი მხრივ, მარტივდება ფასეულობათა ბრუნვა, მაგრამ ხდება საკუთრების მნიშვნელობის დაკნინება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისათვის.⁹¹ საკუთრების უფლების დაცვა და ბრუნვის უზრუნ-

ველყოფა ურთიერთსანინაალმდეგო მოვლენებია, რომელთაგან ხშირად თითოეული მიიღწევა მეორის ხარჯზე.

უფლების უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ პირის ნების გარეშე არ მოხდეს არსებული ქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობის შეცლა, ხოლო ბრუნვის უზრუნველყოფა კი, ნიშნავს, რომ არსებული ქონებრივი ურთიერთობების სასიკეთო ცვლილებები არ შეწყდეს პირისათვის უცნობი გარემოებების წყალობით (პეტრაჟიცი).⁹²

თუ სავაჭრო სამართალში კეთილსინდისიერი შემძენის უპირატესობა მესაკუთრესთან მიმართებით კიდევ დასაშვებია, რადგან მას საქმე აქვს მოხმარებად ახალ ნივთებთან, რომლებიც ჯერ კიდევ, არ იყვნენ პირის სარგებლობაში, სამოქალაქო ბრუნვაში ნივთები არც თუ იშვიათად წარმოადგენენ სუბიექტურად ფასეულს და მესაკუთრისათვის მისი გამოთხოვის უფლების შეზღუდვა უსამართლობაა. აღნიშნული ადამიანის გრძნობათა ხელყოფაა ფულადი ინტერესების სასარგებლოდ,⁹³ ამ წესის დროს ხდება საკუთრების უფლების უსაფუძვლოდ შეძენის ლეგიტიმაცია სამართლებრივად ისეთ ხარვეზიან ფაქტებზე დაყრდნობით, როგორცაა ბათილი გარიგება.⁹⁴ ვინდუკაციის შეზღუდვის წესი იყო გერმანელი კრიმინალისტიკის ბინდინგის კრიტიკის საგანიც, რადგან ის ეწინააღმდეგება სამართლიანობას, კეთილსინდისიერი შემძენისათვის უპირატესობის მინიჭებით მესაკუთრესთან შედარებით, რომელიც ასევე, კეთილსინდისიერი შემძენი იყო და უფრო ადრინდელი.⁹⁵

კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვას საფუძვლად უდევს არა იმდენად სამართლიანობის პრინციპი, არამედ საქონელბრუნვის ინტერესი, მისი გამყარების აუცილებლობა.⁹⁶ გახშირებული სასაქონლო ურთიერთობისას შემძენს სათანადო გულისხმიერების და წინდახედულობის გამოჩენის დროსაც შესაძლოა ვერ დაედგინა გამყიდველის უფლებამოსილება გასაყიდ ნივთზე. ამ წესის დაშვების გარეშე შემძენი ვერასდროს იქნებოდა დარწმუნებული, რომ გახდა მესაკუთრე და არ გამოჩნდებოდა სხვა პირი, რომელიც იმავე ნივთზე დაამტკიცებდა თავის საკუთრებას და ჩამოართმევდა. ვიდრე უკანონო მფლობელი არ მოიპოვებს საკუთრებას, მას არ შეუძლია ნივთის გასხვისება. ამით, ნივთი ხანგრძლივი დროით ბრუნვიდან ვარდება. სწორედ ბრუნვის ინტერესები აიძულებენ ნივთის დაბრუნებას ბრუნვაში უკანონო მფლობელისათვის საკუთრების მიკუთვნებით.⁹⁷

9.2. მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია – კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის ბერკეტი

მოძრავი ნივთების შემძენის მხრიდან გამსხვისებლის მხარეზე საკუთრების ტიტულის არსებობისადმი მინდობილ დამოკიდებულებას აფუძნებს წინარესამართლის პირობებში ჩამოყალიბებული და დღეს პოზიტიური სამართლით განმტკიცებული მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია: ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი მისი მესაკუთრეა. მფლობელობა არა მარტო თავდაპირველად შეიქმნა საკუთრების წარმოშობის წყაროდ, არამედ სამოქალაქო ბრუნვაში წესისამებრ, მფლობელი ნივთის მესაკუთრეს წარმოადგენს. ამ სამართლებრივ ვარაუდს ამაგრებს მოძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობის წესი, რაც გულისხმობს ნივთის შემძენის

მფლობელობაში გადაცემას. პრეზუმფცია იმ შემთხვევებს ასახავს, როცა ბრუნვის მონაწილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან არსებული უფლება. სამართლებრივი წესრიგი მოითხოვს, რომ შემძენი დაეყრდნოს მფლობელის კეთილსინდისიერებას და ის მიიღოს, როგორც ნივთის მესაკუთრე. შემძენს თუ არა კონტრაქტის კეთილსინდისიერებისადმი ნდობა, სხვა სამართლებრივი გზა მისი მესაკუთრეობის შემონახვის არ გააჩნია. ბრუნვის მონაწილეთა ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ხელს უწყობს ბრუნვის სიმყარესა და სიმართლეს. ამ პრეზუმფციის უფლებელყოფისას გამყიდველი ვალდებული იქნებოდა ემტკიცებინა საკუთრების უფლების არსებობა ნივთზე, მიუხედავად მისი ღირებულებისა,⁹⁸ რაც თავისთავად სირთულეს ქმნის, რადგან მოძრავ ნივთზე უფლება ყოველთვის არ მოითხოვს სათანადო საბუთში გაფორმებული სახით არსებობას.

შემძენთა მხრიდან შეძენის სამართლებრივი ტიტულის მიმართ ურწმუნოების აღძვრა ბრუნვაში არ არის სამართლის პოლიტიკის მიზანი.⁹⁹ ამ წესის არსებობას ხსნის სამოქალაქო ბრუნვის გამარტივების ცდა, შემძენი ნაკლებად უნდა იყოს დატვირთული გამსხვივების ტიტულის შემონახვით, ხოლო მესაკუთრემ უნდა გამოავლინოს მაქსიმალური ყურადღება საკუთარი ქონებისა და კონტრაქტების მიმართ.¹⁰⁰ სამართალს სჭირდება უფრო მოქნილი, კომპრომისული კონსტრუქცია, ვიდრე შეუზღუდავი ვინდიკაცია. წმინდა დოქტრინალური იდეალების დაცვა ყოველთვის არ შეესაბამება ცხოვრებისეულ მოთხოვნებს. თანამედროვე კანონმდებლობა აბალანსებს სამოქალაქო სამართლის სუბიექტების ინტერესებს ვინდიკაციის შეზღუდვის პრინციპის განმტკიცებით.¹⁰¹

9.3. განსაკუთრებული ბრუნვაუნარიანობის ნივთები ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედების არეალში

ვინდიკაციის შეზღუდვის წესი მოქმედებს ასევე ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და საჯარო ვაჭრობის წესით შეძენილი ნივთების მიმართ, მიუხედავად კეთილსინდისიერი შემძენის მიერ შეძენის ხასიათისა და მესაკუთრის მფლობელობიდან ნივთის გასვლის წესისა. ეს ნივთები განსაკუთრებული ბრუნვაუნარიანობით ხასიათდებიან და ამასთან, ძნელია მესაკუთრემ პრაქტიკულად მოახდინოს მათი ინდივიდუალიზაცია, ამიტომ ამ ნივთების მიმართ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მაღალი ნდობა ბრუნვის მონაწილეთა მხრიდან.¹⁰² ამასთან, საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის დაკარგვისას, მათ ყოველ მფლობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს დაკარგული ფასიანი ქაღალდის ბათილად ცნობისა და დაკარგულზე უფლების აღდგენის თაობაზე. აღნიშნული ხელს უშლის რა, იმ მესამე პირების უფლებების განხორციელებას, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ფაქტობრივი მფლობელები არიან, უპირისპირდება სასაქონლო ბრუნვის პრინციპებს. ამიტომ, დასაშვებია ვინდიკაციის შეზღუდვა ფასიანი ქაღალდის მფლობელის მიმართ, თუ ცნობილია საბუთის ხელთმქონე.¹⁰³ საფრანგეთის სკ-ით დაიშვება ფულისა და ფასიანი ქაღალდის დაკარგვის შემდეგ პუბლიკაციის გამოქვეყნება, რაც გამორიცხავს შემძენის კეთილსინდისიერებას. ნივთის უკანონო მფლობელის დაუდგენლობისას, მესაკუთრეს მიეცემა ახალი ფასიანი ქაღალდი.¹⁰⁴

საქართველოს სკ-ის 187-ე მუხლის II ნაწილის მეორე წინადადება შეეხება ვინდიკაციის შეზღუდვის წესს ამ ობიექტებზე, თუმცა, მთლიანი ნორმის ხარვეზულობის გამო, ისიც გაურკვეველობას ბადებს. ამიტომ, ამ მუხლის წინა ნაწილების ზემომთითებული შესწორებულ ვერსიასთან კონტექსტში წინადადება – ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდების ან/და აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ, უნდა განიმარტოს ისე, რომ არაუფლებამოსილი პირის მიერ ამ ნივთების გასხვისებისას, კეთილსინდისიერი შემძენი შეიძენს მათზე საკუთრებას, მიუხედავად მათი მესაკუთრის მფლობელობიდან ნების წინააღმდეგ გამოსვლისა ან შეძენის უსასყიდლო ხასიათისა.

აღსანიშნავია, რომ თუ საქართველოს სკ-ის მიღების დროისთვის, ქართული სააქციო სამართალი გერმანული სამართლის მსგავსად, ორი ძირითადი სახის აქციას გამოყოფდა: საწარმდგენლოს და სახელობითს, რომელიც მატერიალიზებული ფორმით არსებობდა. ამასთან, წარმომდგენის აქციების მიმართ გამოიყენებოდა მოძრავი ნივთების სამართლებრივი რეჟიმი. კერძოდ, მათზე საკუთრების შეძენის წესები, რაც გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას (კაუზა) და გადაცემას.¹⁰⁵ 'მენარმეთა შესახებ კანონში' 1999 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, გაუქმებულ იქნა წარმომდგენის აქცია, როგორც აქციის დამოუკიდებელი სახე. ძღვეს მხოლოდ ერთი სახის, სახელობით აქციას იცნობს ქართული სააქციო სამართალი, რომელიც არამატერიალიზებული ფორმით გაიცემა.¹⁰⁶ შესაბამისად, აქცია აღარ მოიაზრება 187-ე მუხლში მითითებული ფასიანი ქაღალდების წრეში.

რაც შეეხება საჯარო ვაჭრობის გზით შეძენილ ნივთებს, საფრანგეთში, ჯერ კიდევ, ბურჟუაზიულ რევოლუციამდე, მოქმედებდა წესი, რომლის თანახმად, ნივთის ბაზარში შემძენს მესაკუთრის მიერ მისთვის ნივთის ჩამორთმევისას შეეძლო ნივთში გადახდილი თანხა მოეთხოვა.¹⁰⁷

ვინდიკაციის შეზღუდვის წესი იმ კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ, რომელმაც შეიძინა საბრუნავი დოკუმენტები, მიუხედავად მესაკუთრის მფლობელობიდან მათი გამოსვლის წესისა, დადგენილია საერთო სამართალშიც.¹⁰⁸

10. რეგისტრაციის მონაცემთა სისწორისა და სანდოობის პრეზუმფცია შეიძენის ინტერესთა უზრუნველსაყოფად

ვინდიკაციის შეზღუდვის წესი მოძრავ ნივთებთან მიმართებით მოქმედებს, მაგრამ რამდენად დაცულია უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი, რომელმაც ნივთი გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირისაგან შეიძინა?

იმ ქვეყნებში, სადაც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება შესაბამისი სახელმწიფო რეგისტრაციით ხორციელდება (მაგალითად, გერმანია, შვედეთი, საქართველო, რუსეთი), კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის ფუნქციას, მოძრავ ნივთებზე გამსხვისებლის მფლობელობის ფაქტის ნაცვლად, რეგისტრის (რეგისტრაციის) მონაცემები ასრულებს, რომლითაც ფიქსირდება გამსხვისებელი, როგორც მესაკუთრე. რეგისტრაციის მონაცემთა მიმართ მოქმედი საჯაროობის, უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფციაზე დაყრდნობით, ბრუნვის ნებისმიერ მონაწილეს

შეუძლია მიიღოს ინფორმაცია განსაზღვრული უძრავი ნივთის თაობაზე მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობამდე. ამასთან, სახელმწიფო რეგისტრაციის ყოველგვარი ჩანაწერი, თუნდაც რეალობის არამსახველი, ითვლება მართებულად, ვიდრე არ გასაჩივრდება და არ შეიცვლება დადგენილი წესით.¹⁰⁹ მაშასადამე, უფლების გარეგნული სიცხადე (რეგისტრაციის მონაცემი) ივარაუდება, რომ შეესაბამება რეალურად არსებულ უფლებას.¹¹⁰ პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაეყრდნოს სარეგისტრაციო ჩანაწერის სანდოობას, თუ არ იცოდა მისი უსწორობის შესახებ. კეთილსინდისიერება უნდა არსებობდეს რეგისტრაციის მომენტისათვის.¹¹¹

საქართველოშიც, საჯარო რეესტრი არის არა უბრალოდ უფლების ფიქსაციის, არამედ ამ უფლების შექმნის საფუძველი, უფლების წარმოშობის პროცესის დამაგვირგვინებელი სტადია.¹¹² ის სანდო და მონესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის სერიოზული გარანტიაა. საქართველოს სკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია საჯარო რეესტრის მონაცემთა მიმართ, სერიოზული გამოვლინებაა სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპისა, ესაა სახელმწიფოს სერიოზული პასუხისმგებლობა ბრუნვის მონაწილეთა მიმართ.¹¹³ იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეგისტრირებული რეესტრში, ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილი იყო საჩივარი, ან შემდგომ იცოდა, რომ ჩანაწერი იყო უზუსტო.¹¹⁴ ზემოხსენებული პრინციპი გამორიცხავს მონაცემთა არცოდნას შემდგომის მხრიდან, მის მიერ მათი გაუთვალისწინებლობა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც მიუტევებელი გაუფრთხილებლობა, რაც უგულებელყოფს მის კეთილსინდისიერებას.¹¹⁵ რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია შემდგომ უადვილებს უფლების კანონიერების მტკიცების პროცესს. მონაცემთა უსწორობა და შემდგომისათვის ამ ფაქტის ცოდნა მოდავე მხარემ უნდა ამტკიცოს. თუ მხარე სადავოდ ხდის შემდგომის კეთილსინდისიერებას, სასამართლოს არ შეუძლია თავისი დასკვნა ნივთის შექმნის კანონიერებაზე, დააყრდნოს მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერს. სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ჩანაწერის სისწორე და გამოიკვლიოს რა იცოდა შემდგომის მისი ხარვეზიანობის შესახებ. ამ საკითხის გამორკვევისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდგომის შესაძლებლობანი რეესტრის ჩანაწერის ცოდნასთან დაკავშირებით, ანუ უნდა გაირკვეს, შემდგომს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტი, სწორედ ამ გარემოების გამოკვლევას უნდა ეფუძნებოდეს დასკვნა შექმნის ნამდვილობისა და შემდგომის დაცვის მიზანშეწონილობის თაობაზე.¹¹⁶

მიუხედავად იმისა, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობის სახელმწიფო რეგისტრაციის სისტემის არსებობისას ნივთის არამართლზომიერი შექმნა მინიმუმამდეა დაყვანილი, არ არის გამორიცხული უძრავ ნივთზე შეცდომით განხორციელებული რეგისტრაცია. მაგალითად, რუსულ დოქტრინაში არის მოსაზრება, რომ რუსეთში არ გამართლდა ის იმედები, რასაც ამყარებდნენ უძრავი ქონების ბრუნვის სარეგისტრაციო სისტემაზე, რაზეც მეტყველებს სახელმწიფო რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავების გაზრდილი რაოდენობა.¹¹⁷ ბრუნვის არასაიმედობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ უძრავი ნივთის შემდგომი არ არის ხშირად დარწმუნებული,

რომ მის მიერ დადებული ხელშეკრულება უზრუნველყოფს მის უფლებას შექმნილ ნივთზე გამოსავალი მოიძებნა კანონმდებლის მიერ 2001 წელს მიღებული კანონპროექტით „უძრავ ქონებაზე უფლების და მასთან დაკავშირებული გარიგებების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ“, რომელიც შემდეგ კანონად იქცა და იცავს იმ კეთილსინდისიერი შემძენის უფლებას, რომელმაც სასყიდლით შეიძინა მესაკუთრის მფლობელობიდან ნებით გასული ნივთი გასხვისებაზე არაუფლებამოსილი, მაგრამ მესაკუთრედ რეგისტრირებული პირისაგან. კეთილსინდისიერი შემძენი შეძენისთანავე ხდება მესაკუთრე, ხოლო დაზარალებულ ყოფილ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია სახელმწიფოს მიერ სპეციალურად შექმნილი ფონდიდან.¹¹⁸ დოქტრინაში სამართლიანად მიიჩნევენ პრობლემის ამგვარ გადაწყვეტას: წინა მესაკუთრე მეტნაკლებად ბრალეულია, რომ დაუშვა ან შეინარჩუნა განსხვავება უფლების სიცხადესა და რეალურად არსებულ უფლებას შორის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცავს უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენს, რომელიც ეყრდნობა საჯარო რეესტრის მონაცემებს. კერძოდ, 185-ე მუხლი კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებით ხელმძღვანელობს და მის საკუთრებას უდავოს ხდის, თუნდაც გამსხვისებელი არ იყოს მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია, რადგან ეყრდნობა საჯარო რეესტრის ჩანაწერს. შემძენის ასეთი უფლებრივი მდგომარეობა განპირობებულია საჯარო რეესტრის სპეციფიკური დანიშნულებით სამოქალაქო ბრუნვის მექანიზმში.¹¹⁹ ის დგას ყოფილ მესაკუთრესა და შემძენს შორის და თუ მყიდველი კეთილსინდისიერად დაეყრდნო ამ მონაცემებს, მათი მცდარობის შემთხვევაშიც კეთილსინდისიერება იმარჯვებს საკუთრებაზე. ეს მიდგომა ამარტივებს შემძენის ტვირთს და ზღუდავს მისი წინდახედულობის ზომების დაცვის არეალს, რაც თავის მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებას და სტაბილურობას ემსახურება. სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფცია მყიდველს უქმნის იმის გარანტიას, რომ მონაცემთა უსწორობისა და გამყიდველის არამართლზომიერ მდგომარეობაში ჩაყენების მიუხედავად, მყიდველის კეთილსინდისიერ ნდობას რეესტრის მიმართ, სადავოობის შემთხვევაში, უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება.¹²⁰

შენიშვნები:

- ¹ იხ.: Хрестоматия по всеобщей истории государства и права. Т. 2. (под ред. Батыра К.И. и Поликарповой Е.В.), М., 2003.
- ² კ. კორკელია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., 2007, 114.
- ³ Бернсдорфф Н., Охрана собственности по ЕКПЧ – между effect utile, с одной стороны, и margin of appreciation или judicial self – restraint с другой стороны, «Южнокавказский юридический журнал», #1, 2010, 34.
- ⁴ Дюги Л., Общие преобразования гражданского права со времени кодекса Наполеона (пер.с франц. Сиверс М. М., под ред. Гойхбарга А.Г.). М., 1919, 13.
- ⁵ ციტირებულია: რ. პაიპსი, საკუთრება და თავისუფლება, თბ., 2004.
- ⁶ Гув А.Н., Гражданское право. Т. 1, М., 2003, 241.
- ⁷ ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, 98.
- ⁸ Кавелин К.Д., Основные начала гражданского судопроизводства и гражданского судопроизводства в период времени от уложения до учреждения о губерниях. М., 1844, მითითებულია: Трашкова Н.М., Иск как защита прав истца в гражданском процессе, к истории вопроса, ж. «Вестник Московского университета», № 5, 2008, 92.
- ⁹ Дехтерева Л.П., Пивульский В.В., Шугева О.А., Гражданский процесс. М., 2004, 53.
- ¹⁰ Шагова В.В., Договор как основание возникновения прав титульных владельцев по российскому гражданскому праву: В книге: Некоторые вопросы договорного права России и зарубежных стран. М., 2003, 20.
- ¹¹ Сергеев А.П., Толстой Ю.К., (ред.) Гражданское право, 1997, М., 444.
- ¹² გერმანიის სკ (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), მთარგმნელი და რედაქტორი ზ. ჭეჭელაშვილი, თბ., 2010, 198.
- ¹³ სუსგ, №3კ-377-03, 27 ივნისი, 2003 წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2003, №8. 2077.
- ¹⁴ Скварцов О. Ю., Защита права собственности и судебно-арбитражная практика. М., 1997, 10.
- ¹⁵ გ. გალდავა, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 119.
- ¹⁶ Дехтерева Л.П., Пивульский В.В., Шугева О.А., Гражданский процесс. М., 2004, 53.
- ¹⁷ Гомола А.М., Гражданское право. М., 2003, 201.
- ¹⁸ Суханов Е.А., Гражданское право. Учебник. 2-е изд., М., ч. 1, 1998, 374.
- ¹⁹ Сергеев А.П., Толстой Ю.К. (ред), Гражданское право. СПб, ч. 1, 1996, 259.
- ²⁰ Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права. Т.1, 11-ое изд., М., 1914, 133.
- ²¹ ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 118.
- ²² Бутовский А.К., Давность владения. СПб, 1911, 13.
- ²³ Фарматов И., Последствия истечения срока исковой давности. Ж. «Хозяйство и право», №12, 2005, 72.
- ²⁴ Моргунов С.В., Исковая давность в правилах о виндикации. Ж. «Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», №4, 2005, 136.

- ²⁵ ზ. ძლიერიშვილი, ხანდაზმულობის ვადების გავლენა სარჩელზე, თბ., 1997, 10.
- ²⁶ ზ. ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2011, 197.
- ²⁷ Черепяхин Б.Б., Приобретение права собственности по давности владения. Ж. «Советское государство и право», №1(4), 1940, 52.
- ²⁸ Толстой Ю.К., Содержание и гражданско-правовая защита права собственности в СССР. Л., 1955, 164.
- ²⁹ Пиляева В.В., Гражданское право с образцами договоров. М., 2002, 86.
- ³⁰ ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, გამოც. II, თბ., 2004, 149.
- ³¹ Маттей У., Суханов Е.А., Основные положения права собственности. М., 1999, 373.
- ³² სუსგ №3კ406-02, 17 ივნისი, 2002წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №9, 2002, 1565.
- ³³ Чантурия Л., Ограниченные вещные права и их особенности в гражданском праве Туркменистана, В книге: Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, (Нурьев Я., Чантурия Л.), Asgabat, 2010, 161.
- ³⁴ Гуев А.Н., Гражданское право. Т. 1, М., 2003, 241.
- ³⁵ Шагова В.В., Договор как основание возникновения прав титульных владельцев по российскому гражданскому праву: В книге: Некоторые вопросы договорного права России и зарубежных стран. М., 2003, 20.
- ³⁶ სუსგ №ას-1075-1323-05, 15 მაისი, 2006 წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2006, 25.
- ³⁷ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, მფლობელობის პრობლემები ქართულ სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №1, 2010, 50.
- ³⁸ Гуев А.Н., Гражданское право. Т. 1, М., 2003.
- ³⁹ ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 250.
- ⁴⁰ ზ. ჭეჭელაშვილი, რამდენიმე ხარვეზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ჟურნ. „სამართალი“, №11-12, 2002, 70-71.
- ⁴¹ ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, გამოც. II, თბ., 2004, 126.
- ⁴² Кнйпер Р., Владение в гражданском праве Туркменистана, В книге: Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, (Нурьев Я., Чантурия Л., изд), Asgabat, 2010, 101.
- ⁴³ სუსგ №ას400-648-08, 2.12.2008, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №3, 2008, 40.
- ⁴⁴ სუსგ №3კ1474-02, 18.2.2003წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2003, №4, 965; სუსგ №ას1263-1503-05, 27 აპრილი, 2006, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2006, 18.
- ⁴⁵ სუსგ №ას-1075-1323-05, 15 მაისი, 2006, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2006, 25.

- ⁴⁶ ბ. ზოიძე, ლექციის ჩანაწერი სანივთო სამართალში, 19.03.2010,
- ⁴⁷ გ. ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნ. «ქართული სამართლის მიმოხილვა», №1 (10), 2007, 48.
- ⁴⁸ ა. იოსელიანი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნ. «ქართული სამართლის მიმოხილვა», სპეც. გამოცემა, თბ., 2007, 20.
- ⁴⁹ გ. ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კოდექსის მიხედვით. აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნ. «ქართული სამართლის მიმოხილვა», №1 (10), 2007, 18.
- ⁵⁰ Белов В.А., Гражданское право. М., 2003, 465.
- ⁵¹ Дернбург Г., Пандекты. Т. 2. пер. Блоха А.Ю., Гальпера А.Я., Унтелова Д.И., Шнейдера К.А., под. ред. Мейендорфа А.Ф., СПб. 1905, 66.
- ⁵² გ. ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კოდექსის მიხედვით. აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნ. «ქართული სამართლის მიმოხილვა», №1 (10), 2007, 48.
- ⁵³ Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права. Т.1, 11-ое изд., М., 1914, 277.
- ⁵⁴ გერმანიის სკ (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), მთარგმნელი და რედაქტორი ზ. ჭეჭელაშვილი, თბ., 2010, 191.
- ⁵⁵ Жалинский А., Рёрихт А., Введение в немецкое право. М., 2001, 424.
- ⁵⁶ Борисов А.Б. (Ред.), Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации. Ч1, 2, 3. 2-ое изд., М., 2002, 316.
- ⁵⁷ Богданова Е., Добросовестность участников договорных отношений как условие защиты их субъективных гражданских прав. Ж. «Хозяйство и право», №2, 2010, 116.
- ⁵⁸ Костюк Н., Добросовестность в российском и зарубежном гражданском праве. Ж. «Хозяйство и право», №12, 2008, 88.
- ⁵⁹ გ. ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბ., 2010, 220.
- ⁶⁰ სსსგ №2/1/415. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული №2, 2009.
- ⁶¹ Пятин С.Ю., Гражданское и торговое право зарубежных стран. М., 2009, 203.
- ⁶² Лоренц О., совершенствовании института ограничения виндикации. Ж., «Хозяйство и право», №8, 2008, 70.
- ⁶³ ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2003, 97-98.
- ⁶⁴ Васильев Е.А., Комаров А.С. (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств. Т. 2, М., 2006, 376.
- ⁶⁵ Петражицкий Л.И., Право добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, М., 2002, 215.
- ⁶⁶ Сергеев А.П., Толстой Ю.К.(ред.), Гражданское право. ред. 6-ое изд., М., 2004, 562.
- ⁶⁷ Скловский К.И., О правах владельца на плоды и доходы. Ж. «Хозяйство и право», №1, 1999, 52.
- ⁶⁸ Венкштерн М., Основы вещного права, В книге: Проблемы гражданского и предпринимательского права Германии. М., 2001, 188-189.
- ⁶⁹ Сергеев А.П., Толстой Ю.К.(ред.), Гражданское право. ред. 6-ое изд., М., 2004, 563.
- ⁷⁰ Дождев Д.В., Римское частное право. М., 1996, 514.
- ⁷¹ ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, 117.

- ⁷² Хаскельберг Б.Л., Ровный В.В., Консенсуальные и реальные договоры в гражданском праве, М., 2004, 97.
- ⁷³ Савиньи Ф.К., Обязательственное право. Перевели с немец. Фукс В. и Мандро Н., М., 1876, 452.
- ⁷⁴ ნ. ძნელაძე, ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №2, 2007, 82.
- ⁷⁵ Хаскельберг Б.Л., Ровный В.В., Консенсуальные и реальные договоры в гражданском праве, М., 2004, 101.
- ⁷⁶ Маттей У., Суханов Е.А., Основные положения права собственности. М., 1999, 153.
- ⁷⁷ Бернгефт Ф., Колер И., Гражданское право Германии. СПб, 1910, 140.
- ⁷⁸ Васковский Е.В., Приобретение движимости от несобственника. Ж. «Министерства юстиции», 3, 1895, 92. მითითებულია: Бабаев А.Б., Система вещных прав. М., 2007, 230.
- ⁷⁹ Основные проблемы гражданского и предпринимательского права Германии. 170.
- ⁸⁰ Рахмилович В.А., О праве собственности на вещь отчужденную неуправомоченным лицом добросовестному приобретателю (к вопросу о приобретении права от неуправомоченного лица). В книге: Проблемы современного гражданского права. ред. Литовкин В.Н., Рахмилович В.А., М., 2000, 132.
- ⁸¹ Моргунов С., Добросовестный приобретатель-собственник или давностный владделец? Ж. «Хозяйство и право», №5, 2008, 95.
- ⁸² Рахмилович В.А., О праве собственности на вещь отчужденную неуправомоченным лицом добросовестному приобретателю (к вопросу о приобретении права от неуправомоченного лица). В книге: Проблемы современного гражданского права. ред. Литовкин В.Н., Рахмилович В.А., М., 2000, 128.
- ⁸³ Скловский К.И., Собственность в гражданском праве. М., 1999, 114. ცალკეული რუსი ცივილისტი მხარს უჭერს შეუზღუდავი ვინდიკაციის პრინციპს და დასაშვებად მიიჩნევს მესაკუთრის მიერ ნივთის გამოთხოვას ნებისმიერი შემძენისგან, რაც გაზრდის საკუთრების უფლების ავტორიტეტს და მისი განხორციელების გარანტიის ხარისხს. Тархов В.А., Рыбаков В.А.. Собственность и права собственности. Уфа, 2000, 194. მითითებულია: Лоренц Д., О совершенствовании института ограничения виндикации. Ж. «Хозяйство и право», №8, 2008, 69.
- ⁸⁴ Василевская Л.Ю., Учение о вещных сделках по германскому праву. М., 2004, 203.
- ⁸⁵ სუსგ №3კ-470-02, 8 ივლისი, 2002, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №10, 2002, 1815.
- ⁸⁶ სსსგ – №1/1/428, 447, 459. ქ. ბათუმი, 13 მაისი, 2009, 49.
- ⁸⁷ Скловский К.И., Собственность в гражданском праве. М., 1999, 91.
- ⁸⁸ Лоренц Д., О совершенствовании института ограничения виндикации. Ж. «Хозяйство и право», №8, 2008, 70.
- ⁸⁹ ციტირებულია: Лоренц Д., О совершенствовании института ограничения виндикации. Ж. «Хозяйство и право», №8, 2008, 71.
- ⁹⁰ ციტირებულია: Книпер Р., Закон и история. Баден-баден, Алматы, 2005, 212.
- ⁹¹ Покровский И.А., Основные проблемы гражданского права. М., 1998, 170.
- ⁹² ციტირებულია. Скловский К.И., Собственность в гражданском праве. М., 1999, 9.

- ⁹³ Черепяхин Б.Б., Юридическая природа и обоснование приобретения права собственности от неуправомоченного отчуждателя, Ученые записки свердловского юридического института. Т. I, 1947, 82.
- ⁹⁴ Симолин А.А., Определение владения по нашему проекту и Германскому уложению. В книге: Возмездность, безвозмездность, смешанные договоры и иные теоретические проблемы гражданского права. М., 2005, 503.
- ⁹⁵ ციტირებულია: ნ. ძნელაძე, ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №2, 2007, 87.
- ⁹⁶ Скворцов О.Ю., Вещные иски в судебно-арбитражной практике. М., 1998, 59.
- ⁹⁷ Скловский К.И., Замечания на проект закона о возникновении права собственности у добросовестного приобретателя недвижимости. Ж. «Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», #2, 2003, 87.
- ⁹⁸ ბ. ზოიძე, ქართული სანიტო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2003, 67.
- ⁹⁹ Рахмилович В.А., О праве собственности на вещь отчужденную неуправомоченным лицом добросовестному приобретателю (к вопросу о приобретении права от неуправомоченного лица). В книге: Проблемы современного гражданского права. ред. Литовкин В.Н., Рахмилович В.А., М., 2000, 131.
- ¹⁰⁰ Смирных А.Г., Защита интересов добросовестного приобретателя. «Журнал Российского права», №11, 2001, 93.
- ¹⁰¹ Багиров А., Понятие и гражданско-правовое значение владения как элемента права собственности. «Южно-Кавказский юридический журнал», №1, 2010, 64.
- ¹⁰² Симолин А.А., Определение владения по нашему проекту и Германскому уложению. В книге: Возмездность, безвозмездность, смешанные договоры и иные теоретические проблемы гражданского права. 503.
- ¹⁰³ ზ. ძლიერიშვილი, დაკარგულ სანარმდგენლო ფასიან ქალაქსა და საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენა (გამონვევითი წარმოება), ჟურნ. „სამართალი“, 2000, №3, 28.
- ¹⁰⁴ Ровный В.В., Эвикция. Проблема конкуренции исков и права собственности, Ж. «Правоведение», №5, 2000, 10.
- ¹⁰⁵ ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე), თბ., 2008, 179.
- ¹⁰⁶ ი. ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები (გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე), ტ. I, თბ., 2010, 250.
- ¹⁰⁷ Суханов Е.А., Гражданское право. Учебник. 2-е изд., М., ч. 1, 1998, 371.
- ¹⁰⁸ Раевич С.М., Гражданское право буржуазно-капиталистического мира в его историческом развитии. М., 1929, 50.
- ¹⁰⁹ Чубаров В.В., Вопросы государственной регистрации прав на недвижимое имущество и сделок, при с ним В книге: Проблемы современного гражданского права. Ред. Литовкин В.Н., Рахмилович В.А., М., 2000, 154.
- ¹¹⁰ Эрделевский А., Об истребовании имущества у добросовестного приобретателя. Ж. «Хозяйство и право», №5, 2005, 10.
- ¹¹¹ Книпер Р., Приобретение и утрата права собственности по ГК Туркменистана, В книге: Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, (Нуриев Я., Чантурия Л.), Asgabat, 2010, 124.
- ¹¹² სუსგ №ბს 502-431-კ-04, 7 ოქტომბერი, 2004, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეებზე №1, 2005, 180.

- ¹¹³ ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 261.
- ¹¹⁴ ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, გამოც. II, თბ., 2004, 262.
- ¹¹⁵ Скловский К.И., Собственность в гражданском праве, М., 1999, 231.
- ¹¹⁶ სუსგ №ას 274-604-07, თბ., 11 დეკემბერი, 2007, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე №1, 2007, 105.
- ¹¹⁷ Скловский К.И., Применение норм о доброй совести в гражданском праве России. Ж.. «Хозяйство и право», №9, 2002, 92.
- ¹¹⁸ Чубаров В.В., Вопросы государственной регистрации прав на недвижимое имущество и сделок, при с ним В книге: Проблемы современного гражданского права. Ред. Литовкин В.Н., Рахмилович В.А., М., 2000, 154. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაც იცნობს ამ პრეზუმფციას. მაგალითად, აზერბაიჯანის სკ განამტკიცებს რა უძრავ ქონებაზე სახელმწიფო რეესტრის მონაცემთა ნამდვილობისა და სისრულის პრეზუმფციას, შემქმნის ინტერესების დაცვის მიზნით რეესტრის ჩანაწერს, რომელიც ეკუთვნის რეესტრირებულ პირს, გამსხვისებელს გარიგების საფუძველზე, მიიჩნევს ნამდვილად, თუკი რეესტრის ჩანაწერის თაობაზე არ არსებობს შესაგებელი ან შემქმნმა იცოდა ჩანაწერის უზუსტობის შესახებ. Султанов М., Собственность и владение -опыт в Азербайджане. «Южнокавказский юридический журнал», №1, 2010, 45.
- ¹¹⁹ სუსგ №ას 203-622-06, თბ., 24 იანვარი, 2006, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე №1, 2007, 91.
- ¹²⁰ სუსგ №ას 203-622-06, თბ., 24 იანვარი, 2006, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე №1, 2007, 92.


RELATIONSHIP BETWEEN OWNERSHIP AND PROPRIETY FROM PROPERTY PROTECTION PERSPECTIVE

KETEVAN KOCHASHVILI

*Assistant-Professor in the Private Law Issues,
Department of Law, Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

The article refers to ownership and property – the fundamental institutions of civil law and their relationship from the point of view of one specific aspect – protection of property. It is true, that historically property belongs to the law of goods, but in the modern times, it is reviewed by private, as well as public law institution. Its privacy is acknowledged by public law acts (starting with the French Declaration of the Rights of Man and of the Citizen and strengthened by modern Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms), as well as by civil legislation. The article presents only the civil law, in particular law for goods (vindication and negator claims). The main focus of the article is the legal nature of the vindication claims – its concept, procedural and substantial preconditions of its execution.

Vindication clearly demonstrates the relationship between the proprietor who has lost the ownership and the owner being non-proprietor. Defendant – non proper owner of this process may be either honest, or dishonest. The criteria for such a division is subjective and it lays in the space of assessment of the reality. It reflects the person's attitude towards the legal basement of purchase. The article analysis the relationship of the concepts of honesty and properness towards ownership, since the Civil Code of Georgia does not differentiate between these two terms. It contradicts the doctrine



approach towards this issue and it is reviewed in the framework of the practice observed by the Supreme Court of Georgia.

The Article also reviews the requirements of the proprietor and the owner against each other, that is reflected in the obligation of the owner to return a good and a fruit and the proprietor is obliged to make legal assessment of the expenses taken by the owner. In addition, the article reviews the rule for restriction of vindication as the rejection of Roman law that approves of the principal of unrestricted vindication. Theories within the doctrine that approve the vindication restriction rules as the existence of German case law. The article also outlines the protection of the interests of an honest purchaser of not only the movable property, but also immovable property and it is based on the data of the Public Registry, presumption of their properness and authenticity that are allowed from the point of view of the interest of turnover.

სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის კომპეტენცია ევროკავშირის საქმიანობის ნესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მიხედვით

ბაჩანა ჯიშკარიანი

სამართლის მაგისტრი (LL.M München), მიუნხენის

უნივერსიტეტის გერმანული, ევროპული და

საერთაშორისო სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის

პროცესისა და ეკონომიკური სისხლის სამართლის კათედრის

დოქტორანტი, ფრიდრიხ ნაუმანის სახელობის ფონდის

სტიპენდიატი

შესავალი

2009 წლის 1 დეკემბერს, ძალაში შევიდა ლისაბონის ხელშეკრულება, რომელმაც ევროკავშირის ფარგლებში არსებული სტრუქტურა გარკვეულწილად შეცვალა. ლისაბონის ხელშეკრულება არის ერთიანი სახელწოდება იმ დოკუმენტებისა, რომლებსაც ევროკონსტიტუციის პროექტის ჩავარდნის შემდგომ მოენერა ხელი.¹ მასში შედის შემდეგი აქტები: ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება, ევროკავშირის საქმიანობის ნესის შესახებ ხელშეკრულება და ადამიანის ძირითად უფლებათა ევროპული ქარტია. მათი ხელმოწერის შედეგად ევროგაერთიანებას ჩაენაცვლა ევროკავშირი, როგორც სამართალმემკვიდრე. სიახლეები შეეხო სისხლის სამართლის მიმართულებასაც. ერთ-ერთი მათგანია ევროკავშირის საქმიანობის ნესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლი. მისი მეშვეობით ევროკავშირი გახდა უფლებამოსილი, ნეერი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივ სისტემებზე

მოახდინოს გავლენა გარკვეული დათქმების მეშვეობით.² აღნიშნული მუხლის პირველი აბზაცი შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული: ევროკავშირის პარლამენტსა და საბჭოს შეუძლიათ, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად, დირექტივების მეშვეობით დაადგინონ მინიმალური სტანდარტები დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ. განსაკუთრებით, იმ დანაშაულების სფეროებში, რომლებთანაც ერთიან საფუძვლებზე ბრძოლა მათი სიმძიმედან და შედეგებიდან გამომდინარე აუცილებელია და ტრანსნაციონალური ხასიათი აქვთ. ასეთი სფეროებია: ტერორიზმი, ადამიანებით ვაჭრობა – განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების ექსპლოატაცია, ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა, იარაღით არალეგალური ვაჭრობა, ფულის გათეთრება, კორუფცია, გადახდის საშუალებების გაყალბება, კომპიუტერული დამნაშავეობა და ორგანიზებული დამნაშავეობა.

83-ე მუხლის მეშვეობით ევროკავშირმა შეიძინა მოქმედების მეტი კომპეტენცია, რათა მოახდინოს ცალკეული სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი სისტემების ერთმანეთთან დაახლოება, ჰარმონიზაცია. სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაცია ზოგადად, განსაკუთრებულ სიახლეს არ წარმოადგენს, რადგანაც ამას ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი ძველი ხელშეკრულებაც ითვალისწინებდა. თუმცა, ეს ხდებოდა არა დირექტივების, არამედ ჩარჩო გადაწყვეტილებების მიღების საშუალებით პოლიციისა და იუსტიციის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში (ევროკ. შესახებ ხელშ. 29-ე მუხლი, მე-2 აბზ., 31-ე მუხლი, პირველი აბზ. ძვ. რედ.).³

ადრე მოქმედი ხელშეკრულების მიხედვით, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს ჰქონდა უფლება, წამოეყენებინა ჩარჩო-გადაწყვეტილების გამოცემის ინიციატივა, რომლისთვისაც შემდგომში ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა იყო საჭირო. ევროკავშირის პარლამენტი ამ პროცესში მხოლოდ ფორმალურად მონაწილეობდა.⁴ ეს სურათი ლისაბონის ხელშეკრულების მიღების შემდგომ შეიცვალა. ინიციატივის წამოსაყენებლად ერთი სახელმწიფოს ნაცვლად საჭიროა წევრ სახელმწიფოთა სულ მცირე ერთი მეოთხედი რაოდენობა (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. 76-ე მუხ.)⁵, ხოლო ამ ინიციატივის საფუძველზე სამართლებრივი აქტის გამოსაცემად, საჭიროა არა ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა, არამედ საკმარისი ხმების კვალიფიციური რაოდენობა.⁶ ევროკავშირის პარლამენტის უფლებებიც საკმაოდ გაძლიერდა. ის დირექტივის გამოცემასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას საბჭოსთან ერთად იღებს. ევროპარლამენტი ადრე მხოლოდ ინფორმაციის მიღების უფლებით შემოიფარგლებოდა. საკანონმდებლო პროცესში პარლამენტის როლის მსგავსმა გაძლიერებამ ევროკავშირს მეტი დემოკრატიული ლეგიტიმაცია შესძინა.⁷ სწორედ სუსტი დემოკრატიული ლეგიტიმაცია იყო მნიშვნელოვანი კრიტიკის საფუძველი ევროკავშირის სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის მიმართ, რადგანაც ევროპული აქტების გამოცემის დროს პარლამენტი ამ პროცესში შეზღუდული მონაწილეობის უფლებით სარგებლობდა. ზოგიერთი კრიტიკოსი ამ რეალობას „აუტანელსა“ და „გუბერნატორულ მმართველობას“ ადარებდა, რადგანაც დომინანტ როლს საბჭო და არა ევროპარლამენტი თამაშობდა.⁸

კონკრეტულად რა ცვლილებები გამოიწვია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლმა და არის თუ არა ეს სიახლე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით?

1. სისხლისსამართლებრივი მიტიითების გაკეთების ორიბინალური კომპეტენცია

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ისეთ ფორმულირებებს, რომლითაც უფრო ნათლად არის გასაგები ევროკავშირის

სისხლისსამართლებრივი კომპეტენცია, განსხვავებით, მანამდე მოქმედი ხელშეკრულებებისაგან.⁹ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების ადრინდელ რედაქციაში საუბარი იყო ნარკოტიკებით ვაჭრობაზე, ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულზე. ნევრ სახელმწიფოებს ეკისრებოდათ ამ სფეროებში გარკვეული ვალდებულებები ჩარჩო-გადაწყვეტილებების საფუძველზე (მუხ. 31), თუმცა, ეს ჩამონათვალი არასრულ ხასიათს ატარებდა და ნორმის ტექსტიც ბუნდოვანი იყო.¹⁰ შესაბამისად, ადვილი არ იყო გარკვევა, თუ სად გადიოდა ევროკავშირის სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის ზღვარი.¹¹ 83-ე მუხლში გაკეთებული ჩამონათვალი, ტექნიკურად თუ შევხედავთ, უფრო ვრცელია, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ევროკავშირის კომპეტენცია სისხლის სამართლის სფეროში ერთბაშად გაიზარდა. მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ახალი ნორმით უფრო გასაგები გახდა კომპეტენციის ფარგლები. ევროკავშირის ხელშეკრულების (ძვ. რედ.) 29-ე და 31-ე მუხლები ისედაც უშვებდნენ სხვადასხვა სფეროებში სისხლისსამართლებრივ ჰარმონიზაციას და ევროკავშირის მხრიდან ჩარევას.¹²

იმისათვის, რომ ევროკავშირმა ლისაბონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილება განახორციელოს და სისხლისსამართლებრივი შინაარსის დირექტივები გამოსცეს, საჭიროა შემდეგი წინაპირობები: საქმე უნდა ეხებოდეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, რომლის წინააღმდეგ ერთობლივად ბრძოლის განსაკუთრებული საჭიროება დგას და ის ერთი ქვეყნის ფარგლებს სცდება.¹³ ეს წინაპირობები ჩადებულია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველ ნაწილში. იქვე ჩამოთვლილია ის დანაშაულები, რომლებიც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ: ტერორიზმი, ადამიანებით ვაჭრობა, კორუფცია და ა.შ.¹⁴

მიუხედავად იმისა, რომ 83-ე მუხლის პირველი ნაწილით ევროკავშირის კომპეტენციის საკითხი ბევრად უფრო ნათელი გახდა, მასში გათვალისწინებული დანაშაულების კატალოგის გაფართოების შესაძლებლობა კრიტიკულად ფასდება. კრიტიკოსების მოსაზრებით, ისეთი ტერმინები, როგორცაა მაგალითად, „...სცდება ერთი ქვეყნის ფარგლებს...“ არ წარმოადგენენ სერიოზულ ბარიერს ევროპული სისხლის სამართლის დამატებითი გაფართოების დასამუხრუჭებლად, რაც უფრო მეტ შეჭრას გამოიწვევს ნევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივ სისტემებში.¹⁵ აქედან გამომდინარე, 83-ე მუხლი „ექსპანსიის პოტენციალის“ მატარებელია, რადგანაც უშვებს დირექტივების გამოცემის შესაძლებლობას იმ ნებისმიერი დანაშაულის მიმართ, რომელიც თუნდაც რამე კავშირში იქნება არსებულ კატალოგთან.¹⁶ კრიტიკოსები იმასაც ამატებენ, რომ საბჭოს მიეცა შესაძლებლობა, სისხლის სამართლის ყველა სფეროში ჩაეროს.¹⁷

კრიტიკის ეს არგუმენტაცია შესაძლებელია მისაღები იყოს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 83-ე მუხლის პირველ აბზაცს მთელი მუხლის კონტექსტიდან ამოვიღებთ და განცალკევებით განვიხილავთ.¹⁸ მართალია, პირველი აბზაცი ჩამონათვალის გაფართოების შესაძლებლობას უშვებს, თუმცა, ეს მექანიზმი თავის მხრივ, გარკვეულ ჩარჩოებში არის მოქცეული. შეუძლებელია ისე მოხდეს, რომ საბჭო უბრალოდ რომელიმე დირექტივის პროექტს შეიმუშავებს და ყველა ნევრი სახელმწიფო მის გამოცემას დაეთანხმება. იმისათვის, რომ დირექტივის პროექტმა გამოცემის სტადიამდე მიაღწიოს, საჭიროა სხვადასხვა ინსტანციის გავლა: ხალხის მიერ არჩეული ევროკავშირის პარლამენტის – რომლის თანხმობაც აუცილებელია, ნაციონალური საკანონმდებლო ორგანოების – რომლებიც ასევე იღებენ მონაწილეობას ევროკავშირის საკანონმდებლო პროცესში და გარდა ამისა, საბჭოსი – რომელიც დაკომპლექტებულია ნევრი სახელმწიფოების მთავრობების წარმომადგენლებისაგან. დაბოლოს, როდესაც დირექტივა გამოიცემა, მისი ნევრი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაციის პროცესში გადამწყვეტ როლს ადგი-

ლობრივი პარლამენტი ასრულებს.¹⁹ თუ ყველა ეს ბარიერი გადალახული იქნა და იქმნება „საფრთხე“, რომ დირექტივის პროექტი უმრავლესობის მხარდაჭერით გავა, მაშინ ცალკეულ სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს 83-ე მუხლის მესამე აბზაცში ჩადებული ე. წ. საავარიო მუხრუჭი და ეს პროცესი შეაჩეროს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, გამოთქმული კრიტიკა უსამართლოა. შეუძლებელია ასეთი სახის ხელშეკრულების მუხლებისაგან ისეთივე ნათელი და დეტალური რეგულაციები მოვითხოვოთ, როგორც ეს შიდა კანონმდებლობის შემთხვევაში ხდება. თუ 83-ე მუხლიდან კატალოგის გაფართოების შესაძლებლობას ამოვიღებდით, მაშინ ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის საჭირო გახდებოდა ლისაბონის ხელშეკრულებაში დამატების შეტანა, რაც პრაქტიკულად რთული განსახორციელებელია ევროპული საკანონმდებლო პროცესის თავისებურებიდან გამომდინარე. ამიტომაც უმჯობესია, თავიდანვე დაშვებულ იქნას აუცილებლობის შემთხვევაში, ახალ დანაშაულებზეც დირექტივის გამოცემის შესაძლებლობა, რომელიც ამავდროულად, ისეთი მექანიზმებით იქნება შეზღუდული, როგორცაა თუნდაც „სავარიო მუხრუჭი.“

2. ევროკავშირის დამატებითი კომპეტენცია სისხლის სამართალში

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მეორე ნაწილი ეხება ე.წ. დამატებით კომპეტენციას (იგივე ანექს-კომპეტენცია), რომელიც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის სფეროში.²⁰ ამ კომპეტენციის შინაარსით, ევროკავშირს ეძლევა სისხლისსამართლებრივი დირექტივების გამოცემის შესაძლებლობა და დანაშაულებისა და სასჯელების დადგენა იმ სფეროშიც, სადაც ჰარმონიზაცია უკვე განხორციელდა. თუმცა, ამისათვის ლისაბონის ხელშეკრულებაში ჩადებულია შემდეგი წინაპირობა: სისხლისსამართლებრივი დირექტივების გამოცემა დასაშვებია მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც ამის გარეშე შეუძლებელია უკვე ჰარმონიზებულ სფეროებში ევროკავშირის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება. სახელწოდებაც „დამატებითი“ სწორედ აქედან გამომდინარეობს – სისხლისსამართლებრივი მექანიზმი ირთვება დამატებით, უკვე განხორციელებული ღონისძიებების არაეფექტიანობის გამო. ეს კომპეტენცია ადრე ევროგაერთიანების სასამართლოს მიერაც იქნა აღიარებული,²¹ თუმცა არსებულ ხელშეკრულებებში არ იყო გათვალისწინებული და ამიტომაც, ეს აღიარება უფლებამოსილების გადაჭარბებად შეფასდა.²²

ამ საკითხთან დაკავშირებით თავის პირველ გადანყვეტილებაში ევროგაერთიანების სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებას შეუძლია როგორც დანაშაულის შემადგენლობების, ასევე, სასჯელების სახეებისა და მოცულობის დადგენა.²³ თუმცა, მოგვიანებით, მომდევნო საქმეზე გადანყვეტილების მიღებისას სასჯელებთან დაკავშირებული კომპეტენცია ისევ ნევრ სახელმწიფოებს მიაკუთვნა.²⁴ ლისაბონის ხელშეკრულებაში ფაქტობრივად გადმოტანილ იქნა ის კომპეტენცია, რასაც სასამართლო პირველ გადანყვეტილებაში ასაბუთებდა და შესაბამისად, დღეისათვის ევროკავშირი უფლებამოსილია როგორც შემადგენლობების დადგენასთან, ასევე სანქციებთან მიმართებაში.²⁵

83-ე მუხლის მეორე ნაწილით ხელშეკრულების დონეზე ევროკავშირის მხრიდან დამატებითი სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის უფლებამოსილების საკითხი გაირკვა,²⁶ თუმცა, გარკვეული შენიშვნები მაინც დარჩა. პირველი, ის რომ ევროგაერთიანების ფარგლებში აქამდე

ბევრი მიმართულებით განხორციელდა ჰარმონიზაცია და შესაბამისად, თეორიული შესაძლებლობა იქმნება, დამატებითი კომპეტენციის მეშვეობით, ევროკავშირი ამ სფეროებში სისხლის-სამართლებრივი კუთხითაც ჩაერიოს²⁷ და მეორე – ამ კომპეტენციის გამოყენება მხოლოდ „აუცილებლობის“ შემთხვევაში საეჭვოა, რომ რეალურ შემთხვევებზე ფაქტორად იქცეს.²⁸

ზემოთ ნახსენები საფრთხეების თავიდან აცილებისათვის საჭიროა, რომ ყოველი სისხლის-სამართლებრივი დირექტივის გამოცემის დასაბუთებულობა და აუცილებლობა ევროკავშირის სასამართლომ მკაცრად გააკონტროლოს და გადაამოწმოს.²⁹ 83-ე მუხლის მეორე ნაწილის განმარტება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო გაგებით.³⁰ გარდა ამისა, დამატებით დამცავ მექანიზმად გვევლინება „საავარიო მუხრუჭი,“ რომლითაც წევრი სახელმწიფოების ნაციონალურ სისხლის სამართლის ტოტალური ჰარმონიზაციისაგან დაცვა ხდება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ზოგადად, დამატებითი კომპეტენციის ინსტიტუტის შემოღება დადებითად უნდა შეფასდეს. მისი მეშვეობით უფრო განხორციელებადი ხდება საერთო ევროპული მიზნების მიღწევა. ის საკითხი, განხორციელებს თუ არა მომავალში ევროკავშირის სასამართლო თავის პრაქტიკაში მკაცრ კონტროლს, უკვე სხვა თემაა.³¹

ევროკავშირის კომპეტენციას 83-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ზღუდავს არა მხოლოდ „აუცილებლობის“ წინაპირობა, არამედ ევროპული სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორებიცაა სუბსიდიურობა და თანაზომიერება (ევროკავშირის ხელშეკრულების მე-1 მუხლ. აბზ. 1). სუბსიდიურობის პრინციპი, ევროკავშირს იმ სფეროებში, რომელიც მის ექსკლუზიურ კომპეტენციაში არ შედის, ჩარევის უფლებას აძლევს მხოლოდ მაშინ, როდესაც საერთო-ევროპული მიზნისათვის სრულყოფილად მიღწევა ცალკეული სახელმწიფოების დონეზე შეუძლებელია.³² ზუსტად სწორედ ამას შეესაბამება დამატებით კომპეტენციაში ნახსენები „აუცილებლობაც.“³³ წევრი სახელმწიფოების საკანონმდებლო ორგანოებს შეუძლიათ მიმართონ ევროკავშირის პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას დასაბუთებული პოზიციით, რომ გამოსაცემი ამა თუ იმ დირექტივის პროექტი არ შეესაბამება სუბსიდიურობის პრინციპს.³⁴ ნაციონალური პარლამენტების მხრიდან წინასწარი გაფრთხილების მიცემის ეს მექანიზმი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სახელმწიფოებსა და ევროკავშირს შორის ბალანსის დასაცავად.³⁵ ამას ადასტურებს სუბსიდიურობისა და თანაზომიერების პრინციპების გამოყენების შესახებ ოქმის მე-8 მუხლის პირველი აბზაცი, რომლის მიხედვითაც, წევრი სახელმწიფოს მთავრობას პარლამენტის ან მისი რომელიმე პალატის სახელით შეუძლია მიმართოს სარჩელით ევროკავშირის სასამართლოს რომელიმე ევროპული აქტის სუბსიდიურობის პრინციპთან შეუსაბამობის გამო.³⁶

სუბსიდიურობის პრინციპისა და დამატებითი კომპეტენციის მსგავსი ურთიერთმიმართების ჩამოყალიბება ევროკავშირის სამართლის შიგნით მიმდინარე პროცესების ლოგიკური შედეგია. სუბსიდიურობის შემოღება, ევროპარლამენტმა თავიდანვე აღიარა, როგორც ევროკავშირის დინამიკური განვითარების გარანტი. ის თანაბარ შანსებს აძლევს ორივე მხარეს, როგორც ევროკავშირს, ასევე წევრ სახელმწიფოებს და არც ერთ მათგანს არ შეუძლია, შესაბამისი დასაბუთების გარეშე მიითვისოს ესა თუ ის უფლება.³⁷

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მეორე აბზაცში ჩამოთვლილია ის სფეროები, რომლებზეც კომპეტენცია ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის ნაწილდება, ანუ არც ერთი მათგანი არ სარგებლობს მათი დარეგულირების ექსკლუზიური უფლებით. ეს სფეროებია: შიდა ბაზარი, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ტრანსევროპული ქსელები, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის

ერთიანი სივრცის შექმნა და ა.შ.³⁸ ისმის კითხვა, თუ რომელ სფეროზე შეიძლება გავრცელდეს დამატებითი კომპეტენცია? ამ კითხვას რომ გაეცეს პასუხი, უპირველესად, უნდა შემომნდეს, სცილდება თუ არა ესა თუ ის დასარეგულირებელი საკითხი ერთი სახელმწიფოს ფარგლებს? არის თუ არა სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებული განსხვავებული მიდგომების გამო ერთიანი რეგულაცია აუცილებელი? მაგალითად, ავიღოთ ტრანსპორტის სფერო: მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროს მოწესრიგება ევროკავშირის დონეზე მნიშვნელოვანია, არ არის აუცილებელი ამის გაკეთება, რადგანაც ეს წევრი სახელმწიფოების მხრიდანაც არის ბრიუსელიდან ჩაურევლად შესაძლებელი,³⁹ მაგრამ თუ კონკრეტულ შემთხვევაში სატრანსპორტო სფეროში ისეთი საკითხებია გადასაწყვეტი, რაც საერთოევროპულ მასშტაბებში უკეთესად მოხდება, მაშინ ლისაბონის ხელშეკრულება ევროკავშირის მხრიდან სისხლისსამართლებრივი ჩარევის საშუალებას იძლევა. ტრანსპორტის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით მსგავსი მოქმედება ადრე არსებული ხელშეკრულებითაც იყო შესაძლებელი.⁴⁰ ამის მაგალითია მოქმედი დირექტივა, რომელიც იცავს ზღვებს ხომალდების მხრიდან დაბინძურებისაგან და ამისათვის ადგენს სანქციებს.⁴¹ ამ დირექტივის პირველივე მუხლში დასახულია საერთაშორისო სტანდარტების დადგენა ევროგაერთიანების დონეზე, რათა დაცულ იქნენ ზღვები დაბინძურებისაგან, მავნე ნივთიერებებისაგან. დაცვის ეფექტიანად განსახორციელებლად უნდა დადგინდეს პასუხისმგებელი პირების დასასჯელად შესაბამისი სანქციები, მათ შორის, სისხლისსამართლებრივის ჩათვლით. ეს დირექტივა კარგად უჩვენებს, რომ ევროგაერთიანება ჩაერია არა რომელიმე რიგითი სატრანსპორტო საკითხის მოსაწესრიგებლად, არამედ უფრო გლობალური პრობლემის, ზღვების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ცალკეული სახელმწიფოების დონეზე რთული შესასრულებელია.

გარკვეულწილად განსხვავებული სურათია გარემოს დაცვასთან მიმართებაში. გარემოს დაბინძურება თავისი ბუნებიდან გამომდინარე, თავიდანვე ინტერნაციონალური ხასიათის მატარებელი მოვლენაა. ერთ ქვეყანაში მომხდარი დაბინძურება ნეგატიურ გავლენას ახდენს მეზობელ სახელმწიფოზეც.⁴² გარემოს დაცვის აუცილებლობაზე ევროგაერთიანების სასამართლომაც მიუთითა. მისი მოსაზრებით ეს არის გაერთიანების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი.⁴³ სასამართლომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ სისხლის სამართალი ძირითადად, წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში რჩება და ევროგაერთიანება მასში ნაკლებად უნდა ერეოდეს. თუმცა, ეს არ გამოირიცხავს, რომ გარემოს დაცვის ღონისძიებების ეფექტიანად გასატარებლად სისხლისსამართლებრივი საშუალებებიც იქნეს გამოყენებული.⁴⁴

სუბსიდიურობის პრინციპთან წინააღმდეგობაში არ მოდის ასევე ევროპის ფინანსური ინტერესების დაცვა ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლის მეოთხე ნაწილისა და 83-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით.⁴⁵ ევროგაერთიანების შესახებ ხელშეკრულება (ძვ.რედ.), კერძოდ, ფინანსური ინტერესების დასაცავად 280-ე მუხლის მეოთხე ნაწილი სისხლის სამართლის გამოყენებას არ ცნობდა.⁴⁶ ფინანსური ინტერესების დასაცავად სისხლის სამართლის არგამოყენების ეს დათქმა რეალურად ამ ინტერესებს ეფექტიანი დაცვის გარეშე ტოვებდა, ამიტომაც ევროკონსტიტუციის პროექტიდან – 415-ე მუხლი მესამე აბზაცი – ეს დათქმა ამოღებულ იქნა.⁴⁷ შემდგომში კონსტიტუციის პროექტის ეს ნაწილი გადატანილ იქნა უცვლელად დღეს მოქმედ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლის სახით (რომელიც ლისაბონის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასთან ერთად) და ამით ადრე არსებული გაურკვეველობა აღმოიფხვრა.⁴⁸

ევროკავშირის მხრიდან სისხლისსამართლებრივი რეგულირებების გამოყენება თეორიულად შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სფეროშიც. აგრარული სექტორისა და თევზის მრეწველობის მიმართულებით კავშირი უფლებამოსილია განახორციელოს და წარმართოს საერთო პოლიტიკა (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 38). სოფლის მეურნეობა, თევზის მრეწველობა და აგრარული პროდუქციით ვაჭრობა ევროპული შიდა ერთიანი ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილია. აგრარულ სფეროში წევრმა სახელმწიფოებმა ადრიდანვე დაუთმეს თავიანთი კომპეტენცია ევროგაერთიანებას.⁴⁹ ევროკავშირი ამ მიმართულებით დიდი ოდენობით სუბსიდებს გასცემს, ამიტომაც აუცილებელია მათი ეფექტიანი სამართლებრივი დაცვა.⁵⁰ მანიპულაციების თავიდან ასაცილებლად საჭიროა არა მხოლოდ პრევენციული, არამედ რეპრესიული, განსაკუთრებით, სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გატარება.⁵¹ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-40 მუხლის მეორე ნაწილი უშვებს ამის შესაძლებლობას. კერძოდ, ეს მუხლი ეხება ევროკავშირის მხრიდან ერთიანი აგრარული ორგანიზაციის განხორციელებას და ამ მიზნის მისაღწევად, გამოყენებულ უნდა იქნას ყველა „საჭირო ღონისძიება.“ აქედან გამომდინარე, ამ საჭირო ღონისძიებებში სისხლისსამართლებრივი დათქმებიც უნდა მოვიხაროთ, რათა მოხდეს იმ უზარმაზარი ფინანსური ნაკადების თაღლითობებისაგან დაცვა, რომლებიც სოფლის მეურნეობის დარგში მოძრაობენ.⁵²

გარდა ზემოაღნიშნული სპეციფიკური სფეროებისა, ლისაბონის ხელშეკრულება სხვა მუხლებსაც შეიცავს, რომლებიც ასევე, უშვებენ ყველა წევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო საერთო სისხლისსამართლებრივი აქტების გამოცემას. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 114-ე და 115-ე მუხლები ადგენენ, რომ ერთიანი, ფუნქციონირებადი შიდა ბაზრის შესაქმნელად ევროკავშირის პარლამენტმა და საბჭომ გამოსცენ დირექტივები. თუ რომელ დარგს ეხება ეს დირექტივა, არა აქვს მნიშვნელობა. შესაბამისად, ეს მუხლები სისხლის სამართალზეც ვრცელდება.⁵³ თუმცა, სუბსიდიურობის პრინციპს ამავედროულად ყოველთვის უნდა მიექცეს ყურადღება, რადგანაც ერთიანი შიდა ბაზრის განხორციელება ევროკავშირის ექსკლუზიურ კომპეტენციაში არ შედის.⁵⁴ ყოველი სისხლისსამართლებრივი ჩარევის აუცილებლობა ამ მიმართულებით უნდა იქნეს დასაბუთებული. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, შეუძლიათ თუ არა წევრ სახელმწიფოებს ბაზრის ორგანიზაციის მაღალი ხარისხის დამოუკიდებლად მიღწევა თუ ამისათვის ევროკავშირის მხრიდან არის ჩარევა საჭირო.⁵⁵

თანაზომიერების პრინციპი – სუბსიდიურობის პრინციპთან ერთად წევრი სახელმწიფოებისათვის მნიშვნელოვანი დაცვის მექანიზმია. თუ სუბსიდიურობა იმის გარკვევას გულისხმობს, შეუძლია თუ არა ევროკავშირს რომელიმე საკითხთან მიმართებაში მოქმედება, თანაზომიერება უკვე ამ მოქმედების ფარგლების დადგენას გულისხმობს, ანუ რა სიღრმით არის შესაძლებელი წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემაში შეჭრა.⁵⁶ მაშასადამე, თუ სუბსიდიურობის პრინციპი დაცული იქნება და ის სისხლისსამართლებრივ ჰარმონიზაციას გზას გაუხსნის, მაშინ ჩაირთვება დამატებით, მეორე მექანიზმი თანაზომიერების პრინციპის სახით, რათა ევროკავშირი იმაზე მეტად არ ჩაერიოს, რაც აუცილებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.⁵⁷ ეს პრინციპი ჩადებულია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-4 აბზაცში. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო მას, როგორც ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, ისე განიხილავს, რომელიც წევრი სახელმწიფოების „ნაციონალური იდენტურობის“ დაცვის გარანტია.⁵⁸

თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემაში რაც შეიძლება ნაკლები ჩარევა უნდა მოხდეს.⁵⁹ თავიდან უნდა იქნეს აცილებული ისეთი ევროპული რეგულირებები, რომლებიც ნაციონალურ სამართალში სისტემურ ცვლილებას გამოიწვევენ. თუმცა, თუ გადავხედავთ აქამდე არსებულ პრაქტიკას, ჩანს რომ ევროპელი კანონმდებელი მოცემულ პრინციპს ზოგჯერ სათანადოდ არ ითვალისწინებს. ავიღოთ მაგალითად, ჩარჩო-გადაწყვეტილება ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ,⁶⁰ სადაც ზოგიერთი ტერორისტული ქმედების ჩადენისათვის ევროპელმა კანონმდებელმა სასჯელის სახით სულ მცირე, 15 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა დაადგინა. ფინელი კანონმდებელი, იძულებული გახდა, საკუთარი ნორმების ევროპულთან შესაბამისობაში მოსაყვანად, სპეციალურად ამ ტერორისტული ქმედებებისათვის გამონაკლისი დაეშვა და შემოეღო 15-წლიანი სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა), მიუხედავად იმისა, რომ ფინეთის კანონმდებლობაში ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა ზოგადად, 12 წელს არ აღემატება.⁶¹

არათანაზომიერ ჩარევას მაშინაც ექნება ადგილი, როდესაც რომელიმე ერთი კონკრეტული დელიქტის მიმართ ისეთი მაღალი სასჯელის ზომის დადგენა იქნება მოთხოვნილი ევროკავშირის მხრიდან, რომ საბოლოოდ, ეს რომელიმე სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსში სხვა დანაშაულებთან მიმართებაში სისტემურ წინააღმდეგობებს გამოიწვევს. მაგალითად, თუ ერთბაშად გაიზრდება სასჯელი ერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, მაშინ შეიძლება შედეგად მივიღოთ ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ევროპული რეგულაციის გადატანის გამო, ეს დანაშაული უფრო მკაცრად დაისჯება, ვიდრე მანამდე არსებული მისი კატეგორიის სხვა დანაშაულები. ამიტომაც წარმოიქმნება შეუსაბამობა ნაციონალურ სანქციათა სისტემაში. ამის თავიდან ასაცილებლად საჭირო გახდება სხვა დანაშაულების მიმართაც სასჯელების შეცვლა, რაც ევროკავშირის მხრიდან ამკარად გადაჭარბებული და არათანაზომიერი ჩარევის შედეგი იქნება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, დამატებით კომპეტენციასთან მიმართებაში თუ გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მეორე აბზაცი სულაც არ წარმოადგენს საფრთხეს ნაციონალური სისხლის სამართლებრივი სისტემებისათვის. მართალია, ის შედარებით ღია ფორმულირებებს შეიცავს, მაგრამ ლისაბონის ხელშეკრულება ამავედროულად სხვადასხვა მექანიზმს ითვალისწინებს, რათა ეს მუხლი არ იქნეს ტოტალური ჰარმონიზაციისათვის გამოყენებული (თუნდაც, იგივე სუბსიდიურობისა და თანაზომიერების პრინციპები).⁶² აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ლისაბონის ხელშეკრულებაში დამატებითი კომპეტენციის ჩადება, რომელიც ადრე მხოლოდ ევროგაერთიანების სასამართლოს პრაქტიკაში იყო აღიარებული, წინ გადადგმული ნაბიჯია.

3. „საავარიო მუხრუჭი“

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით ამ ორგანიზაციისათვის სისხლის სამართლის სფეროში საკმაოდ ფართო სისხლის სამართლებრივი კომპეტენციების გადაცემის პარალელურად ამავე მუხლის მეხამე ნაწილში გათვალისწინებულ იქნა წევრი სახელმწიფოების ინტერესების დაცვისათვის აუცილებელი ე.წ. „საავარიო მუხრუჭი“, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:⁶³

თუ საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ჩათვლა, რომ 83-ე მუხლის პირველი და მეორე აბზაციდან გამომდინარე გამოსაცემი დირექტივის პროექტი შეიძლება მისი შიდასახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი სისტემის ძირითად ასპექტებს შეეხოს, მაშინ მას შეუძლია გააკეთოს განაცხადი, რომ ამ საკითხით ევროპული საბჭო დაკავდეს. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურა შეჩერდება. განხილვის დასრულების შემდეგ, ევროპული საბჭო, თანხმობის შემთხვევაში, დირექტივის პროექტს, პროცედურის შეჩერებიდან 4 თვის განმავლობაში უბრუნებს საბჭოს. ამით საკანონმდებლო პროცედურის შეჩერება დასრულდება.

თუ თანხმობა ვერ მიიღწევა, მაგრამ დირექტივის არსებული პროექტის საფუძველზე სულ მცირე, ევროკავშირის წევრ ცხრა სახელმწიფოს სურს გაძლიერებული თანამშრომლობა, მაშინ ისინი ამის შესახებ აცნობებენ იმავე ვადაში ევროკავშირის პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას. აღნიშნულ შემთხვევაში, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-20 მუხლის მეორე აბზაცისა და ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 329-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, გაძლიერებული თანამშრომლობის უფლებამოსილება ჩაითვლება მინიჭებულად.

83-ე მუხლის მესამე ნაწილით ყველა სახელმწიფომ რეალურად ვეტოს უფლება მიიღო საკუთარი ინტერესების ევროპული გავლენებისაგან დასაცავად.⁶⁴ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეს ინსტიტუტი იმ ფონზე იძენს, როდესაც დღეისათვის გადაწყვეტილების მიღებისას კავშირის ფარგლებში უმრავლესობის პრინციპი მოქმედებს და რთულია საკუთარი ინტერესების დაცვა. ხოლო არის თუ არა საავარიო მუხრუჭის გამოყენება ყოველთვის შესაძლებელი, ეს უკვე სხვა საკითხია. უპირველეს ყოვლისა, ის გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საფრთხე ექმნება შიდასახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი სისტემის რომელიმე ძირითად ასპექტს და ის არ უნდა იქცეს საბჭოში ნებისმიერი ინიციატივის დამბლოკავ საშუალებად.⁶⁵ ის ჯერ კიდევ, ევროკონსტიტუციის ტექსტის პროექტში იქნა გათვალისწინებული, როგორც კომპრომისი უმრავლესობის პრინციპზე გადასვლის გამო და რომლის შემოღებასაც რამდენიმე სახელმწიფო საერთოდ არ ეთანხმებოდა.⁶⁶ თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 83-ე მუხლის მესამე ნაწილი არანაირ კონკრეტულ დათქმას არ აკეთებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა დროს შეიძლება ნაციონალური სამართლებრივი სისტემის ძირითადი ასპექტები შელახულად ჩაითვალოს. ეს თვითონ სახელმწიფოს გადასაწყვეტია და მას ყოველგვარი დეტალური დასაბუთების გარეშე შეუძლია ამ საფრთხეზე უბრალოდ მიუთითოს და ვეტოს უფლება გამოიყენოს. თუ რა პოზიციაზე დგანან საბჭოში წარმოდგენილი სხვა სახელმწიფოები, ამას არა აქვს მნიშვნელობა.⁶⁷

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის მინიჭებული ვეტოს უფლება, მიუხედავად მისი გამოყენების ადვილი შესაძლებლობისა, მაინც არ ნიშნავს, რომ დირექტივის პროექტი ერთი ხელის მოსმით საბოლოოდ ჩავარდება. თავდაპირველად, წევრი სახელმწიფოები ეცდებიან ევროკავშირის საბჭოში კომპრომისის მიღწევას და თუ ეს არ გამოვიდა, რჩება გაძლიერებული თანამშრომლობის გზა.⁶⁸ გაძლიერებული თანამშრომლობის მეშვეობით შეუძლიათ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც სურთ იმ დირექტივის პროექტის მიღება, რომელსაც ერთ-ერთმა სხვა წევრმა ვეტო დაადო, გამოსცენ ეს აქტი, თუმცა ის მხოლოდ მათთვის შეიძენს სავალდებულო ძალას.⁶⁹ ამით ლისაბონის ხელშეკრულება ორივე მხარის ინტერესებს თანაბრად ითვალისწინებს.

რა შეიძლება მოვიხაროთ „ძირითად ასპექტებში?“ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თავიდანვე უნდა გვახსოვდეს, რომ ამის გარკვევა უნდა მოხდეს თითოეული სახელმწიფოს გადმოსახედიდან გამომდინარე, ამიტომ წინასწარ სრულყოფილად შეუძლებელია თქმა, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რა შეიძლება მომავალში ჩაითვალოს ასეთ ასპექტად.⁷⁰

უპირველეს ყოვლისა, ამაში შედიან ნაციონალურ კონსტიტუციებში ჩადებული ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორცაა: ბრალის, კანონის უკუქცევითი ძალის აკრძალვის, თანაზომიერების, სამართლებრივი სიკეთის დაცვის, ultima ratio-ს და სხვა პრინციპები.⁷¹ ეს ასპექტები დამახასიათებელია არა მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემისათვის, არამედ ნაცნობია სხვებისთვისაც. ამ საკითხზე არის საუბარი ევროპული კრიმინალური პოლიტიკის მანიფესტშიც.⁷² მანიფესტში წამყვანმა ევროპელმა სისხლის სამართლის სპეციალისტებმა ჩამოაყალიბეს ის პრინციპები, რომლებიც მომავალში სასურველია რომ იქნეს გათვალისწინებულ როგორც ნაციონალურ, ასევე საერთოევროპულ დონეზე. მათ უნდა შეასრულონ საორიენტაციო ფუნქცია.⁷³ თანაზომიერების, სუბსიდიურობის, კანონიერებისა და კოჰერენტულობის პრინციპები — ეს არის ის ძირითადი მომენტები, რომელთა დარღვევის გამოც უნდა გამოიყენონ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა საავარიო მუხრუჭი.⁷⁴ მკვ-ე მუხლიდან გამომდინარე, უფლებამოსილების განხორციელების დროს ევროკავშირის შესაბამისმა ორგანოებმა უნდა დაასაბუთონ, რომ მათ მიერ გამოსაცემი ესა თუ ის აქტი ამ მოთხოვნებს შეესაბამება.⁷⁵

თუმცა ეს მანიფესტი ეხება არა მხოლოდ ევროპულ კანონმდებელს, არამედ წევრ სახელმწიფოებსაც. სასურველია, რომ მომავალში ისინი საავარიო მუხრუჭს მხოლოდ საფუძვლიანი დასაბუთების შემდეგ გამოიყენებენ და არა პოლიტიკური ვაჭრობის საგნად.⁷⁶ კითხვას, შეუძლია თუ არა ევროკავშირის სასამართლოს იმის გადამონმება, იყენებენ თუ არა სახელმწიფოები საავარიო მუხრუჭს ბოროტად და ამით არღვევენ თუ არა ლისაბონის ხელშეკრულებაში ჩადებულ ლოიალურობის პრინციპს (ევროკ. შეს. ხელშ. მუხ. 4, აბზ. 3) – უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგანაც მსგავს შემთხვევაში, საავარიო მუხრუჭის ინსტიტუტი საერთოდ აზრს დაკარგავს. მისი უმთავრესი მიზანი ნაციონალური სამართლებრივი იდენტურობის შენარჩუნებაა და ამის ევროკავშირის სასამართლოს დონეზე გადამონმება დაუშვებელია. სხვა წევრ სახელმწიფოებს ისედაც რჩებათ იმის შესაძლებლობა, რომ გაძლიერებული თანამშრომლობის გზით შეინარჩუნონ დაბლოკილი დირექტივის პროექტი და შესაბამისად, ერთი სახელმწიფოს მხრიდან ვეტოს დადება ევროკავშირის საქმიანობას სისხლის სამართლის მიმართულებით საფრთხეს არ უქმნის.⁷⁷

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპებისა, სახელმწიფოს შეუძლია ვეტოს უფლება სხვა იმ ასპექტების დაცვის საფუძვლითაც გამოიყენოს, რომლის დათმობაც ნაციონალური სამართლის თავისებურებიდან გამომდინარე, მას არ სურს ან არ შეუძლია.⁷⁸

დასკვნა

მიუხედავად არსებული კრიტიკისა და შენიშვნებისა, რომლებსაც შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმოთ, მაინც უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის უფლებების გაძლიერება სისხლისსამართლებრივი დათქმების მიმართულებით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.⁷⁹ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მკვ-ე მუხლი ამის კარგი ნიმუშია. მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება კავშირისა და წევრ სახელმწიფოებს შორის კომპეტენციათა უფრო მკაფიოდ გამიჯვნა, ვიდრე ეს აქამდე იყო.

შენიშვნები:

- ¹ ევროპული ინტეგრაციის პროცესის შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსი იხ.: კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 6-10.
- ² Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, 4. Aufl. 2010, გვ. 115; ასევე, Hecker, Europäisches Strafrecht, 3. Aufl., 2010, გვ. 266; ზოგადად, ნაციონალურ სისხლის სამართალზე გავლენების შესახებ იხ.: ჯიშკარიანი, სამართლის ჟურნალი Nრ. 1-2, 2010, გვ. 254-271.
- ³ ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 109; Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, 4. Aufl. 2010, gv. 115; Zimmermann, JURA 2009, gv. 846; Dannecker, Jura 2006, gv. 99; Streinz/Ohler/Herrmann, Der Vertrag von Lissabon zur Refrom der EU, 3. Aufl., გვ. 163.
- ⁴ Vogel, GA 2003, gv. 321; Zimmermann, JURA 2009, გვ. 844.
- ⁵ Zimmermann, JURA 2009, gv. 844; Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, 4. Aufl. 2010, გვ. 116.
- ⁶ Streinz/Ohler/Herrmann, Der Vertrag von Lissabon zur Reform der EU, 3. Aufl., გვ. 165.
- ⁷ Sieber, ZStW 2009, gv. 57; Danecker, JURA 2006, გვ. 177.
- ⁸ ასე აფასებდა მაგალითად, Schünemann, GA 2004, gv. 200; Sdr. Vormbaum, Schütz der Rechtsgüter von EU-Staaten durch das deutsche Strafrecht, 2005, გვ. 70.
- ⁹ შდრ. Heger, ZIS 2009, გვ. 411.
- ¹⁰ Schünemann, GA 2004, გვ. 196.
- ¹¹ Schünemann, GA 204, gv. 196; Satzger, in Streinz (Hrsg.), EUV/EGV, 2003, 129; Heger, ZIS 2009, გვ. 411.
- ¹² Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, 4. Aufl., 2010, გვ. 117; Satzger, in Streinz (Hrsg.), EUV/EGV, 2003, 129; Heger, ZIS 209, გვ. 411.
- ¹³ Kubiciel, GA 2010, gv. 101; Zimmermann, JURA 2009, გვ. 846.
- ¹⁴ შდრ. ჰეგერი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 151-153.
- ¹⁵ Weigend, ZStW 2004, გვ. 283.
- ¹⁶ Kubiciel, GA 2010, გვ. 101.
- ¹⁷ Weigend, ZStW 2004, გვ. 283.
- ¹⁸ Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, 4. Aufl., 2010, გვ. 118.
- ¹⁹ შდრ. Sieber, ZStW 2009, გვ. 53.
- ²⁰ ჰეგერი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 154; Satzger, in Hefedehl(Hrsg.), Empirische und dogmatische Fundamente, kriminalpolitischer Impetus, 2005, გვ. 306.
- ²¹ EuGHE 2005, გვ. 7879 (Kommission/Rat); EuGHE 2007, gv. 9097 (Kommission/Rat).
- ²² Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, 4. Aufl., 2010, gv. 120; Zöller, ZIS 2009, გვ. 346; Zieschang, Festschrift für Tiedemann, 2008, გვ. 1313.
- ²³ EuGHE 2005, გვ. 7879 (Kommission/Rat).
- ²⁴ EuGHE 2007, გვ. 9097 (Kommission/Rat); ჰეგერი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 154.
- ²⁵ Reini/Reschke, wistra 2010, gv. 48; Frenz/Wübenhorst, wistra 2009, გვ. 450.
- ²⁶ Hecker, Europäisches Strafrecht, 3 Aufl., 2010, გვ. 267.
- ²⁷ Zimmerman, JURA 2009, gv. 847; Kubiciel, GA 2010, გვ. 102.
- ²⁸ Schünemann, in Schünemann (Hrsg.), Alternativentwurf Europäische Strafervorgung, 2004, gv. 75; Satzger, in Hefendehl (Hrsg.), Empirische und dogmatische Fundamente, kriminalpolitischer Impetus, 2005, გვ. 307; Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, 4. Aufl., 2010, გვ. 121.
- ²⁹ Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, 4. Aufl., 2010, გვ. 121.
- ³⁰ Walter, ZStW 2005, გვ. 928.
- ³¹ Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, 4. Aufl., 2010, გვ. 121.
- ³² შდრ. ჯიშკარიანი, სამართლის ჟურნალი, 1-2, 2010, გვ. 266-267.
- ³³ Hecker, Europäisches Strafrecht, 3. Aufl., 2010, გვ. 289.
- ³⁴ Streinz/Ohler/Herrmann, Der Vertrag von Lissabon zur Reform der EU, 3. Aufl., გვ. 73.
- ³⁵ Walter, ZStW 2005, გვ. 931.
- ³⁶ Kreß, ZStW 2004, გვ. 456.
- ³⁷ Schweitzer/Fixon, JURA 1992, გვ. 580.

- ³⁸ Streinz/Ohler/Herrmann, Der Vertrag von Lissabon zur Reform der EU, 3. Aufl., გვ. 107.
- ³⁹ Hecker, Europäisches Strafrecht, 3. Aufl., 2010, გვ. 291.
- ⁴⁰ Satzger, Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 413.
- ⁴¹ ABl. 2009, Nr. L 280, გვ. 52.
- ⁴² Hecker, ZStW 2003, გვ. 115; Knaut, Die Europäisierung des Umweltstrafrechts, 2004, გვ. 320.
- ⁴³ EuGHE, 2005, გვ. 7923 (Kommission/Rat).
- ⁴⁴ EuGHE, 2005, გვ. 7925 (Kommission/Rat).
- ⁴⁵ Hecker, Europäisches Strafrecht, 3. Aufl., 2010, გვ. 288.
- ⁴⁶ დანერ. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 91-95; Ambos, Internationales Strafrecht, 2. Aufl., 2008, გვ. 417; Dannecker, JURA 2006, გვ. 97; Schröder, Europäische Richtlinien und deutsches Strafrecht, 2002, გვ. 145.
- ⁴⁷ Ambos, Internationales Strafrecht, 2. Aufl., 2008, გვ. 420.
- ⁴⁸ Heger, ZIS 2009, გვ. 416; ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 95; დამატებით იხ.: ჰეგერი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, 159-160.
- ⁴⁹ Dannecker, in Eser/Huber (Hrsg.) Strafrechtsentwicklung in Europa, Bd. 4.3., 1995, გვ. 146.
- ⁵⁰ Tiedemann, NJW 1990, გვ. 2226.
- ⁵¹ Dannecker, ZStW 1996, გვ. 578.
- ⁵² Hecker, Europäisches Strafrecht, 3. Aufl., 2010, გვ. 289.
- ⁵³ Hecker, Europäisches Strafrecht, 3. Aufl., 2010, გვ. 289.
- ⁵⁴ Leible, in Streinz, EUV/EGV, 2003, გვ. 1238.
- ⁵⁵ Leible, in Streinz, EUV/EGV, 2003, გვ. 1239.
- ⁵⁶ Streinz, in Streinz, EUV/EGV, 2003, გვ. 274.
- ⁵⁷ Eisele, JZ 2001, გვ. 1163; Hecker, Europäisches Strafrecht, 3. Aufl., 2010, გვ. 293.
- ⁵⁸ BVerfGE 89, გვ. 212.
- ⁵⁹ Eisele, JZ 2001, გვ. 1163; Hecker, Europäisches Strafrecht, 3. Aufl., 2010, გვ. 292.
- ⁶⁰ Rahmenbeschluss 2008/919/JL, ABl. 2008, Nr. L 330, გვ. 21.
- ⁶¹ ევროპული კრიმინალური პოლიტიკის მანიფესტი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 538; Manifest zur Europäischen Kriminalpolitik, ZIS 2009, გვ. 706.
- ⁶² შდრ. ევროპული კრიმინალური პოლიტიკის მანიფესტი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 527.
- ⁶³ შდრ. ჰეგერი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 155-159.
- ⁶⁴ Heger, ZIS 2009, გვ. 413; Zimmermann, JURA 2009, გვ. 848.
- ⁶⁵ Heger, ZIS 2009, გვ. 415.
- ⁶⁶ Satzger, in: Hefendehl, Empirische und dogmatische Fundamente, kriminalpolitischer Impetus, 2005, გვ. 308.
- ⁶⁷ Hecker, Europäisches Strafrecht, 3. Aufl., 2010, გვ. 295.
- ⁶⁸ Sieber, ZStW 2009, გვ. 56.
- ⁶⁹ Zimmermann, JURA 2009, გვ. 848.
- ⁷⁰ შდრ. ჯიშკარიანი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 191-192; ასევე, ჯიშკარიანი, სამართლის ჟურნალი, Nრ. 1-2 2010, გვ. 267.
- ⁷¹ ჰეგერი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 157-158; Dannecker, JURA 2006, გვ. 177; Heger, ZIS 2009, გვ. 414.
- ⁷² Manifest zur Europäischen Kriminalpolitik, ZIS 2009, გვ. 697.
- ⁷³ Satzger, ZIS 2009, გვ. 693; Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, 4. Aufl., 2010, გვ. 124.
- ⁷⁴ შდრ. ზატცგერი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, 517-523.
- ⁷⁵ Satzger, ZIS 2009, გვ. 693.
- ⁷⁶ Heger, ZIS 2009, გვ. 414.
- ⁷⁷ შდრ. Zimmermann, JURA 2009, გვ. 848.
- ⁷⁸ Zimmermann, JURA 2009, გვ. 848.
- ⁷⁹ შდრ. ჯიშკარიანი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 194.

COMPETENCE OF CRIMINAL LAW HARMONIZATION IN ACCORDANCE WITH THE ARTICLE 83 OF AGREEMENT ON THE LIST OF EU DIRECTIVES

BACHANA JISHKARIANI

*LL.M Munich, PHD of Criminal Procedure and Economic Criminal
Law Faculty*

Lisbon Agreement, that entered the legal force on December 1, 2009, is nowadays the main document acting in EU. This legal act was adopted after the failure of European Constitution, as a compromise. Several amendments were implemented within the framework of Lisbon Agreement. For example, some competences had been spread differently between the member states and Union, compared to what it was before. Changes reflected criminal law area as well.

Presented Article speaks about the List of European Union Directives Article 83 of the Agreement, (this agreement is part of Lisbon Agreement), that is the crucial article in regard with the criminal jurisdiction of EU. For example, based on that, it is possible to issue criminal law directives. Member states are further obliged to shift these requirements in local legislation. Obviously, EU rights are not limited in this regard. Article 83 specifies the areas, where it is possible to intervene through the directives.

Article 83 not only allows for issuing of directives, but also important mechanisms of criminal justice system protection. Member states can veto directives in case the specific directive creates threat to the key aspects of national criminal justice system.

Certain critics was expressed regarding the mentioned novelties and certain aspects of Article 83 was evaluated as threat to national justice system, although as a summary it is worth mentioning that this is one more step forward towards European integration and it deserves positive assessment.

თანამონაწილეთა სახეების კლასიფიკაციის შესახებ

გიორგი ბარაბაძე

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საგულისხმოა, რომ თანამონაწილეთა სახეების კლასიფიკაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის, ასევე, სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხის მართებული გადაწყვეტისათვის. დანაშაულის ჩადენაში ორი ან რამდენიმე პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობისას, მოქმედების ხერხები, რომლის მეშვეობითაც ესა თუ ის თანამონაწილე სისხლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობას ხელყოფს, შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარი იყოს. ზოგი შეიძლება უშუალოდ ჩადიოდეს დანაშაულს, ხოლო ზოგი მონაწილეობას იღებდეს წინასწარ მოსამზადებელ მოქმედებაში და ა.შ. ამდენად, საჭიროა გაირკვეს, თუ რა კატეგორიებად შეიძლება დაიყოს ყველა ის პირი, რომელიც განზრახ ერთობლივად მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ისინი მონაწილეობას იღებენ ერთიანი დანაშაულებრივი შედეგის დადგომაში, ასეთი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, პირის როლი დანაშაულის ჩადენაში, ზეგავლენის ხასიათი ერთი თანამონაწილისა მეორეზე განსხვავებულია. აღნიშნული, თავის მხრივ, მიუთითებს, ცალკეული თანამონაწილის განსხვავებული სოციალური საშიშროების შინაარსზე.

თანამონაწილეობის თეორიის შექმნასთან ერთად, რომელიც პრაქტიკულად ბურჟუაზიული პერიოდის მეცნიერებას უკავშირდება, დაიწყო ცდები მათი სახეებად კლასიფიკაციისა. სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის ეს აუცილებელი იყო, როგორც

თანამონაწილეობის თეორიის კვლევისას, ისე საკანონმდებლო ტექნიკისა და მათი პასუხისმგებლობის საკითხის სწორად გადაჭრის თვალსაზრისითაც.

ხაზგასასმელია, რომ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, თანამონაწილეთა კლასიფიკაციის შესახებ, ისტორიულად, სამი თეორიული მიმართულება ჩამოყალიბდა: ობიექტური, სუბიექტური, შერეული.¹

ისტორიულად, ობიექტური თეორია ყველაზე უფრო ძველი წარმომავლისაა და იგი დაკავშირებულია სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ფუძემდებლის ა. ფოიერბახის სახელთან. ეს კონცეფცია თანამონაწილეთა სახეების გამიჯვნას საფუძვლად უდებდა დანაშაულებრივი შედეგის გამომწვევი ერთიანი მოქმედების გარეგან ნიშნებს. ამ თეორიის წარმომადგენლები (ფოიერბახი, ციტმანი, გლორმანი და სხვ.) ამტკიცებდნენ, რომ ამსრულებელი არის ის, რომლის მოქმედებაც წარმოადგენს მოვლენის საკმარის, აუცილებელ, უპირატესობის მქონე ან მთავარ მიზეზს. კერძოდ, ფოიერბახის მსჯელობით, ვინაიდან დასჯადობა და მისი ხარისხი განისაზღვრება იმ ზიანის მიხედვით, რომელიც ადგება სამართლებრივ სიკეთეს. ამდენად, დანაშაულის შედეგის გამომწვევი უნდა დაისაჯოს მკაცრად დამხმარესთან შედარებით, რადგანაც ეს უკანასკნელი მხოლოდ ეხმარება მას. ზიანის მიმყენებელში იგი გულისხმობდა არა მარტო ამსრულებელს, არამედ წამქეზებელსაც. მისი აზრით, ამსრულებელია ის, ვისი მოქმედებაც წარმოადგენს საკმარის მიზეზს დანაშაულებრივი შედეგის წარმომავლისათვის. სულერთია, უშუალოდ ამ პირის მოქმედებამ გამოიწვია ეს შედეგი, თუ იგი გაშუალებული იყო სხვისი მოქმედებით.²

აღსანიშნავია, რომ შემდგომში, მიზეზობრივი კავშირის სხვაგვარი გაგების კვალობაზე, თანამონაწილეობის ფოიერბახისეული თეორია დაუნებული და უარყოფილი იქნა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც გერმანულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში უკუგდებული იქნა შედეგის გამომწვევ ფაქტორთა სხვადასხვაგვაროვნება და გაბატონებული მდგომარეობა ეკვივალენტურმა თეორიამ მოიპოვა, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა დასკვნაში „შედეგის გამომწვევი აუცილებელი პირობები ტოლფასოვანია.“ ობიექტური თეორიის მომხრეთა ერთი ჯგუფი (რ. ჰიპელი, ე. ბელინგი, მ. მაიერი, ე. მეცგერი და სხვ.) შეეცადა მიემართა სხვა – კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობისადმი თანამონაწილეთა მიერ ჩადენილი მოქმედებების დამოკიდებულების ობიექტური კრიტერიუმისათვის.

ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელი მიმართულების წარმომადგენლები, თანამონაწილეთა განმასხვავებელ ნიშანს თავად სისხლის სამართლის კანონში ეძებდნენ. ანუ, უფრო ზუსტად, კანონის დისპოზიციით გათვალისწინებული შემადგენლობის სფეროში. მათი აზრით, ამსრულებელი ასრულებს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის მოქმედებას, დამხმარე კი, იმ მოქმედებას, რომელსაც ამსრულებელი მიჰყავს დანაშაულის ჩადენამდე.

ცხადია, ფორმალურ-ობიექტური თეორიის ნაკლი აშკარა იყო, ვინაიდან ეს თეორია თანამონაწილეთა დაყოფას ხედავდა არა მიზეზობრიობის ხასიათში, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მათი მოქმედების იურიდიულ მნიშვნელობაში. მსგავსი დაყოფის კრიტერიუმად ითვლებოდა თავად ფაქტი ამ მოქმედების შესრულებაში მონაწილეობისა, რომელიც ქმნიდა დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. მათ მიერ შემოთავაზებულ თანამონაწილეთა კლასიფიკაციის ობიექტურ კრიტერიუმს გამოცლილი ჰქონდა ის მატერიალური საფუძველი, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობისას შედეგის გამომწვევ აუცილებელ პირობათა არათანასწორფასოვნებაში გამოიხატებოდა.

თანამონაწილეთა კლასიფიკაციის საკითხში არსებითი ნაკლოვანებები ახასიათებს სუბიექტურ თეორიასაც. როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, გერმანელმა კრიმინალისტმა მ. ბურიმ შეიმუშავა მიზეზობრიობის ეკვივალენტური თეორია, ანუ პირობათა თანასწორფასოვნების თეორია, რომლის თანახმადაც, ყველა პირობა, რომელმაც მოცემული შედეგის წარმოშობას შეუწყო ხელი, თანაბარი კაუზალური მნიშვნელობისაა. ეს დასკვნა ამ თეორიის მომხრეთა აზრით, შედეგის გაუყოფადობის იდეას ემყარება და თუ შედეგი გაუყოფადია, მიუთითებენ ისინი, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთმა პირობამ შედეგის დიდი ნაწილი გამოიწვია, მეორემ კი – უფრო მცირე, ან ერთმა პირობამ მეტად შეუწყო ხელი შედეგის დადგომას, მეორემ კი – ნაკლებად.

მიზეზობრივი კავშირის ამგვარი გაგების კვალაობაზე გერმანელმა კრიმინალისტებმა ის ლოგიკური დასკვნა გამოიტანეს, რომ შეუძლებელია თანამონაწილეთა ცალკეულ სახეთა დიფერენციაცია ობიექტური ნიშნის მიხედვით მოხდეს.³

მართლაც, თუკი დანაშაულებრივი შედეგის წარმომშობ პირობათა შორის შეუძლებელია რაიმე ობიექტური განსხვავების პოვნა, მაშინ, მიზეზობრივ კავშირს არ შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, მაშინ თანამონაწილეთა კლასიფიკაცია შეუძლებელია მათ მიერ ჩადენილი მოქმედებების ხასიათს დაეფუძნოს. სწორედ ის გარემოება, რომ ობიექტურ სფეროში შეუძლებელი იყო განმასხვავებელი ნიშნის გამოძებნა, გახდა მიზეზი თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიის წარმოშობისა.

სუბიექტური თეორიის წარმომადგენლები (კესტლინი, გელშნერი, ბური, ბარი და სხვ.) თანამონაწილეთა განმასხვავებელ საფუძველს ეძებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ქმედების ფსიქიკურ მხარეში, კერძოდ, დანაშაულებრივი შედეგით დაინტერესებაში. მათი აზრით, ამსრულებელი არის ის, ვინც მოქმედებს ამსრულებლის ნებით და დანაშაული სურს „როგორც საკუთარი.“ თანამონაწილე კი არის ის, ვინც თანამონაწილეობის ნებით მოქმედებს და სურს ხელი შეუწყო დანაშაულს „როგორც სხვის საკუთრებას.“

როგორც ვხედავთ, სუბიექტური თეორია, რომელიც პირობათა თანასწორფასოვნების აღიარებით და მიზეზობრივი კავშირის დაკნინებით გამოირჩევა, ცალკეული სახის თანამონაწილეთა გამიჯვნისას, მთლიანად უარყოფს ობიექტურ ნიშნებს და გამიჯვნის საფუძველს სუბიექტურ სფეროში ეძებს.

ცხადია, ეს თეორია მეორე უკიდურესობაში ვარდება. კერძოდ, საკუთარი და სხვისი დასჯადი ქმედებების ბუნდოვანი და გაურკვეველი ცნებების შემოტანით ის ვერ იძლევა რაიმე მყარ კრიტერიუმს, რომლითაც შესაძლებელი იქნება თანამონაწილეთა სახეებად დაყოფა. ამ თეორიის უარყოფითი მხარე ნათლად იკვეთება იმაშიც, რომ იგი პირობითად აყენებს ამსრულებლისა და დამხმარის ურთიერთგამიჯვნის საკითხს, თუმცა, არ იძლევა რაიმე მყარ კრიტერიუმს დანაშაულის წამქეზებლის გამოსაყოფად.

წამქეზებელი, რომელიც არის მთელი დანაშაულის ინიციატორი და მისი იდეური სულისჩამდგმელი, მას ყოველთვის სურს მოცემული დანაშაულის ჩადენა „როგორც საკუთარი.“ ამიტომ, კრიტერიუმი, რომელიც ამ თეორიის მიხედვით დანაშაულის ამსრულებელს გამიჯნავდა, მასში სრულიად ლოგიკურად შეიძლება მოთავსდეს წამქეზებლის ფიგურაც. იგივე შეიძლება ითქვას დანაშაულის ორგანიზატორზეც.⁴ აქედან, კი, ერთადერთი დასკვნა გამომდინარეობს, კერძოდ, სუბიექტური თეორია ვერ იძლევა რაიმე მყარ კრიტერიუმს, რომლითაც შეიძლებოდა ზღვარის

გავლება ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას შორის. იგი, ფაქტობრივად, დანაშაულის ამსრულებლის და წამქეზებლის ფიგურას აიგივებს ერთმანეთთან და არ იძლევა მათი გამიჯვნის საშუალებას.

გარდა ამისა, ამ თეორიის ნაკლოვანება ნათლად ვლინდება, ასევე, სპეციალური სუბიექტით კონსტრუირებული ან საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში ამსრულებლისა და თანამონაწილის ურთიერთგამიჯვნისას. ამ თეორიის თანახმად, სამართლიანად შენიშნავს პროფ. თ. წერეთელი, სისხლის აღრევის სუბიექტად უნდა ჩაითვალოს ის პირი, ვინც ნათესაურ ურთიერთობაში არ არის სისხლის აღრევის უშუალო მონაწილეებთან, თუ იგი დაინტერესებულია ამ შედეგით, ან კერძო პირი, რომელიც ხელს შეუწყობს თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენას, უნდა ჩაითვალოს მის ამსრულებლად, თუ მას ჰქონდა „ამსრულებლის ნება.“⁵

საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებშიც თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიის არათანმიმდევრულობაზე მიუთითებს პროფ. ო. გამყრელიძე, რომელიც შენიშნავს, რომ „საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტების არსებითი ნიშანია ის, რომ სუბიექტი შემადგენლობას უშუალოდ თვითონ ახორციელებს – თვითონ გარბის პატიმრობიდან, პირადად ეს განსაზღვრული პირი ტოვებს ნაწილს (დეზერტირობა) და სხვა: მაგრამ სუბიექტური თეორიის მიხედვით, ყველაფერი თავდაყირა დგება.“⁶

წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამონაწილეობის სუბიექტური თეორია პრაქტიკულად, სავსებით გამოუსადეგარია თანამონაწილეთა სახეების გასამიჯნად. თუმცა, მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ მან ფართო გავრცელება ჰპოვა გერმანიასა და შვეიცარიაში და ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწია გერმანულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში ამჟამად გაბატონებულ თანამონაწილეთა კლასიფიკაციის მატერიალურ-ობიექტურ თეორიას, რომელიც თავის მხრივ, ცდილობს შეათანხმოს ეს თეორიები „ობიექტური“ და „სუბიექტური“ კრიტერიუმების საფუძველზე.

მატერიალურ-ობიექტურ, ანუ ფინალურ-ობიექტურ თეორიას საფუძველად უდევს ჰ. ველცელის მიერ ჩამოყალიბებული ე.წ. ფინალური შეხედულება მოქმედებაზე. იმისათვის, რომ ჩვენთვის გასაგები გახდეს თანამონაწილეობის ე.წ. მატერიალურ-ობიექტური თეორიის არსი, საჭიროა მოკლედ შევეხოთ ჰ. ველცელის მიერ ჩამოყალიბებულ ფინალურ შეხედულებას მოქმედებაზე.

ფინალური შეხედულების თანახმად, მოქმედება წარმოადგენს არა უბრალო კაუზალურ, არამედ „ფინალურ“ ცნებას. მოქმედების „ფინალურობა“, ე.ი. მიზნობრიობა იმას ემყარება, რომ ადამიანს თავისი მოქმედების შესაძლებელ შედეგთა კაუზალური ცოდნის საფუძველზე, განსაზღვრული მოცულობით შეუძლია გაითვალისწინოს თავისი მოქმედების შესაძლებელი შედეგები, დასახოს სხვადასხვა მიზნები და გეგმაზომიერად წარმართოს თავისი საქმიანობა ამ მიზნების მისაღწევად. თავისი კაუზალური გათვალისწინების საფუძველზე, პიროვნებას შეუძლია ისე წარმართოს თავისი საქმიანობის ცალკეული ასპექტები, რომ გარეგანი ხდომილება დასახულ მიზანს დაუმორჩილოს. ფინალური საქმიანობა მიზნისაკენ შეგნებულად წარმართული მოქმედებაა, მაშინ, როდესაც წმინდა კაუზალური ხდომილება არის არა მიზნისაკენ მიმართული, არამედ შემთხვევითი შედეგის რაიმე მიზეზობრივი კომპონენტი. ამიტომ ფინალურობა, ხატოვნად რომ ვთქვათ, თვალხილულია, ხოლო კაუზალობა – ბრმაა. თუ კაუზალობა ბრმა პროცესია, თუ იგი მიზეზობრივი კომპონენტების შემთხვევითი დამთხვევის შედეგია, ფინალურობა, პირიქით, ბრმა კაუზალობის შეცნობილი, გეგმაზომიერი წარმართვაა.⁷

ასეთია მოკლედ არსი ფინალური თეორიისა, რომელიც საფუძვლად უდევს თანამონაწილეობის მატერიალურ-ობიექტურ ცნებას. როგორც შევნიშნეთ, ფინალისტები უპირისპირდებიან თანამონაწილეობის ტრადიციულ-ობიექტურ და სუბიექტურ თეორიებს და მიიჩნევენ, რომ მათ შეძლეს მოენახათ, მესამე უფრო სწორი გზა თანამონაწილეობის პრობლემის გადასაწყვეტად. ისინი აკრიტიკებენ სუბიექტურ თეორიას იმიტომ, რომ იგი ვერ ამართლებს პრინციპს „*nullum crimen sine lege*” და ამსრულებლის სახით სჯიდა იმ პირებს, რომელთა მოქმედება შეესაბამებოდა სისხლის სამართლის კანონში აღწერილი კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს.⁸ მაგრამ, იმავდროულად, არც ფორმალურ-ობიექტურ თეორიას ეთანხმებიან. თუ ამ თეორიის მიხედვით, ამსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, ვინც დანაშაულის შესრულებაში მიიღო მონაწილეობა, ფინალური თეორია ამ მხრივ, კიდევ უფრო შორს მიდის. კერძოდ, ამსრულებლის ცნება, ფინალური მოქმედების შესაბამისად, აგებული უნდა იქნას არა შემადგენლობის, არამედ ფინალური მოქმედების ე.ი. ადამიანის ნებით წარმართული და განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად ჩადენილი წინასწარ განჭვრეტილი ქმედების საფუძველზე. მოქმედების ასეთი გაგების შესაბამისად, ამსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობა შეასრულა, არამედ ისიც, ვინც გარეგნულად მხოლოდ წმინდა ფსიქიკურ აქტს დასჯერდა (შეგულიანება) და ისიც, ვინც გარეგნულად მოსამზადებელი ან დამხმარე აქტი ჩაიდინა (დანაშაულში დახმარება). ამსრულებელი მთავარი, გენერალური ბრალეულია. „ქმედების ბატონ-პატრონი – ამტკიცებს ჰ. ველცელი, – არის ის, ვინც მიზანდასახულად ახორციელებს ქმედებას საკუთარი ნებელობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.”⁹

როგორც ვხედავთ, მატერიალურ-ობიექტური თეორია, თანამონაწილეთა განსხვავებისას ცდილობს შერეული კონცეფცია განავითაროს. მათ მიერ მოქმედების ფინალური ცნება გამოყენებულია თანამონაწილეთა გამიჯვნის საკითხში სუბიექტური ელემენტების შესატანად, რაზეც ნათლად მიუთითებს დანაშაულში თანამონაწილის ნების მიმართულების პრიორიტეტული მნიშვნელობა. ხოლო დანაშაულის უშუალო შესრულებას, ანუ ობიექტურ კრიტერიუმს, შენარჩუნებული აქვს მხოლოდ პირობითი სახე. ამ კონცეფციით ის, ვინც მხოლოდ აქეზებს ან ხელს უწყობს სხვა პირს დანაშაულის ჩადენაში, შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ამსრულებლად, თუ მას ჰქონდა ამსრულებლის განზრახვა და თუ, იგი ფინალურად განაგებდა თავის მოქმედებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფინალურ-ობიექტური თეორია თავისი არსით მეტად დაახლოებულია თანამონაწილეობის ტრადიციულ სუბიექტურ თეორიასთან, ვინაიდან თანამონაწილეთა სახეების დიფერენციაციის თაობაზე მათ მიერ შემოთავაზებულ ქმედებაზე ბატონობის კრიტერიუმი და ასევე, დანაშაულში თანამონაწილის ნების მიმართულების კრიტერიუმიც, საბოლოოდ და არსებითად, ისევ სუბიექტურ სფეროს ეფუძნება, რაზეც სავსებით სწორად შენიშნავს მ. კოვალიოვი, „ფინალური მოქმედების თეორია თანამონაწილეობის ინსტიტუტის მიმართ ნიშნავს თანამონაწილეობის მოდერნიზებულ და გადაკეთებულ სუბიექტურ თეორიას, რომელიც ფინალური მოქმედების უაღრესად ხელოვნური კატეგორიის წყალობით სურთ გაასაღონ „მატერიალურ-ობიექტურ თეორიად.”¹⁰

საბჭოური პერიოდის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, ერთხმად აღიარებული იყო აზრი, რომ განსხვავება ამსრულებელსა და სხვა თანამონაწილეთა შორის შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურ ნიშანზე დაფუძნებით.¹¹ ასეთ საფუძვლად კი, ერთი მხრივ, მიჩნეული იყო ჩადენილი ქმედების ხასიათი, მისი დამოკიდებულებით, უპირველესად, სისხლის

სამართლის კანონის კერძო ნაწილის მუხლში (მუხლებში) ჩამოყალიბებული დანაშაულის ნიშნებისადმი და ამის საფუძველზე, ამსრულებლის და სხვა თანამონაწილეთა გამოყოფა. ხოლო მეორე მხრივ, ერთიან დანაშაულებრივ ქმედებაში თითოეული მონაწილის მიერ განხორციელებული ქმედების ხასიათის შესაბამისად, ორგანიზატორის, ნამქეზების და დამხმარის ურთიერთგამიჯვნა.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, თანამონაწილეთა სახეების დიფერენციაცია მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის შესახებ დიალექტიკური მატერიალიზმის სწავლების საფუძველზე ხდებოდა. დიალექტიკური მატერიალიზმი, – წერდა თ. წერეთელი, – ალიარებს გარე სამყაროს ობიექტური კანონზომიერების და მიზეზის აქტიურ, ქმედით ხასიათს შედეგის მიმართ და აკეთებს დასკვნას იმ ფაქტორების არათანასწორფასოვნებაზე, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მოვლენის წარმოშობაში. რადგან დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, შედეგი მიზეზის გამოვლინებაა ე.ი. შედეგი მიზეზით განიზომება, ცხადია, რაც უფრო ქმედითია მიზეზი, მით უფრო ძლიერია წარმოშობილი ეფექტი. აქედან კი, თანმიმდევრულად გამომდინარეობს, რომ თუ შედეგის წარმოშობაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ფაქტორი, მაშინ თითოეული მათგანის როლი განისაზღვრება შედეგის წარმოშობაში მისი აქტიურობის ხარისხის მიხედვით. მაშასადამე, ეს როლი შეუძლებელია აბსოლუტურად ისეთივე იყოს, როგორც სხვა ფაქტორთა როლი. პირიქით, თითოეული მიზეზი, რომელიც მონაწილეობას იღებს შედეგის წარმოშობაში ფაქტორთა საერთო ჯაჭვში, ყოველთვის ინდივიდუალურ როლს ასრულებს და ამიტომ აბსოლუტურად თანასწორფასოვანი ფაქტორები არ არსებობენ.... შედეგად, აგრძელებს მსჯელობას ავტორი, – დიალექტიკური მატერიალიზმი მოვლენის წარმოშობაში მონაწილე ფაქტორთა შორის გამოჰყოფს მთავარ, გადამწყვეტ, პირველხარისხოვან ფაქტორებს, რომელთაც განასხვავებს არა მთავარი, არა გადამწყვეტი, მეორეხარისხოვანი ფაქტორებისაგან.¹² ასეთ ფაქტორებად კი, სისხლის სამართლის მეცნიერებასა და კანონმდებლობაში დასახელებულია ობიექტური ნიშანი.

„თანამონაწილეობა – აღნიშნავს ტრანინი, – კომბინირებული თანამშრომლობაა, სადაც თითოეულს მიკუთვნებული აქვს განსაზღვრული ადგილი, განსაზღვრული ფუნქცია, განსაზღვრული როლი. შესაბამისად, თანამონაწილეთა კლასიფიკაცია უნდა აიგოს ამ რეალური თავისებურებებისადმი შეფარდებით, ის კონკრეტული ფუნქციის გათვალისწინებით უნდა აიგოს.“¹³

ერთიან დანაშაულში თანამონაწილეთა სახეებად დაყოფის ობიექტური კრიტერიუმის ტრადიციულ ხასიათზე მინიშნებას ვხვდებით ასევე, სხვა მრავალი კრიმინალისტის შემოქმედებაშიც. კერძოდ, „დანაშაულის ამსრულებელი, წერს მ. კოვალიოვი, ეს, უპირველეს ყოვლისა, არის პირი, რომელიც ასრულებს კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, ხოლო თანამონაწილენი ის პირებია, რომელთა მოქმედება არ წარმოადგენს შემადგენლობის შესრულებას, რა ინტენსიურიც არ უნდა იყოს თავისი ხასიათით ეს ქმედება.“¹⁴

მაშასადამე, ავტორის აზრით, კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის უშუალოდ შესრულება ის ობიექტური ნიშანია, რომლითაც ამსრულებლობა განსხვავდება თანამონაწილეობისაგან. ამსრულებლის ცნების ასეთ განსაზღვრებას თანმიმდევრულად იცავდნენ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც. „ამსრულებლად – წერდა თ. წერეთელი, – ითვლება ის პირი, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებს თვით დანაშაულის შესრულებაში. მაშასადამე, ამსრულებლის მოქმედებას გადამწყვეტი, არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის. იგი წარმოადგენს ძირითად რგოლს მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში, რომელმაც

დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია. ამსრულებლის მოქმედებაში მოცემულია დანაშაულის შემადგენლობის უშუალო განხორციელება. დამხმარედ, ავტორის აზრით, – ითვლება ის პირი, ვინც უშუალო მონაწილეობას არ იღებდა დანაშაულის შესრულებაში, არამედ ხელს უწყობდა მას ან აადვილებდა მის განხორციელებას.¹⁵

ობიექტურ საფუძველზე იყო აგებული ასევე, თანამონაწილეთა კლასიფიკაცია საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც, რასაც ამტკიცებდა სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისების მე-17 მუხლის შინაარსი. ამ უკანასკნელის თანახმად, თანამონაწილეთა სახეების განსხვავება დაფუძნებული იყო მხოლოდ და მხოლოდ თანამონაწილეთა მოქმედების ხასიათზე, ვინაიდან კანონმდებელი თანამონაწილეთა მოქმედების აღწერისას სარგებლობდა ისეთი ზმნებით, როგორიცაა: „ორგანიზატორობდა“, „იყოლიებდა“, „ეხმარებოდა“. ხოლო, რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, თანამონაწილეთა ცალკეული სახეების გამიჯვნისას, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, ისიც ობიექტურ თეორიას აღიარებდა.¹⁶

ანუ, ერთიან დანაშაულში თანამონაწილეთა დაყოფის ობიექტური კრიტერიუმის ტრადიციული ხასიათი აღიარებულია როგორც პოსტსაბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, ისე კანონმდებლობაში¹⁷ და ეს სამართალმემკვიდრეობა დღეისათვის შენარჩუნებულია ქართულ სისხლის სამართლის კოდექსშიც. კერძოდ, ნაციონალური სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი დანაშაულის ამსრულებლად თვლის იმ პირს, „ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებლებთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში“. ხოლო, 24-ე მუხლი თანამონაწილეთა სახეებად გამოყოფს ორგანიზატორს, ნამქეზებელს და დამხმარეს, რომელთა ტიპობრივი დახასიათებისათვის კანონმდებელი იყენებს ისეთ ზმნებს, როგორიცაა – „ხელმძღვანელობდა“, „იყოლიებდა“ და „ხელს უწყობდა“.

უდავოა, რომ ნაციონალურ სისხლის სამართლის კოდექსში ამჟამად, არსებული მსგავსი კლასიფიკაცია (როგორც სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს), უთუოდ სწორ ორიენტაციას უკეთებს სასამართლო ორგანოებს მოქმედების ხასიათის შეფასებაზე, დანაშაულში ცალკეული თანამონაწილეობის ხარისხსა და როლზე. ამავდროულად, რამდენადაც ეს კლასიფიკაცია ობიექტურ კრიტერიუმზეა დაფუძნებული, იგი იძლევა საშუალებას, კანონში საკმაოდ ზუსტად აღვწეროთ ცალკეული თანამონაწილის მოქმედების ნიშნები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისას კანონიერების მოთხოვნილების დაცვას და შესაბამისად, თითოეული თანამონაწილისადმი სამართლიანი სასჯელის დანიშვნას.

შენიშვნები:

- ¹ დაწერილებით ამ თეორიების შესახებ იხ.: А.Ф. Вернер, Учебник уголовного права, Т. 1, СПб, 1865, с. 514-516; С.Будзинский, Начала уголовного права, Варшава, 1870, с. 217-219; Г.Колоколов, О соучастии в преступлении, М., 1881, с. 75-103; Н.С. Таганцев, Русское уголовное право, часть общая, Т. 1, П., 1902, с. 759-763; С.В. Познишев, Наука уголовного права, часть общая, М., 1912, с. 379-381; Т.В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, 2-ое изд., М., 1963, гл. II, §2; თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, „მეცნიერება“, 1969, გვ. 208-221; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, „მეცნიერება“, თბ., 1965, გვ. 90-109; თ. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, „მეცნიერება“, თბ., 1974, გვ. 23-43; ნ. გვენეტაძე, თანამონაწილეობის სახეობად კლასიფიკაციის ისტორიისათვის, // ჟურნ. „სამართალი“, 1996, №1-2, გვ. 62-66; ა. მახარაძე, თანამონაწილეთა გამიჯვნის ზოგადი ასპექტები, // ჟურნ. „სამართალი“, 2003, №1-2, გვ. 63-69.
- ² იხ.: А. Фейербах, Уголовное право, С. Петербург, 1810, с. 42-43.
- ³ თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, დას. ნაშ., გვ. 214.
- ⁴ ნ. გვენეტაძე, დას. ნაშ., გვ. 63.
- ⁵ თ. წერეთელი, დას. ნაშ., გვ. 96.
- ⁶ თ. გამყრელიძე, დას. ნაშ., გვ. 27.
- ⁷ ჰ. ველცელი // თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, დას. ნაშ., გვ. 101.
- ⁸ მ. კოვალიოვი, დას. ნაშ., ნაწილი I, გვ. 142.
- ⁹ ჰ. ველცელი // თ. წერეთელი, დას. ნაშ., გვ. 108.
- ¹⁰ მ. კოვალიოვი, დას. ნაშ., ნაწილი I, გვ. 145; აგრეთვე, В.С. Прохоров, Соучастие с преступлением по советскому уголовному праву, Дис. н. с. к. юр. наук, Л., 1962, с. 181-182; თ. წერეთელი, დას. ნაშ., გვ. 108; თ. გამყრელიძე, დას. ნაშ., გვ. 41 და სხვ.
- ¹¹ Советское уголовное право, часть общая, М., 1952, с. 208; М. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права, 1955, с. 149; თ. წერეთელი, დას. ნაშ., გვ. 66; თ. გამყრელიძე, დას. ნაშ., გვ. 43-45 და სხვ.
- ¹² თ. წერეთელი, დას. ნაშ., გვ. 110-111; ამ საკითხზე დაწერილებით იხ.: თ. წერეთლის ნაშრომი, Причинная связь в уголовном праве, М., 1963, Изд. 2-ое.
- ¹³ А.Т. Траинин, Учение о соучастии, М., 1941, с. 38; იხ: აგრეთვე, П.И. Гришаев, Г.А. Кригер, Соучастие по советскому уголовному праву, М., 1959, с. 124; ვ. პროხოროვი, დას. ნაშ., გვ. 187.
- ¹⁴ მ. კოვალიოვი, დას. ნაშ., გვ. 12-13; იხ.: აგრეთვე, М.А. Шнейдер, Соучастие преступлений по советскому уголовному праву, М., 1958, с. 41; Курс советского уголовного права, часть общая, Т. 1, 1968, с. 610-611; Ф.Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 135; მისივე, Соучастие: социальные, криминологические и правовые проблемы, Киев, 1988, с. 134-137; А.В. Ушаков, Ответственность за групповые преступления, Калинин, 1975, с. 21-29; П.Ф. Тельнов, Ответственность за соучастие в преступлении, М., 1978, с. 26 и др.
- ¹⁵ თ. წერეთელი, დას. ნაშ., გვ. 111-112, აგრეთვე, თ. გამყრელიძე, დას. ნაშ., გვ. 43-46.
- ¹⁶ Сборник постановлений Пленума и определение коллегии Верховного Суда Союза ССР, М., 1943, с. 76.
- ¹⁷ С.И. Афиногенов, Соучастие в преступлении: понятие, виды, реформы, Дис. н. с. л. Юр. наук, М., 1991, с. 9; В.А. Григорьев, Соучастие в уголовном праве Российской Федерации, УФА, 1995, с. 30-31; Ю.А. Красиков, Соучастие в преступлении, М., 1996, с. 22; ა. მახარაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის, თბ., 2006, გვ. 156.

CLASSIFICATION OF THE TYPES OF COMPLICITY

GIORGI BARABADZE

Doctor of Law, Associated Professor

Author reviews peculiarities of complicity classification and mentions that it is essential for responsibility of accomplice as well as for proper deciding the issue individual sentencing.

Author reviews historic background of its 3 theoretical directions (objective, subjective, mixed) and concludes that objective theory considered deviation of accomplice in the legal sense of their conduct and not in the matter of reasons. Criteria for such deviation was always considered a fact of participation in this action, that would qualify for objective composition of a crime; this type of objective criteria classification was lacking material basis, that would be expressed in necessary conditions causing the participation in the crime.

In the subjective theory aspect, author mentions that it is distinguished by declaration of equality of conditions and reducing the importance of reasons – when differentiating between specific types of accomplice, author completely rejects objective signs and tries to find bases for differentiation in subjective area.

Based on the analyzes of (final-objective) theory, author states that final notion of the conduct is used in order to introduce subjective element to the issue, this is proved by priority of accomplice will, as for the immediate perpetration of a crime (in other words objective criterion) is just conditional.

Criteria finally and essentially are still based on subjective sphere.

Analyzing soviet, as well as modern legal minds, legislation and court practice, author concludes that in one crime, basing separation of accomplices on the objective criteria would definitely give proper orientation to the courts – to evaluate the conduct, as well as to evaluate the quality and role of specific accomplices in the crime. At the same time, as far as this classification is based on the objective criteria, it allows to precisely describe signs of conduct of an individual accomplice, that will definitely provide for the full compliance of legislative requirements and accordingly, fair sentencing for each accomplice.

ევთანაზია – დანაშაული თუ ადამიანის უფლება საკუთარი სიცოცხლის ნებასთან დაკავშირებით

ანი შენგელია

სამართლის მაგისტრი

ტერმინი „ევთანაზია“ წარმოშობილია ბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს „კარგ სიკვდილს“. აქტიური დებატები ევთანაზიის შესახებ მე-19 საუკუნიდან დაიწყო ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის შემდგომ, ადვოკატებმა და ექიმების ნაწილმა კვლავ დააყენა საკითხი ევთანაზიის მხარდაჭერის შესახებ.

1977 წელს, ამერიკაში, კალიფორნიის შტატში მიღებულ იქნა კანონი, რომელიც ეხებოდა ადამიანის უფლებას სიკვდილზე. აღნიშნული კანონის მიხედვით, განუკურნებელი სენით შეპყრობილ ადამიანს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა სამედიცინო ჩარევებზე, თუმცა ოფიციალურად ევთანაზიის შემთხვევა შტატში არ დაფიქსირებულა. ამის მიზეზი იყო იმ პირობის არარსებობა, რომლის გარეშეც ევთანაზია არ დაიშვებოდა. კერძოდ, ევთანაზიის განსახორციელებლად საჭირო იყო ფსიქიატრთა დასკვნა პაციენტის შერაცხადობასთან დაკავშირებით. თუმცა, ამერიკის შეერთებული შტატების ფსიქიატრთა ასოციაცია კრძალავდა ასეთი ტიპის დასკვნების გაცემას.

1998 წლიდან ევთანაზია ორეგონის შტატშიც ნებადართულია. მთავარი პირობა ევთანაზიის განხორციელებისა არის პაციენტის მძიმე ავადმყოფობა, რომელმაც სიკვდილი უნდა გამოიწვიოს 6 თვის მანძილზე. ამას გარდა, პაციენტმა თავისი ნება წერილობით უნდა დაადასტუროს და უნდა არსებობდეს ექიმთა დასკვნა მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ. ზემოაღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაში, ევთანაზიის განხორციელე-

ბის პროცედურა სანქცირებულია აშშ-ის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის მიერ. ნამლის სასიკვდილო დოზის გაკეთება კი, უშუალოდ პაციენტის მიერ ხდება.

1935 წელს, ინგლისში ჩამოყალიბდა სხვადასხვა საზოგადოება, რომელიც მხარს უჭერდა აგრესიულ ევთანაზიას, თუმცა, მიუხედავად აქტიური მხარდაჭერისა, ევთანაზიის სრულად დაკანონება ვერ მოხერხდა.

1937 წელს, შვეიცარიაში ევთანაზია ექიმების დახმარებით დაკანონდა. ნებაყოფლობითი ევთანაზიის მომხრეები მხარს უჭერდნენ ევთანაზიას ავადმყოფობის ბოლო სტადიაში მყოფი პაციენტებისათვის. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ არანებაყოფლობითი ევთანაზიის მიმართ. ასეთი ევთანაზია უნდა შეხებოდა ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩენილ ადამიანებს.

შვეიცარიაში ევთანაზიის ლეგალიზაცია გახდა იმის მიზეზი, რომ გაიზარდა ამ ქვეყანაში ევთანაზიის განხორციელების მსურველთა რაოდენობა. ადამიანები, რომლებსაც ევთანაზიის სურვილი ჰქონდათ ჩადიდნენ შვეიცარიაში, რათა სისრულეში მოეყვანათ თავიანთი სურვილი, აღნიშნულმა კი, მნიშვნელოვნად გაზარდა იმ კლინიკების შემოსავალი, რომლებიც ევთანაზიას ახორციელებდნენ. ამის გამო, ევთანაზია შვეიცარიაში ბიზნესის კეთების საშუალებად იქცა. აქედან გამომდინარე, შვეიცარიის ფედერალური საბჭო გამოვიდა ევთანაზიის მარეგულირებელი კანონმდებლობის გამკაცრების ინიციატივით. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, ევთანაზიის განმახორციელებელ პირს დაეკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ გარკვეული პირობები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული. ევთანაზიის მსურველ პირს დამოუკიდებლად უნდა გამოეხატა სურვილი, ამის შემდეგ მას მოსაფიქრებლად გარკვეული დრო ეძლეოდა. მას ასევე, უნდა წარმოედგინა ორი დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტის დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც დაადასტურებდა, რომ დაავადების განკურნება შეუძლებელი იყო. 2011 წლის მაისში, შვეიცარიაში კერძოდ, ციურიხში ჩატარდა რეფერენდუმი ევთანაზიის აკრძალვასთან დაკავშირებით. რეფერენდუმის შედეგად მოსახლეობის 85%-მა მხარი დაუჭირა ევთანაზიის აკრძალვას.

მეორე მსოფლიო ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში, ნაცისტებმა შეიმუშავეს პროგრამა არანებაყოფლობითი ევთანაზიის შესახებ, რომელიც მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. 1939 წელს, ნაცისტებმა კოდური სახელწოდებით Action T4 დახოცეს ბევრი არასრულფასოვანი ადამიანი (მათ შორის, პატარები და მოზრდილები). გერმანიაში და ავსტრიაში ასეთი ბავშვები იგზავნებოდნენ სასიკვდილო ცენტრებში. ასეთი სასიკვდილო ცენტრი არსებობდა მაგალითად, ბრანდენბურგში, ბერლინის მახლობლად.

1940-1950 წლებში ევთანაზიას, განსაკუთრებით არანებაყოფლობით ევთანაზიას მხარდაჭერა არ ჰქონდა. რომის კათოლიკურმა ეკლესიამ გაილაშქრა ევთანაზიის წინააღმდეგ, როგორც სიცოცხლის საწინააღმდეგო ძალადობაზე. მიუხედავად რომის კათოლიკური ეკლესიის ასეთი მოსაზრებისა, საქმე გვექონდა ორმაგ სტანდარტებთან, რადგან რომის კათოლიკური ეკლესია მიზანშეწონილად მიიჩნევდა ისეთი ადგილების არსებობას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების შემოკლება ტკივილგამაყუჩებლების მეშვეობით. აქვე აღსანიშნავია, რომ მოსამართლეები ლოიალურები იყვნენ ნებაყოფლობითი ევთანაზიის მიმართ.

1960 წლიდან მასობრივად დაიწყო ნებაყოფლობითი ევთანაზიის მომხრეთა რიცხვის ზრდა.

ევთანაზია, შეიძლება განვმარტოთ, როგორც მოქმედება, რომელიც იწვევს ან ნებას აძლევს ადამიანს უმტკივნეულოდ მოკვდეს, რათა გათავისუფლდეს ტანჯვისაგან. ის აძლევს ადამიანს

შესაძლებლობას „მშვიდად და ადვილად მოკვდეს“, როდესაც ის უმძიმესი და უკურნებელი სენით არის დაავადებული და ავადმყოფობის უკანასკნელ სტადიაზე იმყოფება. ევთანაზია მაშინ და მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, თუ ის გამოინვევს სწრაფ და უმტკივნეულო სიკვდილს და თუ ეს ქმედება მთლიანობაში ავადმყოფისათვის (ევთანაზიის მიმღებისათვის) იქნება სასარგებლო.

ევთანაზია შეიძლება მოხდეს პაციენტის თანხმობით (ნებაყოფლობითი ევთანაზია) ან თანხმობის გარეშე (იძულებითი ევთანაზია). ნებაყოფლობითი ევთანაზიის დროს, პაციენტი თავად გამოთქვამს სიკვდილის სურვილს. იძულებითი ევთანაზიის დროს კი, პაციენტი უუნაროა, რომ მიიღოს გადაწყვეტილება და ამას მის მაგივრად მისი ნდობით აღჭურვილი პირები აკეთებენ.

განასხვავებენ ევთანაზიის ორ სახეს: პასიურს და აქტიურს. პასიურია ევთანაზია, როდესაც ხდება სიცოცხლის გამახანგრძლევებელი ყოველგვარი ტექნიკური აპარატურის გამორთვა. აქტიური ევთანაზია კი, გულისხმობს ადამიანის ტანჯვისაგან დახსნის მიზნით, მისთვის (მაგალითად, მორფის) დოზის იქამდე გაზრდას, ვიდრე ეს დოზა მისთვის მომაკვდინებელი არ იქნება.

სახელმწიფოთა უმრავლესობაში, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა დანაშაულად არის მიჩნეული მიუხედავად მისი თანხმობისა. აქედან გამომდინარე, ევთანაზია ბევრ სახელმწიფოში მკვლელობად არის აღიარებული. თუმცა, განსაკუთრებული პირობების არსებობის გამო, როგორც არის ადამიანის უკურნებელი სენით დაავადების ფაქტი, მომაკვდავი ადამიანის დაჟინებული თხოვნა, მის მიერ გამოხატული ნების ნამდვილობა და ძლიერი ფიზიკური ტკივილები-საგან გათავისუფლების მიზანი, ეს დანაშაულებრივი ქმედების პრივილეგირებულ შემადგენლობად არის მიჩნეული და სასამართლო სასჯელის განსაზღვრისას ზემოთ მითითებულ გარემოებებს მიიჩნევს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად.

არის ქვეყნები, სადაც ევთანაზია ჩვეულებრივ მკვლელობად არის მიჩნეული (მაგალითად, საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი). ქვეყნების მეორე ჯგუფი ევთანაზიისათვის მსუბუქ სასჯელს აწესებს (მაგალითად, გერმანია, ავსტრია, შვეიცარია), ხოლო არის ქვეყნები, რომლებმაც მოახდინეს ევთანაზიის დეკრიმინალიზაცია (მაგალითად, პერუ, ურუგვაი, ჰოლანდია).

ნიდერლანდებში ევთანაზია კანონიერად იქნა აღიარებული. „თხოვნის საფუძველზე სიცოცხლის შეწყვეტისა და თვითმკვლელობის ხელშეწყობის“ დადგენილება 2002 წლის პირველ აპრილს შევიდა ძალაში. ამ დადგენილებით ევთანაზია გარკვეულ შემთხვევებში კანონიერად არის მიჩნეული. ამასთან, კანონი ითვალისწინებს, რომ ეჭვქვეშ უნდა დადგეს იმ ექიმის სამართლებრივი დევნის საკითხი, რომელმაც ევთანაზია გამოიყენა შემდეგ შემთხვევებში:

- პაციენტის ტანჯვა აუტანელია და მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა არ არსებობს;
- პაციენტი თავად, გარკვეული დროის განმავლობაში, უნდა ითხოვდეს ევთანაზიას (სხვათა ზეგავლენის ან ნამღებების ზემოქმედების გარეშე);
- პაციენტს სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს თავისი მდგომარეობის, შესაძლებლობებისა და არჩევანის შესახებ;
- საჭიროა მინიმუმ, ერთ დამოუკიდებელ ექიმთან კონსულტაცია, რომელიც დაამტკიცებს, რომ ზემოთ ხსენებული სიტუაცია რეალურად არსებობს;
- სიკვდილი უნდა მოხდეს მედიცინაში მიღებული მეთოდით. ექიმის ან პაციენტის მიერ და ამასთან, უნდა ესწრებოდეს ექიმი;
- პაციენტი უნდა იყოს სულ მცირე, თორმეტი წლის (თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე პაციენტს სჭირდება მშობლის თანხმობა).¹

თუ არსებობს ევთანაზიის ზემოაღნიშნული პირობები, რეგიონის საზედამხედველო კომისია განსაზღვრავს სიცოცხლის შეწყვეტის, თუ მოთხოვნილი თვითმკვლელობის ნების დართვა რამდენად სწორად წარმართა. შედეგების მიხედვით ან დაიხურება საქმე ექიმის მიმართ, ან თუ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებს სიტუაცია არ შეესაბამება, საქმე გადაეცემა სახალხო პროკურორს. კანონმდებელი ასევე, ითხოვს, რომ დადასტურებული იყოს სურვილის გამომხატველი ოფიციალური დოკუმენტის ნამდვილობაც. ამგვარი ოფიციალური დოკუმენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, მაშინ როდესაც ავადმყოფი კომაშია ან მაშინ, როდესაც ავადმყოფს დამოუკიდებლად სურვილის გამოხატვა არ შეუძლია.

ევთანაზია დანაშაულებრივ ქმედებად ითვლება, თუ ის ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ პირობებს. განსაკუთრებული შემთხვევების გამონაკლისის გარდა, არ არსებობს კანონით შეზღუდვის საჭიროება. კანონიერად ითვლება ისეთი სამედიცინო გადანყვეტილებები, როგორც არის:

- შეწყვიტო ან არ დაიწყო სამედიცინო თვალსაზრისით, უაზრო (ფუჭი) მკურნალობა;
- შეწყვიტო ან არ დაიწყო მკურნალობა პაციენტის მოთხოვნის საფუძველზე;
- დააჩქარო სიკვდილი, რომ პაციენტი ტანჯვისაგან იხსნა.

2003 წელს, ნიდერლანდებში ოფიციალურად დაფიქსირდა ევთანაზიის 1626 შემთხვევა, ეს იყო ევთანაზიის ისეთი ფორმა, როდესაც პაციენტს ხელი შეუწყეს სურვილის ასრულებაში. ოფიციალურად ასევე, დაფიქსირდა 148 ფიზიკურად სიკვდილის ნაქეზების შემთხვევა. ძირითადად, ამგვარი სიკვდილი გამოწვეული იყო ძლიერი (10 გრამი) barbiturate სანამლავის მიღებით.

ექიმი ვალდებულია პაციენტის ევთანაზიას დაესწროს ორი მიზეზის გამო:

- რათა დარწმუნდეს, რომ სანამლავი შემთხვევით სხვა ადამიანმა არ მიიღოს. (ანდა არ მოხდეს თვითმკვლელობა, ან თუნდაც მკვლელობა);
- რათა აკონტროლოს პროცესი და შეძლოს შეასრულოს საჭირო პროცედურები.

აღსანიშნავია, რომ ორ შემთხვევაში, ექიმმა მიიღო საყვედური იმის გამო, რომ არ ესწრებოდა იმ მომენტს, როდესაც პაციენტმა მიიღო ნამალი. 2000 წელს, 649 პაციენტს, რომელსაც ევთანაზიას უკეთებდნენ ჩაუტარდათ კვლევა. აღმოჩნდა, რომ პაციენტების 14%-ს ჰქონდათ სხვადასხვა სახის გართულებები, 32%-ს იმ პაციენტებისა, რომლებსაც ფიზიკურად დაეხმარნენ თვითმკვლელობაში ჰქონდათ ისეთი ტიპის გართულებები, რომ 18%-სათვის საჭიროც გახდა, რომ ექიმს აქტიური ევთანაზიისათვის მიემართა. ამ კვლევებმა აჩვენა, რომ ევთანაზიის 50%-ის შემთხვევაში, მკურნალი ექიმები ადგილზე არ იმყოფებოდნენ.

ევთანაზიის ლეგალიზაციას დიდი მხარდაჭერა აქვს ჰოლანდიელებისაგან, რომლებიც სიცოცხლის ხანგრძლიობით ხასიათდებიან. არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს შემამსუბუქებელ მკურნალობას და მოითხოვენ ევთანაზიის პროცედურის არაკანონიერად ცნობას. ჰოლანდიელების მიერ შედგენილ იქნა პროტოკოლი ვენისმიერი ევთანაზიის შესახებ. ვენისმიერი ევთანაზია ყველაზე სწრაფია, ამიტომაც ყველაზე მეტად არის რეკომენდებული.

გერმანიაში ევთანაზია დასჯად ქმედებად არის მიჩნეული, თუმცა, აღნიშნული ქმედება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება. აქვე აღსანიშნავია, რომ სასჯელი გათვალისწინებულია მხოლოდ აქტიური ევთანაზიისთვის. პასიური ევთანაზია გერმანიის კანონმდებლობით დანაშაულად აღარ არის მიჩნეული.

საფრანგეთის კანონმდებლობით ევთანაზია დასჯადია, თუმცა, 2005 წლიდან აქტიური დებატები მიმდინარეობდა ევთანაზიის ლეგალიზებასთან დაკავშირებით. ევთანაზიის მომხრეებმა

ევთანაზიის ლეგალიზაციის კანონპროექტიც კი, მოამზადეს და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შეიტანეს, თუმცა უშედეგოდ, ამ კანონპროექტის მიღებაზე სენატმა უარი განაცხადა.

ბელგიაში, ევთანაზია 2002 წლიდან გახდა ლეგალიზებული. 2005 წელს, ბელგიის ავთიაქებში გამოჩნდა 60 ვეროდ ღირებული კომპლექტები, სადაც მოთავსებული იყო სანამლავით სავსე ერთჯერადი ნემსები. აღნიშნული კომპლექტის შექმნა შესაძლებელი იყო მხოლოდ ექიმის შეკვეთით.

ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით ევთანაზიის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, ვისაც შეუსრულდა 18 წელი და რომელსაც განუკურნებელი დაავადება სჭირს.

მექსიკაში, ზომიერად ზიანის მიყენება ნამალი „პენტობარბიტალი“, რომელიც შინაური ცხოველების ევთანაზიისათვის გამოიყენება. აღნიშნული ნამლის მიღება ადამიანშიც იწვევს უმტიკუნეულო სიკვდილს, ნამლის მიღებიდან 1 საათის განმავლობაში. „პენტობარბიტალის“ შესაძენად მექსიკაში არაერთი მსურველი ჩადის.

რუსეთში ევთანაზია დასჯადი ქმედებაა და მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება. ევთანაზია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ცალკე მუხლად არ არის გამოყოფილი და მას მოიცავს რფ სსკ-ის 105-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის, სანქცია კი, ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 15 წლამდე.²

აზერბაიჯანშიც ევთანაზია სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად არის მიჩნეული და მისი ჩამდენი პირი ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ან თავისუფლების აღკვეთის ვადით 3 წლამდე ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

რაც შეეხება ევთანაზიას საქართველოში, ჩვენი კანონმდებლობით ევთანაზია დასჯად ქმედებას წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად, „მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.“ ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მომაკვდავი პაციენტის დაჟინებული თხოვნითა და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, პირის მიერ პაციენტის მკვლელობაში. მკვლელობის მიზანი კი, ამ შემთხვევაში არის პაციენტის ძლიერი ტკივილებისაგან გათავისუფლება. მიზანი აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია. თუ ბრალდებული მსხვერპლის თხოვნით ჩადის მკვლელობას ისე, რომ მის მიზანს არ წარმოადგენს მოკლულის მძიმე ტკივილებისაგან და უშედეგო მკურნალობისაგან გათავისუფლება, ასეთ შემთხვევაში, ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით დაკვალიფიცირება დაუშვებელია. მოტივი აღნიშნული დანაშაულისა არის სიბრალულის გრძნობა, რომელიც დამნაშავეს მსხვერპლის მიმართ აქვს. აღნიშნული დანაშაული მატერიალური შემადგენლობის არის და დამთავრებულად ითვლება მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის მომენტიდან.

ამ დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. ანუ ამ შემთხვევაში, პირს შეგნებული აქვს, რომ სჩადის მკვლელობას, თუმცა, იგი ნაკარნახევია მომაკვდავი პაციენტის დაჟინებული თხოვნით და აღნიშნული ქმედების მიზანია ავადმყოფის გათავისუფლება ძლიერი ფიზიკური ტკივილებისგან. ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც დანაშაულის საერთო სუბიექტი, ასევე, სპეციალური სუბიექტი მაგალითად, მკურნალი ექიმი.

მკვლევლობა მსხვერპლის თხოვნით დანაშაულთა პრივილეგიურულ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება, ვინაიდან საკითხი ეხება არა მარტო მკვლევლობას დაზარალებულის თანხმობით, არამედ მძიმე მომაკვდავი ადამიანის დაჟინებულ თხოვნას მისი ფიზიკური ტანჯვისაგან გათავისუფლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს თხოვნა უნდა გამოხატავდეს მომაკვდავის ნამდვილ ნებას. იგი უნდა იყოს ისეთ მდგომარეობაში, რომ სრულად შეეძლოს კონტროლი გაუწიოს და უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას. თუ მსხვერპლს ამის შესაძლებლობა არა აქვს, მისთვის სიცოცხლის მოსპობა უკვე იქნება ჩვეულებრივი მკვლევლობა, ცხადია, თუ არ არსებობს სხვა დამამძიმებელი გარემოება.

საქართველოს პარლამენტმა 2000 წლის 5 მაისს, მიიღო კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, აღნიშნული კანონის 24-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს წინასწარ წერილობით გამოხატოს ნება (თანხმობა ან უარი) უგონო მდგომარეობაში აღმოჩენისას ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვისას მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური მკურნალობის ან/და პალიატიური მზრუნველობის ჩატარების შესახებ, თუ მითითებული გარემოებები გამოწვეულია: ა) უკუვნებელი დაავადების ტერმინალური სტადიით; ბ) დაავადებით, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მძიმე ინვალიდობას.“ ანუ ამ კანონის მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში, ექიმს აქვს უფლება, პაციენტის ნამდვილი ნების შესაბამისად, გამოურთოს მას სუნთქვის აპარატი, შეუწყვიტოს უშედეგო მკურნალობა და განახორციელოს სხვა ისეთი ქმედება, რომელიც საბოლოოდ, პაციენტის სიკვდილს გამოიწვევს. აღნიშნული ნორმა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი შინაარსობრივად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. სისხლის სამართლის კოდექსი იმპერატიულად სჯის მკვლევლობას მსხვერპლის თხოვნით და მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ გარემოებებს რა გარემოებების არსებობის დროსაც ხდება მკვლევლობის ჩადენა. „პაციენტის უფლებების“ შესახებ კანონის ზემოთ მითითებული ნორმა კი, ცალკეული პირობების არსებობის შემთხვევაში, უშვებს მკვლევლობას მსხვერპლის თხოვნით. ანუ სახეზეა ნორმატიულ აქტებს შორის კოლიზია. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით კი, „თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს.“ ვინაიდან ჩვენს შემთხვევაში, უფრო გვიან არის მიღებული „პაციენტის უფლებების“ შესახებ კანონი, იმოქმედებს ეს უკანასკნელი, თუმცა, იმ პირობების ზუსტი დაცვით, რაც ნორმაშია განერილი. კერძოდ, კანონი „პაციენტის უფლებების“ შესახებ შეიძლება გავრცელდეს:

- მხოლოდ საქართველოს მოქალაქეზე;
- პირზე, რომელიც დაავადებულია განუკურნებელი სენით;
- პირზე, რომელსაც ისეთი დაავადება სჭირს, რომელიც გამოიწვევს მის ინვალიდობას.

დაცული უნდა იყოს ნების გამოვლენის ფორმა და განსაზღვრული უნდა იყოს ნების განმარტობის ელემენტები, კერძოდ:

- პირმა ნება საღ გონებაზე ყოფნის დროს უნდა გამოხატოს;
 - ნების აღმასრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი – ექიმი.
- ყველა სხვა ქმედება, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს და სცილდება კანონის ამ ნორმის მოქმედების სფეროს კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით.

საინტერესოა ის არგუმენტები, რომლებიც მოჰყავთ ევთანაზიის მომხრეებს და მონინაალ-მდეგეებს თავიანთი შეხედულებების დასასაბუთებლად.

ევთანაზიის მომხრეები თვლიან, რომ არჩევანის გაკეთება არის ფუნდამენტური უფლება ლიბერალური დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო სისტემის პირობებში. ტკივილი და ტანჯვა, რომელსაც ადამიანი განიცდის ავადმყოფობის პერიოდში, თუნდაც ტკივილის შემსუბუქების დროს, შეიძლება მიუღებელი იყოს მხოლოდ ისეთი პიროვნებისათვის, რომელსაც ეს არ გამოუცდია. პაციენტებისათვის, რომლებსაც აღარ შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრების გაგრძელება, ძნელია ემოციური ტკივილის დაძლევა. მიუხედავად თანამედროვე პრეპარატების არსებობისა, უიმედო ავადმყოფისათვის ძნელია იმის შეგრძნება, რომ ტანჯვით აღმოხდება სული. ევთანაზიის მომხრეები თვლიან, რომ ექიმების ენერგია და საავადმყოფოებში პალატები გამოყენებულ უნდა იქნეს იმ პაციენტებისათვის, რომელთა სიცოცხლის გადარჩენაც შესაძლებელია. ევთანაზიის მონინალმდეგეთა არგუმენტები შეიძლება გამოყენებულ იქნას საზოგადოების მიერ, როგორც ერთგვარი ფსიქოლოგიური წნეხი იმ ადამიანებზე, რომლებსაც სურთ მიმართონ ევთანაზიას. ასეთი ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგია, რომ ადამიანები (პაციენტები), რომლებსაც აღარ სურთ სიცოცხლის გაგრძელება, მიმართავენ ისეთ მტკივნეულ და სარისკო პროცედურას, როგორიც არის თავის ჩამოხრჩობა.

ევთანაზიის მომხრეებს სწამთ, რომ მათი უპირველესი მოვალეობაა შეინარჩუნონ და გაიხანგრძლივონ საკუთარი და სხვების სიცოცხლე. მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში, მათი აზრით, სიცოცხლეს აზრი ეკარგება და ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში ადამიანებს უნდა ჰქონდეთ იმედი, რომ როდესაც ეს დრო დადგება, შეიძლება მშვიდად და ღირსეულად მოკვდნენ. ადამიანმა ტანჯვა და ტკივილი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აიტანოს თუ არსებობს შანსი საბოლოოდ განკურნებისა. სხვა შემთხვევაში, თუ უკურნებელი სენის უკანასკნელ სტადიასთან გვაქვს საქმე ტანჯვის გაძლება ყოვლად უაზროა. მათი აზრით, ცხოვრება მხოლოდ მაშინ არის ღვთის წყალობა, როდესაც მას აქვს ადამიანური ფორმა. ტანჯვა-წამების ფორმით სიცოცხლის შენარჩუნება გაუმართლებელია და ამასთან, უშედეგოდ დახარჯულ დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

ევთანაზიის მომხრეები ურჩევენ იმ ადამიანებს, რომლებიც მათსავით ფიქრობენ, რომ როდესაც ისინი ჯანმრთელ მდგომარეობაში იმყოფებიან, ხელი მოაწერონ „სიცოცხლის ნებას,“ სადაც ცხადად გამოხატავენ თავიანთ მოლოდინს, რომ მათი სიკვდილის უფლება მათი სურვილისამებრ იქნება დაცული. ასეთი ადამიანის ოჯახის წევრები, მეგობრები, ასევე, პირადი მკურნალი ექიმი მისი ამ სურვილის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს და უნდა ჰქონდეს ამ დოკუმენტის ასლი. თუ პირადი ექიმი უარს განაცხადებს მისი სურვილის შესრულებაზე, მაშინ სხვა ექიმი უნდა შეირჩეს.

რაც შეეხებათ ევთანაზიის მონინალმდეგებს, ისინი თვლიან, რომ ევთანაზია მიუღებელია ექიმებისათვის, რადგან მათ ჰიპოკრატეს ფიცი აქვთ დადებული და მათი ერთ-ერთი ვალდებულებაა პაციენტისათვის სიცოცხლის შენარჩუნება.

ევთანაზიის მონინალმდეგეთა აზრით, ევთანაზია არის მკვლელობის ერთ-ერთი ფორმა, ხოლო ნებაყოფლობითი ევთანაზია – თვითმკვლელობა. ასევე, უარყოფილ იქნა ევთანაზია თეოლოგების მიერ. ისინი აღნიშნავენ, რომ ევთანაზია ეს არის ძალადობა სიცოცხლეზე.

საინტერესოა სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლების პოზიცია ევთანაზიასთან მიმართებაში.

რომის კათოლიკური ეკლესიის პოზიცია ევთანაზიის შესახებ ეყრდნობა კათოლიზმის რამდენიმე მთავარ კანონს, რომელიც მოიცავს ადამიანის სიცოცხლის სინმინდეს, ადამიანის ღირსებას,

ადამიანის განუყრელ უფლებებს, სიკვდილის გარდუვალობას და თანაგრძნობის (მონყალების) მნიშვნელობას. ეკლესიის ოფიციალური პოზიცია აისახა 1980 წელს გამოცემულ დეკლარაციაში ევთანაზიის შესახებ. აღნიშნულ დეკლარაციაში ნათქვამია „...როდესაც გარდაუვალი სიკვდილი მოახლოებულია... ნებადართულია მიღებულ იქნას ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უარყოფს მკურნალობას, რომელიც მხოლოდ გამოიწვევს სარისკო და მძიმე სიცოცხლის გახანგრძლივებას...“³ დეკლარაციის მიხედვით, ექიმები ვალდებული არიან სამედიცინო თვალსაზრისით დახმარების გარდა, უზრუნველყონ პაციენტები „უსაზღვრო სიკეთითა“ და „გულთაძი მონყალებით.“

პროტესტანტული ეკლესიის მიდგომა ევთანაზიისა და სიკვდილის ხელშეწყობის შესახებ სხვადასხვაგვარია. 1970 წლიდან, ევანგელისტური ეკლესია თანამშრომლობს კათოლიკურ ეკლესიასთან იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს ადამიანის სიცოცხლის სინმინდეს. მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალ-პროტესტანტებმა უარყვეს ევთანაზია, ამ უკანასკნელს მაინც ჰქონდა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა. მათ რიცხვში გაერთიანდა პროტესტანტული სამღვდელოების ნაწილიც. ისინი სამართლებრივ მხარდაჭერას უცხადებდნენ სიკვდილის ფიზიკურად ხელშეწყობას.

ებრაელთა შორის დებატები ევთანაზიის შესახებ 1970 წლიდან დაიწყო. ებრაელთა ნაწილი ეწინააღმდეგებოდა ნებაყოფლობით ევთანაზიას და ეს წინააღმდეგობა ხშირად ძალიან მკაცრ ხასიათსაც ატარებდა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გარკვეულ მხარდაჭერას უცხადებდნენ პასიურ ევთანაზიას.

ისლამური სარწმუნოება კატეგორიულად კრძალავს ყველა სახის თვითმკვლელობას და ყველა იმ ქმედებას, რომელიც ეხმარება სხვას თავის მოკვლაში. მუსლიმანებისათვის აკრძალულია, რომ დაგეგმონ, ანდა საკუთარი ნების მიხედვით წინასწარ განსაზღვრონ სიკვდილის დრო.

რაც შეეხებათ ბუდისტებს, მათ შორის, ევთანაზიასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ბუდიზმის მიმდევართა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ვალდებული არიან თავი აარიდონ ცოცხალი არსების განადგურებას. მაგალითად, მონასტრულ კანონთა კრებულში ნათქვამია, „თუ რომელიმე ბუდისტი ბერი მოუსპობს სიცოცხლეს ადამიანს, ანდა შეუქმებს სიკვდილის უპირატესობას, ანდა მსგავსად ამისა ნააქეზებს ადამიანს სიკვდილისაკენ – „ჩემო მეგობარო რა აზრი აქვს უფერულ ცხოვრებას შენთვის, სიკვდილი ხომ მას ბევრად აჯობებს“, ან ამ იმედით განზრახული სხვადასხვაგვარად დაანახებს სიკვდილის სიკარგეს, ან ნააქეზებს, რომ მოკვდეს,“ ასეთი კაცი თვითონვე იქნება დამარცხებული. ასეთი ბერი ბუდისტური სამონაზვნო საზოგადოებიდან განდევნილი იქნება.⁴ სიკვდილის ხელშეწყობაში იგულისხმება არამხოლოდ ქმედება მიმართული სიცოცხლის ფიზიკურად ხელყოფისკენ, არამედ სიტყვაც, რომელიც „კარგი სიკვდილის“ სურვილს გაუჩინს მომაკვდავ ავადმყოფს.

რაც შეეხება მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციას ევთანაზიასთან მიმართებაში – ყოველმხრივ გმობს ევთანაზიას. მართლმადიდებელი ეკლესიის მოსაზრებით, ევთანაზია არ არის მდგომარეობიდან გამოსავლი, ევთანაზია ადამიანს უსპობს სინანულისა და ცხონების საშუალებას. უფალმა ადამიანს უბოძა სიცოცხლე და თავად უფალმა უნდა განსაზღვროს მისი ხანგრძლივობა.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ევთანაზიას ათასობით ადამიანი მიმართავს. არაერთმა გამოჩენილმა ადამიანმა დაასრულა ევთანაზიის გზით სიცოცხლე.

ცნობილმა ავსტრიელმა ფსიქიატრმა და ფსიქოლოგმა ზიგმუნდ ფროიდმა, რომელიც ავთვი-სებიანი სიმსივნით იყო დაავადებული, სთხოვა თავის მეგობარს და პირად ექიმს დახმარებოდა

მას ევთანაზიის განხორციელებაში, ექიმმა მას სამმაგი მორფინის დოზა გაუკეთა, რის შედეგადაც ზიგმუნდ ფროიდი გარდაიცვალა.

გამოჩენილი ბელგიელი პოეტი, მწერალი და რეჟისორი ჰუგო კლაუსი, რომელიც ალცჰეიმერის დაავადებით იყო შეპყრობილი და გარდაიცვალა ევთანაზიის გზით მის მიერვე შერჩეულ დღეს.

ცნობილი მეზღვაური რამონ სამპედრო, ავტოკატასტროფის შედეგად იგი 30 წლის განმავლობაში იყო პარალიზებული. მეზღვაური დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ევთანაზიის უფლების მოპოვებას. საბოლოოდ სასამართლომ მისცა მას ევთანაზიის განხორციელების უფლება, იგი გადაყვანილ იქნა კამერებით აღჭურვილ სპეციალურ ოთახში, სადაც მან დალია სანამ ლავნარევი წყალი, რის შედეგადაც გარდაიცვალა. მეზღვაურზე და მის ცხოვრებაზე შემდგომში ფილმიც კი იქნა გადაღებული.

როგორც ვხედავთ, არის ქვეყნები, სადაც ევთანაზია კანონით არის დაშვებული, თუმცაღა ასეთ ქვეყნებშიც არ არსებობს საზოგადოების ერთსულოვანი დამოკიდებულება ამ მოვლენასთან მიმართებაში. ყოველთვის იარსებებს საზოგადოება, რომელიც ევთანაზიის წინააღმდეგი იქნება.

ჩვენი აზრით, ევთანაზია ყოველად გაუმართლებელია. მართალია, ერთი მხრივ, ძნელია, ადამიანს აიძულო მისი ნების საწინააღმდეგოდ სიცოცხლე, მაგრამ მეორე მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ ავადმყოფობა ეს სასჯელი არ არის და დიდი მოთმინება უნდა გამოვიჩინოთ.

ლიტერატურა:

1. ავტორთა კრებული, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), თბილისი, 2005;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
3. საქართველოს კონსტიტუცია;
4. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
6. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი;
7. Nobel Prize Laureate Linus Pauling. The Humanist (American Humanist Association). 1974 July/August;
8. Philosopher Marvin Kohl. The Humanist. 1974 July/August;
9. <http://www.religionfacts.com>;
10. <http://www.bbc.co.uk>;
11. <http://www.ortodox.ge> ;

შენიშვნები:

- 1 Termination of Life on Request and Assisted Suicide Act.
- 2 Уголовный Кодекс Российской Федерации.
- 3 The Deklaration on Euthanasia issued by the Sacred Congregation for the Doctrine of the Faith. .
- 4 The monastic code Patimokka.

EUTHANASIA – CRIME OR RIGHT OF A PERSON IN REGARD WITH HIS / HER WILL TO LIVE

ANI SHENGELIA

Master of Law

Euthanasia, murder per the request of victim cases are quite a lot in the modern history and it is related with many problems. Euthanasia is a disputable issue not only from the moral point of view but also because of the definition of its contents.

According to those who are in favor of euthanasia, this is the right of a person to make a choice regarding his / her own will to live, as for those who oppose euthanasia, this is one of the forms of murder.

Euthanasia in literature means “good death”. There are states, where euthanasia is legitimate and is not subject of punishment. There are efforts in many states to recognize euthanasia as a lawful action. The grounds for that, they believe is the fundamental right of a person to make a free choice between the “good death” and death with pain and hopeless procedures.

Right to life is a unfringeable right of a person and is protected by the law. In other words, right of a person is protected by the state, although this right is not granted by the state it is the original right, thus it is quite difficult to determine whether the state should be in position to “force” a person to live. To live in the circumstances that humiliates his / her dignity. In case it is not the state that grants the right to life, is it authorized to make decision regarding the will to life? I believe, each and every state should reflect its position in own legislation/

According to our legislation, euthanasia is considered to be punishable and I believe this is correct. Georgia is an orthodox country and no one has the right to infringe the right granted by the God. There is no motivation or purpose that could justify commitment of this crime. Thus, I believe euthanasia is a crime and it is similar to the ordinary murder.

The presented article reviews approaches of different countries in regard with euthanasia, as well as conditions when euthanasia is allowed. It also offers positions of representatives of various religion - is this “good death” or is this forceful life.

სასამართლოს მეგობარი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (AMICUS CURIAE)

იან ჩხეიძე

სამართლის დოქტორი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

სისხლის საპროცესო სამართალში განხორციელებულ უამრავ ცვლილებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნოვაციაა სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შემოღება.

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი ლათინური სახელწოდებით Amicus curiae, არის ცნობილი. ჯერ კიდევ, Amicus curiae რომაულ სამართალში იღებს სათავეს და ბერძნული asegoria-ს (კანონის წინაშე თანასწორობის) დოქტრინას ეფუძნება. IX საუკუნის დასაწყისიდან სასამართლოს მეგობრის ინკორპორირებას ინგლისური სამართალი იწყებს. მოგვიანებით, XIV საუკუნიდან Amicus curiae ფართოდ ინერგება საერთო სამართლის სისტემის ბევრ ქვეყანაში. დღესდღეობით, სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოც.¹ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების 34-ე მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია, რომ „თავისი რეგლამენტის პირობებით და მის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ინფორმაცია, რომელიც მის განსახილველ საქმეს ეხება და აგრეთვე, იღებს აღნიშნული ორგანიზაციების მიერ თავისი საკუთარი ინიციატივით წარმოდგენილ ამგვარ ინფორმაციას.“

Amicus curiae-ს დოქტრინის თანამედროვე სახით ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. სასამართლოს მეგობრის დასკვნა 1823 წელს, პირველად,

ამერიკის უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა საქმეზე *Green v. Biddle*. თუმცა, საბოლოო სახე *Amicus curiae*-ს კონცეფციამ XX საუკუნეში სასამართლო პრეცედენტის გზით მიიღო. სასამართლოს მეგობარს ეხება აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ნორმატივების 29-ე და 37-ე წესები, რომლებიც არეგულირებენ სასამართლოს მეგობრის მიერ დასკვნის წარდგენისა და მისი გამოყენების წესსა და პირობებს.

ამ წესების თანახმად: სასამართლოს მეგობრის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის აუცილებელია მან მოიპოვოს ორივე მხარის თანხმობა. თუ ერთ-ერთი მხარე მაინც იტყვის უარს სასამართლოს მეგობრის მიერ დასკვნის წარდგენაზე – *Amicus curiae*-ს შეუძლია ნებართვის მისაღებად მიმართოს სასამართლოს.

Amicus curiae-ს დასკვნა შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

1. *Amicus curiae* არ წარმოადგენს პროცესის მონაწილეს;
2. *Amicus curiae* არის პიროვნება, რომელსაც სურს დაეხმაროს სასამართლოს;
3. *Amicus curiae* უბრალოდ რჩევას აძლევს სასამართლოს;
4. *Amicus curiae* შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია.²

სასამართლოს მეგობრის დასკვნა ყურადღებას უნდა ამახვილებდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებში არსებულ პრობლემურ საკითხებზე და მათ არგუმენტებს იურიდიულად ანალიზებდა. ასევე, მნიშვნელოვანია *Amicus curiae* მიუთითებდეს ისეთ გარემოებებზე, რომელიც აღნიშნული არ არის მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებში, მაგრამ მნიშვნელოვანია სასამართლოსათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად. აშშ-ში სასამართლოები ყველაზე ხშირად სასამართლოს მეგობრის მოსაზრებას მხედველობაში სწორედ მაშინ იღებენ, როდესაც ის ისეთ ფაქტებზე მიუთითებს, რომლებზეც საქმის განხილვისას მხარეებს არ უმსჯელიათ. სწორედ, ამიტომ აღნიშნავენ, რომ *Amicus curiae*-ს დასკვნა ყველაზე ეფექტიანად მაშინ ითვლება, როდესაც ის სასამართლოს ახალი ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზში ეხმარება. მაგალითად, აშშ-ში, 1989 წელს, განიხილებოდა საქმე რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრის წინააღმდეგ უკანონო აბორტთან დაკავშირებით. ამ საქმესთან მიმართებაში მოსამართლე სტეფან ბრეიერმა აღნიშნა, რომ მედიცინის დარგის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულმა დასკვნამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ისეთი ტექნიკური სამედიცინო საკითხების ახსნა-განმარტებაში, რომლებზეც ყურადღება მხარეთა მიერ გამახვილებული არ ყოფილა და რამაც არსებითი გავლენა იქონია სასამართლოზე გადაწყვეტილების მიღებისას.³

აღსანიშნავია, რომ *Amicus curiae* ხშირად თავის დასკვნაში უთითებს იმ შესაძლო შედეგებზე, რომელიც სასამართლოს ამა თუ იმ სახის გადაწყვეტილებას მოჰყვება. მნიშვნელოვანია სასამართლოს მეგობარმა დაასაბუთოს, თუ რა გავლენას იქონიებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოებაზე და როგორ განაწყობს სამოქალაქო საზოგადოებას ყოველივე ეს სასამართლო ხელისუფლებისადმი. აქედან გამომდინარე, აშშ-ში მიაჩნიათ, რომ სტრატეგიული კუთხით, სამართალწარმოებაში საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, სასამართლოს მეგობრის მონაწილეობა საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კერძოდ, აღნიშნული ინსტიტუტი წარმოადგენს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კიდევ ერთ მტკიცებულებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, *Amicus curiae*-ს დასკვნაში შეიძლება მიეთითოს ინფორმაცია თავად სასამართლოს მეგობრის პიროვნებაზე, თუ რატომ დაინტერესდა ის კონკრეტული საქმით და ა.შ.⁴

სასამართლოს მეგობრის დასკვნა განსაკუთრებულ როლს იმ საქმეებში ასრულებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აღიარებული უფლებების დარღვევის ფაქტებს ეხება. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ბევრი მაგალითი მოიძებნება. მათ შორისაა: *Incol v. Turkey*, *Goodwin v. UK*; *Prager and Obershilk v. Austria* და *Radio Melody v. Austria*.

აშშ-ში სასამართლოს მეგობრის გავლენა მოსამართლეებზე ძალიან დიდია. სასამართლოთა გადაწყვეტილებები ხშირად ეფუძნება *Amicus curiae*-ს დამრიგებლურ რჩევებს. ბევრ საქმეში მოსამართლეს მთავარ არგუმენტად სწორედ სასამართლოს მეგობრის დასკვნაში მითითებული ფაქტები გამოუყენებია. სასამართლოს მეგობრის დასკვნას სასამართლოები სულ უფრო ხშირად იყენებენ. 1970-1980 წლებში, *Amicus curiae*-ს დასკვნა გამოყენებულ იქნა საქმეთა 51,4%-ში. 1995 წელს, ეს რიცხვი 95%-მდე გაიზარდა. დღესდღეობით აღნიშნული მაჩვენებელი რვა ერთეულითაა გაზრდილი.⁵

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სულაც არ არის გასაკვირი, რომ ქართველმა კანონმდებელმაც გადაწყვიტა ამ ინსტიტუტის დამკვიდრება ქართულ სამართალწარმოებაში.

ქართულ იურისპრუდენციაში *Amicus curiae* პირველად, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში დამკვიდრდა. საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონით „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონს დაემატა III¹ თავი „სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში“. კანონის მე-14¹ მუხლის თანახმად: ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დამტკიცებული ფორმით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით თავისი წერილობითი მოსაზრებით. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის ვალდებული, მხედველობაში მიიღოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული წერილობითი მოსაზრება. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს, გამოიყენოს სასამართლოს მეგობრის მიერ გამოგზავნილი მოსაზრება, რომელიც შესაძლებელია ასევე, აისახოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლოს მეგობრის წერილობით მოსაზრებას საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მას უფლება აქვს, გამოიძახოს იგი სასამართლო სხდომაზე დამატებითი შეკითხვების დასმის მიზნით.

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში უკვე გამოყენებულ იქნა სასამართლო მეგობრის ინსტიტუტი. 2010 წლის 28 ივნისს, საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. დავის საგანს წარმოადგენდა: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სიტყვების „საქართველოში მცხოვრებ“ და „საქართველოს“ (რომელიც გრძელდება სიტყვებით „იურიდიულ პირებს“) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. აღნიშნულ საქმეში სასამართლოს მეგობრის სტატუსით ჩაერთო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სასამართლოს წარუდგინა წერილობითი მოსაზრება. სასამართლოს მეგობარმა გაამყარა მოსარჩელის პოზიცია, ვინაიდან მან სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად მიიჩნია. დანამდვილებით შეუძლებელია იმის თქმა, რამდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა სასამართლოსათვის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, მაგრამ ფაქტია, რომ სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილდა.⁶

რაც შეეხება სისხლის საპროცესო სამართალს. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი გაითვალისწინა საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომლის 55-ე მუხლის თანახმადაც: დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე, არანაკლებ 5 დღით ადრე, სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება არ არის შედეგნილი ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, იგი მას არ განიხილავს. სასამართლო არ არის ვალდებული გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოტანილი არგუმენტები. წერილობითი მოსაზრება არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. იგი შედეგნილი უნდა იქნეს სამ ასლად, რომელთაგან ორი გადაეცემა მხარეებს, ხოლო ერთი რჩება მოსამართლესთან. სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან/და მხარის და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი – ზეპირი განმარტების მისაცემად.

ასეთია სასამართლოს მეგობრის სამართლებრივი რეგულირება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად. ბუნებრივია ჩნდება კითხვები: რა სტატუსით სარგებლობს სასამართლოს მეგობარი სისხლის სამართლის პროცესში და როგორია მისი წერილობითი მოსაზრების იურიდიული ძალა.

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის არსებობა უფრო მისაღებია. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოებისაგან რადიკალურად განსხვავდება სისხლის სამართალწარმოება. კონსტიტუციური სარჩელის განხილვა სამართლებრივი საკითხების ანალიზს ეფუძნება. სისხლის სამართლის პროცესში კი, გადანყვეტილება დანაშაულის გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და ანალიზის საფუძველზე უნდა იქნას მიღებული. შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე მტკიცებულებები მხარეთა მიერ წარედგინება სასამართლოს. მოსამართლემ თუ ნაფიცმა მსაჯულებმა მხარეთა მიერ საკუთარი არგუმენტების წარმოდგენის საფუძველზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება და ეს გადაწყვეტილება იმ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს, რომლებიც უტყუარად ადასტურებენ ან უარყოფენ რომელიმე ფაქტობრივ გარემოებას. თუმცა, ბუნდოვანია საკითხი, საერთოდ წარედგინება თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება და თუ წარედგინება როგორ ზეგავლენას იქონიებს ის ნაფიც მსაჯულებზე, ხომ არ გახდებიან ისინი სუბიექტურები?

კიდევ უფრო დეტალურად შევჩერდეთ სასამართლოს მეგობრის სტატუსზე. ის სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სასამართლოს მეგობრის სამართლებრივ რეგლამენტაციას ახდენს თავში „მონმე და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილენი.“ თავისი ფუნქციებით *Amicus curiae* თითქოს ექსპერტს უახლოვდება. მაგრამ, ის არ არის არც ექსპერტი და არც სპეციალისტი. სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში დამკვიდრებული განმარტების თანახმად, ექსპერტი არის სპეციალური ცოდნის მქონე პირი მეცნიერების, ხელობის ან ხელოვნების დარგში, რომელიც საქმეზე ატარებს გამოკვლევას ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით. რაც შეეხება სპეციალისტს, სისხლის სამართლის პროცესში სპეციალისტი, როგორც პროცესის მონაწილე 1964

წლიდან შემოდის. განსხვავებით ექსპერტისაგან სპეციალისტი არ ახორციელებს საქმისათვის მნიშვნელოვანი საკითხის კვლევას, ის უბრალოდ ეხმარება მხარეებსა და სასამართლოს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, დამაგრებასა და დემონსტრირებაში.⁷

ქართულ სისხლის სამართლის პროცესში განხორციელებული ცვლილებები აღნიშნულ საკითხსაც შეეხო და დღეს უკვე სპეციალისტს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ სუბიექტს ვეღარ ვხვდებით. ექსპერტისა და სპეციალისტის ცნებები ახალმა საპროცესო კოდექსმა გააერთიანა ექსპერტის ცნებაში. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა კი, გაფართოვდა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 21-ე ნაწილის თანახმად, ექსპერტი არის სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილებისა მქონე პირი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში. რაც შეეხება სასამართლოს მეგობარს, ის არავითარ გამოკვლევას არ ატარებს. მართალია, *Amicus curiae* ეხმარება სასამართლოს, მაგრამ არა მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა ან დემონსტრირებაში, არამედ განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში. ის უბრალოდ წერილობით მოსაზრებას გამოთქვამს და პრობლემაც ეს არის. რამდენად მართებულია სისხლის სამართალწარმოებაში მოსაზრებების გამოთქმა, მით უფრო ამ მოსაზრებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მოსამართლის აზრის ფორმირებაზე, ეს ხომ არ არღვევს მოსამართლის დამოუკიდებლობის და მის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპს? და კიდევ, რატომ უნდა სჭირდებოდეს მოსამართლეს სამართლებრივ საკითხებში დახმარება? ნუთუ ამდენად არ ვენდობით მათ. მოსამართლე ხომ უნდა იყოს პიროვნება, რომელსაც მაღალი პროფესიონალიზმი და პიროვნული ღირებულებები ობიექტური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას უნდა აძლევდეს.

კიდევ ერთი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი ცალსახად აცხადებს, რომ „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებულებათა ერთობლიობას“. როდესაც მოსამართლე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებას იზიარებს საინტერესოა, როგორ მოხდება განაჩენის დასაბუთება? როგორ უნდა დაასაბუთოს მოსამართლემ, რატომ გაიზიარა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი მტკიცებულება არ გახლავთ. შესაბამისად, ვერც ვერაფერს ადასტურებს და ვერც უარყოფს. ეს არის უბრალოდ მესამე მხარის აზრი კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.

მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კატეგორიულად აცხადებს, რომ წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი. მაგრამ, ფაქტია, რომ სამართალწარმოებაში ორი – დაცვისა და ბრალდების მხარეა და ყოველგვარი სუბიექტივიზმის გარეშე, ნებისმიერ გარემოებაზე გამოთქმული მოსაზრება სასარგებლო იქნება ერთი ან მეორე მხარისათვის. აქედან გამომდინარე, შესაძლოა საფრთხე შეექმნას კიდევ ერთ, მთავარ პრინციპს – მხარეთა თანასწორობას.

ვფიქრობთ, აღნიშნული პრობლემები აუცილებლად იჩენს თავს სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებისას. განსხვავებით საკონსტიტუციო სამართალწარმოებისაგან, სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენის პრეცედენტი ჯერჯერობით არ არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://en.wikipedia.org/wiki/Amicus_curiae;
2. <http://www.hrighs.ru/text/b21/Chapter5%202.htm>. Эльбрус Мамедов. Amicus curie как средство реализации общественных интересов;
3. Кокорев Л. Д., Участники правосудия по уголовном деле, Воронеж, 1971;
4. Петрухин И. Л., Заключение специалистов стадии кассационного и надзорного производство//Советская юстиция, 1962, №14;
5. <http://legalsutra.org/807/role-of-lawyers-as-amicus-curiae> Amicus curiae - position in USA.
6. სასამართლოს მეგობარი – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი მოსაზრება №466 კონსტიტუციურ სარჩელზე;
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: http://en.wikipedia.org/wiki/Amicus_curiae
- ² იხ.: <http://www.hrighs.ru/text/b21/Chapter5%202.htm>
- ³ იხ.: <http://www.hrighs.ru/text/b21/Chapter5%202.htm>. Эльбрус Мамедов. AMICUS CURIAE КАК СРЕДСТВО РЕАЛИЗАЦИИ ОБЩЕСТВЕННЫХ ИНТЕРЕСОВ.
- ⁴ იხ.: <http://legalsutra.org/807/role-of-lawyers-as-amicus-curiae> AMICUS CURIE – POSITION IN USA
- ⁵ იხ.: <http://www.hrighs.ru/text/b21/Chapter5%202.htm>. Эльбрус Мамедов. AMICUS CURIAE КАК СРЕДСТВО РЕАЛИЗАЦИИ ОБЩЕСТВЕННЫХ ИНТЕРЕСОВ.
- ⁶ იხ.: „სასამართლოს მეგობრის“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი მოსაზრება №466 კონსტიტუციურ სარჩელზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.
- ⁷ იხ.: Кокорев Л. Д., Участники правосудия по уголовном деле, Воронеж, 1971, С. 51; Петрухин И. Л., Заключение специалистов в стадии кассационного и надзорного производство//Советская юстиция, 1962, №14, С.12-14.

AMICUS CURIAE IN GEORGIAN CRIMINAL PROCEEDINGS


IA CHKHEIDZE

Doctor of Law, Kutaisi Ak. Tsereteli State University

Assistant Professor

The work “Amicus Curiae in Georgian Criminal Proceedings” is dedicated to the novelty introduced in the Criminal Procedure Legislation, that allows party to be involved criminal proceedings and fix his / her position regarding the subject of litigation. The concept is called Amicus Curiae. It has existed for a long time already, in Georgian administration of justice is was introduced in 2009. This novelty was first introduced to the Constitutional Court, in accordance with the law adopted on October 22, 2009, and later in criminal procedures.

The work also offers history of developments and establishment of Amicus Curiae. It also focuses on the problems that may be faced when applying this concept. Critical analyzes is very important for the successful implantation of this novelty.



გამოვიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა და სამართლის დოქტორის თეიმურაზ თოდრიას ნაშრომი **„ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობის განსაზღვრა საქასაციო სასამართლოში.“**

ნიგნში განხილული პრობლემის წარმოშობა განპირობებულია ქართული საქასაციო სასამართლოს ერთ-ერთი არსებითი ნიშნით, ვინაიდან საქასაციო სასამართლო ამონებს საქასაციო წესით გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივ მხარეს ე.ი. გადაწყვეტილების კანონიერებას, მის იურიდიულ მხარეს.

საქასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, ის არ იკვლევს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს. გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს პროცესუალური დარღვევის შემცველი ფაქტებისა და მტკიცებულებების შემოწმება. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: თუ საქასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო და ამონებს გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივ მხარეს, რა შეხება აქვს მას ფაქტებთან, ანუ რა მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივ გარემოებებს საქასაციო სასამართლოში.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის ერთგვარ ცდას. ავტორი უთითებს, რომ შეუძლებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) სამართლებრივი მხარის შემოწმება ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების გარეშე და სწორედ ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების კრიტერიუმების განსაზღვრა იწვევს გარკვეულ ინტერესს. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობის განსაზღვრა საქასაციო სასამართლოში უკავშირდება სამართალშეფარდების გადასინჯვასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

ამდენად, აღნიშნული ნაშრომით, თეორიულ დონეზე გამოკვლეული იქნა სამართლებრივი კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ საქასაციო სასამართლოს დამოკიდებულებას ფაქტობრივ გარემოებებთან.



ახლახან გამოიცა საინტერესო ნიგნი **„საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი“**, სადაც განხილულია თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის თეორიისა და პრაქტიკის სხვადასხვა საკითხი – საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის ცნებისა და არსის განსაზღვრის პრობლემები, წყაროები, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის რეგულირების ასპექტები და დებულებები. სახელმძღვანელოში დანართის სახით შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი, ევროპის საბჭოს წესდება და შეთანხმება ევროკავშირისა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. ნაშრომი განკუთვნილია საერთაშორისო სამართლის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის. ნიგნის მიზანია, გააცნოს დაინტერესებულ პირებს საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის, როგორც სპეციფიკური დარგის თავისებურებანი.

ნიგნის ავტორები არიან სამართლის დოქტორები დავით გეფერიძე და ავთანდილ ხაზალია.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 292 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 299 70 01



9 771512 259002